# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი **7** | 1999



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

7 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსულ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!**

**3.** ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

**პოეზია და პროზა**

**8.** ირაკლი ბაზაძე. ლექსები
**13.** ჯემალ ქარჩხაძე. განზომილება. რომანი. დასასრული
**74.** ირაკლი ციგროშვილი. ლექსები
**77.** თენგიზ ჩალაური. გამოცხადება. მოთხრობა
**86.** ქეთევან გამგებელი. ლექსები
**88.** გიორგი ხორგუაშვილი. ორი თანაჭკუელი. მოთხრობა
**108.** დავით ახლოური. ლექსები
**110.** ნინო სირბილაძე. ვირთხა. მოთხრობა

**ახალი თარგმანები**

**117.** არტურ რემბო. ქამი ჯოჯოხეთში. თარგმნა დალი ყალიჩავამ

**წერილები**

**128.** კარლო გოგსაძე. ეს საუკუნე - მეფისტოფელი
**133.** ვასილ კაკილაძე. ვლადიმერ სტაროსელსკი საქართველოში



ეროვნული
ბიბლიოთეკა





იერუსალიმი. სიონის მთა.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 120

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. უფალს მოვუხმე შეჭირვების ჟამს და მან ისმინა
ღაღადი ჩემი.
2. იხსენ, უფალო, ჩემი სული
ცრუ ბაგეთაგან,
უკეთურ ენას
გადამარჩინე.
3. რა საბოძვარი მოგებოძება
უკეთური და
მზაკვარი ენით? –
4. ძლევამოსილთა ქეიბურები
და ნაღვერდლები
ძეძვის და
ეკლის.
5. მეშეხში ვიყავ –
ავაი ჩემდა! –
ვეხიზნებოდი
კედარის კარვებს.
6. და ჩემს სულს დიდხანს ვაყოვნებდი მშვიდობის მტრებთან.
7. მე სამშვიდობოდ –
ხოლო რაჟამს ვიტყოდი რასმე,
ისინი მყისვე საბრძოლველად აღიძრებოდნენ.

## ფსალმუნი 121

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. ზეაღვაპყარი მთებისკენ თვალი,
რომელი მოვალს შეწევნად ჩემდა?
2. შეწევნად მოვალს
უფალი ჩემი –
დამბადებელი
ცისა და
მიწის.
3. არც შენ შეგძრავს და შეგაბარბაცებს, არც თვითონ ჩათვლემს
გუშაგის დარად.
4. არ ჩაიმუხლებს დასაძინებლად
ხელთაღმპყრობელი
ისრაელისა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. უფალი შენი – მფარველი შენი,
უფალი შენი –
მფოხი შენი –
შენს მარჯვნივ სუფევს უკუნითი უკუნისამდე.
6. არ შეგაწუხებს დღისით მზე და
ღამით – მთოვარე.
7. და შენ უფალი აგაშორებს ყველა სიავეს
და შენს სიცოცხლეს
მფარველივით შეეხიდება.
8. შენს წასვლა-მოსვლას განარიგებს არსთაგამრიგე
ამიერიდან
უკუნისამდე.

## ფსალმუნი 122

ზეაღსავალთა საგალობელი.
დავითისათვის.

1. როგორ ვიხარე, როცა მაუწყეს: მოვიხილოთო საუფლო სახლი.
2. უმრავად ვდექ და
უმრავად დავმთი
შენს კარიბჭესთან,
იერუსალიმ!
3. იერუსალიმ ნაგებია, როგორც ქალაქი
ერთიანი და
ერთად შეერწყმული.
4. რამეთუ მისკენ აღიმრნენ ტომნი,
ტომნი უფლისა –
აღმსარებლებად ისრაელისა, უფლის სახელის
განსადიდებლად.
5. რადგან იქ იდგა სამართლის ტახტი,
საზრმანისები
დავითის სახლის.
6. სთხოვეთ –
მშვიდობა დაუმკვიდრონ იერუსალიმს,
დაე, დამშვიდდნენ
მოყვასნი შენნი!
7. მშვიდობა ჰქონდეს
ზღუდეებს შენსას,
შენს სასახლეებს –
უშფოთველობა!
8. შენთა ძმათა და მოყვასთა გამო ავმეტყველდები:
მშვიდობა შენდა!
9. და სახლისათვის
აღონაი ჩვენი ღმერთისა
მე შევავედრებ
სიკეთეს შენსას.

# ფსალმუნი 123

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. ისევ აღვაპყარ შენსკენ თვალები,
შენ –
ცათა შინა დამკვიდრებულო!
2. აჰა, ვითარცა მონათა მზერა მათი მეუფის მარჯვენის მიმართ,
აჰა, ვითარცა მხევალთა მზერა
მათი დედოფლის მარჯვენის მიმართ, –
აღევლინება უფლისაკენ ჩვენი თვალები,
ვიდრე ჩვენს ლოცვას შეისმენს
3. ო, შეგვიწყალე,
შეგვიწყალე, ყოვლადძლიერო,
თორემ ამდენმა სიძულვილმა დაგვაუძლურა.
4. ფრიად აღივსო ჩვენი სული
მდიდართა ღვარძლით
და მედიდურთა მოლიზღარობით.

# ფსალმუნი 124

ზეაღსავალთა საგალობელი.
დავითისათვის.

1. ჩვენს შორის რომ არ ყოფილიყო ჩვენი უფალი, –
დე, ისრაელმა ილაპარაკოს, –
2. ჩვენს შორის რომ არ ყოფილიყო
ჩვენი უფალი,
როს ჩვენზე აღდგა ადამის მოდგმა, –
3. მაშინ ყველანი საზიკვდილოდ დავინთქმეოდით,
როს მათი რისხვა
აღიძრა ჩვენზე;
4. მაშინ ღვარცოფი გადაგვლეკავდა,
გადაუვლიდა გრიგალი ჩვენს სულს;
5. და მაშინ ჩვენს სულს წარხოცავდნენ მრისხანე წყლები.
6. კურთხეულ იყოს უფალი ჩვენი, –
არ გაგვიმეტა უკეთურთა შესამუსრავად.
7. და ჩვენი სული
ფრინველივით გამოარიდა
მონადირისგან დაგებულ მახეს, –
ფაცერკოდები დაილეწა
და ჩვენ გადავრჩით.
8. შეწევნა მოვალს სახელითა უფლისაითა –
ცისა და ქვეყნის
შემოქმედისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფსალმუნი 125

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. უფლის მოსავი მსგავსი არის სიონის მთისა, –
ვერ დადრეკ, – ჰგიეს
უკუნისამდე.
2. იერუსალიმს მთები აკრავს,
ხოლო უფალი
თავისი ხალხის გარშემოა
აწ და მარადის.
3. ვინძლო არ დაშთეს გულმართალთა წილად და ხვედრად
ბოროტეულთა ცოდვილი კვერთხი
და უცოდველმა
ცთომილებისკენ
არ გაიწოდოს მარჯვენი თვისი.
4. სიკეთე მოეც, ზეციერო, კეთილთ და მართალთ.
5. ხოლო მრუდე გზით მოარულები
უკუაქციე
უკეთურთა საკრებულოში, –
იყავნ მშვიდობა
ისრაელისა!

## ფსალმუნი 126

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. როცა უფალი აბრუნებდა სიონის ტყვეებს,
ნეტარ სიზმარში
გვეგონა თავი.
2. და ბაგე ჩვენი
აღივსო ლხინით
და ენა ჩვენი აამღერა საგალობელმა
და მაშინ ითქვა წარმართებს შორის:
„უფალმა დიდი სასწაული
მოიმოქმედა".
3. უფალმა ჩვენთვის სასწაული მოიმოქმედა
და სიხარულმა
შეგვიძრა გული.
4. უფალო ჩვენო,
დაგვიბრუნე ჩვენი ტყვეები,
ვითარცა წყლები
უდაბნოს მიწას.
5. ვინც ცრემლებს თესავს –
სიხარულს იმკის.
6. წავა და
წუხილს
წაიღებს თესლად,
მოვა და – ძნების თავთუხებით
დაგვიბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფსალმუნი 127

ზეაღსავალთა საგალობელი.
სოლომონისთვის.

1. თუ არ ააგო უფალმა სახლი,
ტყუილუბრალოდ დაშვრებიან კირითხურონი:
თუ არ დაიცავს უფალი ქალაქს,
ფუჭად იფხიზლებს
გუშაგი მისი.
2. ამაოდ დგებით დილაადრიან, რომ გაისარჯოთ გვიანობამდე
და სჭამოთ პური ტანჯულობისა, –
ვიდრე უფალი მიაძინებს შეყვარებულებს.
3. ჰა, ძენი – უფლის მემკვიდრეობა,
და საზღაური –
ნაყოფი მუცლის.
4. როგორც ისრები მეომრის ხელში –
ისე ყრმობის ჟამს გაჩენილი შთამომავლობა.
5. ნეტარ არს კაცი, რომლის კაპარჭი სავსეა მათით:
არ გაწბილდება,
როცა ჭიშკართან
მომდგარ მოშუღარს საპაექროდ შეესიტყვება.

# ფსალმუნი 128

ზეაღსავალთა საგალობელი.

1. ნეტარ არს უფლის მოშიში კაცი, რომელიც დავალს
მისეულ გზებზე.
2. შენი ხელების ნამუშაკევს ტკბილად მოიწევ, –
ნეტარება და
სიკეთე შენდა!
3. ცოლი –
ვითარცა მსხმოიარე ვაზის მტევანი
წიაღთა შინა შენი სახლისა,
ძენი –
ვითარცა ზეთისხილის ნედლი ყლორტები,
მომსხდარნი შენი
ტრაპეზის ირგვლივ.
4. აი, ამგვარად დაილოცება უზენაესის მოშიში მამრი.
5. და შენც დაგლოცავს სიონიდან
შენი უფალი
და კეთილმორჭმულს მოიხილავ იერუსალიმს
შენს სიცოცხლეში –
ყოველჟამიერ.
6. და ნახავ შენი ნაშიერის შთამომავლობას –
იყავნ მშვიდობა
ისრაელისა!

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი ბაზაძე



## აღსარება უფლისადმი

უნდა შემცივდეს და, ალბათ, ისე,
ისე სიმძაფრით უნდა შემცივდეს,
ქარით დალეწილ ძვლის ნამსხვრევებად
ბნელ ჯურღმულებში უნდა შევცვივდე.

უნდა მახსოვდეს, რომ დამავიწყდეს;
რომ დამავიწყდეს და არ მახსოვდეს,
რომ ძლეული ვარ აწ და მარადის,
რომ თავსაც ვერვის ვერ შევაცოდებ.
შენ კი სიმშვიდით მიმზერ, უფალო!

სხვას ვერც ცოდვების მიზეზსავუხსნი,
- ცოდვა თავადაც დააქვს საკმაო -
და ჩადენილი ყველა ცოდვისთვის
შენთან მოსვლამდე მსჯის სააქაო...

სახეს მიმანჭავს, თვალებს მიბრმავებს
და ცივი ჭკნობით ტანს მიუძლურებს,
დროში მიმდენის და ვეჭიდები
დროს, როგორც დედის დამწდარ ძუძუებს.
შენ კი სიმშვიდით მიმზერ, უფალო!

ახლა სინანულს აღარ განვიცდი,
არც სიმართლის მფლეთენ ისრები,
მხოლოდ საკუთარ თავში ვეფლობი,
მხოლოდ საკუთარ თავში ვივსები.

ვერვინ ამიხსნის ახლაც და მერეც
(არც რამ იმედი მრჩება ვინმესი),
სად განიბნევა მტვრიან ქაოსში
ჩემი სიცოცხლე უმარტივესი,
შენ კი სიმშვიდით მიმზერ, უფალო!

ვიცი, ვეცემი და ეს მაშინაც,
როცა მგონია, თითქო ავმაღლდი
როცა მგონია, უფრო მეტი ვარ
და თავს ვიტყუებ ხარბ სიამაყით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიცი, ვეცემი, ვიცი, ემარცხდები,
მხნელი არა ჩანს, რადგან მარადი
მდევდა ცდუნება და მოზავთებულ
ვნებისგან სურვილს ვეღარ ვმალავდი.
შენ კი სიმშვიდით მიმზერ, უფალო!

ვიცი, ვეცემი უკვე დაღლილი,
ჩრდილში ირეკლავს ჩემი პროფილი,
მზარავს ხანდახან, როცა ზეცასთან
ვჩერდები ჩემთვის ხელაპყრობილი,

მაგრამ იმედი მაინც ჭიატებს,
როგორც ღრმა ხნულში ქერის
მარცვალი.
თავდადრეკილი შენს დიდ სიწმინდეს
ჩემს ბრმა სიბნელეს კრძალვით
ვასწავლი,
შენს მორჩილებას მშვიდად ვასწავლი,
რომ ამოვგმანო ჩემში ცხოველი,

ტლანქი სიკერპე და სიჯიუტე
ხსნას ახლა მხოლოდ შენგან მოველი...
შენ კი სიმშვიდით მიმზერ, უფალო!

ახლა მჭირდები, როგორც არასდროს,
გამითბე გვამი გაბლიგვებული.
შემინდო იქნებ, იქნებ შემინდო
ცოდვა ნებსითი და უნებური.

იქნება ამხსნა ჯაჭვის საბელი,
შემიმსუბუქო ტვირთი სათრევი.
მოეც მდაბიურ ჩემს სიღატაკეს
ნათელი, შენი წმინდა ნათელი!

შენს ჩრდილს მიმაბი მთვრალი საპყარი,
შენი ნალურსმი ტერფის ამბორის
მომეც უფლება... აღმსარებელის
განუკურნებელ დარდს გიამბობდი...
შენ კი სიმშვიდით მიმზერ, უფალო!

* * *

შემოდგომამ ჩაიარა, ისე მალე აცივდა,
დიდი თოვის მოლოდინში ცა აენთო ნაცრისფრად;
მალე, ალბათ, მოთოვს ჩვენში - მუხიანს და
აჯამეთს -
რა ხანია, სამოსელი, ტანზე შემოაჭამეს
ქარებმა და... უსაშველო არაფერზე წუხილმა
ისე მალე შემომხედა შეღამების მწუხრიდან
თითქო შიგნი ჩალექილი ღამეების ტბორია...
თითქო მიცხოვრია, მაგრამ თითქო არც მიცხოვრია...
ახლა უფრო თოვლზე ვფიქრობ, ახლა, როცა
აცივდა,
ნაცრისფერი გახდა სივრცე და ცა იქცა ნაცრისფრად.

## სიჭაბუკის რვეულიდან

### წერილი დედას

/პოემიდან „გაქცევა"/

მე მწერენ შენზე, რომ გქონდეს ძილი,
რომ განერიდო ფიქრების მრუმეს -
გაამზეურე ჩემი ლოგინი
და ღამღამობით შიგ წვები თურმე,
და ვეღარაფრით შენ ჩემზე ფიქრის
ვერ მოიშორე ფრთაშავა თალხი,
მოკლებული ხარ თურმე ნაზ ღიმილს,
ვით უჩემობას ჩემი ოჯახი.

ღამეულ სიზმრის ამოსახსნელად
ეძახი ტოლებს - მეზობლის ქალებს,
დიდი ხატის წინ შენ ფეხშიშველა
ღმერთს წირავ თურმე ჩემ სიგრძე სანთლებს
და არ გეხსნება წარაფი-წარბი
და ხარ ყველაფრის მთქმელიც, უთქმელიც...
აღარ დადიხარ თურმე იმ კაბით,
რომ გიხდებოდა განსაკუთრებით.
ო, ნუ, ნუ, დედა! შენს შუბლზე სევდის
ნუ გაიკვლევენ ხაზები გზაწერილს,
მე რა გარგუნე წვალების მეტი
ან სხვას რას მოგცემ, ძვირფასო, აწი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ან რით გაამებ მე, ლოთი ბავშვი,
დამწვარი სიტყვის ხურვება-გზნებით,
ვინც, ჩემო დედა, ამ ცხოვრებაში
ლექსების მთხზველად თუ გამოვდგები.
მაგრამ არ იშლი შენ მაინც შენსას,
ეწევი ჩემი მონობის უღელს,
საქართველოში შენსავით ერთსაც
გულს სიყვარული ვერ ავუდუღე.
არც სატრფო ჩემი, ტანჩამოქნილი,
არ დამინანებს, როგორც შენ, ჩემო,
მოწყინდება რა ჩემი ლოდინი,
დაეწაფება სხვა ტუჩის გემოს.
შენთვის კი მუდამ უცვლელი ვრჩები
და არასოდეს არ მოგწყინდები...
მწერენ: სავსეა ლოგინი ჩემი
დამით - სევდით და მწველი ფიქრებით.
იმასაც მწერენ, შეგიკრავს წარბი
და დაგნისვლია ჭაღარით თმები;
აღარ დადიხარ თურმე იმ კაბით,
რომ გიხდებოდა განსაკუთრებით.

## ჩემს შვილს ლუკას, რომელიც ახლახან მოევლინა ქვეყანას

პაწაწინა ხელებით და დედის ლურჯი თვალებით,
უმიზეზო ტირილით და გაბუსხული ტუჩებით,
გაფრენილი მინდვრების და აღტკინებულ ყანების,
ახანძრებულ ატმების და აცეკვებულ ნუშების,
მოტკარცალე ტყემლების და კბოდეს მომსკდარ
მორევის -
ზეიმი ხარ, შვილო, სულის უსასრულო ზეიმი;
ბებერ მკერდზე მეხუტები მომცრო ტანის ზმორებით,
იძინებ და ანგელოზებს მისდევ ცათა ხეივნით.
ჩემს პატარა ლუკას ძინავს, შუბლზე ადგას არილი -
უფლის მზერის შუქი ადგას უზრუნველს და ნებიერს,
დღეს ისეთი განწყობაა - ისე, გადასარევი,

დღეა ისე საარაკო, ისე საღვთაებრივე,
სარკმელიდან ჩინარები წაგრძელებულ კისრებით,
სურნელი დგას იასამნის, ფერი კივის კუნელის,
ჩემს პატარა ლუკას სძინავს და ფერადი სიზმრების
დასთამაშებს სიცილების პირზე ეშმაკუნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საკუთარ თავს

რაღაც დრო ისევ რჩება ტანჯვისთვის,
რაღაც დრო ისევ რჩება გვემისთვის,
და, როგორც სიკვდილმისჯილს დასჯის წინ,
თვალწინ ჩაგირბენს ცივად მერმისი.

ალვების გახსოვს ქარში მეჯლისი,
გახსოვს ეზო და სუნი ბალახის,
რაღაც დრო ისევ რჩება ქენჯნისთვის -
ცად ასახედი და დასანახი.

მადლობა ამღენ ყვავილებისთვის,
ამღენ დილისთვის და საღამოსთვის,
რაღაც დრო ისევ რჩება ვნებისთვის,
კვლავ შეიმოსო ცეცხლის სამოსით.

კვლავ უნდა აღსდგე, როგორც ფენიქსი,
ხელი გადისვა ფრთაზე - მოარზე,
რაღაც დრო ისევ რჩება ფრენისთვის,
შენ ერთხელ დაწვას ისევ მოასწრებ.

* * *

არა ხარ მარტო, როცა ფიქრობ, მარტო ხარ, -
როცა
მზემ ფარდებს მკრთალი დაახატა ალვების ასლი,
ქალწულის ტუჩზე უცაბედად შერჩენილ კოცნას
ჰგავს შენს თვალებში ჩაბეჭდილი სიკვდილის აზრი.

შენს თბილ ოთახში ჩამწკრივებულ ხელოვნურ
ყვავილს
არ უჭირს სუნთქვა... ეს შენ გიჭირს უჩემოდ, ვიცი,
მეზობლის ქალი გართობს ჭორით და ცხელი ყავით
და მერე მალე დაგტოვებს ისიც.

მერე ოთახში დგება ღამე, ღამე - მღორე ტბა,
მერე ოთახში სიმშვიდეა მშვიდი და ჩუმად
ესაუბრები ძილგამტყდარი ჩვენს განშორებას,
როგორც მღვიმეში შემოსულ სტუმარს.

* * *

სამერმისოდ გადავდევი
საქმეები ყოველი,
ჩემი ფშავი მენატრება,
ჩემი ჯარჯი ფხოველი.

მინდა ერთხელ კიდევ დავთვრე
ნისლმოცმული ქედებით,
ერთხელ კიდევ, როგორც ადრე,
ჩამქრალი ავენთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამახსენა ფიქრი ნისლმა
ბრძენი მოგვის წყალობით,
ყურში ღუის არაგვის ხმა -
ამ წარმართი მგალობლის.

ახლაც მადგას ღვთიურ ჯიღად,
ფშავო, შენი ნათელი,
შენ ლამაზი ტკივილი ხარ,
სევდა ნაუცბათევი.

გული კოცნით დამილოპრე
და გამათბე ალერსით,
ვიდრე მოკლე წუთისოფლის
ცელს ვიწნევდე ალესილს.

შავეთამდე ჯერ ადრეა,
მაგრამ მაინც ხო ელი...
ჩემი ჯარჯი მენატრება,
ჩემი ჯარჯი ფხოველი.

## ამ ოქტომბრის ბოლო კვირა

ამ ოქტომბრის ბოლო კვირა
დგას ცხოვრება თავდაყირა,
ცოტა მტრების გასაოცრად,
ცოტაც მოყვრის გასაკვირად.

გაალღო და მოალბილა
მიწა ქარვამ, ზეცა დილამ,
ახლა უფრო სხვა ვარ - უფრო,
სხვა ვიყავი ადრე, წინათ.

ხეს ფოთოლი ისე ცვივა,
ყანა ისე იქცა თივად,
არაფერი არ მაღელვებს,
აღარც არაფერი მტკივა.

* * *

წამი წამს რო მისდევს - წამი
წვეთს მაწვეთებს გულზე შხამის,
ორმა გაიარა წელმა,
უშენოდ რო მძინავს ღამით.

წუთი წუთს რო მისდევს - წუთი...
გზა ვიარე სწორიც, მრუდიც,
წინათ მწამდი ისე მძაფრად,
წინათ ისე ხარბად მსურდი.

წელი წელს რო მისდევს - წელი,
ბასრი ალესილი ცელი -
ხსოვნას ბალახივით თიბავს,
მინდა, მაგრამ ვერას ვწველი.

დამრჩა შენი გიშრის მძივი,
ვით მზის ხელისგულზე სხივი,
მისალმებასავით თბილი,
განშორებასავით ცივი.

* * *

გაღმა ღმუის უღრანი,
ქართა ლეწავს ტორი,
მომენატრა ბუხარი,
მომენატრა თოვლი.
მომენატრა დაცხრომა
აწეწილი სულის,
დაყუჩება ტკივილის,
დაამება წყლულის.
თვალზე ცრემლი მოცურდა,
ბედთან დავას მოვრჩი,
დაბრუნება მომწყურდა
აწ გარდასულ დროში.
დრომ კი ვის არ უყელა
მიპარვით და მალვით,
იქით მიჰყავს სუყველა,
აქ არ ტოვებს არვის.

## ხალხური მოტივებიდან

ისე უნდა მწყუროდე,
ისე უნდა მშიოდე,
შენთან შეხიზნებული
სხვასთან არ მიედიოდე.
ჩემი უნდა გეტკინოს,
შენი უნდა მტკიოდეს,
ერთად ვიდგეთ მინდორში,
ქარები მოგვკიოდნენ.
სულში უერთმანეთოდ
უსაძლისად გვციოდეს,
გვყავდეს გოგო და ბიჭი
ცოტა - სულ ათიოდე.
მტერი გულზე სკდებოდეს,
ბოღმის ცრემლი დიოდეს,
დრო კი - ჩქარი მდინარე -
სადღაც შორს მიდიოდეს.

# ჯემალ ქარჩხაძე



## განზომილება

### თავი მეორე
### (პრ. დიდებულიძე)

პრ. დიდებულიძე ხან ვოროშილოვი იყო ხოლმე, ხან ბუდიონი და თუმც დასაწუნი არც ერთს არ სჭირდა რამე და არც მეორეს – ბუდიონს ალმატებითი ხარისხის ულვაში ჰქონდა და თავში გრილი სიო უღიტინებდა, ვოროშილოვს კიდევ კლიმენტი ერქვა და ტყვიას ტყვიაში აჯენდა – ბედს მაინც ძალიან ემდუროდა (რასაც ზოგჯერ ისეთი სიტყვებით გამოხატავდა, რომლებიც ცნება „სამდურავის" შედარებით უმწიკვლო ლექსიკურ ბუდეში ველარც კი ეტეოდნენ). კი მართალია, ძლინკიანი კობალა და მისი ოთხი ძლინკიანი დეიდაშვილი სულაც ბურჟუაზიის დამქაშები იყვნენ და გამუდმებით იარაღს აჟღარუნებდნენ, ხოლო ცანცარა ამალიას ლოქო გულბაათი ბნელეთის მოციქულის წოდებას ვერ გასცდა, მაგრამ კობალა და გულბაათი, ისევე, როგორც მათი დარი და ფარდი მრავალი ჭიჭყინა, პრ. დიდებულიძეს მაგალითად არ უჩნდა. პრ. დიდებულიძეს ბავშვობაში პირველობა უყვარდა და ამიტომ მისი ადრეული შურის საგანს ტყუპი ძმა საკანდელიძეები წარმოადგენდნენ, რომლებიც ხალხთა მამასა და მასწავლებელს განასახიერებდნენ, ტყუპი ძმა საკანდელიძეები ხალხთა მამასა და მასწავლებელს მორიგეობით განასახიერებდნენ, ისე რომ ჩხუბი არ მოსდიოდათ.

ხოლო პრ. დიდებულიძის მამამ, რომელიც ოდენ საკუთარ თავს განასახიერებდა, რა დაინახა კომუნისტები არსად წამსვლელები აღარ იყვნენ, გადაწყვიტა ბედს შერიგებოდა და ამ მიზნით, კეთილსინდისიერად ჩაუჯდა მარქსიზმის კლასიკოსებს. სამწუხაროდ, გარჯა ამაო გამოდგა: ახალმა მოძღვრებამ რწმენის ძველ ჯავშანში ვერ გაატანა და ჯაბუნაკი ჭამა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ამ მარცხს რომ ახალი მარცხი მოჰყვა – კერძოდ, მის სახლს კომუნიზმისთვის მებრძოლმა ერთმა პროლეტარმა დაადგა თვალი – წრეც შეიკრა და ოცდაჩვიდმეტის შემოდგომაზე (შემოდექშეო, სანაკლიოში იტყოდნენ) უფროსი დიდებულიძე წაიყვანეს.

სანაკლიო იმ დროს ქვაფენილი ქუჩებით იყო დასერილი და ზედ ჯიშიანი ცხენები ოქროსფერ ფაიტონებს დააქროლებდნენ, რომლებშიაც ისეთი რბილი კომფორტი სუფევდა, თურქეთის დიდი ხონთქარიც კი, თუ აღმზრდელების მიერ თავიდანვე არ იყო გაფუჭებული, წუნს ვერ დასდებდა.

მამის წაყვანის საზეიმო სცენა პრ. დიდებულიძის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა. პრ. დიდებულიძეს მაშინ ექვსი წელი უსრულდებოდა და იარაღის დანახვაზე (თოფისა იმდენად არა, რევოლვერისა კი ძალიან) გული უძქროლავდა ხოლმე. არადა, იმ დილით ოთხი რევოლვერი დაინახა. სამი – სამზარეულოში, სადაც მამა საუზმეს უჯდა, ხოლო მეოთხე – გარეთ, ჭიშკართან. ძნელი სათქმელია, ტყავისქურთუკიანმა კაცებმა ასე რატომ დაიგვიანეს.

სანაკლიოში ძუძუთა ბავშმაც კი იცოდა, რომ მათი მოსვლის ჟამი ღამისა და დღის მიჯნა იყო, ის საათი, როცა სინათლე უკვე დაძრულია, მაგრამ სიბნელემდე ჯერ არ მიუღწევია. ამათ კი დაიგვიანეს. შეიძლება რომელიმე მათგანს კბილი ასტკივდა, ან კუჭი აეშალა, ან კარი ჩაეკეტა და გასაღები დედხანს ეძია. ასეა თუ ისე, სტუმრები რომ მოვიდნენ, პრ. დიდებულიძე უკვე ზეზე იყო

- - - - -
* დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" №3, 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და სამი რევოლვერიანი კაცის დანახვაზე (ჭიშკართან დარჩენილი გვიან შენიშნა) მღელვარებისგან გული ყელში მოებჯინა.

დროის ქანგიან ჩარჩოში მოქცეული და შორიდან დანახული წარსული ტკბილი და საამურია. მეტიც: მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს შეიძლება გადაჭარბებად მოგვეჩვენოს, გამორიცხული არ არის, მოსაგონებლად მწარე წარსული უფრო ტკბილი იყოს, ვიდრე ტკბილი წარსული (ამ აზრს, სხვათა შორის, მრავალი ავტორიტეტი იზიარებს);

თუმცა, გამორიცხული არც ის ვარაუდი ჩანს, რომ მოგონებები აღსასრულის მოახლოების კვალობაზე ტკბება. ყოველ შემთხვევაში, პრ. დიდებულიძემ რომ შორეულ ჰორიზონტზე რაღაც ისეთი შენიშნა, რაც – შესაძლოა უბრალოდ, დიდი სურვილის გამო – მოქმედ ვულკანს მიამგვანა, ტკბილ-ტკბილი მოგონებები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სამუდამოდ დავიწყებული ეგონა და წესით – თუ ბუნებასა და ფსიქიკაში მართლა ის კანონები მოქმედებენ, ექსპერიმენტული მეცნიერება რომ დროდადრო აღმოაჩენს ხოლმე – უნდა ჰქონოდა კიდეც სამუდამოდ დავიწყებული, ფუტკარივით დაესია.

კომუნიზმისათვის მებრძოლი პროლეტარი, სახელად ქორქიკა, რომელიც მას შემდეგ, რაც დიდებულიძეების სახლს დაეპატრონა, სწრაფად განიკურნა ბრძოლის ჟინისაგან და ისე მოერგო იქაურობას, რომ ასე ადამიანი საკუთარი ხელით აშენებულს ვერ მოერგება, მშვენიერი კარგი კაცი გამოდგა – გამრჯე, მეოჯახე და ენაწყლიანი.

ისე, ცუდები არც ტყავისქურთუკიან მომხდურებს ეთქმოდათ. ყოველ შემთხვევაში, ერთ მათგანს, როგორც ქვემორე ეპიზოდიც გვაჩვენებს, ნამდვილად არ ეთქმოდა ცუდი, ხოლო ერთის თვისებები რომ დანარჩენებზე უკრიტიკოდ არ უნდა გაავრცელო, ეს პრ. დიდებულიძემ ჯერ კიდევ არ იცოდა. რაც შეეხება იმ ერთს, იგი დაბალი კაცი იყო, შემელოტებული; სავსე მთვარესავით სახე ჰქონდა (ბრტყელი, მრგვალი და მანათობელი) და სანიმუშოდ მოღრეცილი ცხვირი; გარდა ამისა, ტუჩის კუთხეები მაღლა-მაღლა გაურბოდა, რის გამოც ისეთი გამომეტყველება ედო, თითქოს გიღიმისო, და საერთოდ, ნაცარქექიას ჩამოჰგავდა, უფრო სწორად, იმ წარმოდგენას,. რაც პრ. დიდებულიძეს იმ ხანად ნაცარქექიას შესახებ ჰქონდა. აი, ამ ნაცარქექიას ხატმა და მსგავსმა, მისი ხარბი მზერა რა დაიჭირა, სიცილით უთხრა: „რას გაგიშტერდა, ბიჭო, თვალი? მეგეწონა ხო ჩემი სასროლი?!“ ამ სიტყვებით სიყვარულით დახედა წელში გარჭობილ მაუზერს და მერე – თუმც მანძილის სიშორის გამო ამას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონიყო – სულიც შეუბერა. პრ. დიდებულიძე გაწითლდა. ასე იცოდა: ხვაშიადს რომ მიუხვდებოდნენ, წითლდებოდა. ხოლო იმ კაცმა, ნაცარქექიას მინამგვანმა, ესეც არ იკმარა, სულის შებერვას რომ მორჩა, პრ. დიდებულიძეს თავზე ხელი გადაუსვა და დაყვავებით უთხრა: „მეითმინე, ბიძიკო, პატარა და, რო გეიზდები, შენც ქე ჩამეიკიდებ, თუ ივარგებ, ამისთანას“. პრ. დიდებულიძეს მაშინ მართლა მიეცა იმედი, მაგრამ როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადჰყო, შუბლზე თურმე სხვა ნიშანი ედო და ბედისწერამ, რომელიც ნიშანთა განხორციელებაზე აგებს პასუხს, იმ გზით არ გაუშვა, რა გზაზეც მაუზერს – ანუ, როგორც ის მოცინარე კაცი ეძახდა, სასროლს – იშოვიდა და ჩამოიკიდებდა.

იქნებ პრ. დიდებულიძის ბავშვობაზე მკითხველის ყურადღება არც შემეჩერებინა – ჩვენი ინტერესის საგანი მოწიფული პრ. დიდებულიძეა, მაგრამ რაკი დაბეჯითებით არავის ძალუძს თქმა, თუ რა კვალსამჩნევს კაცის ცხოვრებას ბავშვობის გამოცდილება, ვამჯობინე ზოგი – შედარებით საეჭვო და ნიშანდობლივი – ეპიზოდი მოკლედ მაინც მომეთხრო. ბოლოს და ბოლოს, ვინ იცის, არც ისე ხელწამოსაკრავი იყოს მაცთუნებელი ვარაუდი, რომ თუ კაცი მოწიფულობაში პრ. დიდებულიძე ხარ, ეს იმ ბავშვობის – სწორედ იმ ბავშვობის და მხოლოდ იმ ბავშვობის – შედეგია, რომელიც გამოიარე, და საკმარისი იყო მოცემული სქემიდან წამით ან მილიმეტრით გადაგეხვია, რომ ის აღარ ყოფილიყავი, რაცა ხარ.

პრ. დიდებულიძემ გვარიანად მძიმე და ცოტა მოსაწყენი, თუმც კი მთლიანობაში ჩვეულებრივი და იმ ხანად ძალზე გავრცელებული ბავშვობა გამოიარა.

თუ ტყავისქურთუკიანთა პატარა რაზმის მისეული შეფასება მწირი ფაქტობრივი მონაცემების გამო შესაძლოა მთლად სარწმუნო არცაა, პროლეტარ ქორქიკაზე ეს არ ითქმის, ვინაიდან პროლეტარი ქორქიკა პრ. დიდებულიძემ კარგად გაიცნო. სამიოდ კვირა იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოდა გასული მამის დაჭერიდან, რომ იგი თავისი ჯალაბით - ცოლითა და ვაჟიშვილით, რომელმაც, თუმც პრ. დიდებულიძეზე სულ ერთი წლით იყო უფროსი, შეუდარებლად ღრმა და ძარღვიანი გინება იცოდა - მათს სახლში გადმოვიდა. ავეჯი, ლოგინი, ჯამ-ჭურჭელი და სხვა მარადიული ნივთები, რაკი პროლეტარები იყვნენ, არა მოუტანიათ რა, რაც დახვდათ, იმას დასჯერდნენ. აბორიგენ დედა-შვილს ერთი ოთახი დაუტოვეს ქვედა სართულზე. ოთახი არ დაიწუნებოდა, მოზრდილი იყო და გარდა ამისა ცალკე კარი ჰქონდა, რომელიც პატარა, სამსაფეხურიანი ხის კიბით პირდაპირ ბოსტანში გადიოდა. პრ. დიდებულიძეს მეტი არც უნდოდა. ადრეც, როცა მთელი სახლი მათ ეკუთვნოდა, წინა კარიდან გასვლას მუდამ ამ უკანა კარიდან გასვლა ერჩივნა, ვინაიდან აქ, კიტრის, ხახვისა და ლობიოს კვლებში საამო მღელვარებით, ვითარცა აკრძალული სიყვარული, ელოდა თავისუფლება - ცოტა მტვრიანი, ცოტა ოფლიანი, ცოტა უქმი და ცოტა გზააბნეული, მაგრამ ოპტიმისტურად მოღიმარე, გულგაღეღილი, აქლოშინებული თავისუფლება, რომელსაც თან ახლდა თავბრუდამხვევი და გამომწვევი რწმენა, რომ მთელი სამყარო შენი საკუთრებაა. გარდა ამისა, ისიც ანგარიშგასაწევი იყო, რომ ჩეჩმა სწორედ ამ უკანა ეზოს ბოლოში იდგა და პრ. დიდებულიძე იქ უმოკლესი გზით დაიარებოდა, მაშინ როცა პროლეტარ ქორქიკას ვაჟს, რომელსაც ვილენი ერქვა, მთელი სახლის შემოვლა უხდებოდა, რაც - თუ უჭირდა და ეჩქარებოდა - კარგს არაფერს უქადდა.

პროლეტარი ქორქიკა კარ-მიდამოს ჩინებულად უვლიდა. თუ პრ. დიდებულიძის მამა წიგნის კაცი იყო, იგი მიწის კაცი იყო და, როცა მტრებს არ ებრძოდა - მტრებს კი, როგორც უკვე ვთქვი, რაც დიდებულიძეების სახლში გადმოვიდა, სულ უფრო იშვიათად და იშვიათად ებრძოდა (ეტყობა ისინიც სულ უფრო ცოტანი და ცოტანი იყვნენ) - მთელი დღეობით მუხლჩაუხრელად მუშაობდა ეზოში. ბიჭებსაც - თავის ვილენსაც და პრ. დიდებულიძესაც - იხმარიებდა. ისინიც სიამოვნებით ეხმარებოდნენ, მით უფრო, რომ მუშაობისას გამუდმებით ღიღინებდა და შიგადაშიგ ისეთებს ამბობდა, ბიჭებს მუცლები ხელით ეჭირათ. ამ გარდასულ ოხუნჯობათა თემა, იდეა და სტილი პრ. დიდებულიძეს არ დახსომებია. ის კი დაახსომდა, რომ ხუმრობასა და სიცილ-ხარხარში დრო მხიარულად მიდიოდა და დაღლას ვერ გრძნობდა. სამაგიეროდ ბოსტნეული და ხილი არ აკლდათ. პროლეტარი ქორქიკა თავისი გულკეთილობით წლის მოსავალს მდგმურებსაც - არ ვიცი, რამდენად მართებულია პრ. დიდებულიძისა და დედამისის მიმართ ამ ტერმინის ხმარება - უწილადებდა ხოლმე. გარდა ამისა მას, მრავალთაგან განსხვავებით, ცხენი ჰყავდა, რომელიც ერთხელ დაჭედა კიდეც. ვილენმა და პრ. დიდებულიძემ ეს პროცედურა საკუთარი თვალით ნახეს და - ვილენისა არ ვიცი და - პრ. დიდებულიძე ისე ღელავდა, გული ლამის ბუდიდან ამოუვარდა. ცხენის დაჭედვაში პროლეტარ ქორქიკას მეწვრილმანე ვარდენა ეხმარებოდა. ეს ვარდენა, გარდა იმისა, რომ მეწვრილმანე იყო, წვრილმანიც იყო, რის გამოც უბანი, სადაც იმ ყუამე დასულ ყოფაში კაცობის მთავარ საზომად ხელგაშლილობა ითვლებოდა, ძნელად ჰგუობდა და პრ. დიდებულიძის მეხსიერებაშიც შესაძლოა ვერ დარჩენილიყო, რომ არა ერთი უცნაური გარემოება: თავის თავს ყოველთვის - და რატომღაც ყოველთვის სიამაყით - ვარდანად მოიხსენიებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, პროლეტარმა ქორქიკამ ამ ვარდენასა თუ ვარდანას დახმარებით ცხენი წამოაქცია, ფეხები დაუბორკა, ჩლიქები მეწაღის ბასრი დანით საჭირო ზომამდე გაუთალა, ზედ გამზადებული ნალები ჩააცვა და ნახვრეტებში ლურსმნები ჩააჭედა. მერე დაჯდა და იმ სარგადაყლაპულ ვარდანასთან ერთად ღვინო დალია. ცხენს ტკენისა არაფერი შეტყობია. ნაწყენი კი ჩანდა, მაგრამ ნაწყენი, საფიქრებელია, იმის გამო იყო, რომ პატარა ბავშვების თვალწინ ასე უცერემონიოდ წააქციეს და გაკოჭეს.

ხოლო ვილენი მამის კვალზე მიდიოდა: თავის დიდ ცოდნას, რაც მრავალწახნაგოვან გინებათა ამოუწურავი მარაგისგან შედგებოდა, დაუზარებლად და უანგაროდ უზიარებდა პრ. დიდებულიძეს. გაკვეთილები, როგორც წესი, შეჯიბრის სახით ტარდებოდა და თუმცა - ბუნებრივიცაა - მუდამ ვილენის გამარჯვებით მთავრდებოდა, ყოველი ამგვარი შეჯიბრის შემდეგ პრ. დიდებულიძე ლექსიკურ არსენალს რამდენიმე ერთეულით ამდიდრებდა.

ასე - თამამად შეიძლება ითქვას, ტკბილად - ცხოვრობდნენ თითქმის ორი წელიწადი. მერე პრ. დიდებულიძე და დედამისი სოფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლითში გადასახლდნენ. ოღონდ, ვიდრე გადასახლდებოდნენ, სხვა მრავალ ნაკლებმნიშვნელოვან ამბავთან ერთად ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა, რომელსაც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, ვინაიდან ამ ამბის წყალობით პრ. დიდებულიძე ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ეზიარა ოპტიმიზმის მასაზრდოებელ პესიმისტურ დებულებას, რომელიც გვასწავლის, რომ უბედურებას პრაქტიკულად საზღვარი არა აქვს და, რაც უნდა დაგვემართოს, ყოველთვის შეიძლებოდა უარესი დაგვმართნოდა; უარესი დაემართა, მაგალითად, ცანცარა ამალიას და მის ქმარს - ცანცარა გრიგოლს: ისინი ორივენი დაიჭირეს და ლოქო გულბაათი უმცროს დასთან ერთად უპატრონოდ დარჩა. მართალია და-ძმა მალე ნათესავებმა წაიყვანეს, მაგრამ პრ. დიდებულიძის სამართლიანი ვარაუდით აქ რაღაც ავბედითი საიდუმლო იმალებოდა, რასაც ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ იმ ნათესავების ხსენებაზე დედასაც კი თავის დაწმენდილ ლექსიკონში ისეთი სიტყვები ამოუტივტივდებოდა, პრ. დიდებულიძე თავისდაუნებურად თვალს აარიდებდა ხოლმე. ცანცარა ამალიასა და ცანცარა გრიგოლის დაჭერამ თვითონ პრ. დიდებულიძესაც გვარიანად აურია ცხოვრება. ოღონდ ამ უკანასკნელ გარემოებას საფუძვლად განსხვავებული მიზეზი ედო. საქმე ისაა, რომ პრ. დიდებულიძეს განზრახული ჰქონდა - ამ განზრახვას თუმც გამხელით არავის უმხელდა, უკვე კარგა ხანს ელოლიავებოდა, - დიდი რომ გაიზრდებოდა, ლოქო გულბაათის და, რომელიც იმ დროს სამი წლისა ხდებოდა და სახელად მარიამი ერქვა, ცოლად შეერთო;`ის კი ნათესავებმა სადღაც წაიყვანეს. სად წაიყვანეს, არავინ იცოდა.

როგორც ტყავი გვაქვს გადაკრული ფიზიკურ სხეულზე, ისე გვაქვს ბედი გადაკრული ასტრალურ სხეულზე, და როგორც ფიზიკური სხეული ტყავს ვერ გაექცევა, ისე ასტრალური სხეული ბედს ვერ გაექცევა. მომდევნო არა და მომდევნოს მომდევნო ზაფხულის ბოლოს პრ. დიდებულიძე და დედამისი, როგორც ითქვა, სანაკლიოდან წავიდნენ. პროლეტარ ქორჟიკას, რომელსაც ამ დროისთვის პროლეტარი აღარც კი ეთქმოდა, ის დარჩენილი ოთახიც დასჭირდა. მაგრამ სიკეთეს ნურც ამჯერად დავუკარგავთ - ჩამორთმეული ოთახის სანაცვლოდ დედაშვილს ცოლის სოფელში ერთი ძველი, გამონაცვალი ქოხი გაუხერხა მიწის პატარა ნაკვეთით, რაც უხვი საზღაური იყო; მართლაც, მიწის ნაკვეთი, რაგინდარა პატარა, ბევრად სჯობს ქალაქის ოთახს - განსაკუთრებით ისეთ მძიმე დროში, მაშინ რომ იდგა. საზოგადოდ, მიწა ადამიანის უკანასკნელი შანსია და ვინიცობისაა - ღმერთმა დაგიფაროთ და - ერთ მშვენიერ დღეს თავისი საქმის კეთილად მცოდნე მისანმა ვინმემ გიწინასწარმეტყველათ, ერთი შანსიღა დაგრჩათო, ჩემის მხრივ მიწინასწარმეტყველებია: შანსი იგი მიწაშია და, თუ პოვნა გიწერიათ, მიწაში იპოვით, სხვაგან ტყუილად ნუ დაუწყებთ ძებნას.

ამის შემდეგ, ვიდრე სკოლას დაამთავრებდა, პრ. დიდებულიძე სოფ. მაღლითში ცხოვრობდა. სანაკლიოში ათასში ერთხელ თუ ჩავიდოდა. როცა ჩადიოდა, მაშინაც, როგორც წესი (რომელსაც, ბუნებრივია, გამონაკლისებიც ჰქონდა, განსაკუთრებით პირველი სიმწიფის ხანაში, როცა მთელმა გრძნობადმა სამყარომ ქალის სახე მიიღო), ჩადიოდა არა სანაკლიოში, არამედ სანაკლიოს ბაზარში, სადაც დედა-შვილი ჭირნახულის ნაწილს ჰყიდდა, რათა ნავთი, მარილი, საწერ-კალამი და სხვა ისეთი რამ ეყიდა, რასაც მიწა ვერ იძლეოდა. მიწა კურთხეულია, ერთგული და ბარაქიანი, მაგრამ ყველაფრის მოცემა არ ძალუძს. საზოგადოდ, ვიდრე სანაკლიოში ცხოვრობდა, პრ. დიდებულიძე მიწის შესახებ მაღალი აზრისა არ ყოფილა. სანაკლიოში მიწა იყო ნივთიერება - შესაძლოა, გვარიანად რთული, მაგრამ იმავდროულად ჭუჭყიანი - რომლის ოდინდელი პრეტენზია უმთავრესი ელემენტის პასუხსაგებ წოდებაზე უსაფუძვლო გამოდგა. ეგ კი არა, ემპირიული გამოცდილება გარდამავალი წარმატებით ზოგჯერ იმასაც ამტკიცებდა, შიშველ მიწას მოასფალტებული მიწა სჯობსო. სოფელში ეს წარმოდგენა კარდინალურად შეიცვალა, თუმც, ცხადია, არა ისე იოლად, ისე სწრაფად და ისე ლაღად, როგორც ითქმის.

სოფ. მაღლითი არც ისე მაღალი იყო, რომ მაღლითი სიმაღლის გამო დაერქმიათ. უბრალოდ, იგი სოფ. მთისძირის თავზე მდებარეობდა, ხოლო რაკი ისტორიულად და გეოგრაფიულად ეს სოფლები თითქმის განუყოფლები იყვნენ - იმ ვიწრო გარდამავალ ზოლზე, ერთმანეთს რომ აშორებდათ, საერთო ყანები ეთესათ - ხოლო პოლიტიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ურად და ეკონომიურად სულ მთლად გაწუ-ყოფლები, ვინაიდან ერთსა და იმავე კოლმე-ურნეობაში შედიოდნენ, არსებითად, ერთა-დერთი ნიშანი, რითაც ასიმილაციის აქოთ-ებულ ბოსელში გამომწყვდეული მაღლითი დამოუკიდებლობის ილუზიას ინარჩუნებდა, სახელწოდება იყო.

ტყე-ღრეში ჩაკარგული ერთი ბეწო მაღ-ლითი დამატებით ორ ქვესოფლად იყო გაყ-ოფილი - და ეს მთისძირელთა ირონიულ ღიმილს იწვევდა: გაღმა მაღლითად და გამოღმა მაღლითად. ამაში ბრალი, თუ თვით მაღლითელებს არ ჩავთვლით, ძირითადად ღელედიდს მიუძღოდა - პაწია, მაგრამ გადა-რეულ მდინარეს, რომელიც, მთის წვერიდან ერთი ხმაურითა და ფახიფუხით ჩამოვა-რდნილი, სოფელს შუაზე ჭრიდა და ორ გვარიანად ციცაბო ფერდობად ჰყოფდა. მერე კი - ვიცი, მკითხველთა ერთ ნაწილს ამ შარახვეტია მდინარის შემდგომი ბედიც და-აინტერესებს - ჩამოვაკებული და ჩამომთის-ძირებული უკვე ნელა, დინჯად, დარბაისლ-ურად, ასე გასინჯეთ, ცოტა გაფხორილიც კი მიედინებოდა და მხოლოდ დროდადრო აღელდებოდა ხოლმე - როცა შორეულ ზღვა-სთან მომავალი შეხვედრის ქრუანტელის-მომგვრელ სცენას წარმოიდგენდა, თუმც უკლებლივ ყველა გონიერმა - მათ შორის მრავალმა უგუნურმა - კაცმა იცოდა, რომ გზად არაერთი შედარებით მოზრდილი მდი-ნარის სტომაქში მოხვდებოდა, რის გამოც ზღვას მარტო შეცვლილი სახელით კი არ შეერთვოდა, არამედ შეცვლილი ბუნებითაც. თუმცა, ასეთი მარცხი მერე და მერე მოსდი-ოდა, იქით და იქით; სოფ. მაღლითის ტერი-ტორიაზე კი, სადაც ჯერ კიდევ ღელედიდად იწოდებოდა, მის წიაღში და მისთა ლოდთა უბეებში სხმარტალა კალმახები ბინადრობდ-ნენ.

მაღლითელები მკაცრი, მომთმენი და დამ-ცინავი ხალხი იყო. მერე, როცა მრავალი სხვა სოფელიც ნახა, პრ. დიდებულიძე, მართ-ალია, იმ დასკვნამდე კი მივიდა, რომ ეს სოფლის საზოგადო წესია, მაგრამ პარალე-ლურად იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ ზოგ-იერთი სოფელი ამ წესს განსაკუთრებული მონდომებით მისდევს, ხოლო რაკი მაღლითი თავისი მონაცემებით ამ „ზოგიერთთა“ არა მარტო ძირითად სიაში, არამედ ძირითად ბირთვშიც შედიოდა, ვფიქრობ, მართალს ვიტყვი, თუ ვიტყვი, რომ აქაურები გამო-რჩეულად მკაცრები იყვნენ, გამორჩეულად მომთმენები და გამორჩეულად დამცინავები.

სოფელი თექვსმეტი კომლისგან შედგე-ბოდა. ცხრა მარცხენა ფერდობზე სახლობდა, შვიდი მარჯვენაზე (ცხადია, ქვემოდან რომ შეხედავდით; ზემოდან მხოლოდ ღმერთი იყურება). თექვსმეტ კომლს მაშინაც კი უბა-ნი უფრო შეეფერებოდა სახელად; ამიტომ, როცა ასეთი ნახევარსოფლის რომელიმე ბინადარი მშვიდი ღირსებით, ხალასი სერი-ოზულობითა და ბოხი ჩახველებით კიდევ იმას წამოაყრანტალებდა „გაღმა მაღლითი“ და „გამოღმა მაღლითიო“, მთისძირელთა ირონიული ღიმილი არა მარტო ბუნებრივი და გასაგები მოგეჩვენებოდათ, ადვილი შესაძლებელია, გადაგდებოდათ კიდეც.

კეისარს კეისრისაო (გნებავთ, თხა თხაზე ნაკლებიო) - მაღლითელები მთისძირელებს ვალში არ რჩებოდნენ და ირონიას ირონიით პასუხობდნენ. მეტიც: გამომდინარე იმ გო-ნებამახვილური დებულებიდან, რომ თავდა-ცვის საუკეთესო საშუალება შეტევაა, სოფ-ლის ოთხივე მეწისქვილე მთისძირსა და მთისძირელებზე პერიოდულად სახუმარო ლექსებს თხზავდა. მართალია, ლექსები უფრო ხშირად სუსტი და ნაკლულოვანი გა-მოსდიოდათ, თადარიგიანი და გაღმა შემ-დავებელი მაღლითელები მიზანს ნაკლულ-ოვანი პოეზიითაც აღწევდნენ. ყოველ შემთ-ხვევაში, ცდას არ აკლებდნენ, რომ საკუთარ მანკიერებათა მისაჩქმალად მოძმე მთისძი-რელთა მანკიერებანი მაქსიმალურად გაეშ-იშვლებინათ და სატირის მცხუნვარე მზეზე დაეწყოთ. ოღონდ - ესეც საჯაროდ და ხა-ზგასმით უნდა ითქვას - სიძულვილით არ სძულდათ. განა არ უნდოდათ შეეძულებინათ! ძალიანაც უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებ-დნენ, ვინაიდან სიძულვილს მოცალეობა სჭირდება, მაღლითელებს კი - თუ მეწის-ქვილეებს არ ჩავთვლით - მკაცრი კლიმატის გამოისობით თავისუფალი დრო თითქმის არ რჩებოდათ.

გეოგრაფიულად და კულტურულად სოფ. მთისძირი და სოფ. მაღლითი იმდენად ახლო იყვნენ ერთმანეთთან, რომ მათ შორის სხვა განსხვავება გარდა სახელდებისა თითქოს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ლოგიკურად გამართულ არგუმენტს ერთი დაკვრით ამსხვრევს ფაქტი - გრძნობადი სამყაროს დიდი მეუფე და ყოველთა არგუმენტთა არგუმენტი. მართლაც, მეტ-ნაკლებად ცი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილიზებულ მთისძირელთაგან მაღლითელები მკვეთრად გამოირჩეოდნენ თავიანთი ღრმა და ყოვლისმომცველი ცრუმორწმუნეობით. გაღმა-გამოღმა მაღლითის თავზე გადაჭიმული დაბურული ტყე, რომელსაც მთელი ის მთა თავის უღრანსა და გაუვალ ტყვეობაში ჰყავდა მოქცეული, სავსე იყო ქაჯებით, ეშმაკებით, ჭინკებით, ტყისკაცებით, ტყისქალებითა და ზღარბებად თუ სინდიოფალებად შენიღბული სხვა ავი სულებით. ისინი თითქმის ყველა მაღლითელს საკუთარი თვალით ჰყავდა ნანახი და როცა ერთი მათგანი ტიპიურ ტყუილს ჰყვებოდა ალქაჯთან შეხვედრის შესახებ, მეორე მის ნაამბობს გულწრფელად და ხალისით იჯერებდა. გულწრფელად იმიტომ, რომ ამ სოფელში საკუთარი ტყუილიდან სხვისი ტყუილის მამხილებელი დასკვნა ვერასოდეს ვერავის გამოჰქონდა, ხალისით იმიტომ, რომ, რაკი სხვის ტყუილს ვერ ამხელდნენ, სხვის ცრუ სიმართლეს საკუთარი ტყუილის გასამართლებლადაც იყენებდნენ. ავადმყოფს აქ ორად ორი საშუალებით მკურნალობდნენ: თუ ხიდან, სახურავიდან ან სხვა რამ დამაკმაყოფილებელი სიმაღლიდან გადმოვარდებოდით, საცა დაეცემოდით, იმ ადგილას ნახშირს მოძებნიდნენ, წყალში გალესავდნენ და დაგალევინებდნენ. თუ სხვა რამ მიზეზით გახდებოდით ავად, რა მიზეზითაც უნდა გამხდარიყავით, ამას „ამონაყოლი" ერქვა და მღ. ღელეღიძს, ხოლო მისი მეშვეობით ავ სულს უკავშირდებოდა. ასეთი სენი შელოცვით იკურნებოდა; შელოცვა მაღლითში ორმოც წელს გადაცილებულმა ყველა ქალმა იცოდა. გარდა ამისა აქ შიშის გრძნობა არ ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, შიშის ის სახეობანი, რომელთა გარეშე ცივილიზებული ადამიანის წარმოდგენა შეუძლებელია, გავრცელებული არ ყოფილა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ ნებისმიერი გალეული, ნახევრადცოცხალი დედაბერი, ერთს არ შეყოყმანდებოდა და დათვებითა და ავი სულებით სავსე იმ უსიერ ტყეს გვიანი შემოდგომის ყველაზე კუნაპეტ ღამეში წელში გაჩრილი პატარა წალდუნას ამარა მარტოდმარტო შემოითვლიდა დაკარგული საქონლის მოსაძებნად. დედაბრებს ნადირისა არ ეშინოდათ. პირიქით, ნადირი უფრთხოდა მათ და ერიდებოდა. იქნებ იმიტომ, რომ მაღლითელი დედაბრები ქაჯებს გვანდნენ, ცრუმორწმუნეობა კი აქ ნადირსაც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ზამთარში დამშეული მგელი სოფლად ჩამოდიოდა და სევდიანი ყმუილით ორღობეებს იკლებდა. ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ თუ სადმე ეზოში შეეხეტებოდა, სახლის პატრონი ისე დაუტატანებდა, როგორც მაწანწალა ძაღლს, და მგელიც, დარიგებულივით, წამსვე უკან გაიძურწებოდა ეზოდან, როგორც მაწანწალა ძაღლი. აქ ტკივილის განცდაც სხვანაირი ჰქონდათ. ფეხშიშველა ბავშვი - ხოლო ბავშვები აქ ერთობლივ ფეხშიშველები იყვნენ - ქუსლში რომ თითის სიგრძე ეკალი შეესობოდა, კრინტს არ დაძრავდა და წვეთ ცრემლს არ გადმოაგდებდა, მხოლოდ კოპებს შეიკრავდა, იქვე ჩაჯდებოდა და, თუ ეკლის ბოლო ჯერ კიდევ ჩანდა, ფრჩხილებით ამოაძრობდა, თუ არ ჩანდა, სხვა ეკლით დაუწყებდა ჩუხჩურს და მანამ უჩუჩხურებდა, სანამ გამოაჩენდა. ამის დანახვაზე პრ. დიდებულიძეს პირველ ხანებში ტანში კრუანტელი უვლიდა და მუცელი უხურდა, მაგრამ თანდათან შეეჩვია და იმ ზაფხულის სწორზე მსგავს ოპერაციებს უკვე თვითონაც სხვებივით ოსტატურად ასრულებდა, ბოლოს კი ისე გაიწაფა, რომ დაკვირვებისა და განსჯის საგნადაც აქცია. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ეკლის ამოძრობამ რამდენჯერმე ენით გამოუთქმელი შვება მოჰგვარა, იმაზე დაიწყო ფიქრი, ტკივილი და სიამე განსხვავებაა ერთიმეორის მიმართ თუ მსგავსება, ხოლო მოგვიანებით, როცა ლოგიკის უზადო ხლართებმა სიღრმეებში და სიღრმეებში შეიტყუა, კითხვა კიდევ უფრო მწვავედ და გაბედულად დასვა და, როგორც თავის ადგილას ვნახავთ, მაღლითელი ბიჭების განსაცვიფრებლად ლოგიკური და პარადოქსული დასკვნაც გამოიტანა. რაც შეეხება ტკივილის პრობლემას, ამ მხრივ მალე სრულფასოვანი მაღლითელი გახდა. ხოლო მაღლითელები, ტკივილს რომ არად აგდებდნენ, ამას თავიანთ თავს ღირსებად არ უთვლიდნენ. ეს მართლაც არ ყოფილა რაიმე ღირსება, უბრალოდ, პირობები იყო მკაცრი და ამის გამო თვითონაც მკაცრი და ამტანი გახდნენ, თორემ, შეფასებაზე თუ მიდგება საქმე, შესაძლოა ეს ნაკლი აღმოჩნდეს და არა ღირსება, ვინაიდან ადამიანი, როგორც ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმი, გაღიზიანებაზე პასუხს უნდა იძლეოდეს. სამაგიეროდ, ტკივილისადმი ამგვარი ინდიფერენტულობა მონათესავე

სფეროებსაც გადაედო და იმ დროისათვის, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს, მაღლითელებს ლმობიერებისა და სიბრალულის გრძნობაც დაკარგული ჰქონდათ; ოღონდ, რაკი ბუნებით ავები არ იყვნენ, ეს უმთავრესად დაცინვაში იჩენდა თავს. დაცინვაში მართლაც რომ ულმობლები და შეუბრალებლები იყვნენ: ერთს თუ ამოგიჩემებდნენ, აღარ მოგეშვებოდნენ, ლამის სამარის კარამდე მიგყოლოდნენ; შთაგონების ხვიმირაში მოყოლილი მეწისქვილეებიც დროს არ აცდენდნენ და მთვარიან (აგრეთვე უმთვარო) ღამეებში ლექსებად იფქვებოდნენ. თუ რომელიმე მათგანს რაიმე რიგიანი გამოუვიდოდა (რაც არამც და არამც გამორიცხული არ ყოფილა), მთელი სოფელი აიტაცებდა, რათა ინდივიდუალური მუზების მახვილი ყნოსვით მოძიებული ეს პირველქმნილი მადანი ახლა ხალხურობის სურნელოვან ქურაში გამოეწრთოთ. და ადრესატსაც – მაღლითელთა პოეტური მაღვალაკობის მსხვერპლს – სტიქიური მთხზველობის ამ უკონტროლო ლავის წინაშე ის ერჩივნა, მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა.

თავად პრ. დიდებულიძემ ეს იდეალისტური სიმწარე, როცა ამაოებათა ჯაჭვურ რეაქციაში უნუგეშოდ ჩათრეული ზეგარდმო ტკივილით ნატრობ, ნეტა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოსო, სოფელ მაღლითში მრავალგზის იწვნია.

მაგრამ ბავშვობისდროინდელ ხანძრებს დროის ნაცარი აყრია. პრ. დიდებულიძის ადრეული ხანძრებიც, რომლებიც ოდესღაც ავისმომასწავებლად გუზგუზებდნენ და ქვეყნიერებას გადაბუგვით ემუქრებოდნენ, ნაცრის გროვებად დარჩნენ ცხოვრების გზაზე, როგორც წარსულის თავისებური ორიენტირები. თუმცა ერთი მათგანი კი შემაშფოთებლად გამძლე და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და იმდენ ხანს ასარსალა გავარვარებული ენა, პრ. დიდებულიძეს აღარც კი ეგონა მის ჩაქრობას თუ მოესწრებოდა. მაგრამ ეს გამონაკლისი იყო, რომელიც – ხანგრძლივობის საიდუმლოც სწორედ ამაშია – ისეთი ამოუწურავი და სტაბილური საწვავით იკვებებოდა, როგორიცაა სახელი „პრომეთეოსი“.

ამ სახელის თაობაზე წესით აქამდე უნდა მეთქვა ერთი-ორი სიტყვა. მართლაცდა, არ შეიძლება უბრალოდ და უკომენტაროდ გამოაცხადო, ამ კაცს სახელად პრომეთეოსი ჰქვიაო. ვისაც პრომეთეოსი ჰქვია, კომენტარიც სჭირდება. პრომეთეოსი, თუ ორიგინალზე არ ვილაპარაკებთ, მარტო სახელი არაა. იგი უწინარეს ყოვლისა დამღაა და ნიშანი, ნიშანი იმისა, რომ კაცს, ვისაც „პრომეთეოსი“ ჰქვია, იმ კაცივით ცხოვრება არ ძალუძს, ვისაც „პრომეთეოსი“ არ ჰქვია. არაპრომეთეოს კაცს შეუძლია ამ ქვეყნიდან უკვალოდ გაქრეს და, როგორც ისტორია გვიდასტურებს, დიდი უმრავლესობა ასეც იქცევა; ამაში არც უჩვეულოა რამე და არც დასაძრახი. მაგრამ პრომეთეოსი უკვალოდ ვერ გაქრება; თუ გაქრა, კვალად კითხვა დარჩება: მაშ, პრომეთეოსი რატომღა ერქვა? კითხვა სამართლიანია; სახელი პრომეთეოსი თავის თავში უკვე გულისხმობს რაღაცის გაუქრობელ კვალს და, როცა შვილს პრომეთეოსს არქმევ, პასუხისმგებლობას კისრულობ, ხოლო თუკი შენ თვითონ იაფეტი არ გქვია, რისკსაც სწევ. დაბოლოს, როგორც ზემორე მსჯელობის ერთგვარი შეჯამება, შეიძლება ითქვას, რომ მამა, რომელიც შვილს პრომეთეოსს არქმევს, მამის ნორმალურ არტახებში ვერ თავსდება. იგი ამ არტახებიდან გამოსულია და პოლუსზე დგას, ან ერთზე, ან მეორეზე.

პრ. დიდებულიძის მამამ (რომელსაც იაფეტი არ ერქვა, ვინაიდან ეს მეტისმეტი იქნებოდა), შვილს რომ პრომეთეოსი უწოდა, რისკი გასწია, ხოლო რაკი დროება მაშინ ქამიანი იყო და პირველი პრომეთეოსის ზეარისტოკრატიული ჩამომავლობა და საშიში დამოუკიდებლობა ისედაც გამომწვევად ირეკლებოდა მუშათა და გლეხთა სისხლში ამოვლებულ ალამზე, ამ რისკს პოლიტიკური სუნიც ასდიოდა. მართალია, შეუძლებელი იყო დადგენა, ვარაუდობდა თუ არა მამა, რომ შვილი, რაკი სახელად პრომეთეოსი ერქმეოდა, მღვიმეში ცეცხლის შემოტანას დაისახავდა მიზნად, მაგრამ ვინ აიტკიებდა მაშინ თავს იმის სარკვევად, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება შემთხვევით იქნა ჩადენილი თუ წინასწარგანზრახულად?! საერთოდ კი, ალბათობა იმისა, რომ მამას სწორედ ეს სახიფათო გულისთქმა და გაბედული ილუზია ამოძრავებდა – გავიხსენოთ მისი მრწამსი, რომელსაც მარქსიზმმა ძვრა ვერ უყო – საკმაოდ დიდია. მრწამსსაც რომ თავი დავანებოთ, სხვა რა მოტივი შეიძლება ჰქონდეს კაცს, რომელიც შვილს, იმის ნაცვლად, რომ ჯურხა დაარქვას, ან ნოდარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრომეთეოსს არქმევს და ტანჯვის ამ სამყოფელში დამატებით სატანჯველს უმზადებს?!

ერთი სიტყვით, ჩემი აზრი ის გახლავთ, რომ პრ. დიდებულიძის მამამ შეგნებული არჩევანი გააკეთა. ზემოთ ამ არჩევანს მე „ილუზია“ ვუწოდე. ახლა თავს ნებას მივცემ „შესაძლებლობა“ ვუწოდო, თან ვეცდები დავასაბუთო, რომ არც მაშინ ვტყუოდი მაინცდამაინც და არც ახლა ვტყუი. მართლაცდა, თუ საკითხს სათანადოდ ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ შვილისთვის პრომეთეოსის დარქმევა მხოლოდ სასოწარკვეთილების ფუჭი სლოკინი როდია, ან ცრურომანტიკული იმედის საზრდო, ან უტოპიის მტკნარი წყლების მოულოდნელი აზვირთება. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია პატარა აზრისმიერი ექსპერიმენტი ჩავატაროთ; წარმოვიდგინოთ, ვითომ ქართველებმა ერთხმად გადავწყვიტეთ, ყველა შვილს (ვაჟებს, ცხადია; ქალი რა შვილია!) პრომეთეოსი დავარქვათ, შევასრულეთ კიდეც მტრისა და მოყვრის გულის გასახეთქად სიტყვა და აჰა, ჩვენებურ კაცებს სულ პრომეთეოსები ჰქვია და არავინაა ჩვენს შორის ისეთი, პრომეთეოსი არ ერქვას. გადაიჭედა ჩვენი ედემი და წალკოტი პრომეთეოსებით, მკალივით მოედო პრომეთეოსების ლაშქარი ძირძველ ქართულ მიწას, ტევა აღარ არის ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ზიმზიმებენ ამერ-იმერში პრომეთეოსები, ფუთფუთებენ, მშვაობრობენ, ირევიან ერთმანეთში, გვერდს ვეღარ უქცევენ ერთმანეთს, აწყდებიან ერთმანეთს, ლოშნიან და ტყვიებს ახლიან ერთმანეთს, სვამენ, ღრეობენ, ყაყანებენ, მღერიან, ბარბაცებენ, იგინებიან და ფახიფუხობენ. ყველა აქ არის, ყველა ფასონისა და ყალიბის პრომეთეოსი, რაც კი ჩვენი მოდგმის ამაყ ხეს შეეძლო გამოესხა: ზეკაცები თუ ქვეკაცები, სიბრძნის ყულაბები თუ ისე ყულაბები, რკინისგულიანები თუ ხისთავიანები, ღვთის პირში შემყურენი თუ ღვთის პირიდან გავარდნილები, ქვასროლიები თუ პეპლიჭერიები, ღირსი მამები თუ ყველაფრის ღირსი მამები, ერთსულოვნები თუ ერთუჯრედოვნები, მიმდევრები თუ მიმომდევრები... შედარებით მცირეა ბისექსუალისტ პრომეთეოსთა რიცხვი, სამაგიეროდ უხვად არიან ხელისუფლების მხარდამჭერი პრომეთეოსები. განა დასაჯერებელია, პრომეთეოსთა ამგვარ სიმრავლეში ცეცხლის მპარავიც არ გამოერიოს?!. ასე რომ, უფროსი დიდებულიძის ჩანაფიქრი - თუკი ეს მართლა შეგნებული ჩანაფიქრი იყო - არც ისე სასაცილოა, როგორც შორიდან ჩანს. ვიცი, მრავალი თქვენგანი წამომძახებს, მაშ, ის რაღა იყო, გიორგიზე რომ ვიყავით ერთი ხანობა გადარეული და თითქმის ყველა ვაჟს გიორგი გვერქვა, გველეშაპს კი ვერავინ ვერაფერი დააკლოო? ამაზე გიპასუხებთ: ერთსა და უსასრულოდ მრავალს შორის არ არის ისეთი განსხვავება, როგორც „ყველასა“ და „თითქმის ყველას“ შორის. ეს თვისობრივი განსხვავებაა და ილუზიაც, ზემოთ რომ ვახსენე, ამ თვისობრიობაშია ჩამარხული: როცა ქვეყანა მხოლოდ პრომეთეოსებად სახელდებული ხალხითაა დასახლებული, მაშინ არა მარტო მოსალოდნელია, არამედ გარდუვალიც, რომელიმე მათგანმა ცეცხლი მოიპოვოს. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, სამწუხარო გამონაკლისი კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ეს ქვეყანა საქართველოა, მოლოდინი შესაძლებელია ფუჭი და უნიადაგო აღმოჩნდეს, ვინაიდან საქართველოში არ შეიძლება ვიღაც მეტიჩარა არ გამოხტეს, რომელიც მტრის ჯინაზე - ან, მტერი თუ ვერ იშოვა, ისე, თავისი მავნე ბუნების გამო - შვილს უმალ ედგარს დაარქმევს ან ლავრენტის, ვიდრე პრომეთეოსს.

სამწუხაროდ, მამა პასუხს ვერ მოესწრო. ის რომ დააპატიმრეს, პრ. დიდებულიძისათვის ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო ისეთი სპეციფიკური ნიშან-თვისებების გამომჟღავნება, რომლებიც ცეცხლის ან მისი ფარდი სხვა რამ ფიზიკური სიდიდის აღმოსაჩენად და მოსაპოვებლად შეიძლება გამოდგეს.

უექსპერიმენტატოროდ დარჩენილი ექსპერიმენტი მალე ჭირად იქცა, ჯადოსნურ შხამად, რომელსაც გაუთავებლად გასმევენ და არ თავდება.

ვინც მიჩვეული იყო, მიჩვეული იყო. ადრეული ბავშვობის ამხანაგები, მაგალითად, ისე ეძახდნენ პრომეთეოსს, როგორც - სიტყვაზე - ზურიკოს ეძახიან ზურიკოს. სამაგიეროდ, ვინც პირველად გაიგებდა პრომეთეოსი ჰქვიაო, უეჭველად შუბლს შეიკრავდა, თვალებს გადმოქაჩავდა, პირს მოპრუწავდა, ნესტოებს დაბერავდა, ყბას მოიღრეცდა და ერთს იმნაირად შეიცხადებდა, ვითომ იმაზე საკვირველი, იმაზე სასაცილო, იმაზე სამარცხვინო, იმაზე გულისამაჩუყებელი, ასე გასინჯეთ, იმაზე გასაწიწმატებელიც კი, ვიდრე სახელი პრომეთეოსია, თავის დღეში არაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერი სმენოდეთ. პრ. დიდებულიძე დიდხანს – შესაძლოა, ძალიან დიდხანს – ვერ მიხვდა, რა იყო აქ ესოდენ ასაღელვებელი და შესაშფოთებელი: ბოლოს და ბოლოს თავად პრომეთეოსსაც ხომ პრომეთეოსი ერქვა! მაგრამ რაკი იცოდა, ეს გაუბედავი – უღონოც, კაცმა რომ თქვას – არგუმენტი საქმეს ვერ უშველიდა და პირს ვერავის ამოუკერავდა, უფრო ხშირად მამაზე ბრაზობდა.

სახელი კი, ვიდრე გაიზრდებოდა და ამდაგვარი პაწია სისულელეების გავლენას საბოლოოდ დააღწევდა თავს, დიდხანს ტანჯავდა. ისე ტანჯავდა, რომ ამ საგანთან დაკავშირებული ერთი ოხუნჯობა თვით პროლეტარ ქორქიკასიც კი დაახსომდა (თუმც, პროლეტარ ქორქიკას ოხუნჯობანი, ითქვა კიდეც თავის ადგილას, მეხსიერებაში, როგორც წესი, არ რჩებოდა). პროლეტარმა ქორქიკამ, მისი სახელი რომ გაიგო, ბევრი იცინა, ბევრი ახველა, ბევრი აპურჭყა ბუხარში და ბოლოს უთხრა: „პრომეთეოსი რაია, ბიჭო, ფოთის მატარებელი ხვარ ხარ?!“ პრ. დიდებულიძემ ხუმრობა ვერ გაიგო, მაგრამ მაინც ძალიან ემწარა და სიმწარე დიდხანს გაჰყვა.

აბა, ავყია მაღლითელები ასეთ მასალას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ! გაიგეს თუ არა, პრომეთეოსი ჰქვიაო, მთელი სოფელი საოხუნჯოდ განეწყო.

სანაკლიო რომ სხვაა და მაღლითი სხვა, თეორიულად ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მთელი სიცხადით – როგორც იტყვიან, ხელშესახებად – ეს განსხვავება მხოლოდ გადაკვეთის წერტილებში იჩენს ხოლმე თავს. მართლაცდა, მაღლითში ჩასვლამდე პრ. დიდებულიძეს არასოდეს მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ შარვალი ეცვა, პერანგი ეცვა, წუღები ეცვა და ქუდი ეხურა, პირი უფრო ხშირად დაბანილი ჰქონდა, ხოლო ლოყები და ხელები თეთრი. მაღლითში ჩასულს კი ყოველივე ეს ერთბაშად ეცა თვალში. ესეც და სხვა რამეც (მაგალითად, რომ მაჩვი და ზღარბი სულაც არ არის ერთი და იგივე ცხოველი, ისევე, როგორც გულისცემის სიხშირე არ არის ერთი და იგივე სოფლის ხმაურიან ორღობეში და ავად გატრუნულ ბნელ ტყეში, ხოლო ხეზე ასვლას თავისი წესები აქვს, რომელთა დაცვა აუცილებელია, თუ არ გინდა მაღლითელები სიცილით ჩაბჟირდნენ, და ა. შ.). ასეთ კონტექსტში კიდევ უფრო თვალშისაცემი გამოჩნდა, როგორც ის უცნაური გარემოება, რომ მას სახელად პრომეთეოსი ერქვა, ასევე ის საცნაური გარემოებაც, რომ მაღლითელებს სახელი პრომეთეოსი აქამდე არ გაეგოთ (და, საერთოდ, ბერძნულ მითოლოგიას ამ რეგიონში ბევრი არაფერი ჰქონდა სატრაბახო და თავმოსაწონებელი).

მოკლედ, მაღლითელებმა ჩინებული მასალა იმოვეს. ერთი შეღავათი ის იყო, რომ მეწისქვილეებს ნიჭმა უმტყუნა: თეთრ ფქვილში და ვარდისფერ შთაგონებაში ამოვლებული მათი პოეტური სატირა უღღეური გამოდგა და ხალხის მეხსიერებიდან მანამ ამოიშალა, ვიდრე ხალხის გულისკენ გზას გაიგნებდა. სამაგიეროდ პროზად ოხუნჯობას წინ არაფერი ედგა და, გარდა ამისა, ინტონაციას მიეცა ფართო ასპარეზი. ვინ მოთვლის რამდენ სხვადასხვა ხმაზე და კილოზე გაისმოდა მაშინ სახელი პრომეთეოსი! საბრალო პრ. დიდებულიძეს სახლიდან გამოსვლა აღარ უნდოდა და, გამოუსვლელობა რომ კიდევ უფრო ძნელი ასატანი არ ყოფილიყო, ალბათ არც გამოვიდოდა.

ხოლო ბერძნულ მითოლოგიას ნამუსი ადგილობრივი რვაწლიანი სკოლის დირექტორმა მოსწმინდა. ამ გამოჩენილმა პიროვნებამ – იგი პროფესიით ისტორიკოსი იყო – ერთხელ, როცა შთაგონების ონავარ ტალღას თავისდაუნებურად ქეჩოზე მოექცა, სასაფლაოს მიაშურა, სადაც ადგილობრივი წვრილფეხობა ჭინჭის ბურთით ფეხბურთს თამაშობდა, და თამაშის შეწყვეტა ბრძანა; მერე მოთამაშეები ირგვლივ შემოიკრიბა და ზოგად შტრიხებში – ისე, რომ მათი სათუთი ტვინები მეორე და მესამეხარისხოვანი წვრილმანებით არ გადაეტვირთა – მოკლედ მოუთხრო ძირეული და, გარკვეული აზრით, ნამდვილი პრომეთეოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკვანძო ეპიზოდები, კერძოდ, თქვა, რომ ეს პრომეთეოსი, რომელიც სხვათა შორის მითიური პიროვნებაა და არა ისტორიული, სიცოცხლეში სანახევროდ ღმერთი იყო, მაგრამ მშრომელი ხალხი უყვარდა, რის გამოც თავის პრივილეგირებულ კლასს ზურგი აქცია და ჩაგრულთა მხარეს გადმოვიდა, თან, რომ გადმოდიოდა, ხელს ცეცხლი გამოაყოლა, რაც ქურდობად არ ჩაეთვლება, ვინაიდან ის ცეცხლი უსასყიდლოდ გადასცა შემცივნულსა და ექსპლოატირებულ მასებს.

ამ ეპიზოდმა პრ. დიდებულიძის სახელით დაინტერესებას ახალი ბიძგი მისცა. დირექტორს, რა თქმა უნდა, ასეთი განზრახვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჰქონია და არც მოვლენების ასეთ განვითარებას მოელოდა. პირიქით, მისი ჰუმანური ვარაუდით ამ პატარა მოთხრობას ნორჩი მსმენელები მტკიცედ უნდა დაერწმუნებინა, რომ „პრომეთეოსი" ისეთივე ჩვეულებრივი სახელია, როგორც, ვთქვათ, შავლეგი ან მელსი, ხოლო ჩვეულებრივი რამ მოვლენის გამო აჟიოტაჟის ატეხვა, რაც უმეცართა და ველურთ სჩვევიათ, საჭირო არ არის. სამწუხაროდ, კეთილშობილურმა ჩანაფიქრმა იმედი ვერ გაამართლა. მაღლითელებმა კიდევ უფრო ინტენსიურად გაიდეს ფეხქვეშ სახელი „პრომეთეოსი", ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყოველივე ამას ერთი ნახევრად კურიოზული ეპიზოდიც დაემატა, დაცინვის ისარი საკონტროლო დანაყოფს გასცდა და აფეთქების ზოლს მიუახლოვდა.

მთავარი ბრალი, როგორც ყოველთვის, ბედისწერას მიუძღოდა; მაგრამ ბედისწერა თავის იდუმალ გეგმებს სხვა, ჩვენთვის მიუწვდომელ განზომილებაში აწყობს და თუმც კი ქვემოთ მოთხრობილ ეპიზოდში მისი მჩხიბავი ხელი აშკარად იგრძნობა, ჩვენება რომ მომთხოვოთ, ვერ გაჩვენებთ.

ეს - რაც შეეხება ბედისწერას. ახლა - რაც შეეხება ეპიზოდს.

იმ მძიმე ჟამს - ასაკოვან მკითხველებს შესაძლოა ახსოვთ - ასანთს ცეცხლის ფასი ედო, ამიტომ ცეცხლს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ; რომ არ ჩამქრალიყო, ნაკვერჩხლებს დამღამობით ღადარში ინახავდნენ. მართალია, ცეცხლი ზოგჯერ მაინც ქრებოდა, მაგრამ მეთოდის უტყუარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ შეუძლებელი იყო მთელ სოფელში ერთდროულად ჩამქრალიყო; თუ ვინმეს ჩაუქრებოდა, შეეძლო მეზობლისგან მოეტანა და ისევ გაეჩაღებინა.

და აი, ერთ საღამოს დედამ, რა ნახა ბუხარში ცეცხლი ჩამქრალიყო, შვილი, რომელსაც სახელად პრომეთეოსი ერქვა, მეზობელთან გაგზავნა. პრომეთეოსიც წავიდა. არც დროთა შორეული ჯახანი გაუგონია და არც სკოლის დირექტორის აჰასწინანდელ კულტურტრეგერულ გამოხდომაზე დაფიქრებულა; კეცის ნატეხი აიღო, წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ მოპოვებული ცეცხლით უკანვე გამობრუნდა. გზადაგზა ნაკვერჩხლებს სულს უბერავდა, რომ არ ჩაქრობოდა. მეზობლის სახლიდან, სადაც ცეცხლი იშოვა, თავის სახლამდე, სადაც ნაშოვნი ცეცხლი უნდა მიეტანა, ოციოდე საჟენი იქნებოდა. ოცი საჟენი არაფერია უსასრულობასთან შედარებით, შეგვიძლია სულ არ მივიღოთ მხედველობაში და ალბათ არც მივიღებდით, გზად რომ ბუხუტიე ბლაყუნა არ შეფეთებოდა. „ბლაყუნა" რატომ შეერქვა ამ ბუხუტიას, დღემდე არავინ იცის. ალბათ, რამე სერიოზული მიზეზი იყო, თორემ რაღა მაინცდამაინც არაფრისმთქმელი და, არსებითად, აბსტრაქტული „ბლაყუნა" შეერქმეოდა სოფლის უმახინჯეს ყმაწვილს, რომელსაც ჯერ მარტო თავი ედგა ციცაბო მხრებზე იმისთანა, გაციმციმებული ქვაბქოთანა რომ გინახავთ, ან თივის ზვინი, ან ნაკორტალების კოშკი, – ან ტერასებად გაკორტნილ თმასაც თუ გავითვალისწინებთ - ჯოსერის პირამიდა (ოღონდ ეს ბოლო შედარება მაღლითში იმ დროს ჯერ კიდევ გაუგებარი იქნებოდა). რამ აუწოწოლა ასე, რა ედო შიგ და რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს, ერთმა ღმერთმა უწყოდა. საერთოდ - არა მარტო თავის, არამედ ზედ განივრად მიტყეპებული პირისახის, ნაწრთობი შუბლისა და რიგ სხვა ასოთა გამოისობით - ისეთი უცხო რამ სანახავი იყო, მთელი სიცოცხლე რომ გეოხუნჯათ, შუამდე ვერ მიხვიდოდით. თუმცა, თვითონ ის სიმეტრიულად დაკბეჩილი თავი ისე ეჭირა, ვაგლახად ბუზს არ აიფრენდა. სამაგიეროდ სხვის თვალში გამუდმებით ეძებდა ბეწვებს და თუ იპოვიდა, მის სიხარულსა და სიცილს საზღვარი არა ჰქონდა.

ეტყობა შემთხვევითი არც ის უნდა ყოფილიყო, რომ პრ. დიდებულიძეს სწორედ ეს ბუხუტიე შეახვედრა ბედისწერამ იმ მოკლე დისტანციაზე, რომელიც წეღან, უსასრულობას რომ შევადარეთ, კინაღამ უგულებელვყავით.

ბედისწერის გამო წუწუნი, საერთოდ, პროტესტის ნებისმიერი ფორმა, წყლის ნაყვაა. ბედისწერა ისეთი ინსტანციაა, დროსა და სივრცეს ნაწილებად არ ჰყოფს და თავის მოქმედებას არავის უთანხმებს. მოელვარე ნაკვერჩხლების დანახვაზე ბუხუტიე წამით გაშეშდა, მერე ერთი ატროკებული კვიცივით შეიკუნტრუშა და სიბნელეს შეერია, ხოლო მეორე დღეს, მოსაღამოვებულზე, ანუ, როგორც მაღლითში ამბობდნენ (არ ვიცი, ახლაც ამბობენ თუ არა) საღამოდრიელე, როცა ბავშვების ქორომ როხვაძეების ბოსტანს ქვემოდან დაუარა, სადაც საგვიანო კიტრი ეგულებოდა, უეცრად პრ. დიდებულიძეს გაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრიკინებული სალოკი თითი მრავალმნიშვნელოვნად მიაშვირა და დაუზუსტებელი ნიშნისმოგებით გამოაცხადა: „მართლა ქე არ მიქონდა ამ ოჯახქორს ცეცხლი ექსპლოატირებული მასებიზა!“ ბავშვებს - ისინი მაღლითელებად იზრდებოდნენ - როხვაძეების საადრიო კიტრი გულიდან გადავარდათ და ბუხუტია ბლაყუნას ეს ამბავი ზედიზედ რამდენჯერმე მოაყოლეს (აქ ერთი იმას მინდა საგანგებოდ მივაქციო თქვენი ყურადღება, რომ სოფელ მაღლითში ინფორმაციის სიზუსტეზე მეტად ყოველთვის ინტერპრეტაციის სიმრავლე ფასობდა, და მეორეც იმას, რომ პრ. დიდებულიძეს სიბრაზისგან გულგვამი ისე გაუხურდა, ლამის ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ ბუხუტიასთან შებმა ვერ გაბედა).

თუ თქვენც დამეთანხმებით, ამ მცირე ლირიკული გადახვევის შემდეგ მაღლითში უკვე ისე შეგვიძლია ჩავიდეთ, ვითომ მოყვრებისა და მოკეთეების სანახავად მივდიოდეთ.

ეს - ჩვენ. პრ. დიდებულიძე კი იქ თავის დროზე კრძალვით ჩავიდა. „ჩავიდა“ პრინციპულად სავსებით სწორია, ვინაიდან მართლა ჩავიდა, მაგრამ თუ თანმდევ ფსიქოლოგიურ ჯანღსაც გავითვალისწინებთ, ალბათ „მიახლება“ უფრო ზუსტი ტერმინი იქნება. დიახ, პრ. დიდებულიძე სოფელ მაღლითს მიეახლა. მიეახლა ისე, როგორც შეიძლება მიეახლო უცხო ქალს, რომელიც შორიდან დაგანახვეს და გითხრეს: „ეს დედაშენია“.

ასეთ შორეულსა და, არსებითად, თეორიულ დედას ეგებ იმის უფლება კი აქვს, მორჩილება მოგთხოვოს, მაგრამ სიყვარულს ვერ მოგთხოვს, ვინაიდან სიყვარული, როგორც პრ. დიდებულიძე დაასკვნის მოგვიანებით, როცა ჟამი მოიწევა, თავისუფალი ნების ცნობიერებამღელი გამოხატულებაა.

პრ. დიდებულიძე მორჩილად მიეახლა მაღლითს, მორჩილად გაიხადა ფეხთ, მორჩილად ჩაება მაღლითური ცხოვრების ფერხულსა და რიტმში, მორჩილად ალაპარაკდა სპეცმაღლითურ დიალექტზე, მორჩილად დაიდგა მოვალეობის უღელი... ერთი სიტყვით, ისე შეეხამა იქაურ სუნს, ფერს, ხმასა და კლასიფიკაციას, მალე ორთოდოქსი მაღლითელისგან აღარაფრით გამოირჩეოდა.

თუმცა, როგორც ზოგადამბიციური წესია, ვიდრე დამორჩილდებოდა, დაუმორჩილებლობა სცადა. ეს მცდელობა ბავშვური იყო, გულუბრყვილო და ცოტა სასაცილო, ვინაიდან იმ იარაღს, რომელიც ასეთ დროს ყველაზე მარჯვეა, ჯერ არ იცნობდა, ხოლო ის იარაღი, რომელიც მოიმარჯვა, უვარგისი გამოდგა. საქმე ის არის, რომ განვითარების ამ ეტაპზე თვითდამკვიდრების ერთადერთი საშუალება, რასაც რეალურად და ასე თუ ისე პროფესიულად ფლობდა, ხატოვანი გინება იყო. მაგრამ კარგ სკოლას, რაც თავისთავად ყოველთვის ფასდაუდებელი სიკეთეა, ადრეულ ასაკში ერთი ის საზოგადო ნაკლი ახლავს, რომ რეალური ცოდნის გვერდით დიდი რაოდენობის ფსიქოლოგიური ბუშტუკები გვიგროვდება, რომლებიც თავდაჯერების ფშუტე მოლეკულებისგან შედგება, და ჩვენ, ამ მოფარფატე ბუშტუკებზე, როგორც ილუზიურ ფასკუნჯზე გადამჯდარნი, ზოგჯერ ისეთ რამეს შევეპოტინებით ხოლმე, რასაც - ჭკუა რომ გვქონოდა თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავით - ვერ შევწვდებით.

რჩეულ-რჩეული გინებანი - როგორც კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ტერმინები, ასევე დასრულებული აზრობრივი კონსტრუქციები - რომლებიც პრ. დიდებულიძემ სანაკლიოში რუდუნებით აგროვა, მაღლითში გადასაყრელი შეექნა. განა მაღლითელებს კი არ უყვარდათ გინება! უყვარდათ და წარმატებითაც იგინებოდნენ. ეგებ ისე დახვეწილად და ხატოვნად ვერა, როგორც პრ. დიდებულიძე, მაგრამ ძარღვიანობის თვალსაზრისით კი ნამდვილად არ დაიწუნებოდა. შებრკოლების ლოდი სხვა განედზე იდო: მაღლითელებს სპორტული ჟინი აკლდათ და უმიზეზოდ და უმისამართოდ გინება უჭირდათ. მართალია, პრ. დიდებულიძე, რაც უფრო მეტად ებლანდებოდა ფეხებში ხსენებული შებრკოლების ლოდი, მით უფრო მეტი შეუპოვრობით ცდილობდა ახალ სამშობლოში მხატვრული გინების კულტურა დაენერგა, მაგრამ ეს დღემოკლე და განწირული შეუპოვრობა იყო. მაღლითელ ბავშვებს, თუმც თავიდან საქმეს პატიოსანი ენთუზიაზმით მოეკიდნენ, როცა კონკრეტული ადრესატი არ ეგულებოდათ, რომელიც გინების კონკრეტულ იმპულსს აღძრავდა, ენა ებმოდათ და მხრებს მორცხვად იჩეჩავდნენ. რა ექნათ? თეატრალურსა და, გნებავთ, სპორტულ ბილწსიტყვაობაში იმ სიმწვავესა და ზემოქმედების ძალას ვერ პოულობდნენ, რითაც, ჩვეულებრივ, უცენზურო სიტყვა სხვა, სანქცირებული და, ასე ვთქვათ, სადაგი სიტყვებისგან ეგზომ მომგებიანად გამოირჩევა.

მერე და მერე, რა გამოჩნდა, ამ ფრონტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხი გარდუვალი იყო, ვინაიდან ყველა დანარჩენ ფრონტზე გარდუვალი იყო თანდათანობითი გამაღლითელება, ეს თავისი ქონება, აქამდე რომ დიდი საუნჯე ეგონა, დიდ ტვირთად დააწვა, რომელიც არც რგებდა, არც სიამოვნებდა და უკვე აღარც ძველებურად ესახელებოდა, მაგრამ ვიდრე ინერციის ტალღაზე იწვა, ინერციის მდინარეს მიჰქონდა და ინერციის ძალაზე იყო დამოკიდებული, ასე ერთი ხელის დაკვრითაც ვერ მოიშორებდა. ინერციას თავისი ვადა აქვს, რომელიც, ეჭვი არაა, რაღაცის პირდაპირპროპორციულია და, საქმემ თუ მოითხოვა, შეიძლება ზუსტად იქნას გამოთვლილი. სამაგიეროდ, ვადა რომ გავიდა და ექსპერიმენტის შეწყვეტის ჟამმა დაჰკრა, პრ. დიდებულიძე ინერციასთან ერთად მორჩილების ფორმალური ფიცისგანაც განთავისუფლდა (ასე ვთავისუფლდებით მოლოდინისგან მოლოდინის ობიექტის გამოჩენაზე).

მართლაც, ამ დღიდან იგი რეალურად შეერწყა მაღლითს. შეერწყა, როგორც გარდუვალობას, როგორც ბედს, რომელიც მიეცა, თუმც არ კი იცოდა, ვის მიერ და რატომ.

ერთი კია: მაღლითი სამშობლოდ არასოდეს მიუჩნევია. ის, თუ მაინცადამაინც, სამშობლონაცვალი იყო, ხოლო პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ ისეთ სამშობლოს უცვლიდა, რომელიც არ გააჩნდა. სამაგიეროდ, ჩვენ ეს პარადოქსი საშუალებას გვაძლევს, თანაბარი უფლებით ვუწოდოთ – თვითონაც ასე მოიქცა, ცოტა რომ წამოიზარდა – უსამშობლოცა და ორსამშობლოვანიც. სავარაუდოა, სწორედ ეს არის ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მაღლითი არ უყვარდა და ისე მიატოვა, არც შეჰყვარებია. ყოველ შემთხვევაში, ის გრძნობა, რასაც თვითონ სიყვარულს ეძახდა – ხოლო რასაც თვითონ სიყვარულს ეძახდა, რთული და იკლიკანტური რამაა და ჯობს ჯერჯერობით ნუ ჩავეძიებით – მაღლითის მიმართ არასოდეს გასჩენია.

თუ პრობლემას ტრაგიკული კუთხიდან შევხედავთ (რაც აუცილებელი არ არის), მისი კუთვნილი დრო, სივრცე და ასაკი იმდაგვარად დაიყო და დანაწილდა, რომ სამშობლოს გრძნობის ჩამოყალიბება სანაკლიოში ვერ მოესწრო, ხოლო მაღლითში დაგვიანდა.

მაგრამ ეს ზოგად-თეორიული ფონია, გრძნობადი სამყარო კი, რომელიც მიწყივ წვრილმანებში იყო გახლართული, ისე ირწეოდა, ისე მოძრაობდა, ისე ხმაურობდა, ისე იცვლიდა ნირსა და ფერს, ისე იწურებოდა, ისე იწმაწნებოდა, ისე იბრიცებოდა, ისე ირღვეოდა და ისეთი ჯიუტი თავდაჯერებით მიუყვებოდა თავის ოკრობოკრო გზას, ეტყობოდა, არავითარ ფონსა და თეორიას არა ცნობდა, ან თუ ცნობდა, მხოლოდ იმ ფონსა და იმ თეორიას ცნობდა, რომელსაც თავადვე ქმნიდა საკუთარ ქმედებათა მომავალი გამართლების მიზნით.

მაღლითში ჩასვლის შემდეგ, პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში, ყელში უმიზეზოდ რაღაც უჭერდა და გული მტკივნეულად ეწურებოდა, ერთი-ორჯერ იტირა კიდეც ბალიშში თავჩარგულმა, საერთოდ, რაღაც ისეთი სჭირდა, ასე ეგონა, ერთ ადგილას რომ დიდხანს გაჩერებულიყო, სული ამოხდებოდა მცირე ასაკის გამო მაშინ ვერ მიხვდა, რომ ეს ნოსტალგია იყო, ნოსტალგია მოულოდნელად მიტოვებული სანაკლიოსი, რომელიც უკვე ემზადებოდა გასამშობლიურქალაქებლად, და ცოტაც რომ დასცლოდა, ალბათ გამშობლიურქალაქდებოდა კიდეც. რაკი არ დასცალდა, პრ. დიდებულიძეც მშობლიური ქალაქის გარეშე დარჩა; თუმცა საბოლოოდ (ეგებ საბედნიეროდაც) ეს ჭირი მარგებელი გამოდგა, ვინაიდან სწორედ მისი წყალობა იყო, რომ ამ გამთანგავმა სენმა მალევე გაუარა, სანაკლიო დავიწყებას მიეცა და ცხოვრების ერთადერთი ასპარეზი – თუ ბუნდოვან სივრცეებს არ ჩავთვლით, რომლებსაც ნედლი გონება დროდადრო თავისთვის ხატავდა – სოფელი მაღლითი გახდა.

მაღლითში წელიწადის ოთხივე დრო კარგი იყო: გაზაფხულზე მინდორ-ველები ნაირფერი ყვავილებით იმოსებოდნენ, ზაფხულში ყინულივით ცივი ღელედიდი საამურად ჩანელთბილდებოდა, შემოდგომაზე ვაზი მზესა და ოქროში ცურავდა და ზამთარში შაშხი ნერწყვისმომგვრელად ეკიდა გამურულ დირეზე. მეორე მხრივ, ასევე დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ მაღლითში წელიწადის ოთხივე დრო ცუდი იყო: გაზაფხულზე ხვნა-თესვის ჟამი დგებოდა, ზაფხულში ყანა გასამარგლი და გასამოროდებელი იყო, შემოდგომაზე წლის მოსავალს აღება და დაბინავება უნდოდა, ხოლო ზამთარში შაშხის პატარა ნაჭერი, რომელიც დედა-შვილს გაზაფხულამდე უნდა გამოეზოგა, ნერწყვისმომგვრელად ეკიდა გამურულ

ეროვნული ბიბლიოთეკა


დირეზე, როგორც მარადიული შიმშილის სიმბოლო. წინააღმდეგობა, რაღა თქმა უნდა, მოჩვენებითია და ნათლად მოწმობს, რომ ზოგი რამ პროტაგორამაც იცოდა.

და, პრ. დიდებულიძე, სოფელ მაღლითს შეერწყა.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას - დროთა განმავლობაში ეს ვარაუდი ფაქტებითაც დადასტურდა - თითქოს იგი სრულად გაიხსნა მაღლითში. საქმე ის გახლავთ, რომ გარდა გინებისა, რაც საეჭვო საუნჯე და ცრუ ინდივიდუალობის მყიფე ყალიბი გამოდგა, არსის არსში სხვა, გაცილებით მტკიცე, გაცილებით თავისთავადი (თუმც კი დიდი ხნის მანძილზე შეუცნობელი) რამ ძალა აღმოაჩნდა, რომელმაც ასიმილაციისაკენ მიმართული ყველა შეტევა მოიგერია და რამდენჯერმე თავად გადავიდა კონტრშეტევაზე გავლენის სფეროთა მოსაპოვებლად. ეს ძალა უხილავი, მაგრამ სრულიად რეალური იყო და, როგორც გამორიცხვის გზით დადგინდა, მაცოცხლებელ საზრდოს მამასთან გატარებული ექვსი (თითქმის ექვსი) წლიდან იღებდა. ჩანს, მამას სახელის გარდა რაღაც კიდევ მიეცა, რაღაც ნაკლებთეორიული და ნაკლებფორმალური, რაღაც ნიშანი, რაღაც თვისება, რაღაც ისეთი დვრიტა, რასაც შეუძლია მიზიდულობის მაგნიტურ ღერძად იქცეს და ირგვლივ ნელნელა, მეთოდურად შემოიკრიბოს დამოუკიდებლობის პაწაწკინტელა ატომები. ეს კი მომავალი ტანჯვისა და სიამაყისთვის ძალზე მნიშვნელოვანი საფუძველი იყო. მამამ მოასწრო და ის აუცილებელი პირობა შეასრულა, რასაც მისი განსაზღვრული ნიშნისა და განუსაზღვრელი მნიშვნელობის გამო შეიძლება მეექვსე დღის მცირე მისტერია ეწოდოს. პრ. დიდებულიძემ არ იცოდა - ბუნებრივია, არც მე ვიცი - კერძოდ და კონკრეტულად რაზეა ლაპარაკი, მაგრამ ეგება არც არის საჭირო ამის ცოდნა, ეგებ არ არის საჭირო ძებნა, პოვნა და სიტყვებით გამოხატვის მცდელობა იმისა, რასაც ნათლად და გასაგებად მხოლოდ შეგრძნებით - ისიც ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ წამებში - შეიძლება მივწვდეთ... ასეა თუ ისე, მოგვიანებით თავად პრ. დიდებულიძემაც მამის გავლენით ახსნა ის მძაფრი, ერთი შეხედვით ძალზე ზოგადი, შეიძლება ითქვას (?) თეორიული განცდა, რომელიც მაღლითში ცხოვრების მთელი ათი წლის განმავლობაში არ მოშორებია: თითქოს გამუდმებით დაძაბული იყო, გამუდმებით გადარაჯებული და რაღაც უცხო, მოულოდნელი ხიფათის წინაშე მიწყივ მობილიზებული. ეს ღლიდა და ხშირად გუნებასაც უფუჭებდა, მაგრამ მერე, ახსნა რა მოუძებნა, მოისვენა კიდეც. ახსნა ასეთი იყო: გონება, სამყაროს ქსელში მტკიცედ და აქტიურად ჩაბმული, შეუსვენებლივ მუშაობდა, და ამ მუშაობის მიზანი იყო, საკუთარი არსების გულისგულში ისეთი მიუვალი ციხე-კოშკი აეგო, სადაც ყოველგვარი ძალადობისაგან საიმედოდ დაცული, მბრძანებელიც თვითონ იქნებოდა და ბრძანების აღმსრულებელიც.

ხოლო თუ ყველაფერი ეს სწორია, მაშინ ისიც სწორი უნდა იყოს, რაც მეორენაირად ასე გამოითქმის: როცა პრ. დიდებულიძე ადგილობრივ გარემოს შეერწყა, ადგილობრივ გარემოს იგი ოდენ გარეგნული ფენებითა და ზედა შრეებით შეერწყა. ეს ფენები და შრეები, თუმც კი ბუნებრივი ძაფით ნაქსოვი, ხელოვნური ფარდა იყო, რომლის უკან მამისგან ნაანდერძევი დროშით ხელში იდგა ნამდვილი, უხსნადი და შედარებით ამაღლებული პრ. დიდებულიძე.

დიახ, თუ ის სწორია, ესეც სწორი უნდა იყოს, მაგრამ მაშინ ისიც სწორია, რომ აქ მთხრობელსაც დიდი სიფრთხილე მართებს, ვინაიდან ასეთი სიტყვებითა და გამოთქმებით შეიძლება ლიტერატურული ბედისწერის ისეთ ბილიკზე მოხვდეს, რომელსაც ორთავ მხარეს პათეტიკის უქმად მოშრიალე ჭალა მისდევს.

ნაკლებრადიკალურად რომ ვთქვათ (რაც არა მარტო პათეტიკას დაგვაშორებს, არამედ სიმართლესაც მიგვაახლოებს), - როდესაც პრ. დიდებულიძე მაღლითის საერთოსახალხო ქვაბში მოიხარშა, მისგან პატარა, გაურკვეველი ქიმიური შემადგენლობის კენჭი დარჩა, რომელიც წყლის დუღილმა, ყოველ შემთხვევაში, დუღილის აქაურმა ტემპერატურამ, ვერ დაშალა, ვერ შეიწოვა და გარემოს ორგანულ ნაწილად ვერ აქცია.

სწორედ ეს კენჭი იყო ის ფარული სუბსტანცია, რაზედაც მომავალი პრ. დიდებულიძე უნდა აღმოცენებულიყო.

ხოლო ვიდრე ფარული სუბსტანციები სამალავიდან გამოვიდოდნენ, ამა სოფლის მდინარ (ამ შემთხვევაში - მიხვდით, ალბათ - არც მაღლითზეა ლაპარაკი და არც ღელედიდზე) თავისი გზით მიედინებოდა.

ამის დაჯერება ძნელია (ხოლო თუ ისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორიის პროზექტურაში ყურადღებით მიმოვიხედავთ, თითქმის შეუძლებელიც), მაგრამ მაღლითში ჩასვლის ერთი თვის თავზე პრ. დიდებულიძის დედამ სამუშაო იშოვა. ძნელი დასაჯერებელი კი აქ ის არის, რომ სამუშაო იშოვა არა კოლექტივის ყანაში, არამედ ბიბლიოთეკაში, რაც ისეთი ხდომილება იყო, ხდომილებათა განსაკუთრებით საკვირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა, თუმც, უნდა ითქვას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკმარისი ლოგიკური საფუძველიც ჰქონდა.

მაღლითში რომ ჩავიდნენ, პრ. დიდებულიძესა და დედამისს ბიბლიოთეკარის ადგილი ვაკანტური დახვდათ. წინა ბიბლიოთეკარი ოთხი თვის წინ დაეჭირათ და ოთხი თვის განმავლობაში სოფლის მამები და შვილები ამაოდ ეძებდნენ მის შემცვლელს. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს უიმედო ძებნა – შიგ მაღლითში შესაფერისი კადრი არ მოიპოვებოდა, გარედან კი აბა ვინ მოვიდოდა! – რომ არა პრ. დიდებულიძის დედა. პრ. დიდებულიძის დედამ სულზე მიუსწრო ბიბლიოთეკას, სადაც ნესტი და ობი უკვე ყველა კუთხე-კუნჭულში ჩამჯდარიყო და ჩაბუდებულიყო. მეორე მხრივ, ბიბლიოთეკარის თანამდებობამ პრ. დიდებულიძის დედასაც ასევე სულზე მიუსწრო. იგი ქალაქში გაიზარდა და მიწაზე მუშაობას მიუჩვეველი იყო. მართალია, სანაკლიოში ეზო კი ჰქონდათ, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ეზოს ძირითადად მამა უვლიდა, და მეორეც, სად საკუთარი ბოსტნის მოვლა და სად კოლექტივის ყანაში ქანცგამწყვეტი მუშაობა!

შესაძლოა, ყოველივე ეს გაზვიადებად მოგვეჩვენოს: მართლაცდა ჩვენებრ გულმავიწყი ხალხისთვის ადვილი არ არის იმის გახსენება, თუ რატომ იყო ბიბლიოთეკარის თანამდებობა ასეთი მიუწვდომელი იქ, სადაც ორთავ მხარის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ინტერესთა დამთხვევა, თუმც სასურველი ყოველთვისაა, გადამწყვეტი იშვიათადაა. გადამწყვეტი პოლიტიკური ხაზია, რომელიც ამჯერად უშუალოდ ბიბლიოთეკაში, ზედ ინტერესთა დამთხვევის ეპიცენტრში, შეიძლება ითქვას, წიგნებსა და წიგნებს შუა გადიოდა. პრ. დიდებულიძის დედას უმაღლესი განათლება ჰქონდა. მართალია, თავისთავად განათლება საეჭვო ნიშან-თვისებათა ძირითად ნუსხაში არ შედიოდა, მაგრამ აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ ქმარი დაჭერილი ჰყავდა, რაც მის განათლებას ავტომატურად ანიჭებდა მავნებლურ ხასიათს; ასეთ ვითარებაში ბიბლიოთეკარის თანამდებობა მისწრებად კი არა, რატომ ღვთის წყალობად არ მოგეჩვენებოდა!

ბიბლიოთეკა სკოლის შენობაში იყო მოთავსებული და სოფელში მას „სკოლის ბიბლიოთეკად" მოიხსენიებდნენ, თუმცა იურიდიულად სოფსაბჭოს ეკუთვნოდა და მთელი სოფლის სამსახურში იდგა. მართალია, სოფელს მაშინ სულ არ ებიბლიოთეკებოდა ან, თუ ებიბლიოთეკებოდა, ამ სურვილს შეგნებულად და წინდახედულად თოკავდა, ვინაიდან წიგნი, თავისი ორაზროვანი ბუნების გამო პოლიტიკურად ისედაც ყოველთვის საშიში, იმ ფიცხ დროში მომეტებულად საშიში იყო, მაგრამ საზოგადოდ ბიბლიოთეკა მაინც საჭიროა და ნებისმიერ დროში საჭიროა; მეტიც: თუ გარკვეული იდეოლოგიური პირობები შესრულდება, მით უფრო საჭიროა, რაც უფრო ფიცხია დრო და რაც უფრო საშიშია წიგნი.

სკოლის დირექტორი – კანდიდატურის მოძიება მას ჰქონდა დავალებული პრ. დიდებულიძის დედას წინდაწინ მოელაპარაკა და, მადლიერებით გაჯერებული თანხმობა რომ მიიღო, საკითხი სოფსაბჭოს თავმჯდომარის წინაშე დააყენა, რომელმაც, თავის მხრივ, კანდიდატურა რაიონის განათლების განყოფილებას წარუდგინა. რაიონის განათლების განყოფილებამ მას შემდეგ, რაც აუცილებელი მონაცემები რიგ ინსტანციებს შეუთანხმა, წარმოდგენილი კანდიდატურა დაამტკიცა და, თუკი ამგვარი განსაზღვრა რამდენადმე მაინც მიესადაგება ვითარებას, ცხოვრება მაღლითში რიგიანად აეწყო.

სანაკლიო – ზემოთაც მოგახსენეთ – პრ. დიდებულიძეს მტკივნეულად, მაგრამ სწრაფად ამოუვარდა მეხსიერებიდან და მისი ადგილი მაღლითმა დაიკავა. დაიკავა წყნარად, უხმაუროდ, ძალდაუტანებლად, თითქოს ამოხაპული წყარო ხელახლა აივსო წყლით.

სახელად, ბუნებრივია, პრომეთეოსს ეძახდნენ; თუმცა სიტყვა „ბუნებრივი" ამ კონტექსტში მგონი ცოტა ირონიულად ჟღერს. მართლაც, ერთის მხრივ, რაკი პრომეთეოსი გქვია, იმაზე ბუნებრივი რა უნდა იყოს, პრომეთეოსი დაგიძახონ, მაგრამ მეორე მხრივ, თუ პრომეთეოსს ისეთი კილოთი და ისეთი დაჟინებით გეძახიან, როგორც პრ. დიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულიძეს ეძახდნენ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, პრომეთეოსს კი არ გეძახიან, უბრალოდ, იმ კომიკურ გარემოებას უსვამენ ხაზს, რომ პრომეთეოსი გქვია. მაგრამ დრო მიდიოდა, ხოლო დროს ჩვევადა აქვს, როცა მიდის, თან მრავალი უსიამოვნო შთაბეჭდილება წაიძღვანიოს.

პირველი ორი თვის განმავლობაში პრ. დიდებულიძეს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა თითქმის არა ჰქონია. პირველ თვეს თავის ახალ კარმიდამოს საერთოდ არ გასცდენია; დღე ეზოში იყო, ღამე - სახლში; ამიტომ მომიჯნავე მეზობლების მეტი არც არავინ უნახავს. მომდევნო თვე ძირითადად ბიბლიოთეკაში გაატარა. ვიდრე უშუალო მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, დედამ იქაურობა კარგად დაასუფთავა და პირველ ხანებში, ვიდრე სოფელთან ჯერ კიდევ უცხოდ იყვნენ, სამსახურში რომ მიდიოდა, შვილიც თან მიჰყავდა. დილით წაიყვანდა, საღამოს წამოიყვანდა, სამაგიეროდ, ორი თვის თავზე გამაღლითელების პროცესი პრ. დიდებულიძეს უკვე ძალზე სწრაფი ტემპით დაეწყო და ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ადგილობრივ წვრილფეხათა ნახევრადშიშველი (და, პირდაპირ ვთქვათ, ნახევრადველური) გუნდის სრულუფლებიანი წევრი, მთელი დღეები მინდვრებს, ტყეებსა და ღელედიდის ვიწრო ხეობას იყო მოდებული.

თუმცა ზომიერების რაშმა ცოტა მგონი თავი წამართვა. ყოველ შემთხვევაში, „მთელი დღეები“ მეტისმეტია. სინამდვილეში პრ. დიდებულიძეს პატარაობაშივე - არსებითად, მაღლითში ჩამოსვლისთანავე - მოუხდა იმ უსიამოვნო (და უკუნითი უკუნისამდე უსიამოვნო) ფერხულში ჩაბმა, რომელსაც შრომას ვეძახით და ზოგჯერ ფარისევლურ ოდებს ვუძღვნით.

ერთი სიტყვით, თუ მთელ დღეებს არა, მთელ თავისუფალ დროს კი თანატოლებთან ატარებდა.

„პრომეთეოსს“ კვლავინდებურად ნაირნაირი კილოთი და ნაირ-ნაირი ინტონაციური შეფერილობით ეძახდნენ, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ამ მიმართვაში სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად ერია ის ბალღამი, თავის დროზე რომ ესოდენ მწარე ტკივილსა და მძაფრ რეაქციას იწვევდა.

მდინარე ღელედიდი ორ მოზრდილ ფერდობს შუა მიედინებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ფერდობები ტყუპებივით გვანდნენ ერთმანეთს და ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ ერთი აღმოსავლეთით იდგა, დასავლეთს გასცქეროდა და, ამიტომ საღამოს მზე ეცემოდა, ხოლო მეორე დასავლეთით იდგა, აღმოსავლეთს გასცქეროდა და, შესაბამისად, აღმოსავლეთის მზე ეცემოდა; რაც შეეხება სამხრეთის მზეს - ყველაზე მცხუნვარეს, ყველაზე კაშკაშასა და ყველაზე დემოკრატიულს - იგი ორთავ ფერდობს თანაბრად ანათებდა და თანაბრად ათბობდა. გზაც, სოფლის შედარებით ფართო და მოდერნისტული სამკაული, რომელიც ტანჯვით მიიკლაკნებოდა ცივილიზაციის მიმართულებით, თანაბრად იყო განაწილებული ორივე ფერდობზე, ისე რომ, ღელედიდს ხან მარჯვენა ნაპირზე გასდევდა, ხან მარცხენაზე.

თავად სოფელი ფერდობების ქვედა კალთაზე, მდინარის გასწვრივ იყო გაშენებული. ცოტა ზემოთ კოლექტივის ყანები იყო, ყანებს ზემოთ - ტყეები. ტყეები უღრანი იყო, დაბურული, თითქმის გაუვალი, და ფერდობებს ისე ემხო, მოტვლეპილ თავებს რომ კრაველის წვეტიანი ფაფახები ჩამოამხო. ხოლო ფერდობების გადაღმა მხარეს, როგორც ტუჩზე თითის მიდებით, მონიავე ჩურჩულითა და ფარული სიამაყით გაგანდობდნენ აქაური ნაციონალისტები (ოღონდ გაგანდობდნენ უეჭველად და ამას ვერსად გაექცეოდით), უძვირფასესი, უმდიდრესი და უიშვიათესი რამ საბადოები ყოფილა, მაგრამ სოფელი მათს ადგილსამყოფელს საიდუმლოდ ინახავდა იმ იმედით, რომ კომუნისტები ადრე თუ გვიან წავიდოდნენ და ეროვნული საუნჯე ინტერნაციონალურ განიავებას გადაურჩებოდა (ამ უცნაურ მოვლენას პრ. დიდებულიძე მოგვიანებით (ჟამი რომ მოიწევა) თავის გულში ასე ხსნის: „როცა ძალადობა სისტემად ჩამოყალიბდება და ეპოქას იმედის უკანასკნელ ფესვებს გადაუჭრის, რეალური ცხოვრება იძულებული ხდება ილუზიაში გაიხსნას და თავი შემოქმედებით გაიტანოს...)

პრ. დიდებულიძისა და დედამისის პაწაწინა სახლი - ამ ინფორმაციას მხოლოდ ისტორიული და გეოგრაფიული მნიშვნელობა აქვს - აღმოსავლეთ ფერდობზე იდგა, სოფლის ზედა ბოლოში.

პრ. დიდებულიძის დედა ექიმი იყო და არა ბიბლიოთეკარი, და თუმცა გაჭირვებაში ექიმი უფრო გამოსადეგია, შესაფერის სამს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახურს - თუნდაც გარემოებანი ათასჯერ უკეთესად დამთხვეოდა ერთმანეთს - ალბათ მაინც ვერ იშოვიდა: მაღლითში სამედიცინო დაწესებულება საერთოდ არ არსებობდა, ხოლო მთისძირის პატარა „პუნქტში" ორად ორი შტატი ჰქონდათ - ერთი ექიმისა და ერთიც ექთნისა - და ორივე დაკავებული იყო. რომც არ ყოფილიყო დაკავებული, ძალზე საეჭვოა იქ პრ. დიდებულიძის დედა დაენიშნათ. თავად განსაჯეთ: მავნებლის ცოლი რომ შესაფერის თანამდებობაზე დანიშნო, პატიოსან მშრომელებს რაღა პასუხი უნდა მისცე?! დედას არც ჰქონია ასეთი არარეალისტური პრეტენზია, სამაგიეროდ ბიბლიოთეკას საავადმყოფოსავით უვლიდა და იქ მუდამ თეთრი ხალათი ეცვა. ეს თეთრი ხალათი დროდადრო წარსულის მოგონებებს ულვიძებდა და ღრმა სევდასთან ერთად მცირეოდენ სიხარულსაც ანიჭებდა, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ასეთი სიხარული მოგონების, ვითარცა ფორმის, თვისებაა და შინაარსთან საერთო არა აქვს რა. სხვათა შორის, თეთრი ხალათი ზოგჯერ - ანაზდეულად, წამიერად და უმიზეზოდ - პრ. დიდებულიძესაც აღუძრავდა ხოლმე მძაფრსა და გაუგებარ, ამაფორიაქებელ, შეიძლება ითქვას, შემატორტმანებელ გრძნობას, რომლის რაობა და წარმომშობი მიზეზები დიდხანს - ვიდრე იმ უცხო საუნჯეს დაეუფლებოდა, რაც იმხანად მაღლითში უხვად ჩამოიღვარა, მაგრამ მაღლითელთა თვალთაგან დაფარული აღმოჩნდა - ვერ ამოიცნო.

ხოლო აწ უკვე მოიწია ჟამი, დაფარული იგი საუნჯე გაცხადდეს.

ატმოსფერო - ჩემი თუ არ გჯერათ, ზიარებულთ ჰკითხეთ - სქელი, პირშეკრული და პრიალა გარსია, რომლის მრავალ ამოცანათა შორის ერთი უპირველესი ისაა, რომ დედა-პლანეტა ჩვენი - სათუთი, თონთლო და პრინციპულად უმწიფარი - ინფორმაციული აფეთქებისგან დაიცვას. ატმოსფერო ამ საპატიო მოვალეობას წარმატებით ართმევს თავს: დაუღალავად ისხლეტს რა სიგნალების ხოშკაკალას, მხოლოდ ძალზე იშვიათად, ძალზე ფრთხილად, ძალზე მომჭირნედ, სულ წვეთ-წვეთად და მისხალ-მისხალ, მაქსიმალურად გამარტივებული სახითა და უმცირესი დოზებით, რათა კავშირის ფაქიზი რეცეპტორები არ გადაგვეწვას, უშვებს ინფორმაციას თავისი ეფემერული სარკმლის ვიწრო პორებიდან. ეს უმკაცრესი წესია, რომელსაც თავისი უმკაცრესი გამონაკლისი აქვს: ათასში ერთხელ (ასე ითქმის, თორემ სინამდვილეში ალბათ ათი ათასში ან ასი ათასში ერთხელ) ატმოსფერო წამით მთლიანად, ყურთამდე აღებს იდუმალ სარკმელს, როგორც ფოტოგრაფი დიაფრაგმას, და ერთბაშად და დაუბრკოლებლად შემოვარდნილი დიდი ინფორმაციული ნათება ლოკალურ გადახურებას იწვევს. სწორედ ეს არის - ალბათ დაგაინტერესებთ - მიზეზი და წინაპირობა გენიოსებისა და ზოგიერთი ტიპის გიჟების დაბადებისა, რაც ეტყობა ევოლუციის პროგრამითაა გათვალისწინებული. ეს მისტერია კანონზომიერებათა რაიმე ცნობილ სისტემაში ვერ თავსდება. ამიტომ არავინ იცის, როდის და სად გაიღება სარკმელი. აქედან გამომდინარე, ცხადია, ვერც იმას იწინასწარმეტყველებდა ვინმე, ამ ჩვენი ქუში საუკუნის ოცდაათიან წლებში თუ უცნობი მიზეზ-შედეგობრიობა, ბედი ან სხვა სახეობის რამ ნება (ბოროტი, კეთილი, ნეიტრალური) მაინცდამაინც იმ ABC მონაკვეთზე გააღებდა ატმოსფეროს საიდუმლო სარკმელს, რომელიც სოფ. მაღლითის წილად მოდიოდა და, გეოგრაფიული თვალთახედვით, მის კუთვნილ საჰაერო სივრცეს წარმოადგენდა. არადა, ფაქტი ფაქტია. მაღლითის თავზე ზეცა დიდი ხანია თხელდებოდა, თხელდებოდა, თხელდებოდა და ბოლოს იმ ზომამდე გაილია, რომ, აჰა, ერთ მშვენიერ დღეს წარმოსახვითი ფანჯრიდან ნაჭუჭმილღურმა ჭეშმარიტებამ გადმოალაჯა და თვალების ხამხამით მიზიდულობის მეწყვილეს დაუწყო ძებნა. და აი, აქ მოხდა სამწუხარო (დაბეჯითებით არავინ იცის, რატომაა ეს სამწუხარო) გაუგებრობა: მთელი ანტიკური ფილოსოფიის თავმოსაჭრელად, მსგავსმა მსგავსი ვერ იპოვა. მაღლითში კაცი არ მოიძებნა, კარს მომდგარი იდუმალი ცოდნა - ათვისებასა და შესისხლხორცებას ვინ ჩივის - უბრალოდ, მიეღო და დავთარში შეეტანა. არადა, საცა მიმღები არ არის, იქ გადამცემი ფუჭი და უმაქნისია: ორბუნებოვან სისტემაში პარტნიორის გარეშე აქტი ვერ ხორციელდება. მეორე მხრივ, სრულიად აშკარა იყო, რომ მაღლითში რაღაც-რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი - მაინც ხდებოდა. ამგვარი წანამძღვრებიდან კი ბუნებრივად მარტივად და მკაცრად გამოდის ფეთქებადი დასკვნა, რომ ხსენებული „რაღაც" ერთსა და იმავ დროს ხდებოდა კიდეც

და არცა ხდებოდა. ხოლო თუ ამ თვალისმომჭრელ ბურუსში განმაზოგადებელ ნაბიჯსაც გადავდგამთ და მიღებული დასკვნიდან საკუთარ სახელ „მაღლითს“ - ვითარცა კერძო შემთხვევას ამოვიღებთ, სრულიად მოულოდნელად და სულ სხვა მხრიდან მივადგებით კვანტური მექანიკის ძირითად კანონს - იყო და არა იყო რა. ეს კი იმისთანა ქვეშქვეშა კანონია, ყველა წინამორბედ კანონს გააუქმებს, მარადიულ საზომებს წყალს გაატანს, ფორმალურ ლოგიკას დილის ნისლივით გაფანტავს, ხოლო ჩვენ - ქურუმებს - ფარული აუცილებლობით მიგვიყვანს სახიფათო ვარაუდთან: პრ. დიდებულიძე რომ სწორედ იმ ხანად წავიდა მაღლითს, ეგებ ეთერულ პორთფელში ბედისწერის მიერ გაცემული მივლინების ბარათი ედო! ეგებ ზეგარდმო დავალებით წავიდა, რათა იქ უმეცარ აბორიგენებს ჩანაცვლებოდა. ჩანაცვლებოდა არა იმიტომ, რომ მაღლითის პრესტიჟი გადაერჩინა - მაღლითის პრესტიჟი ბედისწერას ნაკლებად ადარდებს - არამედ იმიტომ, რომ მოულოდნელი შეფერხება აღმოეფხვრა და გარე სიგნალების მიღება უზრუნველეყო. ხოლო პროლეტარი ქორქიკა, ისევე, როგორც დანარჩენი მოქმედი და ხელშემწყობი პირები, სხვა არა იყვნენ რა, თუ არა შრომის იარაღები ბედისწერის ხელში!

პრ. დიდებულიძის მაღლითური პერიოდი მართლაც გამოდგება ამ საჭოჭმანო ვარაუდის დასტურად, მაგრამ მეორე მხრივ, ფანტაზიის ესოდენ მოუთოკავი (ვინ იცის, გამომწვევიც) პარპაში მკითხველთა ჯანსაღი უმრავლესობის თვალში უხერხულიცაა და სარისკოც, ხოლო რაკი ჯანსაღი მკითხველი რეალისტი მწერლის მთავარი ორიენტირია (ყოველ შემთხვევაში, შემოსავლის მთავარი წყარო), მგონი ის მიჯობს, ახლავ დავიწმინდო ფეხები და ამ ოკრობოკრო ბილიკიდან, რომელიც კაცმა არ იცის სად მიდის, დროულად და საღ-სალამათი გამოვიდე მოასფალტებულ და განათებულ გზატკეცილზე.

ალბათ, ასეც ვიზამ.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც რომ ახალ სამკვიდრებელს კარგად მიეჩვია და თავი შინაურად დაიგულა, პრ. დიდებულიძემ ფეხსაცმელები გაიხადა, წინდები გაიხადა, ბლუზა გაიხადა, მაისური გაიხადა, ცოტნე დადიანისგან განსხვავებით შარვალიც გაიხადა და ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ვიდრე მზეს ჯერ კიდევ დიდი, ცხელი და ოქროსფერი ეთქმოდა, ადგილობრივი ალქაჯების წახედვით, ტრუსების ამარა დაშლიგინობდა აღმა-დაღმა; მხოლოდ სადღაც შუა ნოემბერში, როცა დაღლილი და გაცრეცილი მზე ცათა სიღრმეებში შეიყუჟებოდა, ხოლო ყვითლად დანაღვლიანებულ არე-მიდამოს გამჭვირვალე ჭირხლი ისე გადაეკვროდა, როგორც ცელოფანის დამცავი ბუდე მდიდარი მეზობლის ძვირფას სავარძლებს, ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილ ისევ იწყებდა შემოსვას, ასეთი ცხოვრება ეგებ ზოგს არც მოეწონოს (თავიდან დედამისიც ბევრს შფოთავდა), მაგრამ სწორედ ასეთი ცხოვრების წყალობა იყო, რომ ვიდრე მაღლითიდან საბოლოოდ წავიდოდა - პაწაწინა ყურცქვიტებზე არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას და - ორ პირველხარისხოვან კურდღელს, კურდღელს ჯანმრთელობისას და კურდღელს მომჭირნეობისას, ერთდროულად იჭერდა!

ასე გავიდა ორი წელიწადი. თუ სახელ პრომეთეოსთან დაკავშირებულ ქულებსა და ფთილებს არ ჩავთვლით, ამ ორი წლის განმავლობაში მაღლითის ცაზე ღირსსახსოვარი რამ საავდრე ღრუბელი არ გამოჩენილა.

ასეთ ვითარებაში ერთადერთი სერიოზული პრობლემა - პრობლემა თავის გატანისა - დედა-შვილმა დამაკმაყოფილებლად, ყოველ შემთხვევაში, მინიმალურად დამაკმაყოფილებელ დონეზე, გადაჭრა.

საკარმიდამო ნაკვეთი პატარა ჰქონდათ, მაგრამ არც ოჯახი იყო დიდი. გარდა ამისა, მეზობლების რჩევითა და ხელშეწყობით მალე ერთი მეწველი თხაც გაიჩინეს. თუმცა თხა ძროხა არ არის - და ეს ანბანური ჭეშმარიტება თხამაც ხამს იცოდეს და ძროხამაც - დასამალი არც ისაა, რომ ცუდ ძროხას ზოგჯერ კარგი თხა სჯობს. რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ თხას (კონკრეტულს, შავსა და რქაგრეხილს), იგი, მართალია, ვარსკვლავებს არ ეთამაშებოდა (თხას ეს არც მოეთხოვება), მაგრამ თუ ნოყიერ ბალახს არ მოაკლებდი, იმდენს იწველიდა, რომ ორი სულის სამყოფი რძეც ყოფილიყო სახლში, ყველიცა და ნაღულიც. თხის მოვლა პრ. დიდებულიძის ვალი იყო და ისიც, რაკი ყველიც ძალიან უყვარდა და ნაღულიც, ამ ვალს თხისა და ოჯახის წინაშე პირნათლად იხდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წლის შემდეგ დოლაბი კვლავ დატრიალდა. და როგორც ადრე - ოცდაჩვიდმეტში - ახლაც უკუღმა დატრიალდა. შეირხა, შეტორტმანდა, არაყრაყდა და ნელ-ნელა წავიდა უკან. თავიდან ზანტად მოძრაობდა, გეგონებოდათ, რომ მოვიწადინო, ხელით გავაჩერებო. ეს შთაბეჭდილება თუმც კი თავის მოსატყუებლად ვარგოდა და ამ დანიშნულებით ერთი ხანობა პრ. დიდებულიძეც ნაყოფიერად იყენებდა, რაღა თქმა უნდა, მცდარი იყო: ბედის დოლაბს რომ ძალა აბრუნებს, ის ძალა F-ით არ აღინიშნება, მათემატიკური ფორმულით არ გამოისახება და სხვა ძალთა ზემოქმედებას არ ემორჩილება. ასეთი ძალით დატრიალებულ დოლაბს, სანამ თვითონ არ გაჩერდება, ვერაფერი გააჩერებს.

ორმოცდაერთის მაისში - ალუჩა უკვე სიმწიფეში იყო შესული - პრ. დიდებულიძის დედა გამოიძახეს.

პრ. დიდებულიძის დედა სოფსაბჭოში გამოიძახეს, რათა ეცნობებინათ, სანაკლიოში ხარ გამოძახებულიო. სოფსაბჭო მთისძირში მდებარეობდა და დედა იქიდან გაფითრებული დაბრუნდა. პრ. დიდებულიძეს ეგებ ამისთვის არც მიექცია ყურადღება, ვინაიდან იმ დღეს ღელედიდის პაწია შენაკადში საკუთარი ხელით დაიჭირა ერთი ცალი ცხრაფეხა, რაც ისეთი წარმატება იყო, დღის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა დაეჩრდილა, მაგრამ დედის არაბუნებრივ ფერს ერთი არაბუნებრივი გარემოებაც დაერთო: საღამოს სკოლის დირექტორი ესტუმრათ. სხვა დროს ასეთი რამ არ მომხდარა. ბიბლიოთეკაში, რაც მართალია მართალია, კი იცოდა შესვლა ჟამიდან ჟამზე; ყურდაცქვეტილთა და გადარაჯებულთა გულის გასახარად არც იმას დავმალავთ, რომ უკანასკნელ ხანებში ამას ცოტა უფრო ხშირად სჩადიოდა, ვიდრე მაღლითური ეთიკით იყო ნებადართული, მაგრამ ვინც ამ უწყინარ სისუსტეს ხელზე დაიხვევს და უგვანი ვარაუდების აგებას მოჰყვება, ის ჭორიკანაა და ბეწვის ხიდზე მიაბიჯებს, რომლის ქვეშ ცოდვის მდინარე გადის. მართლაცდა, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ მუხრუჭზე, როგორიც იყო ასაკი, ან ისეთ მუხრუჭთმუხრუჭზე, როგორიც იყო თანამეცხედრე, ხსენებულ დირექტორს ისედაც არ ეწეოდა ხოლმე მაინცდამაინც გული ბანოვანთა საბუდარებისაკენ, და თუ ოდესმე გაუწევია (ერთხელ, ალბათ, ან, დიდი-დიდი ორჯერ), ეს ისეთი ნატიფი და არამიწიერი გაწევა ყოფილა, რომელსაც მაღლითელების დურდო სული ვერაფერს გაუგებდა. ახლაც, ბიბლიოთეკაში რომ დაიარებოდა, დიდ წილად სამსახურებრივი მოვალეობის გამო დაიარებოდა: სამწყსოს კონტროლი სჭირდება და მწყემსმა დროდადრო მისდამი დაქვემდებარებულ ყველა ფარეხში უნდა შეიხედოს. რაც შეეხება მცირე წილს, რომელიც მორცხვად ეფარება დიდ წილს, კერძოდ, სხვა ფარეხებში შეხედვას რომ ბიბლიოთეკაში შეხედვა ერჩივნა, მიზეზი ამ მისატევებელი სუბიექტივიზმისა, ვფიცავ ჰერკულესს, ამჯერადაც მაღალ-მაღალ სფეროებში იდო: წუთისოფლის ფლატეზე, როცა ფეხისგულები, შეიძლება ითქვას, უკვე გრძნობდნენ ფსკერის სიახლოვეს, როგორც იქნა, საშუალება მიეცა დროდადრო ანტიკურ კულტურაზე და, საერთოდ, მაღალ მატერიებზე ესაუბრა, რასაც აქაური უტუ და უწიგნური ხალხის გადამკიდე მთელი ცხოვრება დანატრებული იყო, და თუ კოლეგათა გაფაციცებული და თვალმოუხუჭავი ცნობისმოყვარეობის მიზეზით სულიერების ამ ანკარა წყაროს ისეთი თავდავიწყებით ვერ დაეწაფებოდა, როგორც მისი მარილოვანი წყურვილი მოითხოვდა, ორიოდ ყლუპს ხომ მაინც იგემებდა, და ასეთ მკვდარ უდაბნოში ორი ყლუპი წყალიც სიცოცხლის მთელი ოაზისია.

ბიბლიოთეკაში პრ. დიდებულიძეს ერთი-ორჯერ საკუთარი თვალითაც ენახა, მაგრამ სახლში კი, როგორც ითქვა, არასოდეს სწვევიათ. საზოგადოდ, მაღლითელთა მაშინდელი ფორმალური მორალი (მერე და მერე საზომები ცოტა დამოკლდა) მარტოხელა ქალის ოჯახში უცხო მამაკაცის სტუმრობას გადაჭრით გმობდა. ტაბუ, ცხადია, სკოლის დირექტორზეც ვრცელდებოდა.

ალბათ ამითაც უნდა აიხსნას, რომ დირექტორი შინ არ შესულა, გარეთ გამოიხმო დედა, ცოტა ხანს ელაპარაკა ეზოში და არც კი დამჯდარა, მალევე წავიდა. და თუ პრ. დიდებულიძე თვალმა არ მოატყუა, თუ დედასთან საუბრისას სკოლის დირექტორს ორგზის შეუთრთოლდა ულვაში (ულვაში იგი - თუმც ჭაღარა და ნაზამთრი მატყლივით ოდნავ შეყვითლებული - ფუმფულა იყო, გრძელი, ოპტიმისტური და მთელს გადმაგამოღმა მაღლითში სახელგანთქმული), სავარაუდოა, ამით კიდევ უფრო გაესვა ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მისი მოულოდნელი ვიზიტის იდუმალ მნიშვნელობას.

მეორე დღეს, როცა სანაკლიოს შესაბამის დაწესებულებაში აცნობეს, თბილისში ხარ გამოძახებულიო, დედა კიდევ უფრო დაღლილი და კიდევ უფრო გაფითრებული დაბრუნდა შინ.

თბილისში სამი დღე და ორი ღამე მოუვიანდა. ორშაბათს, დილაუთენია წასული, ოთხშაბათს, დაღამებულზე ჩამოვიდა.

წასვლის წინა დღეს მეზობლის ქალებს, ანეტასა და ლიზას, რომელთაც, ერთი ის უცნაურობა სჭირდათ, რომ ერთმანეთს უახლოეს ნათესავებად ერგებოდნენ, მაგრამ, კერძოდ, რა ნათესავებად ერგებოდნენ, ზუსტად ვერავინ ამბობდა, შეეხვეწა, თქვენი ჭირიმე, თბილისში ვარ ჩასასვლელი და მეცით პატივი, რომელსაც გეცლებათ ხვალინდელი ღამე ჩემსას გაათიეთ, ბავშვი მარტო მრჩება და მეშინია არაფერმა დამიზაფროსო.

ეს რომ პრ. დიდებულიძემ გაიგო, ითაკილა (გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა) და ისეთი სახე მიიღო, როგორიც უნდა მიიღოს მოზრდილმა ბიჭმა, რომელსაც ჯერ კიდევ პატარა ბიჭად თვლიან, თუმცა გულში (ესეც გაიხსენეთ) მადლობელი დარჩა, ვინაიდან სინამდვილეში არც ისე მამაცი იყო, როგორც რომ უნდოდა ყოფილიყო.

ორშაბათს, გაკვეთილების შემდეგ, დირექტორმა სამასწავლებლოში დაიბარა, რათა დაედგინა, დედამისი რომ თბილისში წავიდა, ღამე მარტო ხომ არ მოუწევდა დარჩენა. ამდაგვარი საკითხები დირექტორის კომპეტენციაში არ შედიოდა, მაგრამ რაკი არც პრ. დიდებულიძის კომპეტენციაში შედიოდა დირექტორის კომპეტენციის რევიზია, მორჩილად მიუგო, არა, მასწ., ანეტა ბიცოლა დარჩება ჩემთანო. ანეტა თუ ლიზაო, რატომღაც დაინტერესდა დირექტორი. ცხადია, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ანეტა დარჩებოდა თუ ლიზა. თავად პრ. დიდებულიძეს ცოტათი ლიზა ერჩივნა, ისე სულ ერთი იყო. ორივენი, ანეტაცა და ლიზაც, კოჭლი შალიკოს ცოლები იყვნენ. არ ვიცი, ეგებ კიდევაა ამ ჩვენს ცოდვიან ედემში ოჯახები, სადაც კაცებს ორ-ორი ცოლი ჰყავთ, მაგრამ იმას კი ვერ დავიჯერებ, რომელიმე მათგანი ორსავე ცოლს ისეთი გზნებით უყვარდეს, როგორც ანეტასა და ლიზას თავიანთი ჩაუხა შალიკო უყვარდათ, რამეთუ ანეტასა და ლიზას თავიანთი ჩაუხა შალიკო ისეთი გზნებით უყვარდათ, მაღლითელებს რომ შვიდი საოცრების ამბავი სცოდნოდათ, მერვედ ამას მიათვლიდნენ. ვერც ქრისტიანულმა მორალმა, ვერც პარტიულმა მორალმა, ვერც სხვა რომელიმე ფარისევლურმა მორალმა ამ ბადაგივით ტკბილსა და მაჭარივით მოშუშხუნე (აგრეთვე ბანგივით მათრობელა) სიყვარულს ვერაფერი დააკლო. ანეტასა და ლიზას მტკიცედ სწამდათ, რომ თავიანთ დაფეხვილ შალიკოს სიკვდილის მეტი ვერა ძალა ვერ დააშორებდა.

პრ. დიდებულიძის დედამ რომ სწორედ მათ თხოვა დახმარება, ეს ორი მიზეზის გამო ჩაიდინა, რომელთაგან ერთი უბრალო იყო, მეორე კი გადამწყვეტი. უბრალო ის იყო, რომ ანეტა და ლიზა სხვებზე ახლო ცხოვრობდნენ; გადამწყვეტი კი ის იყო, რომ ღამე რომელიმე მათგანი უეჭველად თავისუფალი იქნებოდა. იმ ღამეს ანეტა იყო თავისუფალი. დირექტორი რატომ დაეშვა ესოდენ წვრილმან ცნობისწადილამდე, ძნელი სათქმელია, ხოლო პრ. დიდებულიძემ რომ დარწმუნებით გაუმეორა, ანეტაო, ეს სავსებით გასაგებია: ბავშვებმა შალიკო ბიძიას განრიგი კარგად იცოდნენ.

დირექტორს აღარაფერი უთქვამს და თავის დაქნევით ანიშნა, შეგიძლია წახვიდეო. ეს კია - ამ დროს ცოტა შეჭირვებული გამომეტყველება ჰქონდა.

ისე, რაკი დედა ოთხშაბათამდე ვერ ჩამოვიდა, ერთი ღამის გათევა პატარა პრ. დიდებულიძესთან ლიზასაც მოუხდა, რომელიც ამ დროისთვის სტაციონარზე ანეტამ შეცვალა, მაგრამ ამჯერად წვრილმანებზე - რაგინდ პიკანტური იყოს - მართლა ნუ შევჩერდებით, იმას მივხედოთ, რაც მთავარია.

ოთხშაბათს, სამხრობის ჟამს - მზე ის იყო უკანასკნელ სხივებს კრეფდა და ჩასასვლელად ემზადებოდა - სკოლის დირექტორი ისევ გამოჩნდა. თავზე ლურჯი შლაპა ეხურა, ხელში საბიჯგელა ეჭირა და აღმართ-აღმართ ისე დაქიმაზებული მოალაჯებდა, აშკარა იყო, საშური და საგანგებო რაღაც მიზანი ამოძრავებდა. პრ. დიდებულიძემ ნახევრად მწიფე ბლის ჭამა შეწყვიტა და სულგანაბული მიაჩერდა. შეუთრთოლდებოდა თუ არ შეუთრთოლდებოდა პატ. დირექტორს ულვაში?

კითხვა უპასუხოდ დარჩა. იმ დროს, როდესაც სადირექტორო შიშისა და საყმაწვილო -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობისწადილის მდინარეები ერთმანეთს შეერთო და შიგანში ისეთი ქიმიური რეაქცია გამოიწვია, რომ რომელიღაც დაუდგენელმა ორგანომ ამჟავებული მაწონივით წინწკლების ყრა დაიწყო, დირექტორმა ამასწინანდელი მარშრუტი უეცრად შეცვალა და აიწონა-დაიწონა შალიკოს ეზოში შეუხვია.

ამ მოულოდნელმა გარემოებამ პრ. დიდებულიძე კალაპოტიდან ამოაგდო და ულევაშით წვრილმანი დაინტერესება ზოგადი და ყოვლისმომცველი ინტერესით შეუცვალა.

გასაკვირი აქ არაფერია. შალიკოს შვილები არ ჰყავდა. არც ანეტასგან, არც ლიზასგან და არც განსვენებული აგრიპინასგან, უბავშვებო ოჯახში ოსტატის სტუმრობამ კი შეუძლებელია შეგირდის ცნობისმოყვარეობის აუზში წყალი არ აალელვოს და არ აადგაფუნოს.

პრ. დიდებულიძე ღობის ძირას ჩასაფრდა, მაგრამ თვალთვალში სამი რამ უშლიდა ხელს: ერთი - ღობე მჭიდროდწნული იყო, მეორე - გადაღმა, შალიკოს მხარეს, ეზოს მთელ სიგრძეზე თხილის ბუჩქები გასდევდა, და მესამეც - კომშების პატარა კორომამდე, სადაც მასპინძლებმა სტუმარი მიიღეს, ათითხუთმეტი საჟენი იქნებოდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ბევრი ვერაფერი დაინახა და ბევრი ვერაფერი გაიგონა; არადა, თხილის ბუჩქები რომ ოდნავ გვერდზე გაწეულიყო, ღობეს ჭუჭრუტანები გაეფართოებინა და კომშებიც ცოტა ახლო მიჩოჩებულიყვნენ, მის მშიერ ცნობისმოყვარეობას პირში ისეთი ლუკმა ჩაუვარდებოდა, მგონი ყელზეც დასდგომოდა.

შალიკო ჰამაკში იწვა. ჰამაკი ორ ბებერ კომშს შუა იყო გაბმული. პირმოცინარე ცოლები აქეთ-იქით ისხდნენ ბალახში და ქმარს წყნარად და რიტმულად არწევდნენ; დირექტორის გამოჩენაზე ეს საქმიანობა შეწყვიტეს, რის გამოც შალიკომ თვალი გაახილა და წარბები კითხვის ნიშნებად შეჰყარა. მაშინ დირექტორი დამხდურთ შლაპის მოხდით მიესალმა და მერე, სალამი რომ მოათავა, შლაპამოხდილმა პატარა სიტყვა წარმოთქვა.

- ვიცი და დარწმუნებული ვარ, - ასე დაიწყო დირექტორმა, და თუმც ვერ დავიჩემებ, რომ სიტყვასიტყვით ასე დაიწყო, რაკი სიცოცხლის ნებისმიერ გამოვლენაში, მათ შორის მეტყველებაშიც, ადამიანი ყველა წვრილმანითა და ყველა დეტალით მჟღავნდება, ვფიქრობ, სწორედ ასე დაიწყებდა - ბიბლიოთეკარის ბავშვი რომ ღამე მარტო არ დამიტოვეთ და ამხელა დიდი მადლი ქენით, თავის დროზე ყველაფერი ორმაგად და მეტადაც მოგეზღვებათ, მაგრამ ზოგიერთი მიზეზის გამოისობით, რომელი მიზეზების დასახელებაც არ შეიძლება, ამჟამად ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ დღეის ამას იქეთ მაგ ოჯახთან ურთიერთობა საშიშია. არ იფიქრო, ჩემო შალიკო, რამეს გიშლი ან რჩევას გაძლევ, ო, არა. რასაც გეუბნები, მიტო გეუბნები, რომ ყველაფერი სისწორით იცოდე და, ვინცობისაა ჩემი ბიბლიოთეკარი არც დღეს დაბრუნდეს, გარემოებათა გათვალისწინებით გადაწყვიტო, ამაღამდელი ღამეც გაათევიო რომელიმე ოჯახობას - რომელსაც ეცლება, თავისთავად ცხადია - მაგ ბავშვთან თუ არა. ცოდნით უნდა გადაწყდეს ეს საფრთხილო საკითხი, რომ უცოდინარობით იმისთანა ფათერაკი არ შეიმთხვიო, მერე სანანებელი გაგიხდეს. პირადად მე, მაგალითად, გადაწყვეტილი მაქვს დავწერო დახასიათება, როგორც სინდისი და ობიექტურობა მიკარნახებს.

დირექტორის ეს უკანასკნელი აზრი, ალბათ, ბუნდოვანია და თუ არ განემარტე, შეიძლება გაუგებარი დარჩეს. საქმე ის გახლავთ, რომ, როცა პრ. დიდებულიძის დედა თბილისში გამოიძახეს, ეს დირექტორი სოფსაბჭოში გამოიძახეს და დავალება მისცეს, სამი დღის ვადაში რაიაღმასკომში ბიბლიოთეკარის დახასიათება წარედგინა, თან გადაკრულ-გადაკრულად და ჩაქარაგმებაჩაქარაგმებით აუხსნეს, თუ რისთვის შეიქმნა საჭირო ამგვარი დახასიათება და როგორი უნდა ყოფილიყო მისი ზოგადი პათოსი და კონკრეტული შინაარსი.

ოთხშაბათ ღამეს პრ. დიდებულიძის დედა ჩამოვიდა და შალიკოს ოჯახი მძიმე არჩევანისგან გაათავისუფლა. ხუთშაბათს პრ. დიდებულიძემ პირველად გაიგონა ეპოქის უსაშიშრესი სიტყვა „უშიშროება". პარასკევს სკოლის დირექტორმა ჰალსტუხი შეიბა და ბიბლიოთეკარის დახასიათება რაიაღმასკომში წაიღო. ოღონდ ქაღილი, რომელიც კოჭლი შალიკოსა და მისი მეუღლეების წინაშე წარმოთქვა, მხოლოდ სანახევროდ შეასრულა. კერძოდ, დახასიათება მართლა ისე კი დაწერა, როგორც სინდისმა უკარნახა, მაგრამ - ალბათ სწორედ ამის გამო - ობიექტურობის წინაშე მცირედ შესცოდა, ყოველ

შემთხვევაში, ფაქტია, რომ დახასიათება ზედმეტად ლიტერატურული გამოუვიდა და შიგ ორჯერ - ორჯერვე უადგილოდ - ნახსენები იყო ბერძნული სახელი „ათინა“. განათლების განყოფილების გაძვალტყავებულმა გამგემ, როდესაც ყოველივე ეს იდუმალი ბლუკუნითა და ულრმესი შეძრწუნებით წაიკითხა, თვალები დაპრაწა, ვაგლახად დაბჩენილი პირი შიგნიდან ენით ამოქოლა, ხელები ისე შეჰყარა, „ალაპყროს“ თქმა ცოდვა იქნება, და დირექტორს შეშლილი ინტერესით მიაშტერდა. მცირე ხანს რომ ასე უცქირა, მერე გამლილი ენა დაავიწროვა და სახის უკან გადამალა, პირიც დამუწა, დირექტორს უხმოდ ანიშნა, აქ დამელოდეო, თავისი კაბინეტიდან გავიდა და ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტისკენ გასწია; დახასიათებაც თან გაიყოლა (უნდა ითქვას, განათლების განყოფილების გამგეს დახასიათება ისეთი ზიზღითა და სიფრთხილით მიჰქონდა ალმასკომის თავმჯდომარისთვის, გეგონებოდათ, ღამის ქოთანი მიაქვსო). რამდენიმე წუთის შემდეგ დირექტორიც თავმჯდომარესთან შეიყვანეს და თავმჯდომარემ, რომელიც ისეთი გაპიწკინებული იყო, ისეთი გაქათქათებული, ისეთი ჰაეროვანი და ისეთი ეთერზეთოვანი, რომ ჩვენს საბრალო დირექტორს სიტყვა „საბრალოს“ დალევა ბოლო წვეთამდე მოუხდა, რბილად ურჩია, დახასიათება თავიდან დაწერეო; დირექტორმა რომ უარი უთხრა, ისევ ისე რბილად დაამატა, სანამ გვიან არ არისო; დირექტორმა რომ მაინც უარი უთხრა (?!.) თავი გაუგებრად გადაიქნია და ოხვრით თქვა, კარგი, კარგი, წადი, თავისუფალი ხარო.

ამის შემდეგ პრ. დიდებულიძის დედა კიდევ ერთხელ გამოიძახეს თბილისში (სტაციონარზე იმ ღამეს ანეტას უწევდა მორიგეობა და პრ. დიდებულიძესთან ლიზა დარჩა. რაც შეეხება გაფრთხილებას, რომელიც სკოლის დირექტორმა ეგზომ წინდახედულად დაკიდა მათი ოჯახის თავზე, იგი არავის გახსენებია და, საერთოდ, - ოდესმე ხომ უნდა ითქვას სიმართლე - მაღლითში მავნებელთა და არამავნებელთა ოჯახებს ისე კარგად ვერ არჩევდნენ ერთმანეთისგან, როგორც ეს უფრო ცივილიზებულ დასახლებებში ხდებოდა).

დიახ, პრ. დიდებულიძის დედა კიდევ ერთხელ - უკანასკნელად - გამოიძახეს და თავი დაანებეს. ასე, რომ გადარჩა. მართალია, ეს იყო არა აბსოლუტური გადარჩენა, არამედ გადარჩენა მხოლოდ იმ შეფარდებითი მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც მაშინ ამ სიტყვაში დებდნენ, მაგრამ მაშინ ღმერთსაც ამგვარი შეფარდებითი გადარჩენისთვის სწირავდნენ მადლს და ბედნიერებაც ამგვარ შეფარდებით გადარჩენას ერქვა, თორემ ცოტა უფრო გვიანდელი საზომით ერთი ოჯახისთვის ისიც დიდი უბედურება იქნებოდა, რაც ამ ამბავს თითქოსდა უმნიშვნელო კვალად დარჩა. მართლაც, ორი კვირის შემდეგ, როცა მაღლითის სკოლის ულვაშიანი დირექტორი პენსიაზე გაუშვეს, ახალმა დირექტორმა - ენერგიულმა, მაგრამ უულვაშომ - თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ბიბლიოთეკარი სამსახურიდან დაითხოვა, როგორც „პროფილით შეუფერებელი“.

იმასთან შედარებით, რაც პრ. დიდებულიძის დედამ იმ ხანებში გადაიტანა, და იმასთან შედარებით, რისი გადატანაც მოუხდებოდა, სკოლის დირექტორი რომ ეგზომ იდეალისტი და რომანტიკოსი არ გამომდგარიყო, სამსახურის დაკარგვა მართლა არაფერია. მიუხედავად ამისა, თუ ვილაპარაკებთ არა თეორიული შედარებებით, არამედ რეალურ გარემოებათა გათვალისწინებით, ფიზიკურ შრომას უჩვევ ქალს ამგვარი გადარჩენა მრავალ უსიამოვნებასა და მრავალ სატანჯველს, პერიოდულად კი, ალბათ, სრულ უსასოობასაც, უქადდა. როცა ეს გარდუვალი შედეგი ხელშესახები შეიქნა და პირველი მწარე ცრემლიც დაიღვარა, გრძნობა და თავმოყვარეობამორეულმა პრ. დიდებულიძემ გადაწყვიტა ოჯახის სადავეები საკუთარ ხელში აეღო. ამის საფუძველს მისი ვარაუდით ის გარემოება იძლეოდა, რომ ბავშვი აღარ იყო. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება - თავისთავად უდავოდ მამაცური და ღირსმოსახსენიებელი - შეუსრულებელი დარჩა, ვინაიდან ვარაუდი სინამდვილეს არ დაემთხვა, და სადავეები ისევ დედის ხელთ დარჩა. დედამ მკლავები დაიკაპიწა, ძალღონე მოიკრიბა და იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც პროლეტარ ქორქიკას დიადმა რევოლუციამ მოიტანა, კოლწევრი და მიწისმუშა გახდა. ამის შემდეგ, ვიდრე მთისძირში საავადმყოფოს მშენებლობა დამთავრდებოდა, ყოველ დილით, ბრიგადირის დაძახილზე, თოხით ხელში გადიოდა სახლიდან და მაღლითის დაკიდებულ ყანებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადაც არათუ თოხნა, ფეხის მოკიდებაც კი ჭირდა, დაბინდებამდე თავაუღებლად მუშაობდა. მისი წვალების შემხედვარე მაღლითელებს ლაყე და დუბელა თანაგრძნობა ერთი შემოპარვა კი შემოეპარათ გულში, მაგრამ მალევე განდევნეს და ეს დიდად არ გასჭირვებიათ, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ თოხით დაბადებულებსა და სათოხარში ჭიპმოჭრილებს სული ჯანმრთელი ჰქონდათ, ამგვარი საშიში სენის მოსაშორებლად ისეთი უებარი წამალიც იცოდნენ, როგორიცაა უწყინარი და ხალისიანი დაცინვა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ქალები (მხოლოდ ქალები. მაღლითი უძველესი ტრადიციებით ცხოვრობდა) გატაცებით, კომიკურად და ცივილიზაციას მოწყვეტილი სოფლის კვალობაზე საკმაო არტისტულობით წარმოადგენდნენ, როგორ მოაბიჯებდა ხოლმე დილაადრიან პრ. დიდებულიძის განათლებული დედა მხარზე გადებული თოხით, რა გაჭირვებით ადიოდა აღმართებს და როგორ უცურავდა ფეხი თავდაღმართში, რა ვაი-ვაგლახით ინარჩუნებდა წონასწორობას ციცაბოდ დაკიდებულ ყანაში, რა პანიკურად იყო დარწმუნებული, რომ თოხს კოჭში მოირტყამდა, როგორ იწმენდდა სიმწრისა და დაღლილობის ოფლს და რა უიმედოდ გახედავდა დროდადრო სერელს, რომლის ბოლო ძლივს მოჩანდა სადღაც, ფერდობის თავზე. ყოველივე ეს ბრიგადის წევრებში თავშეუკავებელსა და ჯანსაღ სიცილს იწვევდა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებასაც ხელს უწყობდა.

რაც შეეხება საავადმყოფოს, მთისძირში საავადმყოფოს მშენებლობა, მართალია, ოცდათერამეტში დაიწყო, მაგრამ ომის გამო ერთხანს შეფერხდა და მხოლოდ ორმოცდასამის ბოლოს, სწორედ ოცდათერთმეტ დეკემბერს, დასრულდა.

მანამ – თითქმის სამი წლის მანძილზე – დედა კოლექტივში მუშაობდა. არ წუწუნებდა, არ ჩიოდა, შემჩნევითაც ცდილობდა არაფერი შეემჩნია, მაგრამ შუბი ხალთაში არ იმალებოდა. ან კი რა დამალავდა! ხელებზე ბებერები დაასხდა, ტანად ისე ჩამოხმა, ცარიელი ძვალი და ტყავი გახდა, სახეც თანდათან გაუუხეშდა და საბოლოოდ ისეთი შეიქნა, მაღლითელი დედაკაცებისგან, რომლებიც თვით მთისძირელ დედაკაცებსაც კი ყველა პარამეტრით ჩამორჩებოდნენ, აღარაფრით განსხვავდებოდა.

ამ დროისათვის თავად პრ. დიდებულიძეც უკვე მიწისმუშა იყო. ვიდრე დედა კოლექტივის ყანაში მუშაობდა, ის საკარმიდამო ნაკვეთს უვლიდა. უვლიდა მუყაითად, მონდომებით, დიდი კაცივით, ისე უვლიდა, რომ სამუშაოდან (ანუ, როგორც მაშინდელი მაღლითელები იტყოდნენ, სამუშევრიდან) დაბრუნებულ დედას წარბი გაეხსნებოდა ხოლმე და დაღლილ სახეზე სიხარულის უძლური ღიმილი აღებეჭდებოდა.

ამ წლებში დედა-შვილს სხვა მაღლითელ და მთისძირელ კოლმეურნეთა მსგავსად დროდადრო სანაკლიოს ბაზარში უხდებოდა ჩასვლა ხილის, ლობიოსა და ღვინის გასაყიდად.

ერთი ასეთი ბაზრობის დღეს, ბედისწერამ გარემოებანი ისე დაალაგა, დასამთხვევი ისე დაამთხვია დასამთხვევს, ასაცდენი ისე ააცდინა ასაცდენს, სივრცის კოორდინატები ისეთ წერტილში გადაკვეთა და მერე ეს წერტილი ისე მოხერხებულად შეუხამა დროის კოორდინატთა გადაკვეთის წერტილს, მოძრაობათა მრავალკვანძოვანი სქემაც ისეთი თანმიმდევრობით ჩართო და, საერთოდ, ყველაფერი ისე მოაწყო, რომ პრ. დიდებულიძეს პროლეტარი ქორქიკა კიდევ ერთხელ ენახა.

შეხვედრა „ქვედა ბაზარში" შედგა, სადაც დედა-შვილი ადესას ჰყიდდნენ.

სანაკლიოში იმ დროს მოქმედი ორი ბაზრიდან პროლეტარი ქორქიკა, როგორც წესი, „ზედა ბაზარში" დაიარებოდა ხოლმე, ვინაიდან იგი უფრო ადვილი მოსამხარი იყო, მაგრამ იმ დღეს მეწვრილმანე ვარდენასთან ერთად ქალაქში რაღაც საქმეზე გასული ლაპარაკ-ლაპარაკში ისე აღმოჩნდა „ქვედა ბაზარში" (იხ. აგრეთვე აკაშას ქრონიკა), არც კი გაუგია.

პრ. დიდებულიძემ პროლეტარი ქორქიკა ვერ იცნო. მართალია, დაინახა თუ არა, ინტერესის ნაკვერჩხლები ისე აუღუღუნდა, თითქოს მინავლული ცეცხლი საკეცით მოჩხრიკესო, მაგრამ ცნობით ვერ იცნო, რასაც ის გარემოებაც მოწმობს, რომ მის დანახვაზე მოაგონდა არა ვილენი, არამედ – ოღონდ ძალზე ბუნდოვნად – ცანცარა ამალია და ცანცარა გრიგოლი თავიანთი ლოქო გულბაათით, დაფსხრიკული მარიამითა და შვიდსიმიანი გიტარით, აგრეთვე ტყუპი ძმა საკანდელიძეები, ძლინკიანი კობალა ძლინკიანი ლეიდაშვილებითურთ, ზოგიერთი სხვა თანატოლი თუ უფროსი და მამის იდუმალი, უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნობი, დაუკონკრეტებელი ლანდი. დრო რომ ჰქონოდა, ვინ იცის, ეგებ ვილენიც მოჰგონებოდა და თავად პროლეტარი ქორქიკაც ეცნო, მაგრამ პროლეტარმა ქორქიკამ ამასობაში თვითონაც შეამჩნია დახლთან მდგომი დედა-შვილი.

თქვენ ბძანდებით ეს? ხო შვიდობით, ხო კარქათ და ჯამთელათ? მალადეც! ეს თქვენი ბიჭი არაა? გამარჯობა, ბიძიკო, შენი! რავალი დიდი გაზდილა! ხო ხარ სტამბოლის კაჟივით?! მალადეც! ძაან ქე მოხთენია სოფლის ხაიერი. ისე, რავა შეეწყვეთ იქოურობას? თქვენთვის უსროლია ავრორას! აპა მე ქე მომსპო და გამიჩინა ჩიხოტკა ამ ქალაქმა. რა ვქნა, თვარა, თქვენი არ იყოს, მეც გევიქცეოდი სადმე სოფელში. ვატყოფ, ადესა ჩამოგიტანიათ. ჩვენი ეზოსია ხომ? რაც მე ეს ადესა მისვია! მაჩვენე! ოუჰ-ოუჰ -ოუჰ! გახედე, ვარდენი, სინათლეზე, რავა თავადიშვილის სისხლივითაა! რა ჯობია ადესას! რამდენი წლის ხარ ახლა შენ, ბიძიკო? მალადეც! რავა კაციფით იყურება, კაცო! ოუჰ-ოუჰ-ოუჰ! ყველას კი არ დეელევნება! გოუშინჯე პრობი, ვარდენი! რავალია? ადგილმა იცის, ხო იცი შენ! სხვაგან კი არ მოდის ამისთანა. აპა, ერთი ჩამოგვისხი ბიძიკო, ეგერ ე, ვარდენი, ა ფული და ნახევარი კილო მჟავე კიტრი იყიდე. მჟავე კიტრი მოუხდება ამას. ოუჰ-ოუჰ-ოუჰ! აპა, ეს დიდ სტალინს გოუმარჯოს! ჰიტლერის კუბო ვნახე მე და ჩვენ ულაშას ვენაცვალე ულაშებში! იმან მოგიტანა, ბიძიკო, იცოდე შენ, ბედნიერი ბავშვობა, თვარა აქანე იდგებოდი ახლა?! ნიკოლოზე გაგაყიდიებდა შენ ამისთანა ადესას?! იცოცხლე, ვარდენი. ეს კიდო ჩვენს წითელ არმიას გოუმარჯოს და მალე დაანგრევიოს ღმერთმა ფაშისტების ბუდე და ფუღურო, ოუჰ-ოუჰ-ოუჰ! ე, ახლა ჩვენს წასვლას და თქვენს აქანე მშვიდობით დარჩენას გოუმარჯოს! ისე რას ქვია, შე ქალო! აგერ, ა! მეტი იყოს, რა უჭირს მერე! არ მაწყენიო ახლა! რავა გეკადრება, დედმამიშვილში არ გამემერჩევი. სხვა თქვი, თვარა ფული ქე მაქ ჩეჩქივით. აპა ჰე, კარქათ იყავით, თუ დაგრჩეთ დრო, გამეიარეთ, ნამეტანი გეეხარდება ჩემ ქალს. გამოადგი ფეხი, ვარდენი!

იმ ღამეს, მაღლითს რომ დაბრუნდნენ, დედა-შვილი გვიანობამდე ისხდნენ ბუხრის პირას. შვილი შეკითხვებს სვამდა, დედა პასუხებს იძლეოდა.

კითხვა-პასუხის ძირითადი (ოღონდ არა ერთადერთი) საგანი მამა იყო. ესოდენ მკაფიოდ, თავბოლოგაწყობილად, მტკივნეულად და ხანგრძლივად პრ. დიდებულიძის ცნობიერებაში აქამდე ეს თემა არასოდეს ასახულა. მართალია, რაღაც ყრუ და გამოუთქმელ უხერხულობას ყოველთვის გრძნობდა, ხოლო თუ საგანგებოდ და ინტენსიურად ჩაუღრმავდებოდა, ისიც კი ეჩვენებოდა, თითქოს სიტყვა „მამა“ მის გულში რაღაც იდუმალ ნივთიერ შესაბამისობას ეძებდა, რათა ხორცი შეესხა და რეალური არსებობა მოეპოვებინა, მაგრამ, როგორც ითქვა, ყოველივე ეს აქამდე ტვინის უკანა, შორეულ თაროებზე ეწყო და ფაქტიურად მხოლოდ იმ ღამეს გახდა ნათელი, რომ მამა ცხოვრების ერთი ძალზე მნიშვნელოვანი - შესაძლოა, აუცილებელიც - შემადგენელი ნაწილი ყოფილა.

ვინ იყო?

რა იქნა?

რა დააშავა?

ცუდი იყო თუ კარგი?

ჩამოვა?

. . . .

დედის პასუხები იმ ყაიდისა და ხარისხისა იყო, რომ საბოლოო ჯამში მამა თუმც მკაფიოდ და ხელშესახებად ჯერ კიდევ ვერ შემოვიდა შვილის გონებაში, ის მთავარი მაინც კი შემოგზავნა, რომელმაც დროშა შემოიტანა და განგაში ატეხა.

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, მამა დედა-შვილის ცხარე და აღგზნებული საუბრის ერთადერთი თემა არ ყოფილა, იმ ღამეს წარსული ისე ძირისძირობამდე იქნა განჩხრეკილი, რომ შეუძლებელია ასეთი ღამე კაცს ცხოვრებაში ბევრი შეხვდეს. პრ. დიდებულიძის მეხსიერებაში ჩაბჟუტული შუქი ისევ აინთო. ეს შუქი იქნებ საიმისოდ არ კმაროდა, რომ ყოველი დეტალი ნათლად და მთლად ობიექტურად გამოჩენილიყო - სხვა თუ არაფერი, - ზოგ ეპიზოდს დროთა განმავლობაში დედის ნაამბობი ჩაენაცვლა (აკი მრავალი წლის მერე, როცა ფიქრებით კვლავ ამ სათუთ თემას ჩაღრმავებია, არაერთ ისეთ ეპიზოდს წამოსდებია, რომელთა შესახებ დაბეჯითებით ვერ უთქვამს, საკუთარი გამოცდილებით იცოდა თუ დედის ნაამბობით), მაგრამ ის არსებითი ეპიზოდები კი, რომლებიც ხანგრძლივად განსაზღვრავს და, ვინ იცის, ფარულად წარმართავს კიდეც ადამიანის ცხოვრებას, ხელუხლებლად, სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სალამათი ეწყო ფარდის უკან და, დრო რომ მოვიდა და ფარდა გადაიწია, მათი ცნობა ისე ადვილი გამოდგა, ძნელი მათი ვერცნობა იქნებოდა.

ქალაქ სანაკლიოში ერთი სახლი იდგა, რომელშიც დიდებულიძეები ცხოვრობდნენ. მამა დიდებულიძე, დედა დიდებულიძე და შვილი დიდებულიძე. მამა დიდებულიძე იურისტი იყო, დედა დიდებულიძე - ექიმი, შვილი დიდებულიძე - პრომეთეოსი. ცხოვრობდნენ თავისთვის ტკბილად და არავის არაფერს უშავებდნენ. მაგრამ ერთ დღეს, სად იყო და სად არა, იარაღიანი კაცები მოვიდნენ და მამა დიდებულიძე წაიყვანეს. მამამ ჩაის დალევა ვერ მოასწრო - თავისი დიდი ფინჯანი სავსე დარჩა - ვინაიდან იარაღიან კაცებს ეჩქარებოდათ. სად ეჩქარებოდათ, არ უთქვამთ. რამდენიმე დღის შემდეგ პროლეტარი ქორეიკაც გამოჩნდა თავისი ჯალაბით და იქაურობას დაეპატრონა. პროლეტარ ქორეიკას დიდებულიძეების სახლ-კარი მოსწონებოდა და რევოლუცია მოეხდინა.

პრ. დიდებულიძე ყურადღებით უსმენდა დედას, მაგრამ მის გულწრფელ სურვილს - ყველაფერი მიზეზ-შედეგობრიობის გასანთლულ ძაფზე აესხა, მისი მაშინდელი შესაძლებლობანი მხარს ჯეროვნად ვერ უბამდა. მართლაცდა, ათი წლის ასაკში - სრული ათისა არც კი იყო - მისებრ ტლუ და ნახევრადველურ მაღლითელს კი არა ფირმაფირმა ვუნდერკინდებს არ ძალუძთ კონკრეტული ფათერაკის უკან კონკრეტული მიზეზის გარდა სხვა რამ დაინახონ, მაგალითად, ისტორიული კატაკლიზმები, ან - მით უმეტეს - ისტორიული კანონზომიერებანი; პრ. დიდებულიძემ ერთხელ - პროლეტარი ქორეიკა იმ დროს ჯერ კიდევ უცხოდ დაიარებოდა თავის ახალ კარ-მიდამოში და მოუქნელი მოძრაობით ცდილობდა ნაალაფარი ფრაკი რევოლუციონერის პლებეურ ბეჭებზე მოერგო - დიაღაც იპოვა ცხენის ჟანგიანი ნალი მამის სამუშაო ოთახში წიგნების თაროზე (ზედ იმანუელ კანტის „Metaphisic der Sitten"-ის წინ). მაგრამ ამ კომიკურ დისონანსში რაიმე სიღრმისეული, კანონზომიერებისეული, ნიშანდობლივი, ეპოქისა და დრო-ჟამისმიერი რამ დამლა ვერც მაშინ დაინახა და ვერც მერე, როცა სწორედ წიგნები აღმოჩნდა (თავის „Sitten"-იანად) ერთადერთი, რაც პროლეტარმა ქორეიკამ, დედა-შვილი რომ მაღლითს გაისტუმრა, არამარტო დაუნანებლად გამოიმეტა, დაუფარავი სიხარულითაც გაატანა.

სამაგიეროდ - თუ ცხრა წლის ბავშვს გლობალურ კანონზომიერებათა დადგენა არ მოეთხოვება (მე თუ მკითხავთ, არც შეეფერება) - რისი გაგებაც კი შესაძლებელი იყო, პრ დიდებულიძემ იმ ღამეს თითქმის ყველაფერი გაიგო. მარტო ის ვერ გაიგო, რისი გაგებაც ყველაზე მეტად ეწადა: მამის ასავალ-დასავალი. დედამ უთხრა შორეულ აღმოსავლეთშია მიმოწერის უფლების გარეშეო. პრ. დიდებულიძე ამ ბუნდოვანი პასუხით - მაშინ არც „შორეული" იცოდა წესიერად რა არის, არც „მიმოწერის უფლება" და, თუ სიმართლე გინდათ, არც „აღმოსავლეთი" - ბევრს ვერაფერს მიხვდა. მართალია ერთი ის მცდარი დასკვნა კი გამოიტანა, რომ მამა ცოცხალი იყო, მაგრამ იმ დროს დედამ თვითონაც არ იცოდა თუ რას ნიშნავდა პაროლი „მიმოწერის უფლების გარეშე", ამიტომ ისე ამბობდა ტყუილს, ეგონა, სიმართლეს ამბობდა, ხოლო როცა ადამიანი ისე ამბობს ტყუილს, რომ ჰგონია სიმართლეს ამბობს, ასეთ დროს ტყუილი მართლა გამოიცემს სიმართლის ხმებს.

საბოლოოდ, ხსენებული ყოვლად განსაკუთრებული ღამის ერთი უმთავრესი შედეგი (ნუ ვიკამათებთ, ავი თუ კარგი) ის იყო, რომ თუ აქამდე პრ. დიდებულიძეს მამა, შეიძლება ითქვას, არ აგონდებოდა, ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, არ დავიწყნია.

აქ ცოტა ხნით შევჩერდეთ. წინ სანტიმენტალიზმის მლაშე გუბეები გამოჩნდა, როგორც წყალუხვი ტბები მიჩიგანის შტატის რუქაზე, და თუ არ გვინდა რომელიმე მათგანში ტყაპანი მოვადინოთ და ცრემლებად დავდნეთ, მშვიდად გადავწყვიტოთ, ზემოდან ჯობს მოვუაროთ ამ რაქტიან დაბრკოლებას, ქვემოდან თუ გვერდიდან, თან მე ამასობაში ერთ აუცილებელ საქმეს მოვითავებ, რომელიც ადრე თუ გვიან ჩემი მოსათავებელია: სოფელ მაღლითის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ეგება მეტი აღარ დაგვეჭირდეს და, ასე შუა გზაზე რომ არ მივატოვო კითხვის ნიშნების საჯიჯგნად, ერთხელაც მივუბრუნდები და პუნქტუაციის რომელიმე პოზიტიურ სადგურამდე - წერტილი იქნება, წერტილმძიმე თუ მრავალწერტილი - მივიყვან.

ეს დირექტორი, მას შემდეგ, რაც მისი და მისი ბიბლიოთეკარის სამსახურებრივი გზები იმ ავადმოსაგონარი ინციდენტის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


მოისობით საბოლოოდ გაიყარა, დიდებულიძეებთან აღარ ამოსულა. ეს ადვილი ასახსნელია. შედარებით ძნელი ასახსნელი ის არის, კოჭლ შალიკოსთან სიარულს რატომ დაეჩვია. არადა, ფაქტია, დაეჩვია. შალიკომ, რომელსაც დირექტორის მოძალებისთვის თავიდან დიდი ყურადღება არ მიუქცევია, პირველ სტუმრობაზე ჩინებული სუფრა გაუშალა და არც მეორე სტუმრობაზე დაუკლია მასპინძლობა, მაგრამ მესამე სტუმრობაზე კი უკვე თხილისა და კორკიმელის არაყს დააჯერა, მეოთხე სტუმრობაზე წარბი მაღლა გაექცა, მეხუთე სტუმრობაზე ნიკაპი აუკანკალდა და, ბოლოს და ბოლოს, ის, რაც ვერ მოახერხა დარიგებამ, მუქარამ, საერთო კრებამ, ეზეკია ნამღვდლარმა, კოლექტივის თავმჯდომარემ, საბჭოს თავმჯდომარემ და თვით რაიკომის ინსტრუქტორმა ათაბაგმა, ცოტას გაწყდა, კინაღამ მაღლითის რვაწლიანი სკოლის უსახელო დირექტორმა შესძლო. ყოველ შემთხვევაში, მის თვალებზე გადაფარებული სქელი, ღრმა ნისლი, რომლის ფონზე მზეს შუქი თვალდათვალ აკლდებოდა, სოფელ-ქვეყანა სიბნელეში იძირებოდა, საგნებსა და საგნებს შორის საზღვარ-სამანი იშლებოდა და ჩლუნგი, ამორფული სამყარო პირველყოფილი ქაოსისაკენ მიექანებოდა, აშკარად მეტყველებდა, რომ უკვე ყოველდღე და ყოველ საათს მოსალოდნელი იყო, ამ ვარდივით და ბულბულივით ოჯახში მავრის სინდრომი გაჩენილიყო და გონს გადასული შალიკო უმანკო ცოლებს დარეოდა. ბედი მისი, საქმეში დირექტორის თანამეცხედრე ჩაერია. თანამეცხედრემ, რომელიც ოჯახში იმთავითვე გამუდმებით და შეგნებულად თესავდა შიშს, რათა მორჩილება მოემკა (წარმატებითაც ახორციელებდა, თუ ვინმეს სპეციალისტის რჩევა დაგჭირდეთ, ამ პროგრამას), უკანასკნელ მომენტში გადაჭრით და ენერგიულად აღკვეთა ქმრის ეს უპრაგუნო წანწალი. „უპრაგუნო“ თანამეცხედრის ტერმინია, მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, რომ მან ქმრის საქციელი მოიხსენია არა როგორც უბრალოდ „უპრაგუნო წანწალი“: არამედ როგორც „სოფელ-სოფელ უპრაგუნო წანწალი“, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ საქციელის ჭეშმარიტი მიზეზი ეგზომ ფხიზელი მეთვალყურისთვისაც კი გამოუცნობი დარჩა. ხოლო სინამდვილეში – მაღლა ღმერთია მოწამე, ძირს ადამიანი და შუაში ბონდის ხიდი, რომელსაც ქვედა მხრიდან ფსიქოანალიტიკოსები აკონტროლებენ, ხოლო ზედა მხრიდან მწერლები – ეს მიზეზი ასეთი გახლავთ: იმ მხხვერპლის სანაცვლოდ, რომელიც პრ. დიდებულიძის დედისათვის გაიღო – ხოლო მსხვერპლი რომ დიდი და საშინელი გაიღო, ვფიქრობ, სადავოდ არავინ გახდის – ჰუმანისტი და სულით მაღალი დირექტორი საზღაურს არ მოითხოვდა და მხოლოდ იმის აღიარებას მოითხოვდა, რომ საზღაურს არ მოითხოვდა. შესაძლოა ეს იგივ საზღაური კია, მაგრამ, თუ საზღაურია, მინიმალური საზღაურია, და დირექტორის მოკრძალებული მოთხოვნაც სამართლიანი ჩანს, მით უფრო, იმ ლაჟვარდისფერი ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს კაცი – ნეტა ან აქამდე რას გიმალავდით, ხომ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მაინც მომიხდებოდა ფრჩხილების გახსნა და არაცნობიერ წკვარამში ანთებული კვარით შესვლა – ცოტათი, რამდენადაც კი შესაძლებელია ოჯახის სანიმუშო მამას, ერთგულ მეუღლეს, ჭკუადამჯდარ ადამიანს, მაღალი შეგნების მოქალაქესა და ანტიკური კულტურის მეტისმეტ ტრფიალს ასეთი რამ დაემართოს, გამიჯნურებული იყო. ძლიერ გამიჯნურებული რომ ყოფილიყო, თავს ვერ დაიურვებდა და ერთხელ მაინც დაუსხლტებოდა მორალური კოდექსის არტახებს, მაგრამ რაკი ცოტათი იყო გამიჯნურებული, კოდექსს ნამუსი შეუნახა და გრძნობათა დასახარჯად შორით (კოჭლი შალიკოს აივნიდან) მცირედი ბნედა იკმარა, რაც შალიკომ ჯერ ვერ გაიგო, მერე კი არასწორად გაიგო.

პრ. დიდებულიძის დედა – თავის ადგილას ესეც ცნობილია – მიუხედავად დირექტორის დიდი და ფხიზელი თავდაჭერილობისა, მშვენივრად ატყობდა, რა ცეცხლი გუზგუზებდა მის დარბაისლურ გულში, მაგრამ არ იმჩნევდა, ვინაიდან იმასაც ატყობდა, რომ ასეთი თვალების, ასეთი ულვაშის, ასეთი მსოფლმხედველობისა და ასეთი თანამეცხედრის პატრონი თავს იმის ნებას არასოდეს მისცემდა, გონიერების ჯებირი ყმაწვილური ამჩატებით გაერღვია და უკან დასაბრუნებელი ხიდები ასე ერთი ხელის მოსმით დაეწვა.

ახლა კი, რახან ეს თეთრულვაშა, ცისფერთვალა და ოდნავ გზასაცდენილი დირექტორი უვნებლად დავუბრუნეთ მშობლიურ ბუდეს და მიჩიგანის ტბებიც მგონი უკან მოვიტოვეთ, შეგვიძლია დამშვიდებით განვაგრძოთ გზა.

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის ოცდათერთმეტ დეკემბერს მთისძირის საავადმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოფო საზეიმოდ გაიხსნა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, თებერვლის შუა რიცხვებში, მშენებლობა მართლა დამთავრდა და პრ. დიდებულიძის დედა ბავშვთა განყოფილებაში ექიმად მიიწვიეს.

დედა-შვილის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. დედა, დილაადრიან რომ დაუყვებოდა მთისძირის დაღმართს (ფეხით, რასაკვირველია), შინ დაღამებულზე ბრუნდებოდა და ამგვარად პატარა (ჯერ კიდევ პატარა) პრ. დიდებულიძე მთლად თავის ნებაზე დარჩა, რაც, დასკვნების გამოტანის ჟამი რომ დადგება, არ უნდა დავივიწყოთ, თუმცა, თუ ოდენ ეგზოთერულ ბაღში ვიმუშავებთ და უხეშ ემპირიულ ნაყოფს დავჯერდებით, მარტოობის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი და ღირსმოსახსენებელი მხოლოდ ერთი ეპიზოდი შეგვიძლია დავასახელოთ: ათას ცხრას ორმოცდაოთხ წელს, ივლისის თექვსმეტში, ხუთშაბათ დღეს (იხ. მუდმივი კალენდარი), ღელედიდის ქვედა მორევის პირას, ნაჭყუმპალავებს, როდესაც ბავშვები (ბიჭები. სქესისმიერი სეპარატიზმი, რომელიც ამ ასაკობრივ ჯგუფში წინა წელს დაიწყო, იმ წელს უკვე ნორმად იქცა) ტიტლიკანები ეყარნენ გაფიცხებულ ლოდებზე და კოლექტივის ყანაში მოპარული კიტრის ხრამახრუში ღელედიდის ვრცელსა და მარადიულ ჩუხჩუხში კენჭებივით იძირებოდა, პრ. დიდებულიძემ თავისი პირველი სიბრძნე წარმოთქვა.

ცხადია, აჯობებდა „სიბრძნის“ მაგივრად „დაკვირვება“ მეხმარა. „დაკვირვება“ შედარებით ნეიტრალური და ნაკლებგამაღიზიანებელი სიტყვაა და, გარდა ამისა, საკმარისად ფართო დიაპაზონიცა აქვს საიმისოდ, რომ ვაგლახად ვერავინ გამოგვედავოს, მაშინ როცა „სიბრძნე“, თუმც კი ადრესატისთვის ბანგია და მარიხუანა, დანარჩენ მსმენელთათვის სამსალა და მაღალი ძაბვის დენია. ეს დიალაც კარგად ვიცი და გადაწყვეტილიც მაქვს ამას იქით, თუ არაფერმა შემიშალა ხელი, სულ „დაკვირვება“ ვიხმარო. ახლაც „დაკვირვებას“ ვიხმარდი, მაგრამ, ჯერ ერთი, ასაკს გავუწიე ანგარიში, და მეორეც, ის, რაც პრ. დიდებულიძემ თქვა, მომკალით და სიბრძნეა და არა დაკვირვება.

– საჭმელი როა, მიტო, – თქვა პრ. დიდებულიძემ, – თვარა, ისე ლობიოს სხვაზე ნაკლები ყვავილი კი არა აქ!

ივლისში ღელედიდი ჯერ კიდევ კარგა ცივია, ამიტომ ჭყუმპალაობის შემდეგ გახურებულ ლოდზე გულაღმა (ან პირქვე) დაწოლა ერთი სიამოვნებაა, ხოლო თუ დაწოლის წინ ლოდს ორიოდ მუჭა წყალსაც მოასხამ, რათა სიმხურვალეს ზედმეტი სიფიცხე გამოეცალოს, სულ მთლად ნეტარებაა. მაღლითელმა ბავშვებმა ეს ისევე კარგად იცოდნენ, როგორც მოპარული კიტრის გემო.

ღელედიდი კისრისტეხით მირბოდა თავქვე და უხსოვარ დროში დასწავლილ მონოტონურ სიმღერას დაუღალავი ენთუზიაზმით მომღეროდა. ჩიტები, ამ გრანდიოზულ შხუილში რომ ერთმანეთისთვის ხმა მიეწვდინათ, ძალთა სრული დაძაბვით ჭყლოპინობდნენ. კალიები, თითქოს პატარა ოლიმპიადა გაუმართავთო, მდინარის გასწვრივ, მინდვრის ვიწრო ზოლზე, სიგრძეზე და სიმაღლეზე დახტოდნენ. იდუმალი სამალავებიდან ჭრიჭინების მისტიკური ჭრიჭინი ისმოდა. ცხელი ნიავი უქმი შრიალით დაძვრებოდა ხეთა ფოთლებში. საამოდ მოთენთილი ბავშვები გახურებულ ლოდებზე ეყარნენ და ქორფა კიტრს ახრამუნებდნენ.

როცა გარეთ ომია და შიგნით სიღატაკე, შუადღის სიცხისგან თავის დასაცავად საუკეთესო საშუალება არის არა თეთრი ქუდი ან ჭრელი ქოლგა, არამედ ყვავილების გვირგვინი. ლამაზი შეიძლება ქოლგაც იყოს და ქუდიც, მაგრამ ქოლგასა და ქუდს ფული უნდა, ყვავილები კი მუქთაა. მაღლითელმა ბავშვებმა ესეც კარგად იცოდნენ და ყოველ მათგანს თითო ჭრელი გვირგვინი ჰქონდა. ამ მხრივ გამონაკლისი, ცხადია, არც პეტრე კოჭოიე იყო. პეტრე კოჭოიე იმ მხრივ იყო გამონაკლისი, რომ, როცა გვირგვინს წნავდა, შიგ ლობიოს ორი მოზრდილი კავი შეჰყვა. ორივე აყვავებული. ასეთ კურიოზს კი არ შეიძლებოდა ნორჩი მაღლითელების აღფრთოვანებული და კვიმატი გამოძახილი არ მოჰყოლოდა და მართლაც, თუ აქამდე ღელედიდის ჩუხჩუხს, ჩიტების გალობას, ჭრიჭინების ჭრიჭინსა და ნიავის ჩურჩულს მათი მხრიდან მხოლოდ მადიანი ხრამახრუში ერთვოდა, ახლა ამას ხითხითიც დაემატა, რომელიც მერე და მერე დიდ ჟივილხივილში გადაიზარდა. სახარებაში წერია, ყოველი დაფარული გაცხადდებაო, და კოჭოიას გვირგვინში ლობიოს კავებს რა დამალავდა! ბიჭებმა კავები სულ მალე შენიშნეს და მყისვე სახელდახელო კონკურსიც გამართეს ამ მარცხიანი ფაქტისთვის ადეკვატური ვერბალური სახის მისასადაგებლად. რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ითქვა: „ლობიოს გვირგვინი“, „საგვირგვინე ლობიო“, „გვირგვინოსანი ლობიო“, „ლობიოსანი გვირგვინი“, „ლობიოს მეუფე“, „პარკოსანთა ხელმწიფე“, „სარის ლობიოს მბრძანებელი“, „ბეწვიანთა და უბეწვოთა მეფე“, „ჭყინტი ლობიოს უფლისწული“, და ვინ მოთვლის კიდევ რა. ერთი სიტყვით, ღელედიდის ჩუხჩუხი, ჩიტების ჟღურტული, ჭრიჭინების ჭრიჭინი, ნიავის სუნთქვა და საერთოდ, სამყაროს ბუნებითი ღვთაებრივი ქორო მალე მაღლითელი ბავშვების დიდმა ყაყანმა დაფარა.

ხოლო იმ დროს, როცა მხიარულებამ მწვერვალს მიაღწია, პრ. დიდებულიძემ თქვა:

– საჭმელი როა, მიტო, თვარა, ისე, ლობიოს სხვაზე ნაკლები ყვავილი კი არა აქ!

აქ როლები ისევ შეიცვალა. სახტად დარჩენილ ბიჭებს ენა მუცელში ჩაუვარდათ, ეგზომ მოულოდნელად წარმოქმნილი აუდიოსიცარიელე კი კვლავ სამყაროს წეღანდელმა ხმაურმა აავსო. ღელედიდის წარმართული ჩუხჩუხიც აღდგა, ჩიტების კაპასი ჟივჟივიც, ჭრიჭინების იმიერჭრიჭინიცა და ნიავის უმიზნო შარიშურიც. ბიჭები დიდხანს იყვნენ ზარდაცემულები და თვალებდაჭყეტილები. ბოლოს, ელდამ რომ გადაიარა და სამყაროს დინებიდან ამოვარდნილი მათი ყმაწვილი თავები კვლავ სამყაროს დინებაში ჩაირთო, ვინც უფრო ჭკვიანი იყო, ხელადვე მიხვდა (ბევრმა აღიარა კიდეც), რომ თვითონ ასეთ რამეს ვერასდიდებით ვერ მოიფიქრებდა. ნაკლებ ჭკვიანები ამ ჭეშმარიტებამდე შედარებით გვიან მივიდნენ – მას შემდეგ, რაც დღის (აგრეთვე ღამის) განმავლობაში ფიქრებით არაერთგზის მიუბრუნდნენ ამ იდუმალსა და ღრმა დებულებას, სახტად კი ყველანი დარჩნენ და ელდა ყველას ეცა. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა. მართალია, ბუხუტიე ბლაყუნა აღმოჩნდა გამონაკლისი – ბუხუტიამ ვერაფერი იგრძნო, ვერაფერს მიხვდა (ვერც მაშინ და ვერც მერე), მეტიც, ასე გასინჯეთ, ხუმრობაც კი სცადა („ეეეუჰ, პრომეთეოსი!“), და თუ რამემ გააკვირვა და შეაშფოთა, მხოლოდ იმან, რომ ამ ხუმრობას მოსალოდნელი გამოხმაურება არ მოჰყვა – მაგრამ ბუხუტიე ბლაყუნა, თუ მთელ მის უბადრუკ სიცოცხლეს მიუდგომლად, უშელავათოდ და ცრუ ლმობიერების გარეშე განვსჯით, არცაა სათვალავში ჩასაგდები. აი, ასეთი ღირსშესანიშნავი, შეიძლება ითქვას საეტაპო, ეპიზოდი მოხდა ორმოცდაოთხი წლის თექვსმეტ ივლისს პრ. დიდებულიძის ცხოვრებაში. თუმცა აქვე მინდა დაგარწმუნოთ, – არ ვიცი კიდევ ვიპოვი თუ ვერა შესაფერის დროსა და ადგილს – რომ ოდენ ეზოთერულ კენკრას არც მე დავჯერდები და არც თქვენ დაგაჯერებთ. ან კი ისე როგორ წავხდებით, მაგ მყრალსა და მითოლოგიურ გველეშაპს ერთი-ორჯერ ეზოთერიის ედემში არ შევეპაროთ და ზღაპრული ვაშლები არ ავწაპნოთ!

რაც შეეხება პრ. დიდებულიძის მომავალ დუმილს, ამ დიად დუმილზე წვრილად მაშინ ვილაპარაკებთ, როცა სუბიექტური ჟამი დაჰკრავს და ობიექტური ქრონოლოგიაც საჭირო ნიშანს მოგვცემს. ამთავით კი ერთი მინდა განვაცხადო: პირველი ბიძგი ამ დიდი და ღირსეული დუმილისათვის სწორედ აქ იგრძნო, როცა პირდაბჩენილი თანატოლების დანახვაზე თვითონაც პირი დააბჩინა, ვინაიდან უეცრად მიხვდა, რომ ის, რაც მისთა ბაგეთა მიერ ითქვა, ამა ყურთათვის არ თქმულა. ოღონდ ამის მეტს კი ვერაფერს მიხვდა. ბიძგის მიზეზი, მიზანი, წყარო და ბერკეტი ისეთ ცხრაკლიტულში აღმოჩნდა გადამალული, რომლის გაღებას მომწიფებული გონება სჭირდებოდა. ორმოცდაოთხის ივლისში პრ. დიდებულიძე ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისა იყო – თორმეტი წლისა და შვიდი თვის – რაც ისეთი ასაკი არ არის, ადამიანმა სიბრძნეებიც აფრქვიო და ზედ განმარტებებიც დაურთო. ამიტომაც შეკრთა თავის ნათქვამზე. და არა მარტო შეკრთა, არამედ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბოლომდე გაიაზრა თუ რა თქვა, სირცხვილის ალმურიც წაეკიდა, როგორც მიამიტსა და ბედოვლათ მოწაფეს, რომელმაც ზედმეტად ოხუნჯი ვინმე თანაკლასელის მიერ სალაღობოდ წამოსროლილი სისულელე ალალ კარნახად ჩათვალა და გამოთქმით გაიმეორა.

ალმურმა მალე გაუარა, მაგრამ ეჭვი იმისა, რომ ეს აზრი თვითონ არც ტვინიდან ამოსვლია, არც გულიდან და არც სხვა ისეთი სავარაუდო ორგანოდან, საიდანაც ასე თუ ისე შესაძლებელია კაცს აზრი ამოგივიდეს, არ მოშორებია. ერთი პირობა, სულო ცოდვილო, კი დააპირა, ცთუნების ფარულ ნიშანს დამორჩილებოდა და თავისი მოულოდნელი გამოხდომა პეტერე კოჭოიეს სიბრალულით აეხსნა, მაგრამ ყურპარტყუნა პატიოსნებამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს, იმისთანა ყმუილი ატეხა, ეს ვერსია მყისვე ცივად გააგდო ხელიდან. თუმცა პატიოსნებასაც რა ექნა: პრ. დიდებულიძის დაკვირვებას მკაფიოდ გამოხატული თეორიულ-ფილოსოფიური ხასიათი ჰქონდა და ისეთი ცალკეული და შემთხვევითი ფაქტები, როგორიც იყო პეტერე კოჭოიე, სრულებით არ აინტერესებდა (ნიშანდობლივია, რომ ამ მხრივ არც თავად პეტერა კოჭოიას გასჩენია რაიმე ილუზია). სამაგიეროდ, რა დაინახა, ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა და ბუხუტიე ბლაყუნას ბრიყვული გამოხდომა ბავშვების მიერ ატაცებულ არ იქნა, თუმც შიშისა და ეჭვის სამარცხვინო ტყვეობიდან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო, ცოტა მაინც გათამამდა და შეეცადა ამ მკრეხელური აფორიზმისათვის რაიმე გონივრული საფუძველი მოეძებნა, მაგრამ ვერ მოუძებნა. (ვინც აზროვნების ინტუიციურს, ლოგიკურსა თუ ფსიქოლოგიურ მექანიზმებს იცნობს, დამეთანხმება, რომ ვერც მოუძებნიდა).

ვიდრე მომდევნო დაკვირვებას წარმოთქვამდა, რამდენიმე თვე გავიდა; ამან დროს საშუალება მისცა თავისი გამაქარწყლებელი საქმიანობა წარმატებით დაესრულებინა და მართლაც, ის პირველი დაკვირვება, როგორც ერთი რამ შემთხვევითი მოვლენა, რომელსაც გაგრძელება აღარ მოჰყოლია, თანდათან დავიწყებას მიეცა.

სინამდვილეში ეს მოვლენა შემთხვევითი არ ყოფილა.

პრ. დიდებულიძის ჩამოყალიბების პროცესი მაღლითში ორი პარალელური თუ პერპენდიკულარული ხაზით - შერწყმისა და დამოუკიდებლობის ხაზით - მიედინებოდა. საკუთარი თავის ამარა დარჩენილი - განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დედამ მთისძირის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა - იგი სწრაფი ტემპით აითქვიფა მაღლითელებში და მაღლითელის ყველა დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშანი შეიძინა. მაგრამ სწორედ ათქვეფის პროცესში ძალზე მკაფიოდ გამოჩნდა, თუ რა მყარად და უცვლელად შენახულა დამოუკიდებლობის ის კენჭი (იხ. ზემოთ), რომელშიაც მამასთან გატარებული თითქმის ექვსი წელი იყო ჩაწნეხილი. საბოლოოდ ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ბუნებრივი პროცესის შედეგად წარმოიქმნა ერთგვარი ჰიბრიდი - ახალი ჯიშის მაღლითელი, გნებავთ ახალი ჯიშის სანაკლიელი, რომელმაც, მას შემდეგ, რაც პირველდაწყებითი საცდელ-სამიჯნურო ეტაპიც მშვიდობით განვლო, სოფელ მაღლითსა და, საერთოდ, სოფელ-ქვეყანას უფრო ფხიზელი და კრიტიკული თვალით დაუწყო ყურება და აქცენტი სულისა და ტვინის იმ იდუმალ კუთხეზე გადაიტანა, სადაც დაკვირვებები - როგორც ხედავთ, „დაკვირვებებს" ვამბობ - იბადებოდა, ანუ, თუ მთავარ სინამდვილედ პრ. დიდებულიძის შეგრძნებათა სინამდვილეს მივიჩნევთ, ამოდიოდა, როგორც ყველი ამოდის რძიდან (ხოლო ყველი რომ რძიდან ამოდის - შდრ. სამყაროს ამოსვლა თეთრი ქაოსიდან ამის უმთავრესი მიზეზი არის არა ამომყვანის ცოდნა და სიმარჯვე, არამედ კვეთი, რომელიც ამ შემთხვევაში ღვთაებრივი ნაპერწკლის განსახიერებაა, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში - ღვთაებრივი ნაპერწკლის სიმბოლო).

სხვა ამის მეტი - გითხარით კიდეც - რამდენიმე თვის განმავლობაში პრ. დიდებულიძეს მნიშვნელოვანი არაფერი შემთხვევია. რამდენიმე თვის შემდეგ კი, მამის დაჭერიდან სწორედ შვიდი წლის თავზე, ათას ცხრაას ორმოცდაოთხის ოქტომბერში, როცა ქორწილების სეზონი ის-ის იყო დაიწყო, დედა გაუთხოვდა. ამ თემაზე ლაპარაკი ძალზე ძნელია, მაგრამ გაჩუმება სულ მთლად შეუძლებელია, ამიტომ რაც სათქმელია, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ითქვას, ოღონდ უნდა ითქვას მხოლოდ ის, რაც აუცილებლად სათქმელია. „დედა" და „გათხოვება" ერთიმეორის მიმართ მკვეთრად პოლარული ცნებებია და მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა, საგანთა დასაბამიერი ბუნებიდან გამომდინარე, განზიდულობის პრინციპს უნდა მორჩილებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში - განზიდულობის ძალა თუ გადაილახა და ეს ანტაგონისტური ცნებები ერთ ძაფზე აესხნენ - ისეთი ავთვისებიანი წინადადება წარმოიქმნება, რომელმაც არ შეიძლება რაიმე ფათერაკი არ გამოიწვიოს. მართლაც, როცა ხსენებული სიტყვები - თავისთავად ორივე კარგი - ქვემდებარედ და შემასმენლად დასხდნენ ერთმანეთის გვერდით და მარტივი, გაუვრცობელი და ზარდამცემი წინადადება შეადგინეს, ამ წინადადების მეტასტაზები პრ. დიდებულიძის დამბლადაცემულ ფსიქიკას რამდენიმე დღისა და რამდენიმე ღამის განმავლობაში ისე მიარღვევდა, როგორც სახნისი წვიმით დამბალ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღლითის მიწას.

ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ყველას, ვისაც დედა გაუთხოვდა ან მომავალში გაუთხოვდება, მაგრამ ამ ამბის პიკანტურ ნაწილს, ნუ გამკიცხავთ და, ვერ ჩავეძიები: გარდა იმისა, რომ არც სურვილი მაქვს ამისა, არც ძალა და, შესაძლოა, არც უფლება, მაინცდამაინც ვერც საჭიროებას ვხედავ. თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ და ერთმანეთს ლაპარაკს ვაცლით, უეჭველად მივალთ თამამ, მაგრამ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ დედების სამიჯნურო თავგადასავალში არაფერია განსაკუთრებული და ბუნების საწინააღმდეგო. დედის გათხოვება მხოლოდ შვილისათვის არის დედის გათხოვება; საკმარისია შვილი, ვითარცა კერძო შემთხვევა, ფრჩხილებს გარეთ გავიტანოთ და მთელი ყურადღება - მკვლევარის კეთილსინდისიერი ყურადღება - ზოგად კანონზომიერებას მივაპყროთ, საქმე გვექნება უბრალოდ განათხოვარი ქალის ხელახლა გათხოვებასთან, რაც - რაოდენ მაღალი რიგითი ნომერიც უნდა იგულისხმებოდეს სიტყვა „ხელახალში“ - უკვე პრობლემა აღარ არის. ხელახალი სიყვარული ისეთივე მძაფრია, ისეთივე სულსწრაფი, ისეთივე ეჭვიანი, ისეთივე ამაღლებული, ისეთივე ბრმა, ისეთივე უჭკუო, ისეთივე ვნებიანი, ისეთივე იმპულსური, ისეთივე უძლეველი... ერთი სიტყვით „ისეთივეთა“ სრული სიის შედგენა რომ არ დამჭირდეს, მოკლედ ვიტყვი, რომ ყველა ხელახალი სიყვარული ისეთივე პირველი სიყვარულია, როგორც პირველი სიყვარული. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა - ზოგს უყვარს ხაზგასმა - ლაპარაკია კანონზომიერებაზე, თორემ პრობლემას თუ შვილის სუბიექტური თვალით შევხედავთ, დედა, როგორც იტყვიან, დედაა და შეუძლებელია იგი თავისი ცხოვრების რომელიმე წერტილში გასათხოვარ ქალთან იქნას გაიგივებული; ოღონდ ეს ხედვის ისეთი კუთხეა და მორალის ისეთი ჩრდილი, რომელიც თვით სიყვარულზე რაიმე არსებით ზემოქმედებას ვერ ახდენს. მორალმა შეიძლება შედეგზე მოახდინოს გავლენა (ვთქვათ, დედა არ გათხოვდეს. ამგვარი შემთხვევები ისტორიაში ცნობილია), მაგრამ ეს სულ სხვა რამ არის. სად სიყვარულის შედეგი - ქმედება, რომელიც ასე თუ ისე შეგვიძლია გონებას, ნებას და ანგარიშს დავუქვემდებაროთ, და სად სიყვარული, როგორც პროცესი - ატეხილ გრძნობათა უკონტროლო და ღვთაებრივი ამოფრქვევა. სიყვარული არც მოსვლას ეკითხება ჩვენი არსების ჭკუიანსა და დისციპლინირებულ ნაწილს, არც დარჩენას და არც წასვლას. პრ. დიდებულიძის დედას, მაგალითად, ქმარი ისე უყვარდა, მთელ ქვეყანას ერჩივნა (თუმცა რაკი პრაქტიკულად შეუძლებელია ადამიანი მთელ ქვეყანას იცნობდეს, ეს ხატოვანი თქმაც მთლად კორექტული არ უნდა იყოს), მაგრამ ერთადერთი სიყვარული კი, თუნდაც ამ ორ სიტყვას შორის მესამეც ჩავსვათ და ეს მესამე თვით სიტყვა „ჭეშმარიტი“ იყოს, მეზღაპრეთა მოგონილია და არანაირი აქსიომატური საფუძველი არ გააჩნია.

შესაძლოა ადამიანი - ქალი იქნება თუ კაცი - სიკვდილამდე ერთადერთი (ჭეშმარიტი) სიყვარულის შემყურე იყოს, მაგრამ აქედან, თუ მეცნიერული პატიოსნება არ გვიღალატებს, უფრო ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მას საშუალება არ მისცემია მეორე (ჭეშმარიტი) სიყვარული ეგემნა, ვიდრე ის, რომ სიყვარული (ჭეშმარიტი) მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

ასეა თუ ისე, ნუღა ჩავუღრმავდებით სატრფიალო-სამიჯნურო მოტივს, თავი ისე დავიჭიროთ, ვითომ სრულებით არ გვაინტერესებს, რას განიცდიდა პრ. დიდებულიძის დედა იმ ჯოჯოხეთური სამოთხის უნეტარეს ტანჯვაში, რა შხამი და რა ნექტარი ჰქონდა დაგუბებული გულის სხვადასხვა საგუბარში და რა უწესრიგოდ, რა უკონტროლო დოზებად ურევდა ერთმანეთში სიყვარულის წინააუკამო ქარიშხალი იმა შხამსა და ნექტარს, ფიქრების რა ცეცხლოვანი ნისლი უტრიალებდა თავში ჯერ დილაობით, როცა მთისძირის თავდაღმართს დაუყვებოდა, და მერე საღამოობით, როცა მაღლითს შემოუდგებოდა, რა განწირული კვნესით იპობოდა ვნებათაღელვის დიდი მოქცევა ისტორიული სირცხვილის წყალქვეშა კლდეზე და რა უსირცხვილო სისწრაფით ერთდებოდა ისევ, როგორც კი პროვინციულ კლდეს უკან მოიტოვებდა, რა საცოდავად ფართხალებდა ქანგიანი ტრადიცია გარდუვალობის ელექტრომაგნიტურ ველში და რა მეთოდურად ითხრებოდა საუკუნო ერთგულების სამარე, რა მძიმე იყო ნაძალადევი ომი თავდავიწყების წინააღმდეგ და რა შემპარავი იყო დამარცხების ფარული სიტკბო, რა ძნელი და ძნელი ხდებოდა თვალის გასწორება იმათთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვინც შინაურად ითვლებოდა, და რა შორებელი ხდებოდა თანდათან ყველა, ვისთვისაც თვალის გასწორება მოეთხოვებოდა, რა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს სიბნელე და სინათლე და როგორ იბადებოდა ამ ბრძოლაში თვითსიძულვილის მღვრიე ბურუსი... მოკლედ, თავი დავანებოთ ნიაღვარს, ლავას, მეწყერს, დელგმას, წარღვნას, ქარტეხილს, ხანძარს, ადუღებულ კუპრსა და მეორედ მოსვლას და ვიკმაროთ ფაქტი, რომელიც დაფიქსირებულია, დადასტურებული, ობიექტური და სარწმუნო: საავადმყოფოში მუშაობის პერიოდში პრ. დიდებულიძის დედამ მოიკეთა. დამსკდარი ხელები დაუამდა, გაწამებული სახე დაუმშვიდდა და ფერ-ხორციც დაუბრუნდა.

სიყვარულის გამომწვევი ვირუსი იდეათა სამყაროს განეკუთვნება და, ვითარცა ერთი, განუყოფელი, უცვლელი და დაუსაბამო, მუდამ საკუთარი თავის იდენტურია, მაშინ როცა ცოცხალი არსი, რომელმაც ეს ვირუსი თავის გულ-ღვიძლში უნდა გამოაშუშოს და თავისი სისხლით გამოკვებოს, დრო-სივრცესაა გამობმული და, ცვალებადობის კანონით დადაღული და მოძრაობის ცალმხრივ მდინარებაში მოქცეული, არასოდეს ემთხვევა საკუთარ თავს. ასეთი წანამძღვრებიდან სხვა რა დასკვნა უნდა გამოვიდეს და, მართლაც, სიყვარული თვისობრივად ყველგან და ყოველთვის ერთნაირია, ხოლო რაოდენობრივად - ყველგან და ყოველთვის სხვადასხვანაირი.

პრ. დიდებულიძის დედის სიყვარულიც ამ მარტივ კანონს ემორჩილებოდა - თვისობრივად ყველა სხვა სიყვარულს ემთხვეოდა და რაოდენობრივად ყველა სხვა სიყვარულისგან განსხვავდებოდა - და ამ ორდინალურ გარემოებაზე მკითხველის ყურადღებას არც შევაჩერებდი, რომ არა ერთი უცნაურობა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სიყვარული, თუმც კი რამდენიმე თვე გრძელდებოდა და ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ყველა სტადია გაიარა, არ გახმაურებულა და საერთო სახალხო განხილვის საგანი არ გამხდარა, ყოველ შემთხვევაში, თუ სადმე გახმაურდა, ხმაურის ექოს მაღლითამდე არ მიუღწევია. ვიცი, ძნელია ამის დაჯერება - ადამიანთა საზოგადოებაში საიდუმლო, როგორც წესი, არ ინახება, და საერთოდ სიტყვა „საიდუმლო" მხოლოდ გამჟღავნების შედეგად იქცევა რეალურ ცნებად, თორემ „გაუმჟღავნებელი საიდუმლო" ისეთივე აბსურდია, როგორიცაა ვთქვათ „დაუწერელი წერილი", „დაუნთებელი ცეცხლი", „გაუწნავი სილა" და სხვ. - მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტის უკან ერთი ისეთი არგუმენტი დევს, რომელმაც ვინ იცის, ეგებ მართლა შეძლოს წინააღმდეგობათა მორიგება: მთისძირის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი მთლიანად მოწვეული სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული და პროფესიული, ინტელექტური, მსოფლმხედველობრივი, ჰიგიენური და სხვა თვისებებით გაერთიანებულები აქ, ამ მიყრუებულ, გაუნათლებელ პროვინციაში ერთგვარ კასტად ჩამოყალიბდნენ, ელიტურ ფენად, რომელიც ადგილობრივ პლებსს თავს აგრერიგად არ უყადრებდა და, მართალია, სამსახურებრივ, საზოგადოებრივ თუ სხვა ოფიციალურ და სოციალისტურად სავალდებულო ურთიერთობებს ვერსად გაექცეოდა, ინტიმური ცხოვრების ალბომს კი - ხოლო სასიყვარულო ჭორმართალი, მოგეხსენებათ, ამ ალბომის პირველ გვერდზეა ჩაკრული (ზედა მარცხენა მხარეს) - უმალავდა და არ აჩვენებდა. ვისაც ეს ახსნა არ დააკმაყოფილებს (ალბათ, ბევრს არ დააკმაყოფილებს, ვინაიდან მყიფეა და მრავალი სუსტი ადგილი აქვს), უკეთესი, თუ გული ერჩის, თვითონ მოიძიოს, ოღონდ თავად ფაქტის სისწორეში კი გთხოვთ ნუ შეიტანთ ეჭვს და თან, ყოველი შემთხვევისთვის, ისიც გახსოვდეთ, რომ უცნაურ მოვლენას დაჯერება უფრო უხდება, ვიდრე ახსნა.

ბედი ზოგჯერ აბუჩად გვიგდებს. მიჯნური - განსაკუთრებით, თუ იგი იმავდროულად დედაცაა - ჩვეულებრივ, იმას ცდილობს, სიყვარული დამალოს, პრ. დიდებულიძის დედა კი, პირიქით, მას შემდეგ, რაც რომ თავისი სიყვარულის შეუქცევადობაში დარწმუნდა და დაღლილი თვალი მორჩილად გაუსწორა ბედისწერის ისარს, იმას ნატრობდა, მისი სირცხვილის ამბავი შვილსაც ჩაწვეთებოდა ყურში, რათა შემზადებულიყო და ამით მომავალი საუბარი - გარდუვალი და საშიში - დედისთვისაც გაეიოლებინა. დედას არა მარტო სურვილი ჰქონდა ამისა, არამედ იმედიც. ეს იმედი თავიდან რეალურიც ჩანდა. მართლაც, პრ. დიდებულიძე მისი ასაკის კვალობაზე ძალიან დაკვირვებული ბავშვი იყო და, თუნდაც ჭორს პირში წყალი ჩაეგუბებინა (რაც, როგორც ითქვა, ჩაიდინა კიდეც, თუმცა ამას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა),

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარ-პატარა ცვლილებების მიხედვით - ხმაში, გამოხედვაში, მიხრა-მოხრაში, სადილ-ვახშმის გაკეთებაში და სხვ. - წესით ეჭვი (პროგრესული ეჭვი) ისედაც უნდა გასჩენოდა, მაგრამ იმ ხანად იგი თვითონაც სამიჯნურო თავგადასავლებში იყო ჩაყურყუმალავებული (გარემოებათა არახელსაყრელი დამთხვევა) და, თუმც მისი თავგადასავლები უფრო თეორიულ, წარმოსახვით, შეიძლება ითქვას, მხატვრულ არხში მიედინებოდა, მაინც იმდენ ყურადღებას მოითხოვდა, რომ დედისთვის აღარა რჩებოდა რა.

სრული მოლოდინი იმისა, რომ შვილი, თუ ნამდვილს ვერ შეიტყობდა, ბუნდოვან ეჭვს მაინც აიღებდა (ფსიქოლოგიური შემზადებისთვის ესეც იკმარებდა), დედას იქამდე გაჰყვა, სადამდეც გარემოებანი საშუალებას იძლეოდნენ. გარემოებანი საშუალებას იძლეოდნენ ოქტომბრის მეორე დეკადამდე, როდესაც მთისძირის საავადმყოფოს მთავარი ექიმი - დროა ისიც ჩავრთოთ მოთხრობის მდინარებაში - სამუშაოდ თბილისში მიიწვიეს, რის გამოც ყველა ვადა ერთბაშად ამოიწურა და მთავარი პრობლემა, რომელიც აქამდე წარმატებით ეფარებოდა მეორეხარისხოვან პრობლემებს და, მათ პრიზმაში გადატეხილი, ყოყმანისთვის მიზეზსაც უხვად შოულობდა და საბაბსაც, წინა პლანზე გამოვიდა შიშველი და ოთხივ მხრიდან განათებული.

როდესაც ყოყმანზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მყავს პრ. დიდებულიძის დედა და არა მთავარი ექიმი. მთავარი ექიმი არ ყოყმანობდა. მას პრ. დიდებულიძის დედა ისე უყვარდა, როგორც ორმოც წელს მიტანებულ ნორმალურად აღზრდილ, ნორმალურად განვითარებულ, ნორმალური მსოფლმხედველობის მქონე კაცს შეეფერება, რომელიც მკაფიოდ გამოხატული დადებითი პიროვნებაა, ხოლო თუ შეფასების კრიტერიუმში ეპოქის კოეფიციენტსაც შევიტანთ, რაიმე განსაკუთრებული შეღავათის გარეშე შეიძლება კარგი ადამიანიც ვუწოდოთ (წარმოიდგინეთ ფსიქიკურად და ფიზიკურად ჯანმრთელი, ფერხორციანი, გაწონასწორებული და ბუნებრივი, ზომიერად პრაქტიკული, სანდო და საიმედო კაცი, რომელსაც თავ-ბოლო ისეთ ზომაზე აქვს წაკვეთილი, რომ ვერც პატივმოყვარეობის მეტობით ვარსკვლავების დაკრეფა დაისახოს მიზნად და არც ღირსების ნაკლებობით აქოთებულ ჭაობში ფეხის ჩადგმა იკადროს); ასეთი ტიპის ადამიანები კაცობრიობის ყველაზე მყარ, ყველაზე ჯანსაღ, ყველაზე შუათანა ფენას შეადგენენ და სხვა ფენებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მშვიდი ცხოვრება აქვთ, ნოყიერად იკვებებიან, დიდხანს ცოცხლობენ და, როცა ბოლოს და ბოლოს დაიხოცებიან, სულიერსა და მატერიალურ კვალს დაახლოებით თანაბარი სიგრძისას ტოვებენ. მთისძირის საავადმყოფოს მთავარ ექიმს რომ მივუბრუნდეთ - თან ზოგადადამიანური საფუძვლებიდან მზერა ცოტა ხნით ეროვნულ საყრდენებზე გადავიტანოთ - იგი ტრადიციების პატივისმცემელი გახლდათ, რაც, თუ დაკვირვებიხართ, კეთილშობილებას - თანდაყოლილსაც და შეძენილსაც - ბზინვას მატებს, ვითარცა ლაკი გაშალაშინებულ ფიცარს. ხოლო მთავარი ექიმი რომ გაშალაშინებული იყო, ამას შემდეგი ეპიზოდიც მოწმობს: როცა პრ. დიდებულიძის დედას სიყვარულში გამოუტყდა, იქვე განზრახვის სერიოზულობისა და გრძნობათა სოლიდარობის საზეიმო დემონსტრაციაც მოახდინა და ოფიციალურად თხოვა ხელი; ყოყმანი რა შეატყო, თავის წინადადებას ჩალაბულა მორჩილად მიაყარა და მხოლოდ ზომიერი, მომჭირნედ ოპტიმისტური იმედი დაიტოვა, ოღონდ იმედი ისეთი კუთხით კი დადგა - და ამის გამო ვერავინ დაძრახავს - რომ ზედ სიყვარულის ხანძარიც მკაფიოდ არეკლილიყო და სახანძრო რაზმიც, რომელიც სიყვარულის დაუკრეფავში გადასვლის ნებას არ აძლევდა. ასეთი საქციელი, რაც ახლა ბევრს ძველმოდური მოეჩვენება და იქნებ მთლად ახალმოდური არც მაშინ იყო, შინაგანი ღირსებისა და მყარი პატიოსნების ნიშანია. მერეც, როცა ორივე მხრიდან სიმეტრიულად გადაიდგა შემხვედრი ნაბიჯები და სასიყვარულო წრეც, ასე ვთქვათ, შეიკრა, საავადმყოფოს მთავარი ექიმი საკუთარ სურვილს ყოველთვის უკანა პლანზე სწევდა ხოლმე და გადაწყვეტილების მიღებას მთლიანად პრ. დიდებულიძის დედას ანდობდა. თბილისიდან რომ მიწვევა მოუვიდა, მაშინაც ასე მოიქცა. გინდა წავიდეთ, გინდა დავრჩეთო, უთხრა, წინადადება კარგია, მაგრამ ჩემთვის მთავარი შენი სურვილია და არა კარგი წინადადებაო. პრ. დიდებულიძის დედამ წასვლა გადაწყვიტა. სიმართლე რომ ითქვას, ამ მოულოდნელმა პერსპექტივამ გაახარა კიდეც: ქორწინების ოფიციალური გაფორმება კარგა ხანია დღის წესრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგში იდგა და ერჩია ეს მძიმე და საჩოთირო ცერემონიალი უცხო გარემოში ჩატარებულიყო, უცნობი ხალხის წინაშე, ვიდრე აქ, შინაურთა წრეში, სადაც, ეჭვი არაა, არაერთი მწარე, მკვახე, გამკილავი სიტყვის გაგონება მოუხდებოდა. ერთადერთი საფიქრალი შვილი იყო, მაგრამ საქმეს უკვე ისეთი პირი უჩანდა, დედის თავს დატეხილი მწარე ბედნიერება შვილს, ეტყობა, დედისგანვე უნდა გაეგო. ასეთ ვითარებაში ლოდინს აბა რაღა აზრი ჰქონდა! მართლაც, ძალ-ღონე მოიკრიბა, გული გაიმაგრა და ერთ მშვენიერ საღამოს შვილს შიშით, ენის ბორძიკით და შეკავებული ტირილით თავისი საძრახისი გულისთქმა და ამასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები გაანდო.

პრ. დიდებულიძეს საუბრის დასაწყისშივე მამა მოაგონდა და მერე, ვიდრე საუბარი დასრულდებოდა, ამაოდ ცდილობდა მისი სახე გონებაში გაეცოცხლებინა.

საუბარმა დიდხანს გასტანა.

დედა არეულად ლაპარაკობდა, შვილს თვალს ვერ უსწორებდა და უხეშ გრამატიკულ შეცდომებს უშვებდა. ამის გაგონებაზე, ვიცი, ბევრი ისეთი სპეციფიკური ღიმილით გაიღიმებს, რომელიც ჰუმანურ შემწყნარებლობასაც გამოხატავს, კეთილ ირონიასაც და საკუთარი უხიფათობის შეუვალ რწმენასაც, მაგრამ ვისაც ძალა ეყოფა და თავს მის ადგილას წარმოიდგენს, არ შეიძლება გული თანაგრძნობის თბილი დინებებით არ დაესეროს. „ვთხოვდები“ ისეთი სიტყვაა, მშობელს ვერ ვეუბნებით თამამად და მთლად გამართულად და მით უმეტეს შვილს ვერ ვეტყვით, ვინც ასეთ დროს ყველაზე მძიმე, ყველაზე უხერხული, ყველაზე ძნელად მისადგომი თანამოსაუბრეა (თუ ქმარს არ ჩავთვლით, მაგრამ ქმართან ამ საგანზე, როგორც წესი, საერთოდ არ ლაპარაკობენ, რაც, ქმრის, როგორც ასეთის, უკონტროლო ბუნებასა და სუსტ მუხრუჭებს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით სწორი საქციელია).

მერე, მთელი სიცოცხლის მანძილზე, როცა კი ეს საღამო მოაგონდებოდა, ყოველთვის უკვირდა, რა ძალამ ათქმევინა ის, რაც თქვა, და თუ თქვა, როგორ არ გაიგუდა ნათქვამის სიმძიმის ქვეშ. არადა, თქვა. თქვა და არ გაგუდულა. თქვა მიუხედავად იმისა, რომ პრ. დიდებულიძე მაშინ ისეთ ასაკში იყო, როცა თავმოყვარე ხელში საგოზავი გვიჭირავს და, სადაც კომპრომისის ხვრელს წავაწყდებით, მრისხანე გულმოდგინებით ვქოლავთ. დაკვირვებიხართ ალბათ: ვიდრე შვილს არაფერი ესმის, გათხოვება შედარებით იოლია, როცა უკვე ყველაფერი ესმის, მაშინაც შესაძლებელია სიძნელეებს ასე თუ ისე მშვიდობიანად დააღწიო თავი, მაგრამ როცა ზოგი რამ ესმის და ზოგი რამ არა, თანაც რაც არ ესმის, ჰგონია, რომ ესმის, და, რაც ესმის, არასწორად ესმის, დაბრკოლება მაქსიმალურია, რომ არა ვთქვათ - გადაულახავი. პრ. დიდებულიძე სწორედ ასეთ ასაკში იყო. ირგვლივ საადრეო რომანტიზმის სქელი ბურუსი ერტყა და შიგ მოჩვენებითი თავმოყვარეობის, მოჩვენებითი ღირსების, მოჩვენებითი მორალისა და გაძლიერებული უკომპრომისობის ბარიერები ჰქონდა ჩადგმული. და გასაკვირი ის კი არ არის, რომ დედას გაუჭირდა იმ სიტყვების პოვნა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ასეთი ბარიერები გადალახო და თორმეტი წლის ბიჭს თან გასაგებად, თან ობიექტურად, თან ტაქტიანად აუხსნა ცხოვრების აბსოლუტური და რელატური ღირებულებანი - ამქვეყნიური არსებობის ნაკლი და ღირსება (მათ შორის ღირსების ნაკლიცა და ნაკლის ღირსებაც), მაქსიმალიზმის ცრუჰუმანურობა, მცირე ბედნიერების აუცილებლობა, დიდი უფლება ამ მცირე ბედნიერებაზე და ა. შ. - არამედ ის, რომ დედამ ეს სიტყვები, ბოლოს და ბოლოს, იპოვა.

ჩემი აზრით კი პრ. დიდებულიძის დედას ტყუილად ეგონა, ვითომ, შვილი თუ ადრევე შეიტყობდა მის დაცემას (გულში ზოგჯერ ამ უკიდურესი ტერმინითაც მოიხსენიებდა ხოლმე გრძნობათა, შესაძლებლობათა და ხდომილებათა იმ მღვრიე ედემს, რომელშიაც უკანასკნელ ხანებში უხდებოდა ცხოვრება), ამით საუბარი გაუადვილდებოდა. უფრო სავარაუდოა - ნუ ვილაპარაკებთ გაადვილებაზე, რაც ასეთ კონტექსტში, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტულად ჟღერს, ვილაპარაკოთ შეძლებაზე - საუბარი სწორედ იმან შეაძლებინა, რომ ახალ ამბავს შვილი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და, მეხი რომ უეცრად გავარდა, უეცარმა მეხმა ყურიც დაუყრუა, თვალიც დაუბრმავა, ტვინიც მოუჩლუნგა და მერე, დაყრუებულს, დაბრმავებულს, გამოლენჩებულსა და წინააღმდეგობის უნარდაკარგულს ის თავისი ნაქები უკომპრომისობის ბარიერებიც სწრაფად მიულეწ-მოულეწა.

გარედან რომ შეგეხედათ, საეჭვოს,

ალბათ, ვერაფერს შეამჩნევდით, ასე გეგონებოდათ დედა-შვილი რაღაც უბრალო და უმნიშვნელო, ყოველდღიურ საგნებზე წყნარად მასლაათობენო. სინამდვილეში – გარედან დიაღაც ძნელია ამის შემჩნევა – პრ. დიდებულიძის დაბუქებული სხეული ტომარასავით იდო ჯორკოზე, ხოლო, ის რაც სხეულს ცნობას, გრძნობას და სიცოცხლის სხვა ნიშნებს ანიჭებს, ისეთი სისწრაფით ტრიალებდა იმ ჯორკოს ირგვლივ, რომ მალე გავარვარებული ალმური ერთიან მასად იქცა და საბოლოოდ სხეულს მყარ, გაუმჭვირვალე გარსად შემოეკრა, როგორც ნაჭუჭი თხილის გულს. ნაჭუჭში ბნელოდა და დედის ცივი სიტყვები სიბნელეში ყრუ ხმაურით ცვიოდა, რაც უწინარეს ყოვლისა იმას მოწმობდა, რომ პრ. დიდებულიძის დაცარიელებულ ციხესიმაგრეში ჯერ კიდევ ბოგინობდა სიცოცხლე. თუმცა, გარდა დედისა, აქ სიცოცხლის სხვა მოწმეც იმყოფებოდა. ეს მოწმე მამა იყო. მამა სწორედ მაშინ აღმოჩნდა უკუნში, როცა ნაჭუჭმა პირი შეიკრა. ოღონდ აქ მცირე დაზუსტებაა საჭირო. ეს ჯერ კიდევ არ ყოფილა მამა, ეს ჯერ კიდევ მხოლოდ სიტყვა „მამა“ იყო, რომელიც კარუსელივით მბრუნავ კედელზე ირეკლებოდა და, თუმც კი აზრს თავისას, საგანს თავისას, ხატსა და შესაბამისობას თავისას ვერ პოულობდა, მაინც, უსაგნოდ და უაზროდ დაშთენილი, არ კვდებოდა, არ ქრებოდა, იმ ბნელსა და უდაბურ არსებობას არ ტოვებდა; ხოლო მიზეზი ამისა ის იყო, რომ მის დანახვაზე პრ. დიდებულიძეს უცნაური და უცნაურად ნატიფი განცდა დაეუფლა – თითქოს ზამთრის გათოშილი შარაგზიდან რაღაც მანქანებით მყუდრო დარბაზში მოხვდა და უეცრად ბუხრის მივიწყებული სითბო – უფრო სითბოს მივიწყებული სუნი – იგრძნო.

პრ. დიდებულიძე ამაოდ ცდილობდა სიტყვა „მამისთვის“ ხორცი შეესხა. პირველი, რასაც ბნელმა ნაჭუჭმა თავისი უხილავი კარი გაუღო, დედის ცრემლები იყო, რომლებმაც მართალია სიტყვა „მამა“ მთლად ვერ წაშალეს, მაგრამ სითბოს სუნი კი განდევნეს და შვილის გამოფიტული სხეული საკუთარი ნებით გაქცინთეს.

ნაჭუჭი რომ, ბოლოს და ბოლოს, თავისსავე ცეცხლზე დადნა და სიბნელეში სინათლემ შემოიხედა, პრ. დიდებულიძემ იქ ერთბაშად იმდენი გაუგებარი და შიშველი კითხვა დაინახა, რომ მათი გამოისობით მთავარი პრობლემა – ანუ პრობლემა, რომელიც, როგორც მერე გამოირკვა, მთავარი ყოფილა – გასაკვირი კია, მაგრამ ვეღარ შეამჩნია; მაშინ როგორღაც თავისთავად იგულისხმებოდა, რომ შვილს დამოუკიდებელი არჩევანი არ ჰქონდა. რაკი დედამ ყველა მორალური დაბრკოლება დაძლია და მომავალ ქმართან ერთად თბილისს გამგზავრება გადაწყვიტა, შვილიც თან უნდა წაჰყოლოდა, და ეს უალტერნატივო დებულება იყო. შვილს შეეძლო ეჩხუბა, ეყვირა, აჯანყებულიყო, ნაჯახისთვის დაევლო ხელი და ა. შ. ოღონდ მხოლოდ იმ მიზნით, რომ წასვლა გადაეთქმევინებინა, და არა იმ მიზნით, რომ თვითონ არ წაჰყოლოდა. ყოველ შემთხვევაში, ის კითხვის ნიშანი, რომლის ქვეშ წაყოლა-არწაყოლის პრობლემა იდო, პრ. დიდებულიძის მაშინდელი სარკმლიდან არ ჩანდა. ამაში ცხადია, მოულოდნელობასა და აქედან გამომდინარე ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობასაც ედო წილი, მაგრამ ეს წილი დიდი არ ყოფილა. მთავარი ის იყო, რომ პრ. დიდებულიძის შეგნებაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ავტორიტეტთან გადამწყვეტი დაპირისპირების იდეა. უფრო სწორად, არსებობით კი არსებობდა – ეს იდეა თანდაყოლილია – მაგრამ გაღვიძების დრო არ დადგომოდა, უდროოდ გაღვიძებისთვის კი საჭირო შეიქნა ისეთ საზეიმო და ხმაურიან აქციაზე დასწრება, როგორიცაა დედის ქორწილი.

საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა (მისი სახელი და გვარი ბესარიონ კომახიძე გახლდათ) ტექნიკური საკითხები სწრაფად მოაგვარა და ოქტომბრის მიწურულს (მაღლითი ამ დროს, უკაცრავად პასუხია და, ახალმოლოგინებულ მზეთუნახავს ჰგავს) სამივენი თბილისს გაემგზავრნენ. სანაკლიომდე კოლმეურნეობის საბარგო მანქანით ჩავიდნენ, იქიდან კი მატარებლით (მატარებელი №11) განაგრძეს გზა.

ვაგონში ისე ისხდნენ, როგორც დედა, მამა და შვილი. ასი კაცისთვის რომ გეკითხათ, ასივე იმას გეტყოდათ, დედა, მამა და შვილი არიანო. მართალია, პრ. დიდებულიძე გაბუსხული იჯდა და ერთთავად იატაკს ჩასცქეროდა (რომელიც ჩვეულებრივი იატაკისაგან განსხვავებით მოძრავი იყო, ეს კი ისეთი საინტერესო ფაქტია, რაოდენ გაბუსხულიც უნდა იყო, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ მოგტაცოს ფიქრი), მაგრამ მის ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბუსხულობას ზემოთ მოხსენებული ასივე კაცი, ეჭვი არაა, რაიმე წვრილმანი და სწრაფგამდინარე უსიამოვნებით ახსნიდა.

სინამდვილეში კი პრ. დიდებულიძე მაღლითიდან გამოყოლილ ცეცხლოვან პრობლემებს ჩაჰკირკიტებდა და ცდილობდა ისეთ კითხვებზე გაეცა პასუხი, ჯერ რომ არც ერთ თორმეტი წლის ბიჭს არ გაუცია. ეს იყო დასაბამიერი კითხვები სიყვარულის, ღალატისა და შურისძიების (ნაწილობრივ აგრეთვე თანაგრძნობის) შესახებ, და აბა რა გასაკვირია, რომ ასეთ რთულ ლაბირინთში, სადაც, ვინ მოთვლის, რამდენი ბრძენი და ჭკუის კოლოფი უნუგეშოდ დაკარგულა, მისნაირი უმწიფარი ბღარტი რეტდასხმული ქათამივით აწყდებოდა შებრკოლების ლოდებს და როგორც ერთ დროს მითოლოგიური, სწორხაზოვანი და ქურუხი ამირანი, კვლავ და კვლავ საწყის წერტილს უბრუნდებოდა, თითქოსდა ცნობიერების სამყარო გველეშაპი იყოს, რომელსაც კუდი პირით უჭირავს.

მაგრამ წინ გრძელი გზა იდო (ჯერ მე აგერ ახლა რამდენი ხანი მოვუნდი მის გამოვლას ჩემი სწრაფი „ნივით" და წარმოიდგინეთ მაშინ რამდენი ხანი უნდა დასჭირვებოდა, როცა მატარებლები მართლა წელკავიანებივით დაიარებოდნენ და ყოველ მეორე კილომეტრზე დასვენება სჭირდებოდათ!); დიახ, წინ გრძელი გზა იდო და პრ. დიდებულიძესაც, შესაბამისად, საფიქრალად ბევრი დრო ჰქონდა.

პირველი ჭექა-ქუხილი, რომელიც დედის იმ მოულოდნელმა აღსარებამ გამოიწვია და ნერვული სისტემა დროებით მწყობრიდან გამოიყვანა, უკვე ჩამცხრალი იყო. მართალია, შიშველი ნერვები კვლავაც მარილიან ზღაპირზე ეწყო და პრ. დიდებულიძეს – იგი კიდევ ერთხელ უნდა შევადაროთ ამირანს, ოღონდ ამჯერად კავკასიონზე მიჯაჭვულს – უჯიგრო არწივი გულგრილი ინერციით უკორტნიდა გულ-ღვიძლს, მაგრამ ტკივილი ახლა ყრუ იყო და ძველებური ჭრა აღარ ჰქონდა

თუმცა ამას მოვეშვათ...

ვაგონში პრ. დიდებულიძის კბილა ერთი ბიჭი იყო, რომელსაც დედ-მამა (ალბათ ნამდვილი) ახლდა. ბიჭს გაუთოვებული შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა. პერანგის საყელოზე, როგორც საყმაწვილო სახრჩობელას ყულფი, წაჭერილი ჰქონდა შავი ბაფთა, და თუმცა ბაფთა – რაგინდარა ფერისა – ისეთი ურყევი ნიშანი არ არის, რომ წარმატებით იწინასწარმეტყველო, რა გამოვა ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ მისი პატრონისაგან, ამ შემთხვევაში ხუჭუჭ თმასთან, ვუნდერკინდის გამომეტყველებასთან და შავ ყუთში, როგორც კუბოში ჩასვენებულ ვიოლინოსთან ერთად, რომელიც გვერდით ედო ბიჭს, ისეთ დასრულებულ სურათხატს ქმნიდა, რომ თუ გინებით სასწრაფოდ ყელს არ გაისველებდით, სულს არ მოიბრუნებდით და პოზიციას არ განიმტკიცებდით, უპატრონოდ დარჩენილ თქვენს ყელს, თქვენს სულსა და თქვენს პოზიციას მეორე წამს შურის მწვანე ეშმაკი დაეპატრონებოდა. პრ. დიდებულიძის სულს, უნდა ითქვას, დაეპატრონა კიდეც, მაგრამ აქ უეცრად ერთი ისეთი ფსიქოლოგიური აფეთქება მოხდა, იძულებული შეიქნა უმალვე დახსნოდა. საქმე შემდეგში გახლავთ: შურის ტყვეობაში მოქცეულმა პრ. დიდებულიძემ რომ ბაფთიანი ბიჭი წარმოსახვის ძალით ბედის კალაპოტიდან ამოაგდო და მის ადგილას თვითონ ჩაეჭედა, უეცრად თავისი მიტოვებული ბედის მძაფრი ნოსტალგია დაეუფლა, რომელმაც პათეტიკურად, მაგრამ სავსებით გულწრფელად და მთელი სამყაროს გასაგონად ასე შესძახა (სტატისტიკის მოყვარულთათვის კიდევ ერთხელ დავაზუსტებ: მოქმედების დრო – 1944 წლის 28 ოქტომბერი, მოქმედების ადგილი – მატარებელი №11 და ვაგონი №7): ო, ჩემს ბედს ისეთი იდუმალი ანდამატი ჰქონია, რა საგანჯველსაც უნდა მიმზადებდეს, სხვისაში მაინც ვერ გავცვლიო. ეს დებულება, რომელსაც პრ. დიდებულიძე დიდხანს ეღოლიავებოდა, ვინაიდან თავისი გამორჩეულობის მაჩვენებელი ეგონა, სინამდვილეში ფსიქიკის საერთო პრობლემაა, თანაც ისეთი საინტერესო, რომ ფიქრისა და თავსატეხების მოყვარულ კაცს მარტო მის გახსენებაზეც კი პირზე ნერწყვი მოგადგება, მაგრამ ახლა ამ თემას ვერ ჩავუღრმავდები: თბილისს მიმავალ პრ. დიდებულიძეს მატარებელში სხვა უფრო საშური და საჭირბოროტო პრობლემები უღრღნიდა ტვინსა და გულს.

მიღოღავდა მატარებელი და პრ. დიდებულიძე ჟამიდან ჟამზე დედასა და სამამინაცვლოს ახედავდა. ახედავდა ქურდულად და ყოველ ახედვაზე ხელახლა რწმუნდებოდა, რომ ორთავენი მოხუცები იყვნენ, ხოლო რაკი დაქორწინება უდავოდ ახალგაზრდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პრეროგატივაა, პრობლემა, ამგვარად, ჩიხში იყო მოქცეული, დიახ. პრ. დიდებულიძე, ჩიხში მოქცეული პრობლემისთვის რომ ცოტა ესაშველა და მძიმე ამოცანა შეემსუბუქებინა, შიგადაშიგ გულში ყოყმანით გაივლებდა, იქნებ მეჩვენება და სინამდვილეში არც ისე მოხუცები არიანო, მაგრამ ამ ცრუ ლიბერალიზმს წამსვე უარყოფდა: სამამინაცვლო იმ ზომამდე იყო გამელოტებული, ხოლო დედა უკვე იმდენი ხანია დედა იყო, რომ საეჭვო და საყოყმანო არაფერი რჩებოდა.

რაც შეეხება ბაფთიანი ბიჭის დედას, იგი განსხვავებით ბაფთიანი ბიჭის მამისგან – რომელიც ჰალსტუხიანი მეგუშაღის სახედ და ხატად იყო შექმნილი – ულამაზეს თეთრ ცხვარს ჰგავდა და ჰგავდა არა იმდენად წვრილად დახვეული წმინდა კრაველის თმით, რამდენადაც ვოკალით, განსაკუთრებით, როცა მარცვალ „ბე“-ს წარმოთქვამდა, მარცვალ „ბე“-ს კი ხშირად წარმოთქვამდა, ვინაიდან შვილს ბენიამინი ერქვა: „ბეენიამინ“. და როდესაც ბენიამინმა თეთრი დედის დაკვეთით („აბა, ერთი შენებურად, ბენია!“) ვიოლინო შავი კუბოდან ციმციმ ამოასვენა და წრიპინი დააწყებინა, პრ. დიდებულიძის ფიქრებმა სტატისტიკიდან მორალზე გადაინაცვლა. გაზაფხულზე, დედა რომ თბილისში გამოიძახეს, რათა უშიშროების დაგვიანებულ თუ განახლებულ კითხვებზე პასუხი გაეცა, მისი ბედი სასწორზე დაიდო. უშიშროება ამოუხსნელი რებუსია. ვერ გაიგებ, რა უდევს გუნებაში და ვის ემსახურება... სასწორი, რომელზედაც დედის ბედი იწონებოდა, ერთი პინით ციმბირს დასცქეროდა, მეორეთი მაღლითს, და თითის უბრალო წაკარება კმაროდა, რომ ან აქეთ გადახრილიყო, ან იქით. საბოლოოდ მაღლითის პინამ გადასძალა, მაგრამ რატომ, არავინ იცის. იმ დროს პრ. დიდებულიძე პატარა იყო და უშიშროებისა სრულიად არაფერი გაეგებოდა; მერე, ცოტაოდენი ინფორმაცია რომ მოუგროვდა, შეკრთა და ღმერთს მადლი შესწირა, რომ დედამ ამ სისხლიან ურჩხულს მშვიდობით დააღწია თავი; ახლა კი №7 ვაგონში, სადაც ბაფთიანი ბიჭი შთაგონებული სახით აწიკვინებდა ვიოლინოს და მსმენელთა ჩუმ გინებას იმკიდა, თავის ცივსა და ცარიელ გულში იმ აზრს დასტრიალებდა, რომ ეგებ უმჯობესი იყო, უშიშროებას ის წარმოსახვითი სასწორი მაშინ ციმბირისკენ გადაეხარა. ვინ იცის, დედა ამით არა მარტო იმ დიდ სირცხვილსა და ტკივილს ასცდენოდა, რომელიც ახლა, მაჯლაჯუნად გარდასახული, შვილს მახრჩობელა გველივით შემოხვეოდა კისერზე, არამედ, გმირიც კი გამხდარიყო. გმირობისთვის ხომ (პრ. დიდებულიძე მაშინ ამას ბუნდოვნად გრძნობდა) საგმირო საქმის ჩადენა სულაც არ არის საჭირო, თუ დროს კარგად შეურჩევ. უბრალო დაღუპვაც კმარა! და თუ გმირი არ გახდებოდა, თანაგრძნობით მაინც მოიხსენიებდნენ, როგორც უსამართლობის მსხვერპლს, და ვერასოდეს ვერავინ გაიგებდა, ამ უსამართლობის მსხვერპლს თუ – მისი ცხოვრების დინებაში რომ უშიშროება არ ჩარეულიყო – საკუთარი შთამომავლობის თვით ესოდენ სამარცხვინო ლაქის დატოვება ეწერა შუბლზე.

ცხადია, ეს ოცნება არა მარტო ფუჭი, არამედ ამორალურიც იყო და, მართლაც, ვუნდერკინდმა რომ წრიპინი მოათავა და ვაგონში ფარისევლური ტაში გაისმა, პრ. დიდებულიძემ სინდისის ქენჯნა იგრძნო.

მამა მატარებელში არ შემოსულა, გარეთ დარჩა და ნიავქართან ერთად ფეხდაფეხ მისდევდა №7 ვაგონს. დროდადრო ვიწრო სარკმელშიც შემოიხედავდა – ამას პრ. დიდებულიძე სხეულით გრძნობდა – მაგრამ არ ჩანდა, ვინაიდან მისი შემოხედვა იყო შემოხედვა აჩრდილისა, წარმოსახვისა, ორგანზომილებიანი მოგონებისა, რომელსაც ხორცი არ ასხია და რეალური სახე არა აქვს.

ბესარიონ კომახიძე ახლაც, როგორც ყოველთვის, საცოლის ნებას დაჰყვა და საქორწილო სუფრაზე მხოლოდ უახლოესი ნათესავები და მეგობრები მოიწვია, ისე რომ ერთ მოზრდილ ოთახში ყველანი თავისუფლად დაეტივნენ.

საერთოდ, სამამინაცვლო ზომიერი კაცი იყო, ზომიერიც და წესიერიც, და, ბედს რომ იგი სხვა, უფრო ნეიტრალურ, უფრო დაუძაბავ და ნაკლებ პირადულ ვითარებაში შეეხვედრებინა, პრ. დიდებულიძეს ეგებ მოსწონებოდა კიდეც. განსაკუთრებით საგულისხმო – ალბათ პატივსაცემიც – მის ქცევაში ის იყო, რომ გერის გულის მოგებას არ ცდილობდა. რაღა თქმა უნდა, ეს ოდენ აბსტრაქტული მსჯელობაა და, თუ ვინმე მასში ბედისადმი მომავალი მორჩილების სიმპტომებს დაინახავს, ამით მხოლოდ საკუთარ სიმპტომებს გაამჟღავნებს. პრ. დიდებულიძეს სირცხვილად ისიც ჰყოფნიდა, რომ დედას თბილისში წამოჰყვა და ამით, ნებსით

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ უნებლიეთ, მისი ღალატის მონაწილე შეიქნა. ერთი სიტყვით, რაიმე კომპრომისზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო და, მართლაც, მეორე დღეს, როცა სუფრას უკვე სულ ბოლომდე გაცხრილული, გაცრილი და გაფილტრული შინაურები უსხდნენ, მთავარი ინციდენტიც მოხდა.

ერთი შეხედვით ინციდენტს, რომელზედაც ლაპარაკია, არაფერი ეტყობოდა საიმისო, რომ მთავარი როლი დაკისრებოდა, და საერთოდაც, მე მგონია, აქ ბოლო წვეთზე უფრო უპრიანი უნდა იყოს ლაპარაკი, ვიდრე მთავარ როლზე. ასეა თუ ისე, ქორწილის მეორე დღეს, გვიან ღამით, როცა სუფრა უკვე გვარიანად მოოხრებული და ნახევრად აშლილი იყო, ერთმა მანდილოსანმა, რომელიც ოთახის კუთხეში სავარძელში იჯდა ფეხიფეხშემოდებული და სიგარეტს აბოლებდა, სწორედ იმ დროს, როდესაც წინ პრ. დიდებულიძემ ჩაუარა, მეორე მანდილოსანს, რომელიც ასევე ფეხიფეხშემოდებული იჯდა მეორე სავარძელში და მასავით სიგარეტს აბოლებდა, ჩუმად ჰკითხა: „ეს ვინღაა?“ მეორე მანდილოსანმა პრ. დიდებულიძეს თვალი გააყოლა და მიუგო: „ეს მზითევია“. ამაზე პირველმა მანდილოსანმა გაიცინა და თქვა: „მოზრდილი მზითევი მოჰყოლია“.

იმ ღამეს, როგორც იქნა, მამამ შვილის თვალსაწიერში შემოაღწია და შვილმა მამა დაინახა. მართალია, რაკი არ ახსოვდა, გადაჭრით ვერ იტყოდა, ზუსტად შეესაბამებოდა თუ არა გამოცხადება ნამდვილს, მაგრამ ამას იქნებ არცა აქვს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ცხოვრების ეს მონაკვეთი სიზმარს ჰგავდა (ხედვის რომელიმე კუთხიდან შესაძლოა იყო კიდეც სიზმარი), სადაც ფაქტებს უკრიტიკოდ ვიღებთ ხოლმე.

მამამ ნაღვლიანად გაიღიმა და, თუმც თქმით არაფერი უთქვამს, სახეზე ისეთი გამომეტყველება დაედო, კაცი რომ სირცხვილს ჭამს, ან უსიამოვნებას რასმე გადაეყრება.

დილით პრ. დიდებულიძეს უცნაური - ცოტა კომიკურიც კი - ეჩვენა, რომ მაღლითიდან გამომგზავრებისას ასე ეგონა, სამუდამოდ ვტოვებ აქაურობასო. ახლა ეს ფარსს უფრო ჰგავდა, ვიდრე გულწრფელ განცდას. მართლაც, მთელი დღე ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო აზიდებდა და საღამოს - ეს გახლდათ დედის ქორწინების მესამე, ხოლო თბილისში ყოფნის მეექვსე დღე - მამინაცვლის სახლიდან გაიპარა (აქ უმადურობა იქნება არა ვთქვა, რომ წასვლის წინ ჯიბეები კარგად მოიჩხრიკა და მართალია იქ სანუგეშო ვერა ჰპოვა რა, ცთუნებას არ აჰყოლია, მერვე მცნების მყიფე საზღვრები არ გადაულახავს და, რაც საკუთარი შარვლის ჯიბეში ვერ იპოვა, იმის ძებნა სხვისი შარვლის ჯიბეებში არ დაუწყია; თუმცა, მეორე მხრივ, ფარისევლობა იქნება ისიც არა ვთქვა, რომ ამ სამაგალითო საქციელის მიზეზი თავმოყვარეობა იყო და არა მორალი).

კარგად რომ დაღამდა, რკინიგზის სადგურზე გავიდა, სანაკლიოსკენ მიმავალი მატარებელი მოძებნა, ჩუმად შეიპარა ვაგონში იმ დროს, როცა გამცილებელი რამდენიმე მოყაყანე დედაკაცთან უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული, და მცირეოდენი თავგადასავლის შემდეგ, რაც ძირითადად ხსენებულ გამცილებელთან კუკუდამალობანას უწყინარ თამაშში გამოიხატა, ახალგათენებულზე მშვიდობით მიაღწია სანაკლიოს.

თუმცა სანაკლიოში ჩასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მაღლითში ჩასვლას, მატარებლიდან გადასულმა, გრილსა და ნაცრისფერ რიჟრაჟში უეცრად ისეთი სიხარული იგრძნო, თითქოს ეს სანაკლიოს ყოვლად ჭუჭყიანი სადგური კი არა, იუპიტერის წმინდა ტაძარი ყოფილიყოს, სადაც საშიშ მდევარს ფეხად შეასწრო.

სანაკლიოს ამ დროისთვის უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა და ავტოსადგურის პოვნა არ გასჭირვებია.

მთისძირის ავტობუსი (მაღლითამდე რეგულარული რეისები არ იყო) ნაშუადღევს გადიოდა, ამიტომ გადაწყვიტა, ზედმეტი დრო, რაც დაახლოებით შვიდ საათს შეადგენდა, ქალაქში ხეტიალით მოეკლა.

შვიდი საათი შესაძლოა ძალზე ცოტაა საიმისოდ, რომ მომავალი განჭვრიტო და რაიმე გულდაჯერებულ გადაწყვეტილებამდე მიხვიდე, მაგრამ ბედისწერა თუ ატყდა, საიმისოდ კი სავსებით საკმარისია, რომ წარსულის რომელიმე ცუდად დაგდებულ ნატეხს ფეხი წამოკრა და იმისთანა ორმოში მოადინო ტყაპანი, სამუდამოდ დაკოჭლდე.

რაკი დროის მოკვლის მეტი სხვა მიზანი არაფერი ჰქონდა, ალალბედზე მიაბიჯებდა და ცდილობდა შეძლებისდაგვარად უტყუარი რამ ხერხი მოეგონებინა, რათა იმაზე მეტი, რაც მატარებლით მგზავრობა დაუჯდა, არც ავტობუსით მგზავრობა დაჯდომოდა. დილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ხანს იარა ასე ფიქრებში ჩაფლულმა თუ ცოტა ხანს, ბოლოს, ქალაქის ცენტრს რომ მიატანა, მზემაც რომ ძალი მოიცა და გაღვიძებულმა შიმშილმაც სტომაქში სიცარიელეს დაუწყო ძიძგნა, მეტი ვეღარ მოითმინა და ერთ კაცს, რომელიც საამისოდ სხვაზე უფრო შესაფერისი ეჩვენა, დრო ჰკითხა. იმის იმედი, რაღა თქმა უნდა, არა ჰქონია, რომ შვიდივე საათი გულგანგმირული ეყრებოდა მის ფერხთა ქვეშ, მაგრამ ვერც იმას იფიქრებდა, ესოდენ მყიფე და სწრაფწარმავალ ჟამს თუ ამდენი ხნის განმავლობაში ნახევარ საათზე მეტი ვერ ჩამოტეხა. ამიტომ, პასუხით იმედგაცრუებულმა, გზა რომ განაგრძო, თან მტკიცედ გადაწყვიტა ამ თემაზე აღარ ეფიქრა.

მალე ბაზარს გასცდა, - ეს „ზედა ბაზარი" გახლდათ - ხიდი ხელმარჯვნივ მოიტოვა, ქვევით დაეშვა, განიერი, ასფალტიანი ქუჩა ჩაათავა, უფრო ვიწრო, მრგვალი ქვებით არათანაბრად მოკირწყლულსა და ფერდობზე კლაკნილი ხაზივით გავლებულ ქუჩაზე გავიდა და თავისი წუხანდელი, აშკარად ნაჩქარევი გადაწყვეტილების გამო ცოტა არ იყოს სინანულით შეპყრობილმა ის იყო ქეჩოს ფხანითა და მორცხვი ყოყმანით გაიფიქრა, რაც არის არის, მოდი ერთხელაც ვიკითხავ დროსო, რომ დრო იგი, ყოველ შემთხვევაში მისი ის ნაწილი, რომლის ერთი პირობითი წარმომადგენელი გრძნობად სამყაროში საათიცაა, ერთბაშად გაქრა.

ქუჩის გასწვრივ, ორთავ მხარეს, ეზოები იყო ჩამწკრივებული. ეზოები ერთმანეთს გვანდნენ. გვანდნენ მეტ-ნაკლებად, ისე როგორც მათი პატრონები, ხოლო რაკი მეტ-ნაკლები მსგავსება იგივეა, რაც მეტ-ნაკლები განსხვავება, ეზოები განსხვავდებოდნენ კიდეც მეტ-ნაკლებად ერთმანეთისგან.

ასეთი ზოგად-აბსტრაქტული და ცოტა უპასუხისმგებლო აღწერა აქაურობისათვის სავსებით საკმარისი (ალბათ, შესაფერისიც) იქნებოდა, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი (ან ათვლის ალტერნატიული სისტემიდან თუ გავხედავთ - იდეალური სიზუსტით გათვალისწინებული) გარემოება: ეზო, რომელთანაც პრ. დიდებულიძე მოწყვეტით შედგა (შედგა, გაშეშდა, მუხლები მოეკვეთა და საფეთქლებში სისხლი მოაწვა), დანარჩენი ეზოებისგან დამატებით იმით განსხვავდებოდა, რომ იქ, სახლის წინ, ორ ლეღვს შუა, დაბალ, სამფეხა სკამზე პროლეტარი ქორქიკა იჯდა.

პროლეტარ ქორქიკას ხელში პატარა წალდი ეჭირა და ჭიგოს თლიდა. თუმცა, რას თლიდა და რას არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ გამოსაჩენზე იჯდა, იქ, სადაც ცენტრალური ორიენტირის ადგილია, დანარჩენი კი (კოსტიუმი, საქმიანობა, ატრიბუტები, რეკვიზიტი...) მეორეხარისხოვანია და იმდენად ბედზე არაა დამოკიდებული, რამდენადაც ბედის გემოვნებაზე.

ისე, როცა ასეთ რამეს შევესწრებით, უნებურად (მაგრამ გარდუვალად) გვებადება კითხვა (კითხვა გვებადება უფრო ფსიქიკაში, ვიდრე გონებაში): „აუცილებლობაა ყოველთა საფუძველთა საფუძველი თუ შემთხვევითობა?" რაც ლიტონი კითხვა კია, მაგრამ მთლად უსარგებლოც არ ეთქმის, ვინაიდან სწორედ ამგვარი კითხვების წყალობითაა, რომ ფილოსოფოსები მუდამ დასაქმებულები არიან და ლობე-ყორეს არ ედებიან, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა, ნაკლებ ფილოსოფიური პროფესიის ადამიანებს ემართებათ ხოლმე.

ჩემის მხრივ, ლიტონ კითხვებს მაქსიმალურად ავარიდებ თავს, ოღონდ ის კი არ შემიძლია არა ვთქვა, რომ, ვინ იცის, რამდენჯერ ავუვლით და ჩავუვლით ხოლმე ჩვენს ბედს და ვერ ვამჩნევთ, ვინაიდან ნიშანს არ გვაძლევს. უფრო სწორად, იშვიათად გვაძლევს ნიშანს, მხოლოდ მაშინ, როცა თავად მიიჩნევს საჭიროდ. ამ მხრივ საყურადღებოა არა იმდენად ზემოთ აღწერილი სურათი, რამდენადაც ის, რაც პრ. დიდებულიძეს სამი წლის წინ შეემთხვა. სამი წლის წინ რომ ბედმა პროლეტარი ქორქიკა აჩვენა (გახსოვთ ალბათ - „ქვედა ბაზარში"), იმიტომ აჩვენა, რომ ჩაეთქვა - დე, ეს იყოს ნიშანი, რომლითაც სამი წლის შემდეგ მიცნობო. პრ. დიდებულიძემაც იცნო, მაშინ რომ პროლეტარი ქორქიკა არ ენახა, ახლა ამ ეზოს ალბათ ისე უცხოდ ჩაუვლიდა, როგორც არა ერთსა და ორ ეზოს ჩაუარა. ცხოვრებაც - აუცილებლობა იქნებოდა მისი მეხრე და მესაჭე თუ შემთხვევითობა - სხვა გზით წავიდოდა, სხვა სახეს მიიღებდა და სამოქმედო ასპარეზად სხვა სამყაროს შეთხზავდა!

ეზოს მაღალი მესერი ერტყა. მესერს შუაში რკინის ჭიშკარი ჰქონდა დატანებული. ჭიშკარი ღია იყო. ღია ჭიშკარში პროლეტარი ქორქიკა მოჩანდა.

პროლეტარი ქორქიკა ღია ჭიშკარში ისე მოჩანდა, როგორც საინდუქციო კოჭა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელზედაც პრ. დიდებულიძის ადრეული ბავშვობა იყო დახვეული.

მოულოდნელობის ელდამ რომ გაუარა, ნაბიჯი სწრაფად გადადგა უკან და ღობეს ამოეფარა, მერე კი ყველაზე დიდი ჭუჭრუტანა შეარჩია და ზედ მიეკრო.

მოგონებები ნელ-ნელა წამოიმალნენ. ეზოში რომ ვერ დაეტივნენ, ნაწილმა ქუჩაში გადმოინაცვლა.

მაშინ პროლეტარი ქორჟიკა ვალმოხდილი წამოდგა, წალდი და ნახევრადგათლილი ჭიგო ერთ-ერთი ლეღვის ძირას დატოვა და შინ შევიდა. იმავ წამს საიდანღაც მამა გაჩნდა და ეზო ირიბად, კუთხიდან კუთხემდე გადაჭრა. პრ. დიდებულიძემ იცოდა, რომ ეს ხილვა იყო და არა ნამდვილი მამა. ნამდვილი მამა შორეულ აღმოსავლეთში იმყოფებოდა მიმოწერის უფლების გარეშე, როგორც უთხრა ნამდვილმა დედამ ამ სამიოდე წლის წინ....

არადა, თუ ეს მართლა ბედის ჩანაფიქრი იყო, ბედმა ჩანაფიქრი კარგად შეასრულა: პრ. დიდებულიძემ უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ ეს სახლი, რომელსაც ასე ქურდულად უთვალთვალებდა მესრის ჭუჭრუტანიდან, ერთ დროს მას ეკუთვნოდა. მას, დედამისსა და მამამისს. ამ აღმოჩენით ოდნავ გაბრუებულმა ახლა გულს მიუგდო ყური, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მშობლიურობის თბილი და მომადუნებელი გრძნობა, დაკარგული ნივთის პოვნისას რომ გვიჩნდება ხოლმე, არ გასჩენია. თუმც კი გული უთრთოდა, სახლი უცხო იყო. სახლიც უცხო იყო და ეზო-გარემოც.

ამით ცოტა გაკვირვებული და ცოტა შეშფოთებული ჭუჭრუტანას მოშორდა, ეზოს გასცდა, ფეხს კიდევ უფრო აუჩქარა, მოსახვევს რომ მიაღწია, მარჯვნივ შეუხვია, ზედა პარალელურ ქუჩაზე გავიდა – ეს ქუჩაც პატარა, მრგვალი ქვებით იყო მოკირწყლული და ქვედა ქუჩისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ კიდევ უფრო ვიწრო იყო და, გარდა ამისა, ქვებსა და ქვებს შუა ამოტეხილი ბალახიც თითქოს უფრო მუქი და უფრო მაღალი ჩანდა – ამ ზედა ქუჩას გამოუყვა უკან.

თავის ეზოს რომ გაუსწორდა, შეჩერდა.

ამ მხარეს ეზო გაცილებით დიდი იყო, ვიდრე სახლის წინ, და ქუჩისა და მეზობელი ეზოებისგან – აქედანაც და იქიდანაც – დაბალი, წნული ღობე ჰყოფდა. ეზოს მარჯვენა ნახევარი ყანასა და ბოსტანს ეჭირა, სადაც ახლა, თუ აჩეხილი სიმინდის ძირებს არ ჩავთვლით, კარგა ხნის მოკრეფილი, უკვე ჩამჭკნარ-ჩაყვითლებული, ნახევრადმკვდარი ლობიოსა და პამიდვრის გარდა აღარაფერი ჩანდა. მარცხენა ნახევარში ხეხილი იდგა – ერთი დიდი კაკალი, ერთი ძირი მსხალი, სამი ძირი შავქლიავი და ორი ძირი კარალიოკი. კაკალსა და ქლიავებს უკვე აღარაფერი შერჩენოდათ და საგვიანო მსხალიც თითქმის მთლიანად გაკრეფილი იყო, სამაგიეროდ, ფოთოლშემოძარცული კარალიოკები შიშველი ქალებივით იდგნენ მძიმედ დახუნძლულები და ისე ელავდნენ, გეგონებოდათ, ოქროს ნაყოფი ასხიათ, რომელიც საჭმელად არ ვარგაო.

ხოლო ეზოს ბოლოში, სულ განაპირას, სადაც ღობე სამეზობლო მიჯნასთან მართ კუთხეს ქმნიდა, განცალკევებით, ვითარცა ჯიბრიანი დისონანსი, აყუდებულიყო ძველი, პრ. დიდებულიძის დროინდელი ფიცრული ჩეჩმა.

ზედა სართულზე სახლს ორი ფანჯარა ჰქონდა და ორივე დაკეტილი იყო. პრ. დიდებულიძეს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. საერთოდ, ზედა სართულს მხოლოდ გაკვრით შეავლო თვალი და მერე მზერა – დაჟინებული, შეუპოვარი და ცოტა დანისლული – ქვედა სართულზე ღრიჭოდ დატოვებულ კარს მიაპყრო, რომელიც სამსაფეხურიანი კიბით პირდაპირ ეზოში გამოდიოდა. სწორედ ამ ვიწრო, დაბალ კარს მიღმა ეგულებოდა ოთახი, სადაც დედასთან ერთად ბოლო ორი სანაკლიაურო წელიწადი გაატარა. დედა-შვილს მაშინ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

პრ. დიდებულიძე მართლა ჩაეფლო იმ ფაფუკ გრძნობაში, რომელიც ძვირფასი და დაკარგული ნივთის პოვნისას გეუფლება ადამიანს, მაგრამ ამ გრძნობას, თუმც კი ყველა ნიშნის მიხედვით ტკბილიც უნდა ყოფილიყო, გემო ვერ ჩაატანა, ვინაიდან თვალზე არამკითხე ცრემლი მოადგა. მართალია ირგვლივ, სადამდეც კი მზერა წვდებოდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა და ამგვარად მის ცრემლს მისივე სინდისის მეტი ვერავინ დაინახავდა, მაგრამ ახლა სინდისის მოწმობაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სირცხვილის ის მძიმე ალმური წაჰკიდებოდა, რომელიც პატიოსან ადამიანს მცირე ხნით ყველა სხვა გრძნობას უჩრდილავს და უეფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ასურებს.

პრ. დიდებულიძემ ცრემლი უჩუმრად მოიწმინდა და გულში საკუთარი თავი ქალაჩუნობისათვის მკაცრად დატუქსა, თუმცა ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამ უკანა ეზოს, განსაკუთრებით კი ამ უკანა კარს ისეთი რამ ეცხო, რაც გულ-მუცელს უმღვრევდა და ყელში გორგალივით ეცობოდა:

აქ თითქმის ყველა მოგონებაში დედა მონაწილეობდა, რის გამოც წარსულსა და აწმყოს შორის კონტრასტის ცივი და გულჩათხრობილი მდინარე მიედინებოდა და თან ჩატეხილი ხიდის მელანქოლიური ნამსხვრევები მიჰქონდა.

პრ. დიდებულიძემ ერთხანს კიდევ უცქირა წარსულის უკანა კარს და მერე, რა დარწმუნდა, ცრემლის შეკავება უფრო და უფრო ჭირდა, იმავე გზით, რომლითაც მოვიდა, უკანვე დაბრუნდა და სახლს კვლავ ქვემოდან მიადგა, სადაც მოგონებები გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, მრავალრიცხოვანიც, მრავალფეროვანიც და ხალისიანიც.

პრ. დიდებულიძე ნაცნობ ჭუჭრუტანას მიადგა. ახლა ეზო-გარემო ისე უცხო უკვე აღარ ეჩვენა. მეტიც: მიწის პირს ისევ დაემჩნა მივიწყებული ნაფეხურები, ხოლო სახლის მეორე სართულზე, რომელიღაც ოთახში, რომლის ფანჯრები, ღმერთო გამახსენე, საით გადიოდა, წიგნებით გადაჭედილი თაროების ქვეშ, დიდ საწერ მაგიდას მამის აჩრდილი უჯდა. მამა მოსამართლე იყო და ირგვლივ კანონები ეხვია.

აქ პრ. დიდებულიძე მკვეთრი ბიძგით მოშორდა ჭუჭრუტანას და შეტრიალდა, ვინაიდან უეცრად გაახსენდა, რომ ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე ეზოში, რომლის წინ, მაღალი ტოტებგანიერი ცხენისწაბლი და – ცხენისწაბლის ძირას – უხეშად გამოჩორკნილი, ქარ-წვიმისაგან უკვე ნახევრადდამპალი ხის მერხი იდგა, ერთ დროს ცანცარა ამალიას ოჯახი ცხოვრობდა: ცანცარა ამალია, ცანცარა გრიგოლი, ლოქო გულბაათი და დაფსხრიკული მარიამი.

ნეტა რა გვარები იყვნენო, გაიფიქრა პრ. დიდებულიძემ და გვარები ვერ გაიხსენა. შესაძლოა არც არასოდეს იცოდა – როცა აქ ცხოვრობდა, მაშინ ხომ ძალიან პატარა იყო: მამასადამე (გაიფიქრა ისევ და გული რაღაც უცნობი ტკივილით შეეკუმშა), ახლა რომ სადმე შეხვედროდნენ, ვერ იცნობდა; გულგრილად შეხედავდა, როგორც უცნობს და უბრალოდ ჩაივლიდა. ისინიც ასევე მოიქცეოდნენ. ეს რაღაცით სიკვდილს ჩამოჰგავდა და, თუნდაც სიკვდილი ისეთი არ ყოფილიყო, როგორიც პრ. დიდებულიძის მაშინდელ, ჯერ კიდევ გაუმღვრელ ფანტაზიას შეეძლო წარმოედგინა, რაღაცით მაინც ჩამოჰგავდა სიკვდილს.

ტკივილი რომ ცოტა დაუამდა, ცნობისმოყვარეობა მოეძალა და გულში იმის რკვევას შეუდგა, თუ რატომ ხდება, რომ უახლოესი ადამიანები ზოგჯერ რაღაც მანქანებით უეცრად (გნებავთ ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ) უცხოებად იქცევიან.

ამასობაში სხვა მოგონებებიც გამოფხიზლდნენ, დაიძრნენ, წამოვიდნენ, ირგვლივ მჭიდროდ შემოეხვივნენ, კისერზე ყულფივით შემოეჭკვნენ და მალე პრ. დიდებულიძე მათში განაწილდა, გაიფანტა და გაიხსნა.

რამდენ ხანს იყო ჩაძირული ამ თავის პატარა წარსულში, როგორც პატარა ჭაში, არ გაუგია. სამაგიეროდ, როცა გამოერკვა და თავი მოულოდნელად კვლავ სახლს უკან, წნულ ღობესთან აღმოაჩინა, ამ გარემოებით გაოცებულს, შეშინებულსა და ავი წინათგრძნობით შეპყრობილს მყისვე დრო მოაგონდა და, რაკი იმ ვიწრო, ბალახმოდებულ ქუჩაზე კაცი სულიერი არავინ ჭაჭანებდა, სწრაფი ნაბიჯით გაშორდა იქაურობას, რათა რაც შეიძლება მალე სადმე, ხალხმრავალ ადგილას გასულიყო და საათი ეკითხა.

და რა შეიტყო, ავტობუსის გასვლამდე თხუთმეტიოდე წუთიღა ყოფილიყო დარჩენილი, თითქოს გატენილ ხურჯინს ძირი გავარდაო, ყველა ფიქრი გარდა პანიკაში ამოვლებული ფიქრისა იმის შესახებ, რომ შესაძლო იყო ამაღამდელი ღამე ამ უცხო ქალაქში დარჩენოდა გასათევი, ერთბაშად დასცვივდა და, მთელ სხეულზე ალმურწაკიდებულმა, კისრისტეხით მოკურცხლა ავტოსადგურისაკენ.

სხვა ამ ხანმოკლე მოგზაურობის შესახებ არსებითი, მგონი, არაფერია სათქმელი. ერთი ის შეგვიძლია დავუმატოთ (შეგვიძლია არც დავუმატოთ), რომ, კაცი თუ ცოტა მოხერხებული ხარ და გარემოებაც გაიძულებს, სანაკლიო-მთისძირის ავტობუსშიც ისევე ადვილად შეიპარები, როგორც თბილის-სანაკლიოს მატარებელში.

ხოლო ორი დღის შემდეგ – მაღლითში დილდილაობით უკვე ჭირხლს დებდა და, საერთოდაც, ზამთარი შორს აღარ იყო –

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამ რომ ჭიშკარი შემოაღო და ეზოში შემოვიდა, მის დანახვაზე პრ. დიდებულიძე ერთბაშად მიხვდა, რომ მთელი ამ ორი დღის მანძილზე თურმე განუწყვეტლივ, მოუთმენლად და დარწმუნებით ელოდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ნეტა მარტო ამოვა თუ იმ თავის ბესარიონსაც ამოიყვანსო. ასეთი წვრილმანები თითქოს არც ღირდა ტვინის ჭყლეტად, მით უფრო მას შემდეგ, რაც დედის ქორწილზე დასწრებამ, ნაქორწილევს თბილისიდან გამოქცევამ და, ბოლოს სანაკლიოში გარდასულ დღეთა სამარხის მოულოდნელმა აღმოჩენამ მომავლის კოორდინატები ისერიგად გაანათა, რომ მამინაცვალი ჩრდილადღა გამოჩნდა, რომელიც ვეღარც ჩამოსვლით დაადებდა ქვეყნიერებას რაიმე სათავისო ნიშანს და ვეღარც ჩამოუსვლელობით, მაგრამ, დედა რომ დაინახა და დაინახა, რომ დედა მარტო იყო, თავისდამოულოდნელად დიდი შვება იგრძნო.

დედამ, რაღა თქმა უნდა, იტირა. ან კი ვინ არ იტირებდა მის ადგილას! მაშინ იგი ოცდაცამეტი წლისა იყო (პრ. დიდებულიძეს რომ ოცდაცამეტი წელი სიბერის ასაკი ეგონა, ეს ბავშვური გულუბრყვილობით მოსდიოდა, რასაც თვითონაც მალე მიხვდა) და ამ ოცდაცამეტი წლიდან ექვსი, თანაც საუკეთესო ექვსი - მარტოობაში, ტანჯვაში, სიღატაკეში (უკანასკნელი ოთხი ხომ სულაც მაღლითში) გაატარა. და ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს დავიწყებულმა სიცოცხლემ და საგვიანო გაზაფხულის სითბომ კვლავ ჩამოჰხედა გახევებულ გულში, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე აჩრდილთა და მოგონებათა ცივ საბუდარსღა წარმოადგენდა, თითქოს უხილავი მეწყერი დაიძრაო, ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. არადა, ამ საგანზე ლაპარაკი განათხოვარზე კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა; ძნელიც და სახიფათოც. საზოგადოდ, საკუთარ გრძნობებზე პროზად ლაპარაკი სახიფათოა, ხოლო თუ თანამოსაუბრე შვილია, რომელსაც ცალი ფეხი უკვე კაცობის ტლაპოში უდგას, ხოლო მეორე ჯერ ბავშვობის ტლაპოდან არ ამოუყვია, ორმაგად სახიფათოა. მართლაც, პრ. დიდებულიძეს ახლა თავისუფლად შეეძლო ერთი როყიოდ წამოსროლილი სიტყვით, ბავშვურად დაუნდობელი უტაქტობით თუ გულუბრყვილო პირდაპირობით ყველაფერი ის, რაც ჩვენს მიერ - ვფიქრობ, საკმაოდ რეალისტურად - გაზაფხულად და სითბოდ იქნა გამოცხადებული, წყალში გადაეყარა და დედის გული ისე მოეკლა, ის მოკლული გული არათუ ახალი სიცოცხლის, ძველ აჩრდილთა სადგომადაც კი უკვე ვეღარ გამომდგარიყო.

საბედნიეროდ, შესაძლებლობა თეორიულ ბუდეში დარჩა და უბედურება არ მომხდარა. მართალია, პრ. დიდებულიძე, რომელიც მაშინ პირველ ომს იხდიდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად, ისე იყო სავსე ამ ომით, ამ თავგადასავლით, ამ სიმამაცით, საერთოდ, საკუთარი პერსონით, რომ სრულებით ვერ ამჩნევდა, თუ რა ტკივილს აყენებდა დედას, მაგრამ - არ ვიცი, ჩემთვის უცნობი იდუმალი რამ ტაქტის ბრალი იყო, არ ვიცი, ბედნიერი შემთხვევისა - ისეთი არაფერი უთქვამს, რაც - სულო ცოდვილო - გულში ერთი-ორჯერ ნამდვილად გაივლო.

დედამ - ზემოთაც მოგახსენეთ - იტირა. და იტირა არაერთხელ. მაგრამ ამჯერად შვილის სიჯიუტე ვეღარ გატეხა. ვერც გატეხავდა: შვილისკენ მიმავალ გზაზე (რომელიც იმავდროულად შვილისგან მიმავალი გზაც იყო, რაკი შვილი თითქმის ყოველთვის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგვარი საშუალედო პუნქტი), მთავარი დაბრკოლება მას ბავშვური თავმოყვარეობა ეგონა და თვისთა ცრემლთა სამიზნედაც სწორედ ეს აბრიალებული ბურბუშელა ივარაუდა, ის კი არ იცოდა, რომ სანაკლიოს ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებამ ამ ბუტაფორულ დაბრკოლებაში ნამდვილი ცემენტი ჩაასხა, რის შედეგადაც წინააღმდეგობის მოღნიოშებული კარი ისე გამაგრდა, ძველი გასაღებითა და ძველი მეთოდებით მისი გაღება უკვე შეუძლებელი იყო.

თუმცა, კარი კარად და შუაღამისას დედის ტირილს შვილიც შეუერთდა. ჩაეკონენ ერთმანეთს და ჩაკონებულებმა იტირეს. ამჯერად პრ. დიდებულიძემ თავის ტირილში სამარცხვინო ვერაფერი დაინახა და ონკანები ბოლომდე მოუშვა.

სამარცხვინო მართლაც არაფერი ყოფილა. მეტიც: სწორედ ამ შეხმატკბილებულმა ტირილმა გაალღო ყინული და, თუ აქამდე პრ. დიდებულიძის მიზანი - გაუცნობიერებელი, მაგრამ მტკიცე - შურისძიება იყო, რისთვისაც იარაღად ურჩობას ხმარობდა და ხერხად გულცივობას, ახლა, ამ წმინდა ტირილის გუმბათიდან პრობლემას ლმობიერების მზემ დაჰხედა და დედის ბანაკში ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



არგუმენტები გამოაჩინა, რომლებიც ანგარიშის გაწევას, პატივისცემას და, ვინ იცის, საგანგებო შესწავლასაც კი მოითხოვდა. საბოლოოდ (შურისძიების დარცხვენილი ხმალი უკვე ქარქაში იყო ჩაგებული), ამგვარმა ლმობიერებამ ნამტირალევზე ადვილად გასწია ჯანსაღი კომპრომისის მაგივრობა და იმ უძილო ღამის ბოლოს, როდესაც უპარტიო მზემ სოფელს პირველი სხივები გადმოაყარა, დედა უკვე შედარებით (ოღონდ შედარებით და არა სავსებით) მშვიდად მსჯელობდა იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი და მოსახერხებელი იქნებოდა ცალ-ცალკე ეცხოვრათ, თვითონ - თავის ახალ ოჯახში, ხოლო შვილს - მაღლიეში, რომელიც ამ ხუთი წლის მანძილზე ესოდენ - ყოველ შემთხვევაში, სხვა შესაძლო პოზიციებთან შედარებით - მახლობელი და მშობლიური გამხდარიყო.

ცხადია, ამ კომპრომისს გულზე მრავალი მატლი ეხვია - თუ ფსიქოლოგიური, თუ მორალური, თუ პრაქტიკული - მაგრამ შვილმა თავისი გადაწყვეტილება დამაჯერებელი საბუთებით გაამაგრა, ხოლო დედა - იმათ გასაგონად ვთქვათ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა - მიუხედავად უხვი გულწრფელი ცრემლებისა, მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის სავსებით მომზადებული აღმოჩნდა და მეორე დღეს, საბოლოოდ დამორჩილდარა გარემოებათა ულმობელ ნებას, გადაწყვიტა თბილისს მარტო დაბრუნებულიყო. მართალია, ამით პრობლემა მთლიანად არ გადაჭრილა, ვინაიდან ერთია გადასაწყვეტი გადაწყვიტო და მეორეა გადანაწყვეტი ხმამაღლა გამოაცხადო - ამ ორ მომენტს შორის კი ხშირად გადაულახავი უფსკრული დევს - მაგრამ ამ საქმეში შალიკოს ცოლები ჩაერივნენ (ვინ ვინ და შალიკოს ცოლებმა კარგად იცოდნენ ტრფობის ყადრი).

შალიკოს ცოლებმა სათნოების რაშები შეკაზმეს, ხელთ ლმობის ფარნები დაიჭირეს, საგულდაგულოდ სიტყვებისა და გამოთქმების ტკბილეული წაიღეს, გაცინებული პირით ჩაეშვნენ იმ ბნელსა და პირქუშ ლაბირინთში, რომელიც ახლადგათხოვილი დედის ღრმა ფსიქოლოგიური ჭრილობის ბაზაზე წარმოქმნილიყო, და მალე დაარწმუნეს კიდეც კოლეგა და პაციენტი, რომ პატარა პრ. დიდებულიძეს, ვიდრე მიხვდებოდა, დედის უკეთესი ქვეყანაზე არავინ მყავსო - ხოლო ამას რომ მიხვდებოდა და ადრე თუ გვიან შესაბამის ნაბიჯსაც გადადგამდა, შალიკოს ცოლებისთვის დღესავით ნათელი იყო - მანამ, უდედობას ვერ ვიტყვით, მაგრამ უპატრონობას კი არ აგრძნობინებდნენ: არაფერს გაუჭირვებდნენ, არაფერს მოაკლებდნენ, არავის დააჩაგვრინებდნენ.

თავის მხრივ, დედა შვილის მომავალ მეურვეებს დაჰპირდა, ხშირ-ხშირად ჩამოვაკითხავო, და ეს პრობლემაც - თითქოს ზედმეტად გაზვიადებული, თითქოს ზედმეტად გაუბრალოებული (ყოველ შემთხვევაში, პრ. დიდებულიძეს მერე, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხან ასე ეჩვენებოდა, ხან ისე და ხანაც არეულად - ასეც და ისეც), როგორც იქნა, გადაიჭრა და დასრულდა.

სოციალური მიკროსკოპის ქვეშ თუ დავაკვირდებით, ადამიანი ერთი მარტივი ტერმინით ამოიწურება. ეს ტერმინია „ზრუნვა", რომლის შინაარსი რეალურ სამყაროში, თანახმად ამ სამყაროს ბუნებისა, ორ ნაწილად იყოფა: ერთია ზრუნვა, რომელსაც სხვები იჩენენ ჩვენს მიმართ დამეორეა ზრუნვა, რომელსაც ჩვენ ვიჩენთ სხვათა მიმართ. ყოფის ჰარმონიულობა და სტაბილურობაც, შესაბამისად, მათს თანაფარდობაზეა დამოკიდებული.

იმ მღელვარე დღეებში პრ. დიდებულიძის სოციალურ ტაბლოზე ეს თანაფარდობა მკვეთრად დაირღვა. იმის გამო, რომ ერთის მხრივ, დედა ბესარიონ კომახიძემ მიისაკუთრა და მის მიმართ ყველა უფლება და მოვალეობა - მათ შორის, ბუნებრივია, ზრუნვაც - თავის თავზე აიღო, ხოლო მეორე მხრივ ანეტა და ლიზა დედის მაგივრობას ქველმოქმედების დროშით ეწეოდნენ და სამაგიეროს არ მოითხოვდნენ, საზრუნავი, ფაქტიურად, მთლიანად გამოეცალა ხელიდან, ზრუნვა კი თითქმის არ მოჰკლებია. ბალანსის ამგვარი დარღვევა (პირობითად შეგვიძლია ამას პლუსი ნიშნით დარღვევა ვუწოდოთ) ცხოვრებას, ცოტა არ იყოს, არხეინ შესახედაობას ანიჭებს, რაც ხამსა და გამოუცდელ კაცს ხშირად თავისუფლებაში ერევა. საბედნიეროდ, პრ. დიდებულიძე, რაკი ფიქრისა და სიმართლის მოყვარული იყო, მოჩვენებითი თავისუფლების ამ ცთუნებას უვნებლად გასცდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა დანარჩენ ილუზიებსაც გასცდა, სინამდვილეს მიადგა. სინამდვილე იმაში მდგომარეობდა, რომ ამჯერად მართლა მარტო დარჩა. ცხადია, „მართლა მარტო" არ ნიშ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნავს „სრულიად მარტოს“. სრულიად მარტო დარჩენა შეუძლებელია. ჩვენ იმდენი უხილავი ძაფით ვართ გამობმული სამყაროს, რომ ქვა და ღორღიც ნათესავად მოგვხვდება, და საერთოდ, ცნება „მარტო“, თავისი აბსოლუტური სახით, კიდევ ერთი ზღვარია, რომელსაც გრძნობადი არსი ვერასოდეს მიაღწევს, თუმც კი მიახლოებით შეუძლია უსასრულოდ მიუახლოვდეს. სამაგიეროდ, შეფარდებითი მნიშვნელობით თუ ვიტყვით, პრ. დიდებულიძის მარტოობამ იმ პერიოდში შესაძლებლობის ზენიტს მიაღწია და - ვინც ყურადღებით განაგრძობს კითხვას, ვფიქრობ, დამეთანხმება - გვარიანად ღრმა კვალიც დატოვა.

მარტოობას მრავალი ღირსება აქვს. დღეების შესახებ, რომელთა უმთავრესი ნიშანი, მოგეხსენებათ, ის არის, რომ მათ შუქზე საგნები მკაფიოდ ჩანს, ცალკე ვილაპარაკებ და ჩემი შესაძლებლობის კვალობაზე სრულ სიმართლეს ვილაპარაკებ, ღამით კი, იმ საათიდან მოყოლებული, როდესაც მაღლითის ბინდი დაეფინებოდა, ქცევანახევარი მიწა - პრ. დიდებულიძის საკარმიდამო ნაკვეთი - უცხო რამ კუნძულად გარდაისახებოდა, ხოლო პატარა ფიცრული ქოხი - მის შუაგულში აღმართულ ციხე-კოშკად, სადაც დროთა განმავლობაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მწიფდებოდა პროფესიონალიზმი, მარტოობის არაერთი სათუთი რიტუალი შესრულებულა. კი, როგორ არა, ზოგჯერ დაღამებულზეც შემოეხეტებოდა ვინმე - გამონაკლისი ისეთი წესია, რომელსაც გამონაკლისი არა აქვს. ერთხელ, მაგალითად, სკოლის ყოფილი დირექტორი ეწვია თავისი სახელგანთქმული ულვაშით და ეს ცოტათი მართლა საკვირველი იყო, ვინაიდან იმ საგმირო ეპიზოდის შემდეგ, პენსიაზე გასვლით რომ დაგვირგვინდა, მას თავისი გაუბედავი სამიჯნური გამოხდომები აღარ განუახლებია. არც ყოფილა ამის აუცილებლობა: რაც აქამდე ჩაიდინა, ისიც საკმარისი გამოდგა, რომ აქედან მოყოლებული ვიდრე აღსასრულის დღემდე ორმაგი ცხოვრებით ეცხოვრა, რომელთაგან ერთი რეალისტურ პლანში მიედინებოდა და თანამეცხედრის მტკიცე ნებითა და მძიმე ხელით იმართებოდა, ხოლო მეორე წარმოსახვის რომანტიკულ სფეროს განეკუთვნებოდა და კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. ასეთი ორმაგი ცხოვრება (უფრო მისი მეორე პლანი, რომლის მოქმედების ადგილი ედემია და მოქმედების დრო მარადიული წამი) საშუალებას იძლევა ისეთ წვრილმან ყოველდღიურობას, როგორიცაა მრისხანე თანამეცხედრე, ფერადი ღრუბლების უხიფათო სიმაღლიდან უცქირონ და თან დიდხანს და ბედნიერად იცხოვრონ. ყოფილი დირექტორი ასეც იქცეოდა. აქედან გამომდინარე, თქმა იმისა, თუ რა მოსაზრებით ესტუმრა დედის გათხოვების შემდეგ პრ. დიდებულიძეს, ძალიან ძნელია; ცხადია, ყოველგვარ ქმედებას თავისი ლოგიკა აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ თვითონ ლოგიკა ყოველთვის არ გამომდინარეობს საგანთა ჩვენთვის ნაცნობი ბუნებიდან. ასე იყო თუ ისე, ნადირექტორალი საზეიმოსამგლოვიარო სახით ეწვია ნაშეგირდალს და ნაწილობრივ უტყვად და ნაწილობრივ მეტყველად საათი და ორმოცი წუთი დაჰყო იქ.

დიახ, ასეთი რამ ხდებოდა, მაგრამ იშვიათად ხდებოდა და მარტოობის დიდ სუფევაში საგრძნობი დისონანსი ვერ შეჰქონდა. ამიტომ მაღლითში პრ. დიდებულიძის მარტოობა, შეიძლება ითქვას, ურყევი იყო. ურყევი, გრანდიოზული და მრავალწახნაგოვანი, რომელთაგან ერთმა პირველსავე ღამეს (ლაპარაკია თბილისში დედის დაბრუნების პირველ ღამეზე, როცა საეტაპო ჭურჭელი ძველი ლექისგან საბოლოოდ დაიცალა და ახალი შინაარსისთვის გამოირეცხა) მამის მოგონება გამოიწვია. შესაძლოა „მოგონება“ მთლად სწორი ტერმინი არცაა, ვინაიდან იმ მცირე ოდისეის შემდეგ, რომელმაც ემოციურსა და შემეცნებით მწვერვალს სანაკლიოში მიაღწია, როდესაც წარსულის ხაროში ჩავარდა, მამა არასოდეს დავიწყებია. მოგონებით კი მოაგონდა არა მამა, არამედ მამის სიტყვები. ის იყო ახალჩაძინებულზე ერთი გაღვიძება, როგორც ჩვეოდა, ისევ გაეღვიძა, რათა გვერდი ეცვალა და ძილის მეორე, მძაფრ ტალღას სწრაფად და, შეძლებისდაგვარად, გამოუფხიზლებლად გაჰყოლოდა, რომ უეცრად ამ გარდამავალ მდგომარეობაში, რომელსაც მთლად დარწმუნებით ვერც ძილს უწოდებ კაცი და ვერც ღვიძილს, მკაფიოდ ჩაესმა მამის ხმა. მამის ხმამ სამი იარაღიანი კაცის თანდასწრებით (მეოთხე გარეთ იდგა, ჭიშკართან) მშვიდად და დაყვავებით უთხრა: „შენი იმედი მაქვს და აბა შენ იცი, როგორ გაუფრთხილდები დედას!“ ამან ძილის ახალი მოქცევა დიდი ხნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაფერხა. პრ. დიდებულიძე გარინდებული უგდებდა ყურს სამყაროს, რომელშიც, როგორც ზარის შორეული რეკვა, ერთხანს კიდევ ისმოდა მამის რბილი, ჟრუანტელისმომგვრელი ხმა. თავიდან ყველაფერი ცხადი ჩანდა – მამის ხმა მამის ხმა იყო – მაგრამ მალე საიდანღაც ეჭვები შემოიპარნენ; ეჭვები მატლებივით შემოეხვივნენ თავდაპირველ სიცხადეს და ცოტა ხნის შემდეგ ყოველივე ისე აირია და აიბურდა, შეუძლებელი შეიქნა გარჩევა, მართლა მამას ეკუთვნოდა ეს სიტყვები თუ მისსავ ფანტაზიას. კითხვა იმ ღამეს უპასუხოდ დარჩა, მერე და მერე დროისა და ფიქრის გამოისობით კიდევ უფრო ჩაიხლართა და საბოლოოდ მწვავე პრობლემად ჩამოყალიბდა, რომელიც კვირების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა. დედას, ეჭვი არაა, ეცოდინებოდა, მართლა თქვა თუ არა მამამ ხსენებული საკრალური ფრაზა, მაგრამ – თუმც დედა-შვილი წერილებს კი სწერდნენ ზოგჯერ ერთმანეთს – წერილობითი სახით კითხვის დასმა ვერ გაბედა. ამას ორი მიზეზი (ორივე ცრუ) ედო საფუძვლად: ერთი რომ ამ ტიპის კითხვებს სანტიმენტალურობის ელფერი დაჰკრავს და ამიტომ დედას იგი შეიძლებოდა შერიგების ნართაულ შეთავაზებად მიეღო, რასაც შვილის დაუღვინებელი თავმოყვარეობა ვერ დაუშვებდა, და მეორე – პრ. დიდებულიძის ბუნდოვანი ვარაუდით, დედის გათხოვების შემდეგ მამა, ერთგვარად, არალეგალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და წერილში მის ოფიციალურ მოხსენიებას, ვინ იცის, ბუნტის სუნი ასვლოდა. არადა, პრობლემა მძიმე ლოდად აწვა. მაგალითად, მამამ თუ მართლა დაუბარა, დედას გაუფრთხილდიო, ხომ უნდა დაედგინა, რა იგულისხმებოდა „გაფრთხილებაში". იქნებ სწორედ ის, რომ დედა ბესარიონ კომახიძისთვის არ გაეტანებინა?

დიდხანს დასტრიალებდა თავს ეს აბეზარი პრობლემა, დიდხანს უძიძგნიდა გულს და დიდხანს უბურღავდა ტვინს, მაგრამ პრ. დიდებულიძე მაშინ მცირეწლოვანი იყო. ხოლო მარტოობა მრავალწახნაგოვანი, სადაც ყოველი წახნაგი ყურადღების ცენტრში მოქცევას ლამობდა, ამიტომ მამის შორეული სიტყვები, როგორც ძველისძველი წარწერა, ნელ-ნელა გაიცრიცა და სხვა პრობლემების ქვეშ დაიმარხა, თუმცა გაქრობით არ გამქრალა, რაც იქიდან ჩანს, რომ დროდადრო ახალი ძალით აფეთქდებოდა ხოლმე.

ერთი აფეთქება გაზაფხულის პირზე აფეთქდა, როდესაც პიკი კარგა ხნის გადავლილი ჰქონდა და უკვე არსის ქვედა, ბუნდოვან შრეებამდე იყო ჩასული, სადაც ემოციის თვალი, ჩვეულებრივ, ვეღარ წვდება ხოლმე.

გაზაფხულის პირზე დედა ჩამოვიდა.

დედის წასვლიდან დედის ჩამოსვლამდე ოთხი თვე იდო;

ამ ოთხი თვის განმავლობაში პრ. დიდებულიძემ თავის ნებაყოფლობით მარტოობას თითქმის ყველა წახნაგი მოუსინჯა, ზოგ მათგანს, რომლებიც უფრო ბლაგვი ეჩვენა, წვერიც წაუმახა და, თუმც ოთხი თვე დიდი დრო არ არის, ჭეშმარიტი მარტოსული გახდა. ყოველ შემთხვევაში თვითონ ასე სწამდა. მართალია, მის რწმენას ჯერ ცთუნების გზაჯვარედინი არ გაევლო – რწმენის სიმტკიცე და გამძლეობა კი, როგორც კაცობრიობის ისტორიული და მითოლოგიური გამოცდილებიდან ვიცით, მხოლოდ გზაჯვარედინზე შეიძლება ასე თუ ისე ზუსტად დადგინდეს – მაგრამ პრ. დიდებულიძეს იმ პერიოდში ცთუნება არ აშინებდა და ამიტომ დედას იგი გაზრდილი და დავაჟკაცებული ეჩვენა (არ ვიცი, შესაძლებელია არც ისე გაზრდილი და დავაჟკაცებული ეჩვენა და ზოგი რამ თვითონ წაუმატა, რათა აფორიაქებული სინდისისთვის თვალში ცოტაოდენი ნაცარი შეეყარა).

ოთხი თვე დიდი დრო არ არის-მეთქი, გითხარით, და უმრავლეს შემთხვევაში ასეცაა, ოღონდ – უმრავლეს შემთხვევაში და არა ყოველთვის. მაგალითად, თუ გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე ოთხი თვე, ისევე, როგორც ქვეყნიერების სხვა კუთხეებში, მაღლითშიც, ჩვეულებრივ, ოთხ თვეს უდრის, ზამთარში, როდესაც დრო აქ მოძრაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის და ისე გულისგამაწვრილებლად მიღოღავს, აღარც კი გჯერა, რომ გაზაფხული ოდესმე ისევ დადგება, ოთხს კი არა, რატომ ოთხჯერ ოთხს არ უდრის. საქმე ის გახლავთ, რომ მაღლითში ზამთარი მკვდარი სეზონია (ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე იყო) და ადგილობრივი მცხოვრებნი იმ დროს ცოტათი დათვებს ემსგავსებიან. ზამთრის ძილს ეძლევიან-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ბუნაგებიდან კი იშვიათად გამოდიან, რის გამოც საზოგადოებრივ კომუნიკაციებზე, როგორებიცაა შარა, შუკა, ბილიკი, ორღობე, მინდორი, ყანა და სხვ. თოვლს რომ დასდებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზოგჯერ ისე აილებს, ზედ ადამიანის ნატერფალი არ გაჩნდება. ასეთი პერიოდი მომეტებულად ნაყოფიერი იმათთვისაა, ვინც ცხოვრების თანამგზავრად, მსგავსად პრ. დიდებულიძისა, მარტოობა აირჩია. თვით პრ. დიდებულიძემ, ვინც მარტოობა დიაღაც გადაჭრით აირჩია, ამ ეკლიან გზაზე გვარიან წარმატებასაც მიაღწია. მართალია მას მეურვეები ჰყავდა და ეს ფაქტი მის მარტოობას (საერთოდ, მთელ მის ცხოვრებას) სპეციფიკურ დაღს ასვამდა, მაგრამ აქ - მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ, ეს მიკერძოება არ გახლავთ - დამატებით კიდევ რამდენიმე რჩეული ეპითეტით უნდა შევამკო ანეტა და ლიზა, კოჭლი შალიკოს ნაზი და ვარდისფერი მეუღლეები, რომლებმაც იმ კრიტიკულ ჟამს ისეთი ფაქიზი, ისეთი ნატიფი, ლამის დაუჯერებელი ტაქტი გამოამჟღავნეს, როგორსაც განვითარებულ ქვეყნებშიც კი იშვიათად შეხვდებით. მართლაც, მათი მეურვეობის ქვეშ გატარებული რამდენიმე წლის მანძილზე პრ. დიდებულიძეს არ შეეძლო დაესახელებინა არც ერთი შემთხვევა, ეს გუგულივით ქალები მის ცხოვრებაში ზედმეტად ჩარეულიყვნენ. თავიანთ მოვალეობას, ეგზომ უშიშრად, ალალად და უანგაროდ რომ იკისრეს, უხმაუროდ ასრულებდნენ, რეკლამისა და დაფლაფების გარეშე; უხმაუროდ და ზუსტად თავის დროზე, რათა პრ. დიდებულიძეს თხოვნა არ დასჭირვებოდა, რაც გარდამავალ ასაკში, როდესაც ადამიანი განსაკუთრებით მგრძნობიარე ხარ, თითქმის ტრაგედიაა.

და მაინც, მიუხედავად ამ თვითნაბადი ტაქტისა და ღვთაებრივი არისტოკრატიზმისა, მეურვეობის ამ სახელდახელო ინსტიტუტის შექმნამ ორი კომლი ფაქტიურად ერთ კომლად აქცია. ამის დასტურად, აგრეთვე გზის შესამოკლებლად, ეზოების გამყოფი წნული ღობე, რომელსაც შალიკოს მხარეს თხილის ბუჩქები გასდევდა, ხოლო პრ. დიდებულიძის მხარეს ჭანჭურები და კორკიმლები, ერთგან ჩატეხეს და გამყოფ კედელში ალაგე გააკეთეს. პირველ ხანებში, როცა დედა ახალი წასული იყო და პრ. დიდებულიძის მარტოობა ჯერ კიდევ ხამად გრძნობდა თავს, დედობილებს ხშირად-ხშირად უხდებოდათ კავშირის ამ ალაგეზე გადასვლა, მაგრამ მერე და მერე, რაც რომ შვილობილმა მარტოობის შესავალი კურსი - ლოგინის გაშლა და დალაგება, სახლის დაგვა-დასუფთავება, თხის მოწველა, ყველის ამოყვანა და სხვა - წარმატებით გაიარა (არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მონდომება და შეუპოვრობა, რომელიც ამ საქმეში გამოიჩინა), გადასვლათა სიხშირეც შემცირდა. თვითონ შვილობილი უფრო რეგულარულად დადიოდა მეურვეებთან; ყოველ შემთხვევაში, დღეში სამჯერ - საუზმეზე, სადილად და ვახშმად - აუცილებლად უნდა გადასულიყო; დანარჩენი სურვილზე და საჭიროებაზე იყო დამოკიდებული, ხოლო სურვილი და საჭიროება ხშირ-ხშირად იჩენდა თავს; საქმე ის არის, რომ პრ. დიდებულიძეს დარღვეული ბალანსი აწუხებდა და როგორც კი შესაფერისი შემთხვევა გამოუჩნდებოდა, ცდილობდა მეურვეებისთვის ამაგი გადაეხადა. და თუმცა ანეტა და ლიზა კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ამისა, ვინაიდან სხვისი შვილის დასაქმება უხერხულად მიაჩნდათ, ხოლო ისეთი სხვისი შვილის დასაქმება, ვინც საპატრონოდ ჰყავდათ მობარებული, სულაც სირცხვილად და თავის მოჭრად, მაინც ახერხებდა ხან შეშის დაჩეხვაში მიხმარებოდა, ხან წისქვილში გაგზავნოდა, ხან სახურავზე დაცურებული კრამიტი გაესწორებინა და ხანაც სხვა რამ წვრილმან საქმეში წაეკრა ხელი.

ასე - ნელა, დუნედ, ფეხათრევით - მიდიოდა ზამთარი. სამაგიეროდ გაზაფხულზე, დედა რომ ჩამოვიდა, პრ. დიდებულიძეს მარტოობის კონტურები უკვე მკაფიოდ და დამაჯერებლად ჰქონდა მოხაზული.

დედის დანახვაზე კი მამა მოაგონდა. შესაძლოა იდუმალ ძალთა ჩანაფიქრიც ეს იყო: რაკი კვლავ დადგა მეხსიერების ზედაპირზე მამის ამოსვლის ჟამი - ორ თვეზე მეტი იქნებოდა, იგი უკვე კულისებში იყო, სხვა პრობლემათა დეკორაციების უკან - დედა საჭირო შეიქნა, როგორც საბაბი და ფონი.

საზოგადოდ, ამ გრძელ, გაჭიანურებულ ზამთარში პრ. დიდებულიძემ მრავალი რთული და მარტივი თემა დაამუშავა. მამის გარდა ეს თემები იყო: დედა თავისი ბესარიონით, როგორც მაგისტრალის გადაკვეთა და მორიგი ეტაპის დასასრული, პროლეტარი ქორჟიკა, როგორც სიმბოლო და სინამდვილე, სანაკლიო, როგორც აუხდენელი სამშობლო, საკუთარი თავი, როგორც უცნობი მისიის ჭურჭელი, სკოლის დირექტორი, როგორც სუბიექტური იდეალიზმის ნავსაყუდელი, სოფელი მაღლითი, როგორც გამოცდა და ასპარეზი, აგრეთვე კაი იასონა, გლახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასონა, ყრუ-მუნჯი ნაზოია და სხვ. დედის ჩამოსვლის დროს განხილვის აქტიურ ველში პროლეტარი ქორქიკა იმყოფებოდა, ვინც დედა-შვილს, მაღლითს რომ გაისტუმრა, თუ ჭინჭებსა და სხვა ამგვარ წვრილმანებს არ ჩავთვლით, წიგნების გარდა არაფერი გაატ-ანა, სამაგიეროდ, წიგნები უკლებლივ გაატ-ანა. მეტიც: ამ საქმეს რაღაც უცნაური და სახიფათო გულისყურით მოეკიდა და, ვიდრე დედა-შვილი ბარგს ალაგებდა, გვერდიდან არ მოშორებია, რომ ერთი ფურცელი რა არის, ერთი ფურცელიც არ დარჩენოდათ.

მაგრამ, დედა რომ დაინახა, პრ. დიდებუ-ლიძეს მყისვე მამა მოაგონდა. დედა ორი დღე-ღამე დარჩა და ამ ორი დღე-ღამის განმავლობაში მამის გამოცხადება მაქსიმა-ლურად კონკრეტული და ემოციური იყო. მამამ ამჯერად შვილის გარსში შეაღწია და იქ ისე დაბანაკდა ძარღვებსა და უჯრე-დებში, რომ მისი სხეული შვილის სხეულს შეერწყა, მისი სული შვილის სულს და მისი განცდები შვილის განცდებს. და თუმც ყრმა და უწრთობი პრ. დიდებულიძე ლამის გაის-რისა ეგზომ მძიმე სატანჯველის ქვეშ, ამ სატანჯველში იმდენი რამ ნახა ღირსსაც-ნობარი და გონების ამაფორიაქებელი, რომც შეძლებოდა, თავს მაინც არ აარიდებდა. ასე მაგალითად, ციხის ცხრაკლიტულში გამოკე-ტილ მამას რომ სიმწრისა და უილაჯობ-ისაგან გული ეწურებოდა და ყელში გორ-გალი აწვებოდა, შვილი ამ მოწურული გუ-ლითა და ყელში გაჩრილი გორგალით ცხა-დზე ცხადად, არა წარმოსახვად, არამედ საკუთარ გამოცდილებად გრძნობდა, რა მომაკვდინებლად ძნელი უნდა იყოს, გარეთ რომ თვალუწვდენელი სივრცეა გადაშლილი, შენ კი პაწაწინა საკანში ხარ დამწყვდეული და ირგვლივ გაუვალი კედლები გარტყია; ან კიდევ, დედის დანახვაზე რომ მამის სავა-რაუდო დანაბარები მოაგონდა - დედის და-ნახვაზე კი პირველ რიგში სწორედ მამის სავარაუდო დანაბარები მოაგონდა - ისეთი შემზარავი სისრულითა და სიზუსტით მიხვდა, როგორ ეწადა მამას, შვილი დედას გაფრ-თხილებოდა, ნაწლავებზე ლამის ცეცხლი წა-ეკიდა. მაგრამ ყველაზე მძიმე, ყველაზე ღრმა და ყველაზე მტკივნეული განცდა იმან გა-მოიწვია, მამამ რომ ერთხელ - შუაღამისას - საწყალობლად გადმოხედა და საწყალო-ბლად და რაღაცნაირი მორცხვი თვითსაყვე-დურით, თითქოს ეუბნებოდა, ვიცი, ეს ჩემი დანაბარები სასოწარკვეთილების ფუჭი გაბრ-ძოლება იყო, თორემ შენისთანა პატარა და უმწეო ბალღმა დედის მოფრთხილების ძალა აბა საიდ უნდა იპოვოო.

მამას, ჩანდა, დედა ძალიან უყვარდა.

ორი დღის შემდეგ დედა წავიდა. წავიდა ისე, რომ პრ. დიდებულიძეს თავისი უმთავრ-ესი კითხვა არ დაუსვამს, რამდენჯერმე კი გადაწყვიტა, რამდენჯერმე კი დააპირა, რამ-დენჯერმე პირიც კი გააღო, მაგრამ საბოლ-ოოდ მაინც ვერ გაბედა.

დედა ფეხმძიმედ იყო.

იმ დროს, პრ. დიდებულიძე ამა საქმის რთულსა და იკლიკანტურ წვრილმანებში კარგად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ანეტამ და ლიზამ რომ ერთხელ მეზობლის ბედით მოულოდნელად დაინტერესებულ მეუღლეს უთხრეს, ექვსი თვის ფეხმძიმეაო, სახტად დარჩა. ან კი როგორ არ დარჩენილიყო სახტად: მარტი - ერთი, თებერვალი - ორი, იანვარი - სამი, დეკემბერი - ოთხი, ნოემბერი - ხუთი. მეექვსე? დედა ოქტომბრის ბოლოს გათხოვდა და მარტის ბოლოს ჩამოვიდა. ოქტომბრის ბოლოდან მარტის ბოლომდე ხუთი თვეა. მაშასადამე, თუ ანეტამ და ლიზამ თავიანთ შალიკოს სიმართლე უთხრეს - ხოლო ანეტა და ლიზა რომ თავიანთ შა-ლიკოს სიმართლის გარდა არასოდეს არა-ფერს ეუბნებოდნენ, ეს არა მარტო მაღ-ლითში, არამედ ყველა ახლომახლო სოფე-ლში ცნობილი იყო - ხუთი თვის გათხოვილი დედა ექვსი თვის ფეხმძიმე გამოდიოდა. ამის შემდეგ პრ. დიდებულიძის მარტოობა უფრო მკაცრი გახდა, უფრო ასკეტური და ერთი ხანობა ცოტა გამომწვევიც, რაც, თუ მხე-დველობაში ვიქონიებთ, რომ მოქმედების ადგილი მაღლითი იყო და მოქმედების დრო - ორმოციანი წლები, დიდად არ უნდა გაგ-ვიკვირდეს.

ადამიანი ფსიქიკაა, ფსიქიკა რხევათა ერ-თობლიობაა, რხევის მიზეზი ველის დაძაბუ-ლობაა, ველის დაძაბულობის მიზეზი გარეშე ძალთა ზემოქმედება; ზემოქმედების მარეგუ-ლირებელი კი წონასწორობის კოეფიციენტია - მათემატიკური სიდიდე, რომელსაც ზოგჯერ სულადაც მოვიხსენიებთ ხოლმე და რომე-ლიც ინდივიდუალური და ცვლადია, სადაც „ინდივიდუალური" იმას ნიშნავს, რომ ყველ-ას მისი კუთვნილი ეძლევა (ოღონდ, ვის რა ეკუთვნის, ეს ზესთასფეროებში წყდება და გრძნობადი შემეცნებისთვის მიუწვდომელია),

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხოლო „ცვლადი“ იმას ნიშნავს, რომ გარეშე ძალთა ზემოქმედების მარეგულირებლად დანიშნული თვითონვე განიცდის ამ ძალების პერმანენტულ ზემოქმედებას (ხედავთ, სად მარხია ძაღლის თავი?!). და, შესაბამისად, ფსიქიკაც გამუდმებით შორდება თავდაპირველ ორბიტას. გამუდმებით, მაგრამ ნელა, მინიმალური დოზებით. და თუმც ამ მოლიპულ გზაზე ჩვენ, თანამედროვე ჰომოები, უკვე ისე შორს წავედით, რამე რომ იყოს (ისე ვამბობ, თორემ რა უნდა იყოს), ჩვენს შორეულ წინაპართან ფსიქიკის დონეზე კონტაქტს უკვე ვეღარ დავამყარებთ, ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ, ვინაიდან თავდაპირველ ორბიტას კი დავშორდით, მაგრამ ერთად დავშორდით და ამიტომ ერთმანეთს არ დავშორებივართ, სამაგიეროდ, ღმერთმა დაგიფაროთ და, ვინიცობისაა ბიძგების ზემოქმედებამ რაიმე მიზეზით - მიზეზი ყოველთვის შეიძლება გამოტყვრეს - დადგენილ დოზას გადააჭარბა, ადვილი შესაძლებელია გადახრა მკვეთრი, ნახტომისებური, რევოლუციური გამოგივიდეთ და იმდაგვარ ფსიქიკურ სივრცეში ამოყოთ თავი, რომელსაც ადამიანთა ორბიტასთან შეხების წერტილი აღარ ექნება. ცხადია, ასე ერთი ნახტომით, რაც უნდ დიდი კამარა შეკრათ, ისეთ ადგილას ვერ მოხვდებით, რომ ჰომოფსიქიკურ გარემოს მთლიანად მოწყდეთ. არა. ადრე თუ გვიან დანარჩენებიც მანდ მოვლენ. ოღონდ ესაა, დანარჩენები ერთად მოვლენ, ჯგროდ, ამიტომ თითით საჩვენებლები არ იქნებიან.

ამას შესაშინებლად როდი გეუბნებით (თუმც სიფრთხილესაც - რა ჩემი შეხსენება გინდათ - თავი არა სტკივა), უბრალოდ, ერთი ნიმუში მინდოდა მეჩვენებინა მარტოობის იმ ნადავლისა, ზამთრის გრძელ ღამეებში რომ შეიძლება გადარაჯებულმა კაცმა მოიხვეჭო (სხვათა შორის, მაღლითში გრძელ ღამეს ზოგჯერ „წლისდონ ღამეს“ ეძახდნენ და, ასე გასინჯეთ, დღესაც კი, როცა მეტყველებასაც ეკონომიკის კანონები მართავს. აქა-იქ ჯერ კიდევ გაიგონებთ ხოლმე, წლისდონი ღამე ჩამოდგაო).

ამასობაში გაზაფხულმა ფრონტის მთელი ხაზი დაიკავა. მარტოობის სეზონური სალტეები მზის პირველსავე, ჯერ კიდევ ნელთბილ სხივებზე დაღნა, დახშული ბუნაგები გაიხსნა და მაღლითში კვლავ ახმიანდა სიცოცხლე. საზოგადოდ, გაზაფხული და მასთან დაკავშირებული სითბური და ბიოლოგიური პროცესები თავისი უღრმესი დანიშნულებით მარტოობის წინააღმდეგ მიმართული აქციაა, მაგრამ პრ. დიდებულიძისათვის ამას უკვე აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში თავის მომავალ დიად მარტოობას ისეთი მყარი საძირკველი ჩაუყარა, რომ სეზონთა მონაცვლეობა ვაგლახად ვეღარაფერს დააკლებდა;

გულის ხნულში უკვე მარტოობის ნამდვილი თესლი უღივოდა, რომელსაც ირგვლივ მტკიცე დამცველი გარსი ეკრა და ყოველდღიურობის ცხოველმყოფელობა, რაგინდ მძაფრი და ინტენსიურიც უნდა ყოფილიყო, ამ გარსს ვერ გაარღვევდა. ვისაც ასეთი თილისმა აქვს - ამაში პრ. დიდებულიძე მერე და მერე გამოცდილებით დარწმუნდა - შეუძლია მთელი დღე ხალხში იტრიალოს და მაინც მთელი დღე მარტო იყოს. ის უმნიშვნელო კვალი კი, რომელსაც დღის ჭუჭყი ყოველთვის ამჩნევს გარსს, ღამის იდუმალებაში ისევ ქრება და თილისმაც კვლავ პირვანდელ ძალას იბრუნებს. მოკლედ, ის, რასაც მარტოობად მოვიხსენიებ და რასაც - დანამდვილებით ვიცი - სწორედ მარტოობა ჰქვია, იყო ზამთრის, ფიქრისა და რაღაც უცხო სუბსტანციის - გამოუცნობის, მოუხელთებელის, პირველარსებულისა და დიდნაყოფიერის - შეჯერებით მოპოვებული კიდევ ერთი უცვალებელი და უხრწნელი, პირობითად არსებულისაგან განსხვავებით ჭეშმარიტად არსებული მარცვალი იმ მარცვლის გვერდით, რომელიც უფრო ადრე წარმოიქმნა, როგორც დამოუკიდებლობის ბალავერი.

გარეგნულად არაფერი შეცვლილა. რაც რომ გაზაფხულდა, დღის დიდ ნაწილს პრ. დიდებულიძე ხალხში ატარებდა - სკოლაში, ყანაში, სამწყემსურში, ტყეში, მდინარეზე, ამხანაგებთან, მეურვეებთან, მეზობლებთან - მაგრამ ურთიერთობანი, როგორც ამ რამდენიმე წლის წინ, როცა მაღლითურ ადათ-წესებში ჩაყურყუმალავებული თავისთავადობის კუნძულს ეძებდა, ახლაც სულისა და გონების მხოლოდ ზედა შრეებს ეხებოდა, სიღრმეში კი ვერ აღწევდა. სამაგიეროდ, სიღრმეში სხვა არხი გაიჭრა და მასში პრ. დიდებულიძის მეორე, ფარული ცხოვრება მიედინებოდა, ეს არხები ერთიმეორეს არ კვეთდნენ, თითოეულს საკუთარი დრო ჰქონდა, საკუთარი სივრცე და საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიმართულება.

ერთი სიტყვით, პრ. დიდებულიძემ დამოუკიდებლობის ციხე-სიმაგრის თავზე ახლა მარტოობის კოშკიც აიგო და სწორედ ფსიქიკის ეს ორი შტრიხი აღმოჩნდა - თუმც კი ჯერ ეს არავინ იცოდა და არც შეიძლებოდა ჯერ ვინმეს სცოდნოდა - ის ორი მთავარი ბურჯი, რომელზედაც მალე უცხო - განსხვავებული და საშიში - მომავალი დაიდგა.

გარეგნულად, როგორც ვთქვით, არაფერი შეცვლილა. უფრო სწორად, რაღაც-რაღაცები კი შეიცვალა და რაღაც-რაღაცები კვლავაც - გამუდმებით - იცვლებოდა, მაგრამ ეს რაღაც-რაღაცები დროის, გარემოების, ევოლუციისა და აუცილებლობის კარნახით იცვლებოდა და პრ. დიდებულიძის ცივ გარდასახვასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ბავშვები მუშაობდნენ, სწავლობდნენ, თამაშობდნენ, ცხოვრობდნენ. ზოგი რამ ისე ხდებოდა, გულში, გონებაში და მეხსიერებაში კვალს არ ტოვებდა, ზოგი კი სადღაც ილექებოდა, იწურებოდა და საბოლოოდ წმინდა სახის არანივთიერი რამ ნაშთი წარმოიქმნებოდა, რომელიც მერე ნაირგვარ კომპონენტებთან შედიოდა რეაქციაში და უცნაურ, ზოგჯერ ძალზე უცნაურ, სახეს იღებდა.

კარგად რომ დათბა, ბიჭები რამდენჯერმე აღმა აუყვნენ მდინარე ღელედიდს. აუყვნენ არა ნაპირ-ნაპირ, როგორც შარშან (თუმცა იოლი საქმე არც ის იყო), არამედ წყალწყალ, იმ მარშრუტით, რომლითაც მას შემდეგ, რაც წინა თაობის გამბედავი ბიჭები დაკაცდნენ და ყოველდღიური ცხოვრების უღელი დაიდგეს, აღარავის ევლო. ღრმა კალაპოტში, რომლის ორივე ციცაბო ნაპირი თხმელებით, ყრუხეებით, ძაღლყურძენათი, შქერით, მაყვლითა და ხშირი ბალახით იყო დაფარული, ალაგ სრული უკუნი იდგა, ალაგ ოდნავ აღწევდა მღვრიე, ბაცი, შორეული სინათლე, ალაგ კი ვეება, მკვრივი და ჩახჩახა შუქი ისეთი ძალით იღვრებოდა, გეგონებ[illegible] მზე მდინარეში ჩამოსახლებულაო. გამაყრუებელ შხუილში ბიჭები ნელა მიიწევდნენ წყალაღმა, მოლიპულ ლოდებზე წამდაუწუმ ფეხი უსხლტებოდათ, ჩანჩქერები ყოველ ნაბიჯზე გზას უღობავდათ და ყველაფერი ეს - ჩანჩქერებიც, ლოდებიც, სიბნელეც, სინათლეც, საერთოდ, მდინარის მთელი კალაპოტი - გაჟღენთილი იყო რაღაც უცხო, ჟრუანტელისმომგვრელი იდუმალებით, რის გამოც პრ. დიდებულიძეს ზოგჯერ ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს წყალს კი არა, თავად დროს მიარღვევდნენ; და დრო მოკლდებოდა, როგორც მანძილი; დრო იკეცებოდა, ვიწროვდებოდა, თხელდებოდა, ილეოდა და საკუთარ სათავეს უახლოვდებოდა; დროს ხანი აკლდებოდა და შიგადაშიგ შიშველი პრეისტორია მოუჩანდა, სადაც ღმერთს ჯერ თიხა არ მოეზილა და დედამიწა ადამიანისთვის არ მიეცა, ხოლო ეს რამდენიმე მაღლითელი ბიჭი, უბრალოდ, კეთილგანწყობილი ლოგიკის მიერ გამონაკლისის სახით დაშვებული მცირე ანაქრონიზმი იყო.

მძაფრი შთაბეჭდილებები ერთხანს გულში კრისტალდებოდა, მერე, სიმწიფის დრო რომ მოვიდოდა, სულსა და გონებაში იხსნებოდა და სულსა და გონებას, როგორც უცხო რამ ჯადოსნური წამალი, ძალას ჰმატებდა

საზოგადოდ, როცა გული განცდებითა და შთაბეჭდილებებით ივსებოდა, ღამეული მარტოობა საუკეთესო მეგობარი იყო (ვინ იცის, ზეგარდმო ძალთა მიერ სწორედ ამ მიზნით მოვლენილი), ვინაიდან მისი წყალობით შთაბეჭდილებათა ქაოსში განსჯის უფალი შემოდიოდა. განსჯის უფალი უხმაუროდ და უხილავად შემოდიოდა და ქაოსს რაღაც ნიშნის, რაღაც წესის, რაღაც მაჩვენებლის მიხედვით ალაგებდა. ასეთ სავსე და ნათელ ღამეებში იბადებოდა „დაკვირვებები“ ან, ბოლომდე ზუსტნი რომ ვიყოთ „დაკვირვებები“ უჩუმრად ემზადებოდა დასაბადებლად, დაბადებით კი, როგორც წესი, ამხანაგების თანდასწრებით იბადებოდა მოულოდნელად და უცნაურად.

მაგრამ დაკვირვებებისა მერე ვთქვათ, ახლა კი ცალი თვალით ცხოვრების ერთ ისეთ მაგნიტურ კუნჭულში შევიხედოთ, სადაც არც დაკვირვებებია, არც მძაფრი შთაბეჭდილებები, არც დიდი სულიერი ძვრები და არც სხვა რამ საგანგებო და განსაკუთრებული მოვლენა, მაგრამ ამავე დროს რაღაც არის გარდუვალი და საეტაპო. კერძოდ, ცხოვრების რუხ უდაბნოში აქა-იქ აღმართულ ფერად მწვერვალთა შორის ეს გახლავთ ერთი პირველთაგანი, რომელსაც სიყმაწვილეშივე ვიპყრობთ და ვეუფლებით. შესაძლოა, ბიჭები რომ გოგოებს გადაჭრით გაემიჯნებიან და გარკვეული ვადით, ვიდრე დიდი უკუქცევა დაიწყება, მკაცრად მამრობით კასტად ჩამოყალიბდებიან (ყოველ შემთხვევაში, მაღლითში ეს ასე მოხდა), ამის ერთი იდუმალი მიზეზი ისიცაა, რომ ამგვარი განკერძოება საშუალებას იძლევა ტყეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღრეში, მთაში, მდინარეზე, საერთოდ, ნებისმიერი ექსკურსიისა და ექსპედიციისას, უშიშრად და მთელი არსებით მიეცნენ თაობათა დაუღალავი მეცადინეობის წყალობით უძველესი სახით შემონახულ ერთ ფარულ საქმიანობას. ამ საქმიანობას ჩვენ ჩვენი ეროვნული ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში – ზოგჯერ ერთსა და იმავე კუთხეშიც კი – სხვადასხვა სახელი გვიქვია. და რომ ტერმინთა ამგვარ სიჭრელეში არსის მთავარი ძარღვი არ დავვეკარგოს – ეს კი ადვილი შესაძლებელია მოგვივიდეს, მით უფრო, რომ ჩვენს მორალურად მდგრად ლექსიკონებში ამ ტერმინებს ვერ ნახავთ – ნაცადი ხერხი ვიხმაროთ და ლაკონური, ნაჭედი ლათინური მოვიშველიოთ. ამ ენაზე, რომლის მიტოვება კაცობრიობის ისტორიულ ქარაფშუტობათა შორის ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესია, ხსენებული ცნება ისეთი მყარი და პირდაპირი (აგრეთვე მჟღერი, სახიერი და მსუყე) სიტყვით აღინიშნება, როგორიცაა „მასტურბაცია" (აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზიით შემიძლია განვაცხადო, რომ სოფ. მაღლითში იმ დროს ეს სიტყვა ჯერ არავინ იცოდა, და სიზუსტის ძალზე მაღალი კოეფიციენტით შემიძლია განვაცხადო, რომ პრ. დიდებულიძე იყო პირველი მაღლითელი, ვინც იგი აღმოაჩინა, მისი მნიშვნელობა დაადგინა და ანალოგიური მნიშვნელობის ბერძნულ ტერმინს შეუდარა).

ამ ხელობას ოსტატი არ სჭირდება, ყველა ახალბედა თავისით იკვლევს – და, უნდა ითქვას, ყოჩაღადაც – გზას. მაგრამ იმასაც კი, რასაც ოსტატი არ სჭირდება, სჭირდება მოთავე, ბოტი, წინამძღოლი. მაღლითში დასახელებულ პერიოდში ბოტის მოვალეობას ბუხუტიე ბლაყუნა ასრულებდა, რომელიც ასაკით, ღონითა და თავდაჯერებით დანარჩენებზე მაღლა იდგა, გამოცდილებაც მეტი ჰქონდა და ზოგი სხვა, წვრილმანი, მაგრამ ხშირად ძალზე მნიშვნელოვანი ტექნიკური პარამეტრებითაც უპირატესობა მის მხარეზე იყო, რასაც არა მარტო სატრაბახოდ იყენებდა, არამედ იმისთვისაც, რომ წინამძღოლის საპატიო წოდებაში მოცილე არ გამოსჩენოდა. რაც შეეხება პრ. დიდებულიძეს, იგი ამ თვალთახედვით ერთი რიგითი მაღლითელი იყო დანარჩენ მაღლითელთა გვერდით, არც სხვაზე ბევრად მეტი, არც სხვაზე ბევრად ნაკლები. ოღონდ ის კი უნდა ვთქვათ, რომ, რაკი გული და გონება მაღალი და ნატიფი მატერიებისკენ გაურბოდა – და გაურბოდა ინტენსიურად – ამ საქმიანობას შედარებით ადრე მიანება თავი და ამის შემდეგ ძირითადად იმით კმაყოფილდებოდა, რომ დროდადრო – განსაკუთრებით ეს მაღლითში ცხოვრების ბოლო წლებს ეხება – რამდენიმე თანატოლთან ერთად სანაკლიოს გაემგზავრებოდა ხოლმე, რათა ის აქტი, რისთვისაც ღვთის განჩინებით ორი ადამიანია საჭირო, მეორე ადამიანის დახმარებით აღესრულებინა. „მეორე ადამიანი" თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე ქალი იყო – ომის ინვალიდი ვინმე ნჯურა, რომელიც დაბინდებამდე „ქვედა ბაზრის" შესასვლელთან იჯდა და მზესუმზირას ჰყიდდა, ხოლო დაბინდებისას, რაღაც უცხო ჯადოქრობით გარდასახული, მოპირდაპირე მხარეს გადაინაცვლებდა, უკაცურსა და ჩაბნელებულ ბაღში (ე. წ. „ბოსთაბაღში"), და იქ გვიან ღამემდე – ო, მრუშობის გულმოწყალე ღმერთებო – ისეთი საქონლით ვაჭრობდა, რომელსაც მუშტარი – განსაკუთრებით, ახალბედა და გამოუცდელი – ბუზივით ეხვეოდა და რომლის ღირსეული დახასიათება მაღლითელ ბიჭებს, ადამიანთა ენაში სათანადო ეპითეტების არარსებობის მომიზეზებით, შეუძლებლად მიაჩნდათ.

ხოლო გული და გონება რომ პრ. დიდებულიძეს ნამდვილად მაღალი და ნატიფი მატერიებისკენ გაურბოდა, ამას „დაკვირვებებიც" მოწმობს, რომლებიც დედის წასვლის შემდეგ თანდათან გახშირდა.

ადრე გითხარით და ახლა მხოლოდ შეგახსენებთ: პირველი „დაკვირვებიდან" იმდენი ხანი გავიდა, რომ თავზარდამცემი შთაბეჭდილების ადგილას მქრქალი ლაქაღა დარჩა, როგორც ბუნდოვანი მოგონება მოულოდნელი გამოხდომისა, რომელიც უცნაური და გაუგებარი, ვინ იცის გაუგონარიც, მაგრამ საპატიებელი იყო, ვინაიდან მხოლოდ ერთხელ მოხდა, ერთხელ კი ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს შეიძლება რაიმე დიდი გაუგებრობა შეემთხვეს. და სწორედ იმ დროს, როცა ძე შეცთომილი თითქოსდა საერთომაღლითურ კალაპოტს დაუბრუნდა, ერთ მშვენიერ დღეს (დღე მართლა მშვენიერი იყო) მენტალური ვულკანი ხელახლა გადაიხსნა და იქიდან მანათობელი ლავა ამოიფრქვა.

აპრილის ღამეებს – ეს კი მაღლითში ის დრო გახლავთ, როცა გარდასული სიცივის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯერ კიდევ შეუმშრალი კვალისა და მოახლოებული სიცხის პირველი ალმურის ცეცხლოვანი ჩაკონება სისხლში ისეთ უცხო ბიძგებს აღძრავს, თითქოს სული ფრთებს ატყლაშუნებს და გასაფრენად იწევსო - პრ. დიდებულიძეს ტყის ბილიკზე ქუსლში ეკალი შეერჭო. პრ. დიდებულიძე შეჩერდა, ბალახში ჩაჯდა, ეკლიანი ფეხი მეორე ფეხზე შემოიდო, ფეხისგული ამოატრიალა, ეკალი მოძებნა და მოშავო ფრჩხილებით ჩაეჭიდა. ამის დანახვაზე დანარჩენი ბიჭებიც შეჩერდნენ და ოპერაციის დამთავრებას დაელოდნენ, რომ გზა ერთად განეგრძოთ. პრ. დიდებულიძემ ეკალი ამოსწია, ამოაძრო, დახედა, გადააგდო და თქვა:

- სიამეც ტკივილია, ოღონდ ტკივილზე ნაკლები ტკივილი. - ბავშვებს ენა ჩაუვარდათ; მხოლოდ ლადიმია ლაყომ, რომელიც, ბუხუტია ბლაყუნას თუ არ ჩავთვლით, ყველაზე უფროსი იყო და გარდა ამისა, ის უპირატესობაც (ეფემერული, მაგრამ მაინც უპირატესობა) ჰქონდა, რომ პირველი „დაკვირვების“ დაბადებას არ დასწრებია, ამოიკვნესა:

- რავა?

- რავა და, - მიუგო პრ. დიდებულიძემ, - რავაც სიცივე და სითბო. სიცივეც სითბოა, ოღონდ სითბოზე ნაკლები სითბო.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორი შეიძლება იყოს მაღლითელი ყმაწვილების რეაქცია ამგვარ განცხადებაზე, ამიტომ, რაკი იმ ნაცნობი რეაქციისგან დიდად განსხვავებული არაფერი მომხდარა, მეც ამ ეპიზოდზე მეტს აღარაფერს ვიტყვი.

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ - ზემორე დაკვირვება ჯერ არც იყო ბოლომდე აღქმული და მონელებული - როდესაც შუაღამის ხანს, ვიდრე სახლებში წავიდ-წამოვიდოდნენ, ბიჭებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთხელ შეევლოთ სასაფლაოზე იმ იმედით, რომ მაკრინია ცოდვილის სული ბოლოს და ბოლოს საფლავიდან ამოვიდოდა, ვინაიდან ძნელი დასაჯერებელი იყო, მისი ცოდვების პატრონისთვის, სიკვდილის მიუკერძოებელ გუშაგებსა და მოწესეებს ამდენ ხანს - უკვე მთელი კვირა იყო გასული, რაც დამარხეს - საფლავში მშვიდად წოლის ნება დაერთოთ, პრ. დიდებულიძემ, რომელიც მხოლოდ იმიტომ წაყვა დანარჩენებს, რომ სილაჩრე არ დაეწამებინათ, ზედ სასაფლაოს ჭიშკართან უეცრად გამოაცხადა:

- ქეც რო ამევიდეს, ჩვენ მაინც ვერ დევინახავთ.

- რატო? - ხმის კანკალით იკითხა პეტერა კოჭოიამ, რომელსაც იმისიც ეშინოდა, ვაითუ დავინახოო, და იმისიც, ვაითუ ვერ დავინახოო.

- რატო და მიტო, - მიუგო პრ. დიდებულიძემ, - სხვის სიზმარს დეინახავ? - და, პეტერა კოჭოიამ რომ თვალები დარცხვენით - იქნებ უარის ნიშნადაც - აახამხამა, განაგრძო - ვერა ხო? ხოდა, სული კიდე უფრო სიზმარია, ვიდრე სიზმარი, და მით უმეტეს ვერ დეინახავ.

ბიჭები დაითრგუნენ და დადუმდნენ, თუმცა - მათს შეუპოვარ ბუნებასაც საკადრისი მივუზღოთ - განზრახვაზე ხელი არ აუღიათ: ჭიშკარი შეაღეს, სასაფლაოს ეზოში ფეხაკრეფით შევიდნენ, რომელიღაც ძველისძველი, უკვე მივიწყებული და ამდენად ნაკლებ საშიში საფლავის ქვას ამოეფარნენ და სულგანაბულები კარგა ხანს ელოდნენ იდუმალ სანახაობას; და მხოლოდ მაშინ, რა რომ დარწმუნდნენ, მაკრინია ცოდვილის სული სამარიდან არ ამოვიდოდა, ან თუ ამოვიდოდა, უჩინრად ამოვიდოდა ისე, როგორც პრ. დიდებულიძემ იწინასწარმეტყველა და, მაშასადამე, ისე იქნებოდა, გინდამც არ ამოსულიყოს, ამ საჭოჭმანო საქმეს თავი მიანებეს და უკან გაბრუნდნენ, თან გზად პრ. დიდებულიძეს ღამის სიბნელეში შიგადაშიგ ისე გახედავდნენ, როგორც საპატიო მტერს.

ამის შემდეგ თანატოლების თვალში (მოგვიანებით სხვათა თვალშიც) პრ. დიდებულიძე შეიცვალა: სხვა სახე შეიძინა, სხვა იერი, სხვა წონა, სხვა სიმაღლე; იმ ზომამდე შეიცვალა, რომ თვით „პრომეთეოსშიც“ კი, ამ სასაცილო და სალაღობო სახელში, თანდათან ისეთი ნიშნები იქნა ნაპოვნი, რომლებიც რაღაც განსხვავებულზე - მეტიც: ძალიან განსხვავებულზე - მიუთითებდა. რა იყო ეს ნიშნები, ცხადია, არავინ იცოდა, ცვლილებებს კი ის ფაქტიც ადასტურებს, რომ, ვინც თავის დროზე პირველი „დაკვირვების“ გაგონებისას - ხალისით აღიარა, მე ჩემდათავად ამისთანა რამეს ვერასდიდებით ვერ მოვიფიქრებდიო, ახლა, როდესაც აშკარა შეიქნა, რომ მართლა ვერ მოიფიქრებდა, მსგავსი ნაჭარევი განცხადებებისაგან უკვე თავს იკავებდა, თავის შეკავება კი ასეთ დროს - ღრმად თუ დავუკვირდებით - სხვა არა არის რა, თუ არა არსებობისათვის ჩუმი, მაგრამ შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოვარი, გააფირებული, მომქანცველი ბრძოლა, ხოლო ბრძოლა დიაღაც მომქანცველი იყო, ვინაიდან პრ. დიდებულიძე ლამის ყოველ ცისმარე დღე ისეთებს ამბობდა, ბავშვები, რაც უნდა მომზადებული, გაფაციცებული, მობილიზებული ყოფილიყვნენ, გაკვირვებისაგან პირს აფჩენდნენ. ერთადერთი, ვინც პირს არ აფჩენდა, ბუხუტიე ბლაყუნა იყო, მაგრამ ეს გამონაკლისად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ბუხუტია ბლაყუნას დაუფჩენელი პირი გაცილებით მარტივად იხსნება (სხვათა შორის, ბავშვები სწორედ ასე ხსნიდნენ) მისი უჭკუობით, ვიდრე მისი ჭკუით და, არსებითად, პირდაფჩენილობის კიდევ უფრო მაღალ ხარისხზე მეტყველებს. დიახ, იმას ვამბობდი, პრ. დიდებულიძის უპირატესობის აშკარა აღიარებას ბავშვები უკვე ერიდებოდნენ, მაგრამ ფაქტი, მოგეხსენებათ, ისეთი საზიზღარი რამაა, ვერსად წაუხვალ, მხოლოდ ის შეგიძლია მოახერხო, რომ, როცა აღწერას დაუპირებ, სიტყვების ფრთხილი და გონივრული შერჩევით ცოტა შეარბილო ან ცოტა გაამძაფრო, ცოტა გააბაცო ან ცოტა გაამუქო. სხვა ფაქტებში შემალო ან ხაზგასმით გამოყო. ბავშვები - რაღა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად - სწორედ ასე იქცეოდნენ: აღიარებით აღიარებდნენ, ოღონდ ძველ ენთუზიაზმს აღარ იჩენდნენ და აღარც საკუთარ თავთან დამამცირებელ შედარებას მიმართავდნენ. საბოლოოდ სურათი ისეთი გამოვიდა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს გამოთქმებით: „ცივი მოწიწება“, „მკვახე პატივისცემა“, „შუბლშეკრული აღიარება“ და სხვ. იმ ხანებში პრ. დიდებულიძესა და სოფლის დანარჩენ ბავშვებს შორის დისტანციაც გაჩნდა, თუმცა სწორი არ იქნება ეს ფაქტი მთლიანად „დაკვირვებებს“ დავაბრალოთ. დისტანცია ადრე თუ გვიან ისედაც გაჩნდებოდა, გაჩნდებოდა ადრე მიღწეული დამოუკიდებლობისა და მარტოობის ნიადაგზე, ასე რომ შეიძლება ითქვას „დაკვირვებებს“ პროცესი არ გამოუწვევია, „დაკვირვებებმა“ პროცესი დააჩქარა.

რიცხვი „დაკვირვებებისა“ დიდი იყო, დიაპაზონი - ფართო. მეტიც: რაოდენობრივი და თემატური შეზღუდვა საერთოდ არ არსებობდა (ამის თავდები და პასუხისმგებელი ასაკი გახლდათ).

„დაკვირვებები“ იქმნებოდა ღამღამობით, ჩვენთვის უკვე ცნობილი დიდი მარტოობის ჟამს. პრ. დიდებულიძე ასეთ დროს ნათლად გრძნობდა ხოლმე, რომ გონებაში ვიღაც (ტერმინი უაღრესად პირობითია და მასში ფსიქოლოგიური და გრამატიკული ინერცია მეტია, ვიდრე სიზუსტე, თორემ ისე კაცმა არ იცის, „ვიღაც“ უნდა ითქვას თუ „რაღაც“) დადიოდა და, როგორც ინსპირირებული ობობა, შთაბეჭდილებათა და განცდათა მადნიდან მუყაითად აძრობდა უწვრილეს ძაფებს, რათა უხილავი, ჯერეთ უცნობი, არსებითად, ექსპერიმენტული ქსელი გაება. ოღონდ ღამეული მარტოობის ამ უკიდეგანობაში - და ეს ძალზე ნიშანდობლივია, თუმცა, კერძოდ, რა ნიშანზე მიუთითებს, ძნელი სათქმელია - ქსელი, როგორც წესი, ბოლომდე არ იქსოვებოდა. მოსამზადებელი სამუშაოები კეთილსინდისიერად სრულდებოდა - აზრი ნაყოფიერდებოდა, ისახებოდა, მწიფდებოდა - მაგრამ დაბადებით ჯერ არ იბადებოდა. რატომ - ეს სხვა საქმეა. შედეგს (ყველა არა, ზოგი „დაკვირვება“ - მათზე ცალკე გვექნება ლაპარაკი - მარტოობის ჩუმი ედემიდან საერთოდ არ გამოდიოდა), ბავშვების თანდასწრებით აცხადებდა. მე ვამბობ „ბავშვების თანდასწრებით აცხადებდა“ და ეს ქარივით თავისუფალი გამოთქმა არ უნდა აგვერიოს საბერველივით შეზღუდულ ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა, მაგალითად, „ბავშვებს უზიარებდა“, ვინაიდან - შესაძლოა ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით ეს მთლად გასაგები არც იყოს - ბავშვებს ამ შემთხვევაში სრულიად პასიური როლი ეკისრებოდათ, როლი, ასე თქვათ, ზოგადი ფონისა და არა კონკრეტული აუდიტორიისა,

„დაკვირვებების“ საჯარო დაბადება გარემოებათა რაიმე საგანგებო დამთხვევას არ საჭიროებდა. საკმარისი იყო სულ მცირე თემატური ბიძგი (შდრ. მწიფე მსხლის ჩამოვარდნა ნიავის ოდნავ დაბერვაზე), რათა პრ. დიდებულიძეს მორიგი „დაკვირვება“ ამოეტყორცნა (მე აქ შეგნებულად არ ვამბობ, წამოეყრანტალებინა-მეთქი, თუმცა მშვენივრად ვიცი, რომ ყველაზე ზუსტად საქმის არსს სწორედ ეს სიტყვა გამოხატავს, მით უფრო, რომ პრ. დიდებულიძეს თავისი ნათქვამი ისევე ან თითქმის ისევე უკვირდა, როგორც მსმენელებს, და მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩენდა ხოლმე კავშირს ღამეული მარტოობის რომელიმე ნაყოფიერ წინაისტორიასთან),

- შენ უნდა იყო კაი და, შენ თუ კაი იქნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები, ყველაფერი კაი იქნება, – თქვა, მაგალითად, ერთხელ, როდესაც საუბარი ეხებოდა სოფლის მეველეს, რომელსაც წინა დღეს ერმალო ჭკუანაკლულის ძროხა დაეჭირა კოლექტივის ყანაში და თხილის ჭვერით უღმერთოდ ეცემა.

მეორედ სიკედილის იდუმალ ბუნებას გადაწვდა და, თუმც ამის შესახებ ჯერ თვითონაც წარმოდგენა არ ჰქონდა, თავისი მომავალი ცხოვრებისა და აზროვნების მთავარ ბჭეს მიადგა.

– სიქვდილი უსიზმრო ძილია, მეტი კი არაფელი.

მესამედ, უბრალოდ ფაქტი დააფიქსირა, ასე ვთქვათ, სტატისტიკურ მონაცემებს გაუსვა ხაზი; ოღონდ ეს ისეთი ფაქტი იყო და ისეთი სტატისტიკა, რომლებიც უფრო პოხიერ ნიადაგში, ეჭვი არაა, ღრმად გაიდგამდნენ ფესვებს და დიდი დიაპაზონის საფიქრალსაც აღძრავდნენ.

– ყველაფერი შეგიძლია უკან მოაბრუნო, დროს ვერ მოაბრუნებ.

– ძალით თუ შეგაგდეს, – თქვა ერთხელაც, – სასახლეც სატუსაღოა.

ზოგ მაშინდელ „დაკვირვებას“ მხოლოდ მიახლოებით და ერთგვარი შელავათით თუ ვეწოდებთ „დაკვირვებას“, ვინაიდან კითხვის სახე აქეთ.

მაგალითად:

– სიცოცხლე, კაი, წარმავალია, მარა სიქვდილი თუა მარადიული?

(ამ მაგალითში ყურადღებას ის გარემოებაც იქცევს, რომ სიკედილი უკვე მეორეჯერ იქნა ნახსენები).

მოგვიანებით, როცა მაღლითის შეიდწლედი დაამთავრეს და ვისაც სწავლის გაგრძელება უნდოდა, მთისძირის ათწლედში გადავიდა (ბუხუტია ბლაყუნას არ უნდოდა და არც გადასულა), პრ. დიდებულიძის აზროვნება ახალ სიმაღლეებს მიწვდა, სადაც თითქმის გამუდმებით უბერავდა სქოლასტიკური ზენა ქარი, რომელიც თავის კვალს ზოგჯერ მეტყველებასაც ამჩნევდა, თუმცა ამ უკანასკნელი გარემოების გამო არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ საამისო ბიძგსა და საბაბს თავად მთისძირი და მთისძირის სკოლა ნაკლებად იძლეოდა, ასე, რომ, ეტყობა, აქ საქმე უბრალო ქრონოლოგიურ დამთხვევასთან უნდა გვქონდეს. მაგალითისათვის მოვიტან ორ გვიანდელ „დაკვირვებას“.

პირველი: – სანამდი ვარსებობთ, ვერ გვეიგებთ, რაგომ ვარსებობთ, და, თუ გვეიგებთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ აღარ ვარსებობთ.

მეორე: თუ გინდა ომები მეისპოს, ომს რო გამოგიცხადებენ, მაშინათვე უნდა დანებდე, – და რაკი ამ აზრს, მიუხედავად თეორიული ხასიათისა, შესაძლო იყო სილაჩრის შორეული სუნი ასვლოდა, დამატებითი განმარტება დაურთო, – ყველა რო დაგნებდება და თელი დედამიწა შენი ბრძანების უსიტყვო შემსრულებელი გახდება, მერე რაღას შობი? ხო ან ღმერთობას მეინდომებ და რო არ შეგეძლება, დარდით მოკვდები, ან სანატრელი აღარაფერი გექნება და, ცხოვრება რო აზრს დაკარგავს, სიცოცხლეშივე ქვტრათ იქცევი.

მთისძირელი ბავშვები – ბარემ ესეც ვთქვათ – ისე აფჩენდნენ პირს, მაღლითელი ბავშვებისგან ვერ გაარჩევდით.

როგორც გითხარით, ზოგი „დაკვირვება“ მარტოობის ჩუმი ედემიდან არ გამოდიოდა. ახლა სწორედ ერთი-ორი საამისო მაგალითი მინდა მოვიტანო. იმიტომ კი არა, რომ პრ. დიდებულიძის სახესა და სახელს რამე შევმატო – ეს სრულიად ზედმეტი გარჯა იქნება, ვინაიდან პრ. დიდებულიძის „დაკვირვებებს“ ამ წიგნში ისედაც ხშირ-ხშირად შეხვდებით და, საერთოდ, ამ კაცის სიცოცხლე, თუ რამდენიმე საკვანძო სისულელეს გამოვრიცხავთ, არსებითად, სხვა არა არის რა თუ არა „დაკვირვებათა“ ერთი გრძელი სერია, რომელიც ისე გასდევს მისი ცხოვრების გზას, როგორც მანძილის აღმნიშვნელი ბოძები (რომელთაგან ზოგი ამოძრობილია და წაქცეული) ტრასას. არა, ამ მაგალითებით მე მხოლოდ იმის ჩვენება მინდა, რომ „დაკვირვებები“ ზოგჯერ პრინციპულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, კერძოდ, ზოგი ტიპის „დაკვირვება“ დღის სინათლეს ვერ იტანდა, წამსვე ან შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რომელთაც ცალ-ცალკე ფასი არ ჰქონდათ, ან ისე შეიცვლებოდა, წინა უკანად გამოჩნდებოდა, თეთრი შავად და წაღმა უკუღმად. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ზოგი დაკვირვება უფრო გრძნობისმიერი იყო, ხილვისმიერი, ინტუიციისმიერი, და მათში ლოგიკური საჩხრეკების ჩუჩხური, მით ურო ისეთი საჩხრეკებისა, მაღლითელი ბავშვების ლოგიკას რომ ეჭირა, მხოლოდ დამატებით ღომხალს წარმოქმნიდა, სიკეთეს კი ვერავის მოუტანდა. მაგალითად, ერთხელ პრ. დიდებულიძე ფიქრებში ჩაფლული იდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავისი პატარა სახლის ოღროჩოღრო აივანზე. უცებ ეზოში ქათამი აკრიახდა. პრ. დიდებულიძეს ფიქრი გაუწყდა, ქათამი კი კრიახებდა. დიდხანს იკრიახა ქათამმა და, რა აღარ გაჩუმდა, შეწუხებულმა პრ. დიდებულიძემ გაიფიქრა: „ახლა რო დრო გაჩერდეს და ამ ქათამმა უსასრულოდ იკრიახოს, და მე უსასრულოდ მისი კრიახი მესმოდეს, და უსასრულო იყოს არსებობა ჩვენი – ჩემიც და ამ ქათმისაც, რას ემგვანებოდა ამისთანა სიცოცხლე?!“ ანდა მეორე (ცოტა უფრო გვიანდელი) მაგალითი ავიღოთ, როდესაც ერთხელ, მთვარიან ღამეს, თავის ეზოში თეთრი ბლის ძირას მჯდარს თავში ასეთმა გრძელმა ფიქრმა გაუარა: (იმ ფიქრში, სხვათა შორის, უკვე მესამედ გამოჩნდა სიკვდილის სახე): „როგორც მთელი დღის ნაჯაფი მიწისმუშა საღამოს დაღლილ-დაქანცული მილასლასებს შინისაკენ, ფეხებს ძლივს მიათრევს, ბეჭებს ვერ შლის, წელში ამტვრევს, მკლავები არ ემორჩილება, ერთ ნაბიჯს რომ გადადგამს, მეორე ნაბიჯის გადადგმა ისე ესიკვდილება, ურჩევნია გზაში წაიქცეს, ოღონდ კი ამ დაღლილობას გადარჩეს, მაგრამ მაინც მიდის, რადგანაც ბოლოში მშობლიური სახლი ეგულება, სადაც მამაპაპურ ტახტზე გემრიელად გაიშხლართება, მთელი სხეულით მოდუნდება, ყველა ტკივილს ერთბაშად დააღწევს თავს და ტკბილ ბურანში ჩაიძირება, ასე შეუპოვრად მიდის სიცოცხლის უდაბნოში მოვლენილი კაცი სიკვდილის ოკეანის გრილი და საამური ნაპირისაკენ“.

ალბათ დამეთანხმებით (არ ვიცი, საჭიროა თუ არა შევახსენოთ, რომ ზემოთ მოტანილ „დაკვირვებათა“ სტილში სახამუშო არაფერია, ვინაიდან ადამიანი, რომელიც მეტყველებაში, ჩვეულებრივ, კილოკავს იყენებს, აზროვნებისას შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიტერატურული ენის კანონები დაიცვას), ამგვარი „დაკვირვებების“ საჯარო გამოტანა არათუ მიზანშეწონილი არ არის, შესაძლოა სახიფათოც იყოს, განსაკუთრებით დაცინვისადმი მაღლითელთა არაჯანსაღი მიდრეკილების ფონზე.

ისე არ გაიგოთ, თითქოს პრ. დიდებულიძე თავის დაკვირვებებს წინდაწინ მომზადებული ტრაფარეტით ახარისხებდა, როგორც დაქირავებული ქიური, ერთგვარ A და B ჯგუფად, რათა მერე A ჯგუფის დაკვირვებები საჯაროდ წარმოეთქვა, B ჯგუფისა კი თავისთვის შეენახა. არა, გადარჩევის პროცესს შინაგანი ხმა წარმართავდა და აზროვნების ტექნოლოგია – გაზომვა, გამოთვლა, შეჯერება, შედარება, შეპირისპირება, შეფარდება და სხვა – მასში მონაწილეობას არ იღებდა. ამას თავისი უპირატესობაც ჰქონდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გონებისათვის ესოდენ მახლობელი ისეთი ალტერნატიული პრინციპები, როგორებიცაა სიფრთხილე, ყოყმანი, აწონ-დაწონა, ეჭვი და ა. შ. აქ არ მოქმედებდა. აქ მყისიერად, მტკიცედ და უშეცდომოდ წყდებოდა, რა უნდა თქმულიყო საჯაროდ და რა არა. ცხადია, პრ. დიდებულიძეს სახელს ისიც უტეხდა, რასაც საჯაროდ ამბობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სასწორის პინები ერთიმეორეს იჭერდნენ და ბალანსი სახელის გატეხვასა და სახელის გავარდნას შორის დაცული იყო, რაც შეუძლებელი იქნებოდა, ისიც რომ ეთქვა, რაც არ უნდა ეთქვა. ისიც რომ ეთქვა, რაც არ უნდა ეთქვა, მაღლითელი ბავშვები ეჭვი არაა, ბევრს იცინებდნენ და, ვინ იცის, საქმეში მეწისქვილეებიც ჩარეულიყვნენ თეთრად გადაპენტილი თავიანთი მუზებით.

ალბათ არც ის უნდა დარჩეს უთქმელი, რომ მწყობრი ცნობიერება – სიცოცხლის წყალზედა ნაწილი, რომელიც მუდამ სამუშაოს ძებნაშია, ვინაიდან მუშაობაა მისი არსებობის პირობა და ფორმა – პრ. დიდებულიძის დაკვირვებებში გვიან ჩაერია, მას შემდეგ, რაც საჭირო შეიქნა, პირველადი დაკვირვებების მეორადი ანალიზი.

პირველადი დაკვირვებების მეორადი ანალიზი კი მაშინ შეიქნა საჭირო, როცა ერთიერთი რიგითი დაკვირვების მეოხებით გაირკვა, რომ დაკვირვებებში, თვით დიდ-დიდ ბრძენთა დაკვირვებებშიც კი, მხოლოდ ბუნდოვანი სახე დევს ჭეშმარიტებისა – მრავალგზის გარდატეხილი სხივი და მრავალგზის არეკლილი ექო – და არა ცოცხალი ჭეშმარიტება, ამიტომ დაკვირვებები, მსგავსად ყველა სხვა ამასოფლური ცნებებისა და კატეგორიებისა, ცვალებადობის კანონს ემორჩილება. ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ მანამდე აღმოჩენილ დაკვირვებებსაც შესაბამისი დაღი დაასვა. ზოგი მათგანი – მაგალითად, დაკვირვება იმის შესახებ, რომ ადამიანის დაბადება განპირობებულია აუცილებლობით, ხოლო დაბადების ადგილი და დრო შემთხვევაზეა დამოკიდებული – საერთოდ, უარყოფილ იქნა. ზოგი შეიცვალა. კერძოდ, რა გაირკვა, „დანახვა“ თავისი უზოგადესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგებით (რაც შეიძლება გადმოიცეს სიტყვით „ხილვა“) მხოლოდ თვალის პრეროგატივა არ არის, ნაწილობრივ შეიცვალა ის დაკვირვება, რომელიც ღაღადებდა, სხვისი სულის დანახვა შეუძლებელიაო. ნაწილი დაკვირვებებისა უფრო ვითარდებოდა და ღრმავდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ დაკვირვებაში - გახსოვთ ალბათ - სიამე ტკივილის ნაირსახეობად, მის კერძო შემთხვევად გამოცხადდა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა შემდგომმა ანალიზმა მალე ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვა, საერთოდ, სხეული გამოცხადებულიყო ტკივილად. მაშინ ასეც მოხდა, საბოლოოდ კი (ცხადია, ამ სიტყვის დროებითი მნიშვნელობით) დადგინდა, რომ სხეული, ერთის მხრივ, მართლაც ტკივილის ნივთიერი სახეა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ნივთიერი სახე, ერთგვარი იარაღიცაა, დანადგარი, ხელსაწყო, რომლითაც ადამიანის „მე“-ზე ზემოქმედება ხდება.

მაგრამ ვიკმაროთ დაკვირვებებზე ლაპარაკი. პრ. დიდებულიძის ბავშვობა მარტო დაკვირვებებისაგან არ შედგებოდა და ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ, პირველ ყოვლისა, მინდა დავასახელო სიყვარული, რასაც ჩვენმა გმირმა, როგორც წესი და რიგია, არაერთი დღე და არაერთი ღამე შესწირა. ზემოთ მე გაკვრით ვახსენე მაღლითელი ყმაწვილების თემატური ექსპედიციები ქალაქ სანაკლიოში. ახლა იმასაც ვიტყვი, რომ გარდა სიყვარულის იმ სახეობისა, რომელსაც მზესუმზირას გამყიდველი ნჯურა აღძრავდა ბიჭების გულგვამში, პრ. დიდებულიძე ეზიარა (და ეზიარა, სხვათა შორის, გაცილებით ადრე, ვიდრე ნჯურას ეზიარებოდა) ამა ტკბილზე ტკბილი და მწარეზე მწარე (ნეტა „ტკბილი“ და „მწარეც“ ერთი და იგივე ხომ არ არის?) გრძნობის მეორე ქვესახეობას, რომელსაც ლიტერატურაში და ზოგჯერ, ასე გასინჯეთ, ზეპირმეტყველებაშიც კი, ისეთი გუდაფშუტა ეპითეტებით („რომანტიკული“, „ამაღლებული“, „წმინდა“, „სულიერი“, „არამიწიერი“ და სხვ). ვამაგრებთ, რომლებსაც ფესვები სიყალბეში უდგათ. ეს სიყალბე ადამიანის სულის განვითარების გარკვეულ ეტაპზე - ასე, თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე - საშიში არ არის. ამ დროს იგი ერთგვარი „ბუნებრივი სიყალბეა“, სასწავლო პროგრამა, რომელიც სულმა აუცილებლად უნდა გაიაროს, რათა სამომავლო ცოდნა და გამოცდილება შეიძინოს. ამიტომ ეს გასაგები, მისაღები, მისატევებელი, ასე ვთქვათ, „გეგმიური“ სიყალბეა (რასაც ვერ ვიტყვით - ცხადია, თუ გამბედაობა გვეყო - ეგრეთწოდებულ „პლატონურ სიყვარულზე“, ვინაიდან დიდთა შორის უპირველესის მიერ ნაქადაგევი ესე სიყვარული, რაკი დიდთა შორის უპირველესი მას ასაკობრივ ზღვარს არ უწესებს, ღმერთო შეგცოდე და უკვე სრულიად შუმი, ხალასი სიყალბეა, რომელსაც ჯანსაღ გარემოში არავითარი ფსიქო-ბიოლოგიური საყრდენი და გამართლება არა აქვს).

პრ. დიდებულიძემ უწონობის ეს ნეტარი ეტაპი მშვიდობიანად გაიარა. მართალია, მთისძირის ათწლედში (მანამ მაღლითის შვიდწლედშიც) თითქმის ყველა თანატოლი გოგო შეუყვარდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სიყვარულს ისეთ ღრმა ფენებში, როგორც იცის ხოლმე, არ შეუღწევია. ვინც შეიყვარა, ყველა მალევე ამოიგდო გულიდან. ეგებ ცოტა უცნაურად კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთი იმის გამო, რომ ლაპარაკისას თვალებს ახამხამებდა, მეორე იმის გამო, რომ გუშინ გული ამერიაო, თქვა, მესამე იმის გამო, რომ როცა გაკვეთილს პასუხობდა, მღელვარებისგან გავა უცახცახებდა, მეოთხე იმის გამო, რომ კომკავშირის მდივნად აირჩიეს... საერთოდ კი, ეტყობა, ყველა იმის გამო, რომ მისი სიყვარული, უფრო ზუსტად, სიყვარულის მისეული გაგება, მეტისმეტად „რომანტიკული“ და მეტისმეტად „ამაღლებული“ იყო.

ახლა, რაკი სიყვარულის ეტაპი ეგზომ ფორსირებულად გავიარეთ, ვიდრე წიგნებზე გადავალთ, ორიოდე სიტყვით პოლიტიკაზეც შევჩერდეთ.

პოლიტიკაზე შეიძლებოდა არც შევჩერებულიყავით. მაგალითად, რომ მეთქვა, პრ. დიდებულიძეს პოლიტიკა სრულებით არ აინტერესებდა და, საერთოდ, მაღლითიდან ისე წავიდა, ეს სიტყვა მისი აზროვნების ზედაპირზე ერთხელაც არ გამოჩენილა-მეთქი, ალბათ სიმართლეს ვიტყოდი, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა სიყვარული მხოლოდ იმის გამო გამოგნელდება, რომ სიყვარულის საგანი კომკავშირის მდივნად აირჩიეს, განა ეს შენს გაუცნობიერებელ პოლიტიზირებაზე არ მეტყველებს? საზოგადოდ, პოლიტიკა გაუცნობიერებელი სენია და, ეგებ ამიტომაცაა, რომ ყველა სენზე უფრო გადამდებია, ყველა შესაძლო საშუალებით ვრცელდება და ყველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხრაკლიტულში აღწევს. ერთი კია: იგი არაცნობიერ ფენებშიც ჩინებულად გრძნობს თავს და იმ ფენების მიტოვებას მაინცდამაინც არ ესწრაფვის, შესაძლოა მთელი სიცოცხლე იქ დარჩეს და ცნობიერი მოქმედების არეალში ერთხელაც არ შემოვიდეს. პრ. დიდებულიძესაც (და იგივე ითქმის თითქმის ყველა მის თანატოლზე, გარდა რამდენიმე გარდუვალი გამონაკლისისა), თუკი რამ პოლიტიკური მუხტები ჰქონდა, სულ გაუცნობიერებელ ფენებში ჰქონდა, და მხოლოდ ერთხელ, ისიც წამიერად, წყალქვეშა ნავმა ზედაპირზე ამოჰყო თავი. ეს ამბავი ასე მოხდა: მთისძირის ათწლედში ქართულის მასწავლებელი ჰყავდათ ერთი - ძველი ქართულის მასწავლებელი, რომელიც მთელი წელიწადი „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ ტრიალებდა ხოლმე, თუმცა პროგრამის მიხედვით კიდევ მრავალი ნაწარმოების სწავლება ევალებოდა. ამ კაცზე ათას ტყუილსა და მართალს ამბობდნენ - ლოთიაო, მუსუსიაო, ნაჯდომიაო, სახლში იარაღი აქვსო, განათლების მინისტრი ჰყავს ნაცემიო... და, რაც ყველაზე იდუმალი, საინტერესო და დამაინტრიგებელი იყო, ძველი მენშევიკიაო. ბავშვები მაინცდამაინც არ იმტვრევდნენ თავს იმის დასადგენად, თუ რა იყო აქედან მართალი და რა არა. ყველაფერი უკრიტიკოდ სჯეროდათ, რასაც სხვათა შორის, მასწავლებლის გარეგნობაც კარგა გვარიანად უწყობდა ხელს: მასწავლებელი მაღალი იყო, ხმელი, ულვაშებდაწკეპილი და უცხო. თანაც ბოხი, ოდნავ ხრინწიანი ხმა ჰქონდა. და აი, ერთხელ, მაისის თვეში, პარასკევ დღეს, როდესაც პირველი სწორედ ქართულის გაკვეთილი იყო, საკლასო ოთახის კარი გაიღო და სკოლის დირექტორი მკერდზე ორდენებდაყრილ ვიღაც ცალთვალა გმირს შემოუძღვა, რომელმაც ვაგლახი ქართულით ბავშვებს გამარჯვების მეორე წლისთავი მიულოცა. ბავშვები, თანახმად ინსტრუქციისა, მოლოცვას ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ, რის შემდეგაც დირექტორი და მისი ცალთვალა სტუმარი ვალმოხდილები და კმაყოფილები გაბრუნდნენ უკან. მაშინ ნამენშევიკარმა მასწავლებელმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გულზეხელებგადაჯვარედინებული იდგა ფანჯარასთან და ზემოხსენებულ სცენას იდუმალი ღიმილით ადევნებდა თვალყურს, ბავშვებს ასე მიმართა:

– ყმაწვილებო, ყმაწვილებო! ამორძალებო და რაინდებო! აღარც ისე პატარები ხართ, შარშან რომ იყავით. უკვე დროა ტვინი გაანძრიოთ და, ვიდრე ხმაურს ატეხთ, ჯერ გაიაზროთ, რის გამო ტეხთ ხმაურს. ნუთუ აქამდე ვერ გაიგეთ, რომ, როცა ორი შხამიანი ობობა ერთმანეთს შეებმება, ქსელში გაბმული პატარა, უსუსური ბუზისთვის სულ ერთია, რომელი გამოვა გამარჯვებული?! ჭკუას ძალა დაატანეთ, რაინდებო, და წარმოიდგინეთ, რა ბრიყვი უნდა იყოს ბუზი, რომ ტაშ-ფანდურა გამართოს, აქაოდა ჩემმა ობობამ გაიმარჯვაო. სულელო ბუზო, რომელია შენი ობობა?.. რომელია თქვენი ობობა, პატარა ქართველებო?..

სიტყვები საშიში იყო და ომახიანი, ხოლო პოლიტიკა, რომელმაც სულ ერთი წამით ამოყო წყლიდან თავი, იმაში მდგომარეობს, რომ პრ. დიდებულიძე, თუმც კი გუმანით გრძნობდა (ოღონდ სადღაც მეორე პლანზე) რაღაცას უქმად გამომწვევსა და ხაზგასმით ხაზგასმულს, გაუგებარ მიზეზთა გამო მასწავლებლის ნათქვამმა აღტაცებაში მოიყვანა და ეს თავისი აღტაცება რამდენიმე ახლო მეგობარს გაუზიარა, რასაც, საბედნიეროდ, არავითარი გართულება არ მოჰყოლია.

ასეთი იყო წამიერი შეხვედრა პოლიტიკასთან.

წიგნებზე კი შედარებით წვრილად შევჩერდებით. არა იმიტომ, თითქოსდა, როგორც ზოგიერთი ხელმოცარული ირწმუნება, წიგნებში რამე ყრია! წიგნებში რა უნდა ეყაროს! წიგნი ქაღალდია - არა მარტო ყველაზე გამოუსადეგარი ნივთი ნივთთა შორის, არამედ ფრიად მავნეც (დაკვირვებიხართ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აქტიური წევრები თანდათან როგორ ემგვანებიან იმ თავიანთ ჩაყვითლებულ, ყდაშემოგლეჯილ, ფურცლებამოცვენილ, ჭიებისგან შეჭმულ წიგნებს?). არა, წიგნებზე მხოლოდ იმიტომ მოგვიხდება დაწვრილებით და ხანგრძლივად შეჩერება, რომ წიგნებზე თვითონ პრ. დიდებულიძეს მოუხდა დაწვრილებით და ხანგრძლივად შეჩერება.

ეს ამბავი ცოტა უცნაურია.

გახსოვთ, პრ. დიდებულიძის დედა რომ ერთხელ უშიშროებაში გამოიძახეს და საღამოს სკოლის დირექტორი მოვიდა? დედა რომ ეზოში გაიხმო, ჩურჩულით ესაუბრა და საუბრისას ულვაში ორგზის (პრ. დიდებულიძის ანგარიშით) შეუთრთოლდა? იმ ღამეს რომ დედამ სანაკლიოდან წამოღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



წიგნები (როგორ არ ეკუთვნის მადლობა პროლეტარ ქორქიკას!) გადმოალაგა, პრ. დიდებულიძისთვის გაუგებარი რაღაც ნიშნით გადაარჩია, გადარჩეულები ტომარაში ჩაყარა და ნაშუაღამევს შვილის დახმარებით სკოლაში წაიღო? ბიბლიოთეკაში რომ შეიტანა და იქ სულ ბოლოში, ყველაზე ბნელ კუთხეში, ერთ ნახევრად დაშლილ და ნახევრად დამპალ კარადაში შეაწყო? გახსოვთ? მაშ, ახლა მე შევეცდები იმაში დაგარწმუნოთ, რომ გაუგებარი ნიშანი, რის მიხედვითაც დედამ მაშინ წიგნები გადაარჩია, მართლა გაუგებარი იყო.

ჯერ ისა ვთქვათ, რომ ეს ამბავი სულ მალე დედასაც დაავიწყდა და შვილსაც. დედას რომ დაავიწყდა, გასაკვირი არ არის: მის გულში იმ ხანად ისეთი ხანძარი გაჩნდა (საუკეთესო წიგნები სწორედ ასეთ ხანძრებზე იწერება), წიგნებისთვის სადღა ეცალა! თუმცა, შვილს რომ დაავიწყდა, მაინცდამაინც გასაკვირი არც ესაა: ამ ასაკში წიგნები იოლად გვავიწყდება, მართალია, დედამ ისეთი საშიში სერიოზულობით გააფრთხილა, კრინტი არავისთან დაძრა და, საერთოდ, რაც მოხდა, დაივიწყეო, რომ წესით არ უნდა დავიწყნოდა, მაგრამ ასაკის სილაღემ მაინც თავისი ქნა.

ასეა თუ ისე, რამდენიმე წელი გავიდა და გადამალული წიგნები არავის მოჰგონებია. და აი, ერთ მშვენიერ დღეს - დედა უკვე კარგა ხნის გათხოვილი იყო, ხოლო შვილი მთისძირის ათწლედში სწავლობდა - მაღლითის სკოლის მოხუცმა ბიბლიოთეკარმა პრ. დიდებულიძე სკოლაში დაიბარა. პრ. დიდებულიძემ მხრები აიჩეჩა, მაგრამ მივიდა. ბიბლიოთეკარმა მის ზურგს უკან კარი მჭიდროდ მიხურა და უეცრად ჯიქურ ჰკითხა, მამაშენს ალექსანდრე ჰქვია თუ არაო. დასტური რომ მიიღო (დაბნეული, გაკვირვებული და ცოტა შეშფოთებული), თითით ანიშნა, მომყევიო, და წინ გაუძღვა, თაროებით გადატიხრული ოთახი, სადაც ჩვეულებრივ, გარეშე ხალხს, მით უფრო ბავშვებს, არ უშვებდნენ ხოლმე, სიგრძივ გადაჭრა, ბოლოში, ყველაზე ბნელ კუთხეში ერთ ნახევრად დაშლილსა და ნახევრად დამპალ კარადას მიადგა, გამოაღო, ხელი შეჰყო, ერთ-ერთი წიგნი ალალბედზე გამოიღო, მიაწოდა და, წარწერა წაიკითხეო, უთხრა. პრ. დიდებულიძე რომ სიბნელეში უხერხულად აწრიალდა, დასძინა, სინათლისკენ მიიწიე და გაარჩევო. პრ. დიდებულიძე უკვე ყველაფერს მიხვდა, ხოლო მერე, როდესაც ფანჯარასთან მივიდა. და ბუტბუტით წაიკითხა: „ალექსანდრე დიდებულიძის წიგნებიდან“, გონებაში იმ შორეული ღამის ზოგი დეტალიც ამოუტივტივდა - კერძოდ, სკოლის დირექტორის ათრთოლებული ულვაში და დედის ნერვიული სიჩქარე წიგნების გადარჩევისას - და ცოტა არ იყოს, შეშინდა. შიში, საბედნიეროდ, უსაფუძვლო გამოდგა. მოხუცმა ბიბლიოთეკარმა, რომელიც ადრე, როცა დედა მუშაობდა ბიბლიოთეკარად, დამლაგებელი იყო, უთხრა, თუ გიყვარდე, ეს წიგნები მომაშორე, დედაშენს ნამეტანი ძაან პატივს ვცემ, მარა, რევიზია რომ მევიდეს, სამსახურიდან მომხსნის, იმიტო რო ბალანსზე არ მაწერია; აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, ამეღამეე თუ წეიღებ, ძაან დამავალებო.

პრ. დიდებულიძემ წიგნები იმ ღამესვე წამოიღო, დაათვალიერა და ვერ მიხვდა, რა მოსაზრებით, რა ნიშნებით, რა მონაცემებით ხელმძღვანელობდა დედა, რა სია ჰქონდა ხელთ, რა შაბლონი, რა ტრაფარეტი, როცა წიგნები სწორედ ასე დაახარისხა და არა სხვანაირად. სათაურებისა და ავტორების მიხედვით თუ იმსჯელებდით, წიგნებში ისეთი არაფერი ჩანდა, რომ კომუნიზმის მშენებლობისთვის რაიმე ხიფათი შეექმნა. ან კი რა ხიფათი შეიძლება შეუქმნას ლათინური და ბერძნული ენების სახელმძღვანელოებმა და ლექსიკონებმა, გნებავთ, რომაელ და ბერძენ ავტორთა იურიდიული, ისტორიული და ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებმა? გადამალული წიგნების ძირითად ნაწილს კი სწორედ ესენი შეადგენდნენ. იყო აგრეთვე სხვა ეპოქებისა და სხვა ჟანრის წიგნებიც, ისევე, როგორც წიგნები რომელიღაც უცხო ენაზე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მცირე ნაწილზე შეგიძლია კაცმა დიდი ნაწილის მიხედვით იმსჯელო. ერთადერთი სავარაუდო პრინციპი (ამ პრინციპს პრ. დიდებულიძემ გვიან მიაგნო, მაღლითში ყოფნის ბოლო წელიწადს), რასაც დედა წიგნების გადარჩევისას შეიძლებოდა დაყრდნობოდა, იყო იმ ადამიანთა უვიცობა, რომელთაც წიგნების გასასინჯად გამოგზავნიდნენ. უვიცობა, როგორც ცნობილია, ეჭვიანია და, რაც უფრო დიდია, მით უფრო ეჭვიანია, იმდროინდელი უვიცობის მასშტაბები კი ჭეშმარიტად განუზომელი იყო. ეტყობა - თუ პრ. დიდებულიძის ვარაუდი სწორია - დედამ ეს გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოება გაითვალისწინა და რამდენიმე წიგნთან ერთად, რომლებიც მოქმედი იდეოლოგიის თაროებზე შეიძლება მართლა ვერ დატეულიყო, თავის დაზღვევის მიზნით ნეიტრალური წიგნებიც გაარიდა იქაურობას.

ხიზანი წიგნები რომ დააბრუნა, პრ. დიდებულიძემ შინ დარჩენილი წიგნებიც ამოალაგა სკივრებიდან და რამდენიმე ღამე მათს შესწავლას („შესწავლა“ აქ მხოლოდ საფუძვლიანი დათვალიერების მნიშვნელობითაა ნახმარი) მოანდომა; მომდევნო რამდენიმე ღამე მამაზე ფიქრობდა და, ბოლოს და ბოლოს, თუ გლობალურ მისიას არა, კონკრეტულ მოვალეობას კი, რასაც მისგან კონკრეტული დრო მოითხოვდა და რის ნიშანსაც კონკრეტული შემთხვევა იძლეოდა, მიაგნო. პროლეტარი ქორქიკა ღიაღაც იარაღი იყო. ნუ ვიმარჩიელებთ - ვისი, მაგრამ, იარაღი რომ იყო, ეს პრ. დიდებულიძის მაშინდელი ვარაუდით ცხადად გამოჩნდა. მართლაცდა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს წიგნების ის ველური სიძულვილი, რისი წყალობითაც მამის ბიბლიოთეკა პრ. დიდებულიძის ხელში აღმოჩნდა! თანაც მთლიანად, უკლებლივ, ხელუხლებლად! ხოლო თუ პროლეტარი ქორქიკა იარაღი იყო, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ მამის წიგნები შვილს გადასცემოდა, აქედან თითქმის აუცილებლობით გამომდინარეობდა შვილის დანიშნულებაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ეს წიგნები ბეჯითად შეესწავლა და მამის საქმე გაეგრძელებინა.

ასე იქნა მიღებული ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელმაც პრ. დიდებულიძის მთელ მომდევნო ცხოვრებას თავისი სპეციფიკური დაღი დაასვა და თავისი სპეციფიკური კვალი დაამჩნია.

გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის დიდი მნიშვნელობის აქტია, ხოლო დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღება ისეთი აქტია, ზოგჯერ საგანგებო ზეიმითაც აღნიშნავენ ხოლმე. ოღონდ ერთი რამ კი ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოეთხოვება: ჰაერში არ უნდა იყოს გამოკიდებული, მიწაზე უნდა იდგეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პრ. დიდებულიძის გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით არცთუ ისე მყარი ჩანდა. მართლაც, წიგნები ბევრი იყო; წიგნები რთული იყო. წიგნების უდიდესი ნაწილი რუსულ ენაზე იყო. გარდა ამისა (რომ აღარაფერი ვთქვათ რამდენიმე უცხოურ წიგნზე, რომლებიც საბოლოოდ გერმანული აღმოჩნდა), ბერძნული და ლათინური ენების ლექსიკონები და სახელმძღვანელოები აშკარად მოითხოვდნენ - ან კი სხვა რა მიზანი უნდა ჰქონოდა მათს არსებობას? - ამ ენების შესწავლას. არადა, პრ. დიდებულიძემ წესიერად რუსულიც არ იცოდა. კი, იმ წლების წყალობით, რაც სანაკლიოში გაატარა, შედარებით უკეთ იცოდა, ვიდრე მისმა თანაკლასელებმა, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი მასწავლებლის შემყურენი იყვნენ, მაგრამ „შედარებით უკეთ“ ცოდნა, მით უფრო, თუ შედარების ობიექტსაც გავითვალისწინებთ, ასეთი სერიოზული, თითქმის საზეიმო გადაწყვეტილების ფონზე დიდი ვერაფერი ფორაა. და მაინც, მიუხედავად დაბრკოლებათა სიდიდისა და სიმძიმისა, პრ. დიდებულიძე მტკიცედ და რწმენით შეუდგა საქმეს. ისე ბეჯითად შეუდგა, რომ მის სიბეჯითეს ყველაზე უკეთ ალბათ მისივე ერთი დაკვირვება გამოხატავს (რომელიც სულ სხვა დროს და სულ სხვა შემთხვევის გამო წარმოიშვა): „თუ შრომამ, გარკვეული აზრით, მართლა შექმნა ადამიანი, მაშინ მე, გარკვეული აზრით, ამ უხამსი ღებულების არგუმენტად გამოვდგები“.

პირველ ხანებში ძალიან უჭირდა, მაგრამ თავს მოდუნების ნებას არ აძლევდა და ორიოდე თვის შემდეგ, როდესაც რუსული ენის უღრანებში ცოტ-ცოტა გაიკაფა გზა და გაჭირვების სიმძიმილს აქა-იქ გამარჯვებათა სიხარული ჩაუნაცვლა, წელში გატეხილ დაბრკოლებებს მეტი ენერგიითა და მეტი ენთუზიაზმით შეუტია, ხოლო კიდევ რამდენიმე თვეც რომ გამოხდა, რუსულ ენასთან დაკავშირებული სიძნელეებიდან მხოლოდ ნაშთები და კუდებიღა დარჩა, რამაც საშუალება მისცა ბერძნული და ლათინური ენებისთვისაც მიეხედა.

დიდი განსწავლის პერიოდი სამ წელიწადს გაგრძელდა და მხოლოდ ორმოცდაცხრის ზაფხულში, როცა სკოლა დაამთავრა და თბილისს გაემგზავრა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, დროებით შეწყდა.

ეს იყო უკიდურესად დატვირთული და ძალზე ნაყოფიერი სამი წელიწადი, რომლებმაც, ვერ ვიტყვი, თითქოს პრ. დიდებულიძე სხვა ადამიანად აქციეს, მაგრამ ის ადამიანი კი, რომელიც მის გარსში იმთავითვე იყო, როგორც შესაძლებლობა, ფოტოგრაფთა ტერმინებს რომ მივმართოთ, გაამჟღავნეს და დააფიქსირეს. თუმცა, მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხრივ, თუ ფაქტს უფრო ღრმად ჩავხედავთ, ადვილი შესაძლებელია შენიღბული მოტივებიც აღმოვაჩინოთ და იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ პრ. დიდებულიძე მხოლოდ ერთგვარი მედიუმი იყო ამ სამი საგანმანათლებლო წლისა და არა ჭეშმარიტი მიზეზი და საგანი. მართლაც, როდესაც წინამდებარე წიგნის შეთხზვა გადავწყვიტე, მე დაწვრილებით შევისწავლე მაღლითის ისტორია და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, არ არსებობს არანაირი საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ აქ ვინმეს როდისმე განათლება მიეღოს. ამ მიმართულებით პირველი ხნული პრ. დიდებულიძემ გაავლო, და თუმცა მიმდევრები არ გამოსჩენია და დღემდე იმა ხნულში კაკალი თესლი არ ჩავარდნილა, მაგალითი ისეთი სიცოცხლისუნარიანი ბაცილაა, რამდენიმე თაობის შემდეგაც შეუძლია ეპიდემია გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე კი თამამად შეგვიძლია სხვა დანარჩენ ვარაუდთა შორის ის ვარაუდიც დავუშვათ, რომ ხსენებული სამი წლის ფარული ამოცანა სწორედ ეს მომავლის ეპიდემია იყო და არა ბერძენთა და რომაელთა ნააზრევით საბრალო ბიჭის ეგზომ ადრეული გაჭყეპა.

მაგრამ ამას მოვეშვათ.

საგანმანათლებლო ხაზს ცხოვრების სხვა ხაზები არ წაუშლია; ყველაფერი – დაკვირვებები, სიყვარული, პოლიტიკა, წიგნები, მამა, დედა, სახლ-კარი, კოლექტივი, სხვა წვრილმანები და მსხვილმანები – რაზეც ვილაპარაკე ან არ მილაპარაკია, ერთდროულად არსებობდნენ, შერეულად, გვერდიგვერდ. და თუ მე ცალ-ცალკე აღვწერ, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე გავიადვილო.

სამი წელი ჩაჰკირკიტებდა პრ. დიდებულიძე მამისეულ წიგნებს. კითხულობდა, იმეორებდა, სწავლობდა. ხშირად, როცა ნავთი და პატრუქი საკმარისად ჰქონდა, ღამეებსაც ათენებდა კითხვაში. ზოგჯერ წიგნში ამოკითხული თავის ცხოვრებას აგონებდა. სანიმუშოდ ერთ ამბავს მოვყვები. ეს გახლავთ ამბავი პატარა ბიჭისა, რომელიც, მართლა, ბედის განჩინებით მერე უკიდეგანო რომის ერთადერთი და განუყოფელი მბრძანებელი გახდა, მაგრამ პატარა რომ იყო და ჯერ კიდევ არაფრის მბრძანებელი არ ყოფილა, დედა გაუთხოვდა. ეს რომ წაიკითხა, პრ. დიდებულიძეს თვალწინ თავისი ცხოვრების შესაბამისი ეპიზოდი დაუდგა და გული მოეწურა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ბიჭის დედა მთლად მის დედასავით არ გათხოვილა და, საერთოდ, იქ საქმე ცოტა სხვანაირად წარიმართა. პრ. დიდებულიძის დედა თავისი სურვილით გათხოვდა. იმ ბიჭის დედა კი ძალით წაიყვანეს. ის დედა რომის ყოვლისშემძლე იმპერატორს გულში ჩაუვარდა. საზოგადოდ, თუ თქვენ ყოვლისშემძლეს ვისმე გულში ჩაუვარდით, თქვენს მეუღლესა და შვილს ანგარიშს აღარავინ გაუწევს. ხოლო რომის მაშინდელი იმპერატორი რომ ნამდვილად ყოვლისშემძლე იყო, ამას მოიარებით ის ფაქტიც ადასტურებს, რომ, როდესაც დედა წაიყვანა, ისეთი საპროფილაქტიკო ღონისძიება, როგორიცაა მამის დატუსაღება, საჭიროდ არ ჩათვალა. მეტიც: აზრად არ მოსვლია, მეტოქეს თუ შეურაცხყოფა მიაყენა, პირიქით, მისი ნაცოლარი რომ ცოლად დაისვა, ეგონა ამით დიდი პატივიც დასდო. შესაძლოა, ასეთი დასკვნა სპეციფიკურ საიმპერატორო ფსიქიკას ეფუძნება და სპეციფიკურ საიმპერატორო ნამუსზე მიუთითებს, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ, ეტყობა, მამაც ასევე ფიქრობდა. ყოველ შემთხვევაში, პრ. დიდებულიძეს მაშინ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ამ უკადრის ეპიზოდში მისი უმთავრესი საფიქრალი, საზრუნავი და სადარდებელი სარგებლის შოვნა იყო. პრ. დიდებულიძემ ყოველივე ეს ძალზე მკაფიოდ წარმოიდგინა, მერე კიდევ უფრო მკაფიოდ ის თავისი კოლეგა ბიჭი წარმოიდგინა და გულგვამი ახლაც ისე ჩაეწვა, როგორც მაშინ, როდესაც თვითონ გაუთხოვდა დედა. ხოლო იმ საბრალო ბიჭის უბედურება ამით არ დამთავრებულა. რომ გაიზარდა და თითით საჩვენებელი ჭაბუკი დადგა, ახლა საყვარელი ქალი დააცოვებინეს, რათა მამინაცვლის ბოზანდარა ასული შეერთვევინებინათ. ამ ადგილას პრ. დიდებულიძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტკივილი ისეთი ინდივიდუალური რამ შეგრძნება ყოფილა, ვერც ობიექტურ საზომს მოუძებნი და ვერც ობიექტურ საზღვარს დაუდგენ, ვინაიდან ყოველი კაცი თავადაა საკუთარი ტკივილის საზომი და საზღვრის დამდგენი, ხოლო იმ კეთილშობილი, მაგრამ უკვე გამწარებული ჭაბუკის უბედურება არც ამით დამთავრებულა. რომელიღაც მომენტში, რომელიღაც წელს, წიგნის რომელიღაც გვერდზე, როცა ჭკუადამჯდრობის ასაკს მიატანა და ადამიანთა სიმდაბლესაც – სიმუხთლეს, სილაჩრეს, უნამუსობას, პირმოთნეობას, ორპირობას, სიყალბეს... – ბოლომდე ჩაწვდა, ყველა ტკივილმა – ძველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ ახალმა, მოქმედმა თუ მივიწყებულმა - ერთად უწია, ყველა განჯვამ ერთ წერტილში მოიყარა თავი, ყველა სიმძიმე ერთ გაუსაძლის სიმძიმედ ექცა და ყველა რისხვა ერთ დაუოკებელ რისხვად; მაშინ გადარაჯებულმა ბედმა, რომელიც თავის ჟამს ელოდა, მისი არსების კალაპოტიდან უკანასკნელ წვეთამდე გადმოღვარა, რაც კი რამ იქ შარბათი იყო ჩარჩენილი, და სანაცვლოდ შხამი ჩაასხა; საბოლოოდ, მოწოდებით თითქოსდა სიმართლის მცველად გაჩენილი, თავით ფეხამდე სიცრუის ჭაობში ჩაიძირა, სადაც მალე ყველაფერმა დაკარგა აზრი გარდა ბოროტებისა, ვინაიდან პირქვედამხობილსა და დაჩირქებულ გულში ბოროტების მეტი ვერაფერი ძლებდა. ამბავი რომ ჩაათავა და მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე გაიაზრა, პრ. ღიღებულიძემ დაინახა, რომ ამ კაცს ფეხები პოლუსებზე ედგა, ხოლო პოლუსებს შორის არაფერი იყო გარდა სიცარიელის უფსკრულისა. სხვა სიტყვებით - ერთი მხარე თეთრი ჰქონდა, მეორე - შავი, და ეს თეთრი და შავი ერთმანეთში არ ირეოდა. ადამიანისათვის, რომელიც ადამიანის მიერაა ნაშობი, ეს ძალზე უცნაური ჩანდა (მოგვიანებით, როდესაც დაადგინა, რომ იესო ნაზარეველმა, რომაულ მონეტაზე რომ რომის იმპერატორის გამოსახულებას დახედა, რათა ის ცნობილი კომპრომისი წარმოეთქვა, თურმე სწორედ ამ კაცის გამოსახულებას დახედა, ყოველივე ეს კიდევ უფრო უცნაური ეჩვენა).

სხვა მრავალი მაგალითიც შემეძლო მომეტანა იმის საილუსტრაციოდ, რომ წიგნებში შეიძლება უფრო მეტი ამოიკითხოთ, ვიდრე წერია, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ, და თუ რამის დამატებაა, მხოლოდ ის დავამატოთ, რომ პრ. ღიღებულიძე, როცა სკოლა დაამთავრა და თბილისს გაემგზავრა, არა მარტო ბერძენთა და რომაელთა ენებში, ჩვევებში, ისტორიაში, ლიტერატურაში, სამართალში და, ნაწილობრივ აგრეთვე, ფილოსოფიაში იყო კვარიანად გათვითცნობიერებული, არამედ, საერთოდ, მრავალი თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემა ჰქონდა გაანალიზებული და მრავალი დასკვნა - ზოგი უთუო და ზოგი სათუო - გამოტანილი, რომელთა ნაწილი უკვე გაგაცანით და ნაწილსაც (ოღონდ ყველას ვერა, ყველა ძალიან ბევრია) გზადაგზა გაგაცნობთ.

დაბოლოს, ვიდრე მაღლით გამოვეთხოვებით, ერთი უხიამოვნო - რომ არა ვთქვათ სამარცხვინო - ამბავიც უნდა მოვყვე. მერჩივნა არ მომეყოლა, მაგრამ რაღაც ხმა გულისგამაწვრილებლად ჩამჩიჩინებს, მოყევიო, და, თუმც კი დაბეჯითებით არ ვიცი რა ხმაა, მაინც უნდა დავემორჩილო.

ყრუ-მუნჯი ნაზოიე მგონი ერთხელ უკვე ვახსენე. თუ არ მიხსენებია, ახლა ვახსენებ. იგი გლახა იასონეს ერთადერთი ასული გახლდათ. პრედიკატი ესე - ეგებ ცოტა უხერხული, მაგრამ სრულიად უწყინარი - გლახა იასონას მიენიჭა არა რაიმე ღირსშესანიშნავი სიგლახის უკვდავსაყოფად, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ კაი იასონესგან განესხვავებინათ, რომელიც ძველი ოფიცერი იყო, მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. ექვს ენაზე შეეძლო გამარჯობის თქმა და, გარდა ამისა, იმჟამად სოფსაბჭოს მდივნის პოსტი ეკავა.

თავად ამბავი კი მაქსიმალურად მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს.

პრ. ღიღებულიძე სკოლას რომ ამთავრებდა, იმ გაზაფხულზე ბუხუტია ბლაყუნამ ყრუ-მუნჯი ნაზოიე შეაცდინა. ბუხუტია ბლაყუნამ ოსტატურად ისარგებლა იმ გარემოებით, რომ გლახა იასონე ქვისლის სატირალში იყო წასული, და ნაზოიე მისივ ვენახში სახლს უკან შეიტყუა.

ზეპირი, მაგრამ სავსებით სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ ამ მოულოდნელი ფათერაკის გამო ნაზოიას რაიმე პროტესტი არ გამოუთქვამს და არც რაიმე უკმაყოფილება გამოუმჟღავნებია. მართალია, ბუხუტიე ბლაყუნას განზრახვა რომ შეუტყვია, თავიდან ცოტა კი შეშინებულა (რაც დაინტერესებულ მსმენელებს გამომეტყველების შესაფერისი ცვლილებითა და ბგერათა სათანადო მოდულაციით სავსებით გასაგებად აუწყა), მაგრამ საბოლოო შედეგით არათუ გულნაკლული არ დარჩენილა, არამედ იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ეს სკანდალური ამბავი სოფელში ყაყანით განიხილებოდა, ერთთავად იდუმალ-ნაამები სახე ჰქონდა და, როგორც რამდენიმე ახლობელი ამტკიცებდა, რომელთაც მუნჯური ენა განსაკუთრებით კარგად ესმოდათ, მხოლოდ იმას კითხულობდა, რა იქნა ბუხუტიე, რატომ აღარ ჩანსო.

ბუხუტიე კი იმიტომ არ ჩანდა, რომ გაიქცა. შეუსაბამობა მოჩვენებითია. სოფელ მაღლითში, ისევე, როგორც დედამიწის სხვა მრავალ დასახლებულ პუნქტში, ქალიშვილის ნამუსის ქურუმი - და ერთი ლიტერატურული

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეოლოგიზმი რომ ვიხმაროთ - განმკარგავი მამა იყო. მამა კი - გლახა იასონე - მომხდარს კარდინალურად განსხვავებული თვალით უყურებდა. სატირალიდან რომ მობრუნდა და, რაც მომხდარიყო, როგორც მომხდარიყო და ვისგანაც მომხდარიყო, გაიგო, მაშინათვე ნაჯახს დაავლო ხელი და ჩუმი ქადილით ბლაყუნების სახლისაკენ დაიძრა.

ბუხუტიე შინ არ დაუხვდა. როგორც კი შეუტყვია, გლახა იასონე ნაჯახით მოიწევსო, მყის მთისძირისკენ მოუკურცხლავს. ისე მირბოდაო, მნახველები ირწმუნებოდნენ, ქუსლებს - ბოდიში და - უკანალზე იტყაპუნებდაო, და ამაში, ვფიქრობ, გასაკვირი არაფერია. მარშრუტი რომ დადგინდა, მდევარი დევნილს კვალში ჩაუდგა და ახლა მაღლით - მთისძირის გზაზე, რომელიც ალაგ ღელეღიდის ნაპირს მისდევდა და ალაგ კოლექტივის ყანებს შუა მიიკლაკნებოდა (ერთგან წაბლის ხეების ულამაზეს ხეივანზეც გადიოდა), უკვე ორნი მირბოდნენ.

ამ ეტაპზე ბედი დევნილს მიემხრო. სანაკლიოს ავტობუსი უკვე თუხთუხებდა და, ბუხუტიე რომ ნაბიჯის შეუნელებლად შეხტა შიგ, დაიძრა კიდეც. მაშინ გლახა იასონამ, რომელმაც ზუსტად თხუთმეტი წუთით დაიგვიანა, რა ნახა, საქმე წაგებული იყო, ფუნქციადაკარგული ნაჯახი ქვეყნიერების იმ მხარეს მოუღერა, სადაც სანაკლიო ეგულებოდა, და გულბოღმიანი შინ დაბრუნდა.

ამგვარად, ბუხუტიე გაიქცა, მაგრამ „გაქცევა“ მისი პაწაწკინტელა ჭკუის ისეთი ცნება იყო, რომელიც სანაკლიოს ფარგლებს იქით აღარ ვრცელდებოდა. ისე, რეგვენი რომ არ ყოფილიყო, თავის შეფარება სანაკლიოშიც მშვენივრად შეიძლებოდა, ვინაიდან სანაკლიო, მიუხედავად სიმცირისა, მაინც საკმარისად დიდი იყო იმისთვის, რომ ერთ მაღლითელ ბლაყუნას იქ საიმედო სამალავი ეპოვა. მართლაც, გლახა იასონე, თუმც კი იცოდა, სამსხვერპლო ვაცი სანაკლიოს არ გასცდებოდა, საგონებელში ჩავარდა და შურისძიების იმედი რომ საბოლოოდ არ გადასწურვოდა, სულს გინებით იბრუნებდა და თავს მუქარით იმხნევებდა. მაგრამ, როგორც ითქვა, ბუხუტიე რეგვენი იყო. ერთი თვის თავზე - პრ. დიდებულიძეს გამოსაშვები გამოცდები უკვე დაწყებული ჰქონდა - ვიღაც მთისძირელი კაცის პირით გლახა იასონას შემოუთვალა, შვიდას ორმოცდაორ მანეთს მოგცემ და შემირიგდიო. ვინ იცის, სირეგვნე ეგებ არც არაფერ შუაშია, იქნებ საწყალ ბუხუტიას მაღლითი მოენატრა - ცხოველსაც კი თავისი ტყე ენატრება - და საბედისწერო შეცდომაც მშობლიური კუთხის სიყვარულმა ჩაადენინა და არა სირეგვნემ. ამას, კერძოდ, მაფიქრებინებს თანხის ოდენობა - შვიდას ორმოცდაორი მანეთი. რაიმე მრგვალი თანხა რომ დაესახელებინა, ასეთი ეჭვი არ გამიჩნდებოდა, მაგრამ შვიდას ორმოცდაორი დიალაც რომ დამაფიქრებელი რიცხვია, რომელშიც უკანასკნელი მანეთიც უნდა ვივარაუდოთ, უკანასკნელ მანეთს კი, ყელში თუ ნოსტალგია არ უჭერს, ასეთი საქმისთვის არავინ გაიმეტებს... თუმცა რა ვიცი, ეგებ ვაჭარბებ და ბუხუტიე ბლაყუნას სახელით აქ თავად ავტორის სანტიმენტალობა ლაპარაკობს... ასეა თუ ისე, გლახა იასონამ ეს შეურაცხმყოფელი წინადადება ამაყი ზიზღით უარყო. იმ მთისძირელ კაცს დააბარა, თავისი შვიდას ორმოცდაორი მანეთი უკან ამოისვას, თუ შერიგება უნდა, აქ ჩამოეთრიოს და ეს საწყალი გოგო ცოლად მოიყვანოსო. ამაზე ბუხუტიე გაგულისდა თურმე და, არ გინდა და შენი მკვდარი და ცოცხალიო, შემოუთვალა. მაშინ გლახა იასონამ ორლულიანი თოფი აიღო, რომლითაც ახალგაზრდობაში დათვზე ნადირობდა, სანაკლიოში ფეხით ჩავიდა, ბუხუტია ბლაყუნას მიაგნო (მიაგნო ქალაქის ბაღში, სადაც იმ მთისძირელ შუაკაცს ხვდებოდა ხოლმე და მიაგნო, ცხადია, სწორედ იმ მთისძირელი შუაკაცის მეშვეობით) და ადგილზე გააგორა. მერე წავიდა და მილიციას ჩაბარდა - ერთი კაცი მყავდა მოსაკლავი და მოვკალი, ახლა აგერ ვარ, ჩემი ფეხით მოველი და, რაც გინდათ, ის მიყავითო.

გლახა იასონა ალალი კაცი იყო, ტყვიას ისე ენდობოდა, როგორც ადამიანს, და რასაც ამბობდა, ყოველთვის გულწრფელად ამბობდა. ახლაც ბუნებრივია, არ იცოდა, რომ ვიდრე ოფლად გახვითქული მილიციის მორიგე ხმამაღალი ხვნეშით ადგენდა ოქმს და საკუთარი მწარე გამოცდილებით რწმუნდებოდა, თუ რაოდენ რთული მეცნიერება ყოფილა სინამდვილეში გრამატიკა, სანაკლიოს ნომერ პირველ საავადმყოფოში ბუხუტიე ბლაყუნა თავისი ველური სასიცოცხლო ინსტინქტის უკიდურესი დაძაბვით ჯერ კიდევ უმკლავდებოდა სიკვდილის ტალღისებურ შემოტევებს...

...იყო მაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, აწ მოვეშვათ გლახა იასონას და ბუხუტია ბლაყუნას - თუ საჭიროებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოითხოვა, მერეც დავადგენთ, რა ბედი ეწიათ ან რა ბედს ეწივნენ, ახლა კი ჩვენი ქაღალდითა და კალმით პრ. დიდებულიძესთან ერთად თბილისს გავემგზავროთ.

გზად საყურადღებო არა შემთხვევია რა გარდა იმისა, რომ სანაკლიოში, სადაც თბილისის მატარებლის გასვლამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, გულმა არ მოუთმინა და კიდევ ერთხელ მოინახულა მამისეული კარმიდამო.

ხოლო თბილისში ცამეტი წელი დაჰყო.

თვითონ ამ ცამეტი წლის გახსენება მაინცადამაინც არ უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ დროს გასრულდა (თუკი საერთოდ დასაშვებია პროზად დაწერილ სერიოზულ ოპუსში კაცმა ისეთი საეჭვო სიტყვა იხმარო, როგორიცაა „გასრულდა") მისი განათლება და სწორედ ამ წლებში აღიმართა წინაშე თვალთა მისთა სულისათა და გონებისათა ის გრანდიოზული პრობლემა, რომლის გადაჭრა მრავალს უცდია, მაგრამ წარმატებისთვის ვერავის მიუღწევია. დიახ. თვითონ ამ წლების გახსენება არ უყვარდა და შესაძლოა მართალიც იყო, მაგრამ მე, ვითარცა მემატიანე, ვისაც უწინარეს ყოვლისა ობიექტურობა მართებს, თავს უფლებას ვერ მივცემ პერსონაჟის გრძნობებს ავყვე და ამოდენა მონაკვეთს ისე გადავახტე, საკვანძო მომენტებზე მაინც არ შევჩერდე; თუმცა, რაკი წლები ვახსენე, ვიდრე საკვანძო მომენტებზე გადავალ, ერთ პატარა ქრონოლოგიურ ცხრილს შემოგთავაზებთ, რომელიც, ადგილი რომ მეპოვნა, წესით აქამდეც უნდა შემომეთავაზებინა: ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ისტორიას ვწერ! მართალია, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად მხატვრული სახე მივცე, მაგრამ არსებითად ეს ისტორიაა, ისტორია კი თარიღების გარეშე არ ვარგა.

ასე და ამგვარად -

პრ. დიდებულიძისათვის

1902 წ. - დაიბადა პრ. დიდებულიძის მამა

1910 წ. - დაიბადა პრ. დიდებულიძის დედა

1930 წ. - პრ. დიდებულიძის დედ-მამა დაქორწინდნენ

1931 წ. - (დეკემბრის 26, ოდეს ციოდა) დაიბადა თავად პრ. დიდებულიძე

1937 წ. - (შემოდგომა) პრ. დიდებულიძის მამა დააპატიმრეს

1939 წ. - დედა-შვილი სოფ. მაღლითში გადასახლდა; პრ. დიდებულიძე სკოლაში შევიდა

1944 წ. - პრ. დიდებულიძის დედა გათხოვდა

1946 წ. - პრ. დიდებულიძემ მაღლითის შვიდწლედი დაამთავრა და მთისძირის ათწლედში განაგრძო სწავლა.

1949 წ. - პრ. დიდებულიძემ სკოლა დაამთავრა და თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე

1954 წ. - პრ. დიდებულიძემ უნივერსიტეტი დაამთავრა

1962 წ. - პრ. დიდებულიძე საცხოვრებლად (?) სანაკლიოში გადავიდა

სალომე ერისთავისათვის

1920 წ. - დაიბადა მამიდა ნატო

1922 წ. - დაიბადა მამიდა მაგდა

1927 წ. - დაიბადა მამიდა თეკლა

1932 წ. - დაიბადა მამიდა ნუცა

1961 წ. - დაიბადა თავად სალომე ერისთავი

ჩემთვის

1916 წ. - დაიბადა მამაჩემი

1918 წ. - დაიბადა დედაჩემი

1940 წ. - დედაჩემი და მამაჩემი დაქორწინდნენ

1941 წ. - დაიბადა ჩემი და - მარიხი

1943-50 წწ. - დაიბადნენ ჩემი დანარჩენი და-ძმები

1952 წ. - როგორც იქნა, მეც დავიბადე

სხვადასხვა

1925 წ. - დაიბადა სალომე ერისთავის მამა

1930 წ. - დაიბადა ვილენი

1931 წ. - დაიბადა ბიძაჩემი იონა

განსაკუთრებული გარემოებანი

1990 წ. - მე და სალომე ერისთავი იგოეთის მახლობლად ერთმანეთს შევხვდით

ახლა კი შეგვიძლია საკვანძო მომენტებსაც მივხედოთ.

უწინარეს ყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ თბილისს ჩასულმა პირდაპირ მამინაცვლის სახლს მიაშურა, რაც ეჭვი არაა ყოველმხრივ

სწორი გადაწყვეტილება იყო. მართალია, იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, დედა-შვილი ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდა, ვინაიდან დედა ძნელად იცლიდა მაღლითის ჩასასვლელად, შვილი კი, საერთოდ, არც ერთხელ არ ჩასულა თბილისში, მაგრამ წერილებს კი, ასე თუ ისე, რეგულარულად სწერდნენ ერთმანეთს, ხოლო წერილი ისეთი რამაა (ეტყობა, სწორედ ამის თქმა უნდოდა სალომე ერისთავს რიკოთის მისადგომებთან), რაც უნდა ჯიუტი და შეურიგებელი იყვნენ მხარეები, არ შეიძლება ნელ-ნელა არ მოლბნენ და ერთმანეთზე გული არ მოუბრუნდეთ. თუმცა, გარდა წერილებისა, აქ განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა დრო - ეს ყოვლისგამმსჭვალავი და ცოტა ურცხვი პანაცეა, რომელიც თავისი უწყვეტი და შეუპოვარი დინებით ნელ-ნელა ყველაფერს ძირს უთხრის. არ შეიძლება აქვე ისიც არ ითქვას, რომ პრ. დიდებულიძის ცვლილებებს დედამაც თავის მხრივ ცვლილებები დაახვედრა. გარეგნულად თითქოს არაფერი შეტყობია - ისე მოეხვია, როგორც სხვა დროს მოხვევია, ისე ჩაიკრა გულში, როგორც სხვა დროს ჩაუკრავს, თვალებიც ისე აუცრემლდა, როგორც სხვა დროს აცრემლებია, მაგრამ პრ. დიდებულიძეს მოეჩვენა, თითქოს დედას თითებიდან ახლა მეათასედი გრადუსით ნაკლები სითბო გამოსდიოდა, ვიდრე სხვა დროს გადმოსვლია, და გულიც მეათასედი წამით ნაკლები სიხშირით უძგერდა, ვიდრე სხვა დროს აძგერებია. თუმცა, იქნებ ამ მეათასედებში არც იყო საქმე! ან კი ვის ძალუძს - თუნდაც ათასგზის შვილი იყოს - მეათასედი წამი და მეათასედი გრადუსი იგრძნოს! იქნებ დედის ცვლილებათა მთავარი წყარო და, ასე ვთქვათ, მამოძრავებელი ძალა ორი პატარა ბელურა იყო, ორი პატარა ზღარბი, ორი წითელკაბიანი მურთხი - ერთი ოთხი წლისა და მეორე ორნახევრის, რომელთაც სალოკი თითები ცნობისმოყვარეედ ედოთ პირში და შემწყნარებლური გაკვირვებით შემოსცქეროდნენ ძმას - ნახევარსა და დიდს.

მოკლედ ამ ორმაგი ცვლილების წყალობით დედა-შვილის ურთიერთობამ რამდენიმე დანაყოფის ქვემოთ, შედარებითი სიგრილის ზონისაკენ ჩამოინაცვლა, მოგვიანებით კი, როდესაც პრ. დიდებულიძემ მისაღები გამოცდები დაამთავრა და სტუდენტი გახდა, მშობლიურობის ამ განცდას, ისედაც, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებულს, ბასრი პირი თანდათან მოუბლაგვდა და „დედა“, ეს ელვარე ხმალი, რომელიც შვილის ცხოვრების ყველა წვრილმანზე აქამდე თავის ჭდეს აღებდა, ასაკის ქარქაშში იქნა ჩაგებული.

მამინაცვალს დიდი ბინა ჰქონდა და გერს ცალკე ოთახი მიუჩინა. და გერი ნახევარდებთან, ნახევარმამასთან და აწ კი ალბათ უკვე ნახევარდედასთან ერთად თავის ახალ ნახევაროჯახში დაბინავდა.

როდესაც დედამ და მამინაცვალმა გაიგეს, იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებდა ჩაბარებას, გადაწყვეტილება ერთხმად დაუწუნეს. ოღონდ ამ სანაქებო თანახმიერებას საფუძვლად სხვადასხვა მიზეზი ედო. დედა, მაგალითად, აილეწა. წამით სახეც წამოუხურდა. ეს არცაა გასაკვირი: შვილმა რომ მამის პროფესია აირჩია, დედის გაბზარულმა სინდისმა ეს საყვედურად მიიღო - ვინ იცის, ეგებ პატარა შურისძიებადაც კი - და ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა. მამინაცვლის არგუმენტი გაცილებით უფრო რეალისტური, ლოგიკური და პრაგმატული იყო. მამინაცვლის აზრით, იმ ვითარებაში, რაც იმჟამად ქვეყნად სუფევდა, მათებრ საშუალო ადამიანი (მამინაცვალმა თქვა „ჩვენისთანა ადამიანი“ და პრ. დიდებულიძე მიხვდა, რომ ამ კაცს თავისი ადგილი საბოლოოდ განესაზღვრა, როგორც საშუალო, ოღონდ იმ პირობით, რომ გამონაკლისს არც სხვისთვის დაუშვებდა) რაც უფრო შორს იდგება პოლიტიკისაგან, ისა სჯობს. იურისპრუდენცია კი პოლიტიზირებული დისციპლინაა და საშიშია, ვინაიდან, იურისტს, თუ სინდისიც რამედ უღირს, მთელი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე უხდება სიარული. სულ სხვაა, მაგალითად, მედიცინა. მედიცინა ნაკლებპოლიტიზირებულ სფეროში იმყოფება და უფრო დამოუკიდებელიცაა. მამინაცვალმა სხვა სპეციალობებიც იცოდა ასეთი - ვთქვათ, მათემატიკა და ბიოლოგია - მაგრამ მედიცინას მათთან შედარებით ზოგი პრაქტიკული უპირატესობა ჰქონდა.

პრ. დიდებულიძემ ნახევარდედმამის რჩევა ყურად არ იღო და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. ჩააბარა შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად. ან კი მაღლითის იმ თეთრი ღამეების შემდეგ, რომლებიც მამის დანატოვარი წიგნებით შესწავლას მიეძღვნა, ვინ შეძლებდა მის შეფერხებას, თუნდაც იმაზე მეტადაც ეცადათ, ვიდრე სცადეს!

. . . . . . . .

- - - - -

(რომანი აქ წყდება - რედ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი ციგროშვილი

## როცა არ ჩანხარ ცაზე...

როცა არ ჩანხარ ცაზე, ვარსკვლავო, მეტი
სწრაფვით
ვუცდი შენს გამოჩენას,
თვალს ვავლებ ცისა ნაპირს.
როცა ღრუბელი გფარავს –
მაინც დაგეძებ ცთომილს.
ცრის მერამდენე წვიმა, თოვს მერამდენე
თოვლი.
გა[illegible] ბევრის გამძლე ჩემი ლოდინის ძაფი.
არ ჩანხარ,
მაგრამ გიცდი უფრორე მეტი სწრაფვით.

* * *

არ დასრულდა და არ დასრულდა ის გზა-
ბილიკი,
რომლის ნაპირებს მოსდებია ეკალ-ფათალო...
დრო კი გადის და... ერთმანეთის ვდგავართ
პირისპირ.
დრო კი გადის და... იდუმალი ჩვენკენ
თვალთვალობს.
გვაქვს საქმე ისე,
რომ ვალალებს ჩვენი ჩრდილიც კი,
მაგრამ სადაა განმკითხავი... ეჰ, სამართალო!

* * *

ნათელმხილველმა გადმოხედა გარემემოსა
და ცრემლიანი ბალახები წამოიმართნენ...
თითქოსდა მთები წუთიერმა სხივმა შემოსა,
წუთიერ შვებად დაევანა ჩემში სინათლე.

ბევრი რამე თქვა,
ბევრი არ თქვა ნაცნობმა დილამ,
მერმისს გახედა
და წარსულსაც თვალი მოავლო...
მერე სიზმრისებრ გადავიდა,
გამკრთალდა გრილად,
მე დამიტოვა სამყოფელში ცეცხლი უალო.

* * *

ჩემი ხმა კლდე-ღრემ შეისისხლხორცა,
ჩემი ხმა ზეცამ მოინაწილა.
ყვავილში ფეთქავს ჩემი სიცოცხლე,
ნისლში მაფხიზლებს ჩემი ქარ-წვიმა.
რავინდ სახმილმა დამქანცოს, დამწვას,
რავინდ ჩახერგონ გზები ზვავებმა:
მაინც ეს მზერა შერჩება მთა-წვერთ,
მაინც ეს სული – გაუთავებლად!

* * *

როდემდე ითმენ დაპირებებით,
როდემდე ივლი ასე ჯახირით.
თითქოს თავს გადგას ჟამი ბებერი,
თითქოს მოგბლავის ქვეყნის ნახირი.
ქარ-წვიმა გირქენს დაუზოგავად,
არავინ – შენი ფიქრის ზიარი.
მგელმა წაგართვა ძაღლი – ძობანა,
სოფელიც უკვე მოხუცი არი!
ბურუსი – ერთობ განუჭვრეტელი,
აღმა და დაღმა ბრუნავს თავნება...
მომლოდინეა ოთხი კედელი
და დღეა – თვალის დახამხამება.

* * *

ჩამყუდროებულ ფოთლოვანში მოგზაურის
ხმას
მიაყურადეს მთვარის შუქზე ნედლმა
ფოთლებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





რა ნაპრალებზე გადაიფრენს შენი გულისთქმა,
იქით რა არის,
იმ შორეთში რა გელოდება!..

მრავალი სთველი,
გაზაფხული თვალს მიეფარა,
ფერი ეცვალა ყვავილობას დაუთმობელსა.
წუთისოფლისა არხეინად ტრიალებს ჯარა,
და წნელს უმაგრებ სახვალიო სოფლის ღობესა.

* * *

ვერ გაექეცი ალმურს საკირის,
ავლილ-ჩავლილი ნახე სუყველა.
ბინდბუნდში მოჩანს გაღმა ნაპირი,
ბრბო კი ყიჟინებს სულმოუთქმელად.
შენ კარგად უწყი:
რა ღამეს ათევ,
რა სიო ქროლავს ახლა გარშემო,
რომ ხვალე მეტი გაძლება გმართებს,
რომ ხვალე მშვიდი დღე არ არსებობს...

* * *

ეკალბარდიან სავალზე,
სამშეოს მომცრო ბორცვზედა,
რამდენ წვიმას და ღვარცოფს და
რამდენ ზვავს გადაუვლია...
რაიც წავიდა – ის ისევ,
ისევ გეძახის ხმამაღლა,
სიზმრებში გაბორიალებს,
შენივ შვება და წყლულია.

ნათლის კალთაში თითქოსდა
ლვიძია გარეშემოსა,
მაგრამ ნელ-ნელა სიამის
გადადის მანათობელიც.

მხოლოდდა გზისპირს ჰყუდიხარ,
ვითარცა ღოლოს ჯოყარი.
არც ისე ცოტა ყოფილა
შენი ბედკრული სოფელი.

* * *

თავისა გითხრა, დაგთმო და
წამსვლელი უკვე წავიდა,
თვალა არვე და აძრახდა
კლდე-ღრეთა უხიერობას.
ათასგან კიბა პიტალო,
გზად გლიჯა ნარ-ეკალი და...
ეჰ, მიიწურა საღამო,
ეჰ, გადავიდა სერობა...

მოსასვლელ ნათლის ლოდინში
თვალი და სული დაღალე.
დღეისდღის ფესვს არწყულებდი
წინამორბედის კვალზედა.
წყალნი წავიდნენ, ქვიშა ჩანს,
სადღაცა ძაღლი ღავღავებს...
ო, ქვეყნიური დრო-ჟამი
როგორ აიმღვრა, აღზევდა...

* * *

მე დაგიბრუნებ,
მე შენი მმართებს,
ვალის მისხალსაც არ დავიტოვებ.
და ერთხელ კიდევ ავუნთებ სანთელს
მას, რაც შენში და შენით ვიპოვე...
აღარ გავწირავ ჩემ თვალსაწიერს –
სიამისა და სიმწრის ადგილებს.
ის გზა,
რომელზეც გამოვაღწიე,
ზღაპარი იყო და სინამდვილე.

* * *

წვიმამ ვერ წაშალა,
ღრუბელმა ვერ გადაჩრდილა,
ცეცხლის ალმა ვერ ამოშანთა –
იმედის კვალი,
რომ ესწრაფვის ზეციერისკენ,
მიწის გულისკენ –
სადაც ხვალის მარცვალს ღვიძია...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქარის შემდეგ...

ქარის შემდეგ აქა-იქ ჯანღის ნამცეცებმა
დაივანეს, თითქოსდა ტყის გუგუნიც ცხრება...
გზისპირის წყაროებმა ფერი დაიწმინდეს
და ზღაპრულმა ფრთოსნებმა ხმით დამატკბეს
კიდევ.
ბოლო ნისლის ნაძოძი გადაშორდა მთა-ველს,
ზენაარის სხივები ჩემსკენ მოფრინავენ...

* * *

ჭალა-ჭალა შვინდს და ტყემალს ეღიმება...
შუქი მოჰფენია ველებს - როგორც შვება.

ირგვლივ დაფრინავენ მთების მგალობლები.
მგზავრი ჩქარობს: ეს დღე, ეს მზე ეამების.

ეს დღე სასწაულობს, გარეშემოს უვლის...
გულო, გაწვევს გულო, არე დამწყაზრული...

* * *

უკვე მწუხრდება, მდუმარებს ახლა
წვეთი ნათლისა, ტყეში მიმქრალი.
ყველგან და ყველა ნაბიჯზე გახლავს
მთების წუხილი და საფიქრალი...
წვიმს და იგონებ წყალ-ჭალის სიყრმეს,
გიფარავს შენივ ქედების კალთა.
მღილი ათბუნებ არაგვის რიყეს
და ჩუმად კვდები მამულის კართან.

* * *

პირველი თოვლი
ჩემთვისაც ზრუნავს,
სიჩუმეს ორწილს მომაგებს ალბათ
და შუაღამის ღვიძილში უმალ,
უმალ მომიტანს ზესკნელის ამბავს...
გზასა და ბილიკს
წაშლის ნამქერი,
ხალისიანნი, ხანაც მწუხარნი -
ერთურთს გავათბობთ (სხვა არაფერი.)
მე და ეს ჩემი ზამთრის ბუხარი.

## ისევ აქ...

დაისის ალში მოთქვამს ჯოყარი
და ნაბინავარს ეყრება ნაცრად...
ისევ აქ ხელები მტერს და მოყვარეს,
ისევ აქ ეძებ სიამის მარცვალს.
ხან ღამის ცეცხლთან
გიკრთება ძილი,
ხანაც საგონში ჰყავხარ საშინელ
ზმანებებს... უცდი ალისფერ დილას -
უკეთესს, ღლეისდღეთა ნაშიერს.

* * *

ბედისწერაა წასვლაც, დარჩენაც,
მიემგზავრები რწმენით, ლოცვებით.
წილადრგებული დღე გადარჩენას
გპირდება. ფუძის ანგელოსები
საუფლო სავალს კვლავ პატრონობენ,
ზვაობს გარშემო მადლი ღვთიური.
აღმა და დაღმა გზებზე ბოლომდე
ჩანს სახილველი ყოველდღიური...

## წუთი წუხილისა

წვეთი ფოთლებზე,
წვეთი ხავსზე -
კლდის წამწამებზე...
მრუმე მდინარე
და მდუმარე ქვები სამარის.
ვჩანვარ კი ნისლში?
მაგ კალთაზე ლამის დავეცე,
ვუხმობ მსასოვარს.
წუთი ქრება.
ირგვლივ არავინ...



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თენგიზ ჩალაური

## გამოცხადება

როდესაც ფსიქოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი საკუთარი კაბინეტის მისაღებში შევიდა, კედლის საათი ზუსტად ცხრას უჩვენებდა. ეს შემთხვევითობა არ გახლდათ, რადგან იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც ბატონი დიმიტრი ამ დაწესებულებას თავკაცობდა, თითზე ჩამოსათვლელი იყო დღეები, როდესაც უკვე დამკვიდრებულ თუ დაკანონებულ ჩვეულებას უღალატა. ეს ყოველივე კი ცხადლივ ადასტურებდა ყველასათვის ცნობილ მის პედანტიზმს და, გნებავთ, გერმანულ პუნქტუალობას.

მდივანი ქალი დირექტორის გამოჩენამდე უკვე ფეხზე იდგა, მავზოლეუმის წინ საპატიო ყარაულში მდგომი ჯარისკაცივით გამართული და მლიქვნელური ღიმილით დამშვენებული.

ამ მართლაც მომხიბლავმა ქალბატონმა წინასწარ იცოდა ის პირველი კითხვაც, რომელსაც მისი შეფი თავის დაკვრის შემდეგ დაუსვამდა.

- ვინმეს ხომ არ ვუკითხივარ?

- არა, ბატონო დიმიტრი, ჯერჯერობით არავის.

- თუ ზემოდან დამირეკავენ, აქა ვარ, თუ სხვები - თათბირი მაქვს.

დიახ, ბატონო.

ინსტიტუტის დირექტორი შუახანს მიტანებული კაცი იყო, საკმაოდ მაღალი, ათლეტური აღნაგობისა. ახალგაზრდობაში რამდენჯერმე ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორიც კი იყო თავისუფალ ჭიდაობაში და ის ძველი სპორტული ფორმა ამჟამადაც ჰქონდა შენარჩუნებული, ყოველ შემთხვევაში, გარეგნული მაინც. თუ ამას დავუმატებთ მის მამაკაცურ პირისახეს, მუქი ფერის თმასთან არაორგანულად შეხამებულ შავწამწამიან ცისფერ თვალებს და მუდამ უაღრესად დახვეწილი გემოვნებით ჩაცმა-დახურვას, ნათელი გახდება, რატომ ირეოდნენ მისთვის ქალები, რომელთა რიგებში მდივანი ქალიც ირიცხებოდა.

ყოველივე ზემოთქმულს ისიც ემატებოდა, რომ ბატონი დიმიტრი ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ, უებრო მოუბარი, ბრწყინვალე თამადა და ქალთა სქესის ისეთი მუსუსი, რომ თვით ყბადაღებული დონ-ჟუანი საჭურველმტვირთველადაც კი არ გამოადგებოდა.

ჯერ არც ერთ ქალბატონს თუ ქალიშვილს, რომელსაც მან თვალი დაადგა, არაფერზე უთქვამს უარი. ისინი უყოყმანოდ ღალატობდნენ ქმრებს, პირველ შეთავაზებაზევე იზიარებდნენ მასთან სარეცელს და, თუ გააჩნდათ, სიქალწულესაც დაუნანებლად თმობდნენ.

ყოველივე ამან საოცარი თვითდაჯერება შთაუნერგა ამ მართლაც ღმერთივით გარეგნობის მქონე მამაკაცს, სითავხედეც შემატა და საბოლოოდ ამ მიმართებით უმაღლესი რანგის პროფესიონალად ჩამოყალიბდა.

ბატონი დიმიტრი დინჯად შებრძანდა კაბინეტში, რომლის კარიც ყოველთვის ღია ხვდებოდა, უხმაუროდ გაიარა რბილსა და სქელ ხალიჩაზე, საწერ მაგიდასთან მიდგმულ ვენურ სავარძელში ჩაეშვა, პორტფელი გვერდზე მოიდო და სწორედ მაშინ შენიშნა, რომ მისი ვრცელი აპარტამენტის კუთხეში, ღია სარკმელთან ვიღაც უცხო კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მშიშრობით არასოდეს ყოფილა დაღდასმული, ახლა მოულოდნელობისაგან გული შეუქანდა და სუნთქვაც კი შეეკრა.

- თქვენ აქ საიდან მოხვედით, ვინ შემოგიშვათ? - მშრალი ხმით ამოიხრიალა მან.

უცნობი მშვიდად წამოდგა, გაზეთი დაკეცა, პიჯაკის გარეთა ჯიბეში ჩაიდო და მისკენ გამოემართა.

- მდივანს არც კი დავუნახივარ, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემოვედი. – იქამდის ამცნო, ვიდრე მიუახლოვდებოდა და მის წინ სათათბირო მაგიდასთან მიდგმულ პირველსავე სკამზე ჩამოჯდებოდა.

ხმა ნამდვილად ნაცნობი იყო, თითქოს გარეგნობაც, მხოლოდ ვინაობა... დიახ, ვინაობა აღმოჩნდა ძნელი გასახსენებელი და აღსადგენი.

ბატონი დიმიტრი კუშტი, გამჭოლი მზერით შესცქეროდა ამ თავხედ უცნობს, უცებ ფართო ღიმილმა გადაუარა პირისახეზე და ერთიანად შეუცვალა მრისხანე გამომეტყველება.

– ღმერთო ჩემო, ჯაბა! – წამოიძახა და ხელები გაშალა, – გული კინაღამ არ გამიხეთქე?!

– ალბათ, არ მელოდი. – მზაკვრული ღიმილით და იქნებ დაცინვითაც დაასკვნა ძველმა თანაკურსელმა, რომელიც აგერ უკვე ოცი წელიწადი სრულდებოდა, რაც ბატონ დიმიტრის აღარ ენახა.

ჯაბა ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ამჟამინდელი დირექტორი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდა და რომელიც გაცნობის პირველი დღიდანვე მთელი არსებით სძულდა და არცთუ უმიზეზოდ.

ჯერ ის, რომ ეს ყვინცლიანი და უჯიშო ყველაფერში პირველი იყო და ამას ყოველგვარი თავისტეხის და ძალდატანების გარეშე ახერხებდა.

ნებისმიერ საგანში, რაღა თქმა უნდა, ჰუმანიტარულში, ბადალი არა ჰყავდა და ეს თავაუღებელი მეცადინეობის კი არა, ბუნებრივი ნიჭის შედეგი გახლდათ.

თუ პირველობას მოწადინებულ დიმიტრის რომელიმე საგნის სრულყოფილი მომზადებისათვის თვეობით ჭირდებოდა სახელმძღვანელოების ზუთხვა, ჯაბა იგივე შედეგს და ხშირად უკეთესსაც ერთ კვირაში აღწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული მონაცემებით ყოველმხრივ სჯობდა, თანაკურსელი გოგონები რატომღაც მაინც იმ რძენაწყენ ჯაბას აძლევდნენ უპირატესობას, ტკიპებივით ეკვროდნენ და, ამ ფაქტს დიმიტრი კიდევ როგორღაც შეეგუებოდა, მაგრამ ზუსტად ის ქალიშვილი, რომელიც ყველაზე მეტად მოწონდა და საცოლედაც კი ჰყავდა შეგულებული, ჯაბას ხვდებოდა და ამასთანავე სერიოზულად. აი, სწორედ ეს აღიზიანებდა და აცოფებდა დიმიტრის.

რა ნახეს ამ ბიჭში სუსტი სქესის სუსტმა წარმომადგენლებმა ან რა შარმი აღმოაჩინეს მასში, ამის განმარტება წარმოუდგენელ სიძნელე ექცა. საშუალო გარეგნობის, ცარიელ-ტარიელი, გაწნიკული, ჩაჩჩურა, რომელიც სადღაც სხვენში ნაქირავებ ბინაში სახლობდა, ერთ ბოთლ ღვინოზე ისე თვრებოდა, რომ ფეხზე ვეღარ იდგა ხოლმე და, მიუხედავად ამისა, მაინც ის იყო მათი გულთამპყრობელი და ოცნების რაინდი.

მაშინ, როდესაც დიმიტრის ჰერაკლეს აღნაგობა ჰქონდა, სპორტული მიღწევების გამო პრესა და ტელევიზია ქება-დიდებით იხსენიებდა, არც გვარიშვილობა აკლდა, ვაკეში საკუთრივ ფლობდა ოთხოთახიან ბინას და ფულიც ჩეჩქივით ეყარა ჯიბეში (მართალია, მამის შემწეობით, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი რაიონის პროკურორი ბრძანდებოდა).

ჩემპიონობას მოწადინებული დიმიტრი უნივერსიტეტშიც მხოლოდ პრიზიორებში გადიოდა და, თუ სპორტში უფრო ღირსეული ჯაბნიდა, აქ მსუბუქი და ცანცარა ჩაგრავდა და ზუსტად ამ ფაქტს ვერ ეგუებოდა, თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჯაბამ თავისი გულისსწორი ცოლად მოიყვანა და იმ თავის სხვენში ნაქირავებ ყირამალა სოროში წააცუნცულა.

ღმერთო დიდებულო, ქალებზე ძველებური გამონათქვამი „თმა გრძელი და ჭკუამოკლე" მწარე სიმართლე აღმოჩნდა და, ეს რომ ჭეშმარიტება არ ყოფილიყო, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა კომფორტაბელურ ბინაზე, უცხოურ მანქანაზე, საუკეთესო ჩაცმადახურვაზე და, რაც უმთავრესია, ისეთ ვაჟკაცზე (როგორადაც საკუთარი თავი მიაჩნდა) უარის თქმა ვიღაც უპოვარ-უქონელ უნიფხვოს გამო. არა, მტკიცება აღარ ჭირდებოდა, რომ ჯაბას ცოლის არჩევანი არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა.

მართალია, ქალის და განსაკუთრებით ქართველის ტვინში ჩახედვას იშვიათად ვინმე თუ მოახერხებს, და, თუ მაინც შეძლებს, იქ ტორიჩელის სიცარიელის მეტს ვერაფერს აღმოაჩენს, მაგრამ, ნუთუ იმდენი გონებაც აღარა აქვთ, რომ იმ ცანცარა რუსების ნათქვამი გაიაზრონ – „Рыба ищет где глубже, а человек где лучше."

დიმიტრი ბოღმიანი და შურიანი არასოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ყოფილა (ესეც მისი მოსაზრება გახლდათ), თუმცა მიზანსწრაფული მუდამ იყო და ამიტომაც ყოფილი თანაჯგუფელის, ანუ „მეგობრის“ ცოლის გაბახება მტკიცედ ჩაიდო გუნებაში და ახლად შეუღლებულებთან სტუმრობას მოუხშირა, მითუმეტეს, რომ, გარდა ძველი ურთიერთობისა, ამ ვიზიტების უფლებას ისიც აძლევდა, რომ ის და ჯაბა ამჟამად კოლეგები იყვნენ და ერთიდაიმავე ინსტიტუტში განყოფილებების გამგეებად ილვწოდნენ.

წინდახედული დიმიტრი ყოველთვის ხელდამშვენებული ეწვეოდა ხოლმე ბედნიერ წყვილს. შამპანური, ნარჩევი ხილი, ნუგბარი ნამცხვარი და, რაც უმთავრესია, უძვირფასესი ყვავილების სურნელოვანი თაიგული მისი ვიზიტის მუდმივი ატრიბუტი გახლდათ და საბოლოოდ ეს ყველაფერი, მითუმეტეს თაიგული, ის ანკესი უნდა გამომდგარიყო, რომელსაც მომხიბლავი დიასახლისი ადრე თუ გვიან გადაყლაპავდა და მერე... მერე თევზუნიას ამოთრევა, დამუშავება და გემრიელად შეხრამუნება მისი საქმე იქნებოდა, რაც ნამდვილად არ შეეშლებოდა.

მართალია, ჯაბა ყოველთვის უქმურად ხვდებოდა, ცხადლივ აგრძნობინებდა, რომ მისი ეგზომ გაშინაურება გულზე არ ეხატა, მაგრამ დიმიტრი იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც მორალი სრულ უფლებას აძლევს, როდესაც კარიდან გააგდებდნენ, ფანჯარას ტყუპი წიხლი ჰკრან და უკანვე შებრუნდნენ.

ბოლოს და ბოლოს მიზანსწრაფვამ გაჭრა – „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისაო“ და თვალდადგმული ქალბატონი მის დანახვაზე უკვე აშკარად გამოხატავდა სიხარულს და ტრადიციული ამბორყოფისასაც გამომწვევად ეკვროდა და ეხუტებოდა. მოკლედ სურვილის პირდაპირ განუცხადებლობამ ქალში პატივმოყვარეობის ჭია გააღვიძა და ქათინაურებსა და კომპლიმენტებს მიჩვეულ მანდილოსანში უნებურად დაბადა პრეტენზიული კითხვა „რატომ არ მოვწონვარ?“

ეშმაკი და გონიერი მელია დიმიტრი დაუხანებლად მიხვდა, რომ ბალი უკვე მსხმოიარე იყო და დამწიფებულიც. ახლა მხოლოდ ხელსაყრელი დროის შერჩევა იყო საჭირო, მერე კი ღობეზე გადაბობღება, შეპოტინება და ევას ვაშლით პირის ჩატკბარუნება.

ისევე, როგორც მსხვერპლს დადარაჯებულ ბუჩქნარში მჯდომ მონადირეს, მასაც კარგა ხანს დასჭირდა ლოდინი და ბოლოს მისი ჩანაფიქრის განხორციელების ჟამმაც მოაწია. ინსტიტუტის დირექტორატის გადაწყვეტილებით საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ავსტრიაში უნდა ჩატარებულიყო, წარსაგზავნ დელეგატად ჯაბა იქნა დასახელებული. ამ გადაწყვეტილებაში არაფერი იყო გასაკვირი, რადგან თანამშრომელთა შორის ეს ჭკუანაღრძობი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც უცხოურ ენებს ფლობდა.

ჰოდა, ახლა იმ გამონათქვამს უნდა გაემარჯვა „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“. კოლეგის უცხოეთში გამგზავრების პერსპექტივა ყველაზე მეტად დიმიტრის გაეხარდა და მართლაც გულწრფელად მიულოცა „მეგობარს“ ესოდენ დიდი წარმატება.

„წაბრძანდი, მწყემსო, წადი, დედა ცხვარზე ნუ იდარდებ! – გუნებაში აქეზებდა და ხელებს იფშვნეტდა. – იცოდე, ბედის ანაბარად არ მივატოვებ, ისე მოვუვლი, არაფერს დავაკლებ, ჯიქანსაც ჯანიანად დავუზელ... და არც უმამაკაცობას ვაგრძნობინებ“.

გაცილებითაც თავად გააცილა უცხოეთში მიმავალი კოლეგა. საკუთარი მანქანით მიიყვანა აეროპორტში, თვითმფრინავშიც ჩააბრძანა და, როდესაც ეშმაკის ფასკუნჯი აფრინდა, ჰაეროვანი კოცნაც გაუგზავნა და ჯანდაბამდის გზა გქონიაო, მიაძახა.

ამის შემდეგ როგორ უნდა მოქცეულიყო ისეთი ჭეშმარიტი რაინდი, როგორიც დიმიტრი იყო? რაღა თქმა უნდა, კოლეგის მეუღლისათვის უნდა ეცნობებინა, რომ ქმრის გამგზავრება განხორციელდა და მისი გულისწორი უკვე ღმერთების საუფლოში მინავარდობდა. და იმ ქვეყნისაკენ მიემურებოდა, სადაც ახალგაზრდა ქალებს პირად შეურაცხყოფად მიაჩნიათ, მამაკაცებს რაიმეზე უარი უთხრან, თუნდაც მათი სურვილი მეტისმეტად პიკანტურიც აღმოჩნდეს.

ასეთ მოიქცა. ყვავილებითა და ძვირფასი სასმელით ხელდამშვენებული მეუღლესთან განშორებით დასევდიანებულ ქალს ესტუმრა. ჯერ თხოვნა-მოფერებით და შემდეგ ქათინაურებით თითქმის ძალდატანებით დიდ-დიდი დოზებით ასვა ფრანგული კონიაკი. გააბრუქა, დაათრო, გამოათაყვანა და მერე... აღარც მისი დაუფლება გაჭირვებია.

ფაქტი ჯიუტია და, ვიდრე ჯაბა ავსტრიაში მიმდინარე სიმპოზიუმის პერიპეტიებში იჭყ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლეტდა ტვინს, დიმიტრი მის ფაშატს ხედნიდა. ამასთანავე, მისსავე ბინაში, მის კუთვნილ სარეცელში და, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაკისრ სამუშაოს პირნათლად ასრულებდა, რამეთუ ბუნებით უხვად მომადლებულ ძალას და ენერგიას დაუზოგავად ხარჯავდა.

უკვე ითქვა, რომ ქართველი ლოველასისათვის მდედრებთან ინტიმური ურთიერთობა უცხო ხილი არ გახლდათ და, როგორც ამ ტიპის მამაკაცებს ჩვევიათ, კარგად დაგემოვნებისა და დანაყრების შემდეგ დიმიტრიმაც სწრაფად იცოდა მათი მოყირჭება და სინდისის ქენჯნის გარეშე უცებ მიტოვებაც და მოცილებაც.

მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მის პიროვნებაში უჩვეულო და მოულოდნელი გარდატეხა მოხდა. ქალი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ცით მოვლენილი ანგელოზის ასოციაციას იწვევდა, სარეცელში ნამდვილი ალქაჯი აღმოჩნდა. ეტყობოდა, მისი დისტროფიკი ქმარი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მეორე ნახევრის სექსუალურ მოთხოვნილებებს და უდავოდ ამ ფაქტორმა გამოიწვია, რომ დროგში შებმული ფაშატი, როგორც კი ხელნიდან განთავისუფლება იგრძნო და იპოდრომზე ამოჰყო თავი, იმდაგვარად გაჭენდა და ისე გაუტია, რომ მიმდინარე დოღში მისი დამწევი ველარავინ გამოჩნდებოდა.

ქალის უნახავი გამხადაო, ასე ფიქრობდა ქვეშ-ქვეშ მოღიმარი დიმიტრი და წუხდა, რომ ამ აღტაცების გამჟღავნება მეგობრებში არ შეეძლო. იგი არც ისეთი ბრიყვი იყო, რომ ამ სამარცხვინო გამარჯვებით საჯაროდ ემაყა და საზოგადოებაში მრავალწლიანი ძალისხმევით მოპოვებული რეპუტაცია შეერყია. ის ხომ უკვე ფსიქოლოგიის დოქტორი ბრძანდებოდა, პრესტიჟული ინსტიტუტის უდიდესი განყოფილების გამგე და პიროვნება, რომელსაც სამომავლოდ ამ დაწესებულების დირექტორობა ჰქონდა განზრახული.

შემდეგი მოვლენები საკმაოდ დრამატულად წარიმართა...

ავსტრიიდან დაბრუნებულმა ჯაბამ მოულოდნელად უცნაური მეტამორფოზა განიცადა. იგი ყოველმხრივ შეიცვალა. უფრო ზუსტად, ახლობელთა აზრით „გააფრინა". თითქმის დამთავრებული სადოქტორო დისერტაცია ღუმელში შეუძახა, პროფესიულ თემატიკას პანღური უთავაზა და მთელი არსებით მიჰყო ხელი მიცვალებულთა სულების რეალური არსებობის დამამტკიცებელ მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ არაპოპულარულ და ტუტუცურ გატაცებას არავისთან მალავდა, არც უხერხულობას გრძნობდა და პარანოიკის ახირებით შეეძლო ოპონენტებთან გაუთავებელი კამათი და, ეშმაკმა უწყის, საიდან მოთრეული ფაქტებით საკუთარი შეხედულების მტკიცება.

დიმიტრი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ჯაბას უცხოეთში ყოფნის დროს ან რაღაც ძლიერმომქმედი პრეპარატი შეუშხაპუნეს, ანდა ჰიპნოზური ზემოქმედების სფეროში მოაქციეს, რითაც სამუდამოდ გამოალენჩეს და „გამოაქლიავეს".

მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა მასზე ასეთი რადიკალური ზემოქმედება. რომელი დიდი სახელმწიფო მოღვაწე ანდა მსოფლიო რანგის მეცნიერ-გამომგონებელი ჯაბა ბრძანდებოდა, რომ მისი პიროვნებით უცხოეთის საიდუმლო სამსახურები დაინტერესებულიყვნენ? აქ უკვე თავისთავად იბადებოდა კითხვა-ამოცანა, რომელსაც ვერც დიმიტრი პასუხობდა და ვერც სხვა მასთან ახლომყოფი ადამიანები.

საერთო აზრით, ის, რაც ჯაბას შეემთხვა, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. ასეთი ვერდიქტი კი იმიტომ იქნა გამოტანილი, რომ ინსტიტუტის თანამშრომლები, ხელმძღვანელობა და სწავლულთა ელიტა დარწმუნებული იყვნენ ერთში - ჯაბას სახით მოდიოდა ახალგაზრდა, რომელიც სრულიად ახალ სიტყვას იტყოდა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში და ამით უდიდეს სამსახურს გაუწევდა ქვეყანას და საყოველთაო აღიარებასაც მოიპოვებდა.

ნათქვამია „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო". დაუშტვინა ჯაბამ და მერე როგორ, თვით ამ საქმის ზღაპრულ პერსონაჟს „სოლოვეი რაზბონიკსაც" კი გადააჭარბა. ჭაობში ხომ შეტოპა, ყელამდე ჩაეფლო და იმის ნაცვლად, უკან გამობრუნებულიყო, ბრიყვი კამეჩივით წინ-წინ მიეძალა და მისი ბედილბლით დაინტერესებულთათვის ცხადი შეიქნა, რომ იგი საბოლოოდ განწირული იყო და ველარავინ იხსნიდა.

სიმართლეს ნუ დავუკარგავთ და ახლა უკვე ჭეშმარიტად ადამიანური თანადგომით ეცოდებოდა დიმიტრის ეს გაუბედურებული და დარეხვილი კოლეგა. ნათლად ხედავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გრძნობდა, აღარაფერი ეშველებოდა. ჯაბა ხომ დილიდან საღამომდე და, ალბათ, გამთენიამდეც რაღაც სპეცლიტერატურას ჩაჰკირკიტებდა ან საღმრთო და ბიბლიურ წიგნებს ფურცლავდა, წაკითხულს აანალიზებდა, თავისებური თვალთახედვით აკეთებდა დასკვნებს და უკვე შემდეგ, სამსახურში მოსული, თანამშრომლებსა თუ კოლეგებს საათობით აცნობდა გააზრებულ-გადახარშულის საკუთარ ინტერპრეტაციას.

ცნობილია, რომ ბუნებისაგან ნიჭმომადლებული ადამიანი ნებისმიერ სფეროში გამოიჩენს თავს და წარმატებასაც მიაღწევს, მითუმეტეს, თუ თავაუღებელი შრომა-გარჯაც ხელეწიფება. ჯაბაც ასეთი პიროვნება გახლდათ და სულ მალე არა მხოლოდ საკავშირო, არამედ საზღვარგარეთის პრესაშიც გამოჩნდა მისი სტატიები სულთა რეალური არსებობის შესახებ, რომელიც რიგ შემთხვევაში მის მონათესავე, ასევე ბურუსით მოცულ სფეროს - უფოლოგიას და უცხოპლანეტელთა დედამიწაზე ყოფნას ერწყმოდა. ახლად წამოჩიტული მეცნიერი საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებდა, რომ მსოფლიოსთვის უაღრესად საინტერესო მეცნიერების ეს ორთავე დარგი დიდ სახელმწიფოთა მიერ შეგნებულად იყო გასაიდუმლოებული და ვარაუდს გამოთქვამდა, რომ მოწინავე ქვეყნებს საკმაოდ უნდა ჰქონოდათ ფაქტები და დამადასტურებელი მასალები, რომლებიც ცეცხლგამძლე სეიფებში იქნებოდა გადამალული.

ასეა თუ ისე, როგორც ამ დარგის მკვლევარ-მეცნიერმა, ჯაბამ სწრაფად გაითქვა სახელი. განსაკუთრებით საზღვარგარეთ და მალე მთელ მსოფლიოში ცნობილ რამდენიმე პრესტიჟული უნივერსიტეტისა და კოლეჯების საპატიო დოქტორად იქნა არჩეული, თუმცა საკავშირო მასშტაბით ეს არავის მოსვლია გონებაში.

აი, ამის შემდეგ კი მართლაც გაუთვალისწინებელი და ყველასათვის მოულოდნელი რამ მოხდა - ჯაბა გაქრა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ქვეყანა შეძრა. უშიშროების კომიტეტმა საკავშირო ძებნაც კი გამოაცხადა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ დაადგინეს და ბოლოს ასეთი ვარაუდი გამოთქვეს - ალბათ, საზღვარგარეთ გაიქცა და თავს უშველაო.

ამ სათუო თვალსაზრისს თვით ჯაბას წერილიც უწყობდა ხელს, რომელიც მეუღლისათვის დაეტოვებინა.

„მე სამუდამოდ მივდივარ და გტოვებ. ტყუილად ძებნას ნუ დამიწყებთ, ვერ მიპოვნით. შენ სრულ თავისუფლებას განიჭებ. ახალგაზრდა ქალი ხარ და, ალბათ, გათხოვდები, იმასაც ვხვდები, ვისზე. განცხადებას განქორწინების შესახებ რაიონის სასამართლოში თავად მივიტან. მშვიდობით".

ეს უსტარი ჯაბას მეუღლემ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ უჩვენა დიმიტრის და არგამხელა იმით გაამართლა, რომ, მიუხედავად გაფრთხილებისა, ქმრის დაბრუნების იმედი მაინც ჰქონდა.

ამ კაცის უგზო-უკვლოდ დაკარგვიდან ორი წლის შემდეგ, იმის გამო, რომ ჯაბას ავტორობით უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში არავითარი სტატია თუ წერილი აღარ გამოქვეყნებულა, მის ნათესავ-მეგობრებში ახალი ვერსია იშვა - ჯაბამ თავი მოიკლა.

ეს ვარაუდი, როგორი პარადოქსულიც უნდა გამოჩნდეს, უპირველესმა დაღუპულის ქვრივმა ირწმუნა... რამეთუ მას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა, რასაც მიაღწია კიდეც.

ეს ქალი ქვრივი იყო თუ არა, დასაბუთებულად ვერავინ დაამტკიცებდა, მაგრამ მონოგამიით რომ არ იყო დაავადებული, ეს უდავო ფაქტი გახლდათ და შაოსანი ქალბატონი სულ მალე საზოგადოებას დიმიტრის მეუღლედ წარუდგა.

მისი ყოფილი საყვარლისათვის რომ ეკითხათ, რატომ ითხოვა მეგობრის ნაცოლარი, ალბათ, ათამდე არგუმენტს მოიშველიებდა - შეცოდება მარტოხელისა, სექსუალური შერწყმა-თანხვედრა, მშვიდი და დამყოლი ხასიათი, ოჯახის დიასახლისობის უნარი და სხვა. მხოლოდ ერთს და უმთავრესს აუვლიდა გვერდს - სიყვარულს.

დიახ, სიყვარულს, რადგან დიმიტრის ასეთი გრძნობის არსებობა ნამდვილად არ სწამდა და არა მხოლოდ მამრისა და მდედრის ურთიერთობაში, არამედ საერთოდ ადამიანთა შორის, რომელიც ცოცხალ არსებათა რიგში უკანასკნელ ადგილზე ჰყავდა გამწესებული, როგორც ყველაზე ბოროტი და დაუნდობელი მხეცი.

მოგვიტევოს უფალმა და იქნებ ადამიანის მისეული შეფასება ცხოვრებაზე დაკვირვებული კაცისათვის მართებულიც აღმოჩენილიყო და მისაღებიც. განსაკუთრებით თანამედროვე ქართველებისათვის, რომელთა შორის ურთიერთმტრობა, შური, ბეზღება და ზურგში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხანჯლის ჩაცემა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულიყო, თუმცა შეფარვით, მალვით და არაცხადლივ; ხოლო რაც შეეხება პირდაპირობას, პირში თქმას, აქ ყველა ერთიმეორეს ძმობას ეფიცებოდა, ვაჟკაცობას და პატიოსნებას საჯაროდ უქებდა, პატრიოტობას უწონებდა და ერთი სიტყვით – მლიქვნელობდა და ესეც, სამწუხაროდ, უკვე ეროვნულ ნორმად იყო ქცეული, განსაკუთრებით საერთო თავყრილობის და ლხინის დროს.

ამ პირფერობას ყოველი მათგანი მშვენივრად გრძნობდა, მაგრამ უკვე წესად დამკვიდრებულ მავნე ჩვევას მაინც ეგუებოდნენ და ესადაგებოდნენ.

თანამშრომლის დაკარგვიდან თითქმის სამი წლის გასვლის შემდეგ, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ტერორისტის ნასროლი ბომბივით მოულოდნელად აფეთქდა სენსაციური ამბავი:

დირექტორის მოადგილის ვაჟს და მის მეგობრებს – ახალბედა ალპინისტებს, მყინვარწვერის ფერდზე არსებულ მეტეოსადგურის შენობა უნახავთ, რომელსაც სრულიად შემთხვევით გადაწყდომიან. მართალია, ამ უჩინმაჩინმა კაცმა არ უწყოდა მათი ვინაობა, სამაგიეროდ, დირექტორის მოადგილის ვაჟი ჯაბასაც სცნობდა და მისი ბიოგრაფიაც ზედმიწევნით იცოდა.

მეტეოსადგურის უფროსთან პირისპირ საუბარში ახალგაზრდა ალპინისტმა დეტალურად დააზუსტა მიუვალ ადგილზე ჯაბას გამოჩენის ამბავიც და მისი ცხოვრების შემდგომი მიმდინარეობაც.

ზაფხულის ერთ მზიან დღეს ჯაბა სრულიად მოულოდნელად გამოჩენილა აქ. თავდაპირველად ყველას ბეთლემში სალოცავად ამოსული პილიგრიმი ჰგონებია. რადგან თავად არავის ელოდნენ, ხოლო ისტორიული მღვიმე მეტეოსადგურიდან სულ რაღაც ერთი საათის სავალზეა კლდეში გამოკვეთილი და მთელ საქრისტიანოში ერთ-ერთ წმინდა ადგილად არის მიჩნეული.

ჯაბას თავისი ნამდვილი სახელი და გვარი დაუმალავს, არ გაუმხელია და ყველას მოგონილი ფსევდონიმით გაცნობია. რამდენიმე დღის შემდეგ კი მეტეოსადგურის უფროსისათვის თხოვნით მიუმართავს – ერთი უშვილძირო, გაუნათლებელი და სიმშვიდეს მონატრებული კაცი ვარ, აქაურობა ძლიერ მომწონს და იქნებ რაიმე ჩემი შესაფერისი სამსახური გამომიძებნოთო.

უფროსს შებრალებია მარტოსული კაცი, ეს ხომ მრავალი ნაკლისაგან განსხვავებით, ქართველთა ერთ-ერთი დადებითი თვისებაა, ჰოდა, სამუშაოც გამოუნახავს იმდროინდელი წყობისათვის მიუღებელი მაღალი ხელფასიც დაუნიშნავს.

დაათრევდა ჯაბა მეტეოდაკვირვებებზე მიმავალ თანამშრომელთა ხელსაწყოებს, აბგებს, ჩანთებს და, ვიდრე ისინი საქმიანობდნენ, სადმე მყუდრო ადგილზე იჯდა და საერთო რვეულში, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა, რაღაცას ჯღაბნიდა და იწერდა.

რას, რატომ და რისთვის, არავინ იცოდა, არც თავად ამხელდა და ამის გამო სულ მალე მეტსახელიც მიაკერეს „უკარება“, რადგან ხალხში თუ თავყრილობაში ყოფნას ყოველთვის გაურბოდა და არც არავითარ საუბარში ღებულობდა მონაწილეობას. ამ უკაცრიელ ადგილზე მყოფმა ადამიანებმა, უკლებლივ ყველამ, ჯაბა ჭკუასუსტად და ფსიქიურად დაავადებულ ადამიანად მიიჩნიეს და აღარც თავად აწუხებდნენ და აბეზრებდნენ თავს ზედმეტი ყურადღებით.

როდესაც ახალბედა ალპინისტმა მეტეოსადგურის უფროსს ამცნო, რომ მათგან დაუნად შერაცხილი უცნობი სინამდვილეში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერ-მუშაკი, საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულების და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების საპატიო დოქტორი ბრძანდებოდა, მსმენელს გაოცებისაგან სლოკინი აუტყდა და მამალი ინდაურივით დაიწყო ყრანტალი.

უფრო უარესი რომ არ დაემართა, ეს იყო გასაოცარი. თურმე კაცი, რომელიც მან სამადლოდ მიიღო, შეიფარა და დამხმარე მუშად გააფორმა, მსოფლიო რანგის მეცნიერი ყოფილა, რომელსაც, როგორც ნებისმიერ დიდ პიროვნებას, თავისი ახირებები ჰქონდა და იქნებ თავისუფალ დროს, დღისით თუ ღამით მყინვარწვერის კალთებზე მისი ხეტიალი დროის უაზრო ფლანგვას კი არ წარმოადგენდა, არამედ მეცნიერული კვლევა-ძიებისაკენ იყო მიმართული.

უფროსმა მოულოდნელი ინფორმაციის მიღებისთანავე გაუორმაგა ჯაბას გასამრჯელო და არც არავისათვის გაუმჟღავნებია მისი საიდუმლო. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მეტეოდაკვირვებებზე მიმავალი ჯგუფის ბოლოში ჩამდგარ ჯაბას, რომელიც საპალნიანი ჯორივით დატვირთული მიბონდღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იკობდა, სადგურში დარჩენა შესთავაზა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მტკიცე უარი განაცხადა იმ მოტივირებით, რომ ეს საქმიანობა ნამდვილად სიამოვნებას ანიჭებდა.

რას აკეთებდა ჯაბა ხანგრძლივი ოცი წლის მანძილზე მყინვარწვერის კალთაზე არსებულ მეტეოსადგურში, რას საქმიანობდა ანდა ვის აღმოჩენას ცდილობდა, არავინ უწყის და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაიგებს.

ამჟამად კი ეს არაორდინალური პიროვნება ბატონ დიმიტრის კაბინეტში იჯდა და კეთილმოსურნე ღიმილით ყოფილ მეგობარსა და კოლეგას შესცქეროდა. კაცს, რომელმაც ახალგაზრდობაში ჩაფიქრებული ყველა საწადელი აისრულა და დროთა განმავლობაში მეტსაც მიაღწევდა.

ჯაბა არ ჩქარობდა საუბრის გაგრძელებას, ხოლო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დიმიტრიმ არ იცოდა, რითი დაეწყო, რომელი ბანალური თემით.

არიან ადამიანები, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში მოხვედრისას იუმორით ცდილობენ ფონს გასვლას, ხოლო ვისაც ამის ნიჭი არ გააჩნია, ირონიას იშველიებენ და ამით ახერხებენ შექმნილი მდგომარეობის შემსუბუქებას. ბატონმა დიმიტრიმ მეორე ვარიანტი აირჩია. იგი ხომ არასოდეს უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ პოტენციური მეტოქისათვის, თუნდაც დამარცხებულისთვის, კბილი არ გაეკრა და არ დაეცინა.

– ვიცი, სადაც ბრძანდებოდი მთელი ამ წლების განმავლობაში და ისიც, რომ დარაჯად და გამყოლად მუშაობდი. გამოდის, რომ სამუდამოდ აიღე ხელი მიცვალებულთა სულების დევნაზე.

მისმა ყოფილმა მეგობარმა კოლეგის ამ შესავალ სიტყვას ერთობ მოწყალე და მიმტევებლური ღიმილით უპასუხა, რითაც აგრძნობინა განზრახვას მიგიხვდიო.

– პირიქით, – მიუგო, – ჩემი ცხოვრების ეს საკმაოდ დიდი პერიოდი სწორედ მაგ პრობლემას შევალიე და, მერწმუნე, სხვა გზა არც მქონდა.

– როგორ? – გაიოცა დიმიტრიმ და უნებლიეთ ის დრო გაახსენდა, როდესაც ნერვების დაწყვეტამდე ეპაექრებოდა ამ ოდესღაც მართლაც ნიჭიერ კაცს. უმტკიცებდა მცდარი არჩევანის უსუსურობას, ცდილობდა, ჭეშმარიტ მხარეს მოექცია და თხოვდა, უკუეგდო ირეალური სამყარო, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, – როგორ, – განაგრძო დაწყებული, – ნუთუ მთელი ეს წლები ისევ იმ ძველ აქლემზე ზიხარ და დაუსრულებლად ეძებ უდაბნოში ჯუნგლებს? ხომ იცი, რომ ფუჭი მცდელობაა, ვერ იპოვნი.

ოპონენტმა კვლავ გულღიად გაუღიმა.

– უკვე ვიპოვნე, – მშვიდად და თვითდაჯერებულად მიუგო, – აღარაფერია საძიებელი.

„ვაიმე, – გაიფიქრა დიმიტრიმ, – ამ უბედურს მთლად გადახდია სახურავი და ჩვეულებრივი დეგენერატი განსაცმლიან გიჟად ჩამოყალიბებულა“.

– ესე იგი, მაგ იდეა-ფიქსის გამო მიატოვე ოჯახი, ქალაქი, სამსახური, სადაც ყველა პატივს გცემდა, და სადღაც მიუსავლეთში გადაიკარგე. ღირდა კი ამხელა მსხვერპლად არარსებული მოჩვენებების აღმოსაჩენად თოვლ-ჭყაპში ხეტიალი და პირველყოფილი ადამიანის პირობებში ცხოვრება?

– რაღა თქმა უნდა, ღირდა, ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, – მკერდზე შუათითის მიდებით მიუგო ჯაბამ, – თუმცა მინდა იცოდე, რომ მე მაგ „იდეა-ფიქსის“ გამო არ მიმიტოვებია ოჯახი, ამაში სრულიად სხვა რამ აღმოჩნდა საბაბიც და მიზეზიც.

შეეტყო, რომ ჯაბა უფრო სრულყოფილად და ღრმად აპირებდა ამ საკითხის განხილვას და, ბუნებრივია, საბოლოოდ იმ აკვიატებულ აზრს მიადგებოდა, რასაც სულის მარადიულობა ერქვა, და ამიტომაც დიმიტრიმ, რომელსაც ძველი სისულელეების ახალი ინტერპრეტაციის მოსმენა არ სურდა, იჩქარა, წყალი სხვა არხში გადაუშვა.

– შენ, ალბათ, იცი ჩემი ოჯახური მდგომარეობა და ისიც, რომ შენი ყოფილი მეუღლე...

– რა თქმა უნდა, ვიცი, – ახლა ჯაბამ გადაუკეტა არხი, – ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ ორი ქალიშვილიც გყავს და, მერწმუნე, მომხდარის გამო არავითარ წყენას არ ვგრძნობ. ჩემთვის ეს პირველი დღეებიდანვე ცხადი იყო, მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

დიმიტრი ნაბულზე მდგომი პოინტერივით გაშეშდა, მხოლოდ წინა ფეხი არ აუშვერია.

– რა იყო ცხადი? – შეშფოთებით დაინტერესდა და თვალი გაუსწორა.

– მომისმინე, დიმიტრი, – შემგონებლური ინტონაციით მიმართა ჯაბამ, – კატათაგვობანას თამაში, მე მგონია, უკვე აღარ გვჭირდება. ამ ოცი წლის წინ, როდესაც უცხოეთიდან დავბრუნდი, უკვე ერთი კვირის თავზე ჩემთვის ცნობილი შეიქნა თქვენი სასიყვარულო ურთიერთობის ამბავი და იმის გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გებად კერძო დეტექტივის დაქირავება არ დამჭირვებია.

- რას ამბობ, საიდან მოიტანე? - ყალბი და ჩახლეჩილი ხმით გაიოცა დიმიტრიმ, - ალბათ, ვიღაცა სალახანამ უკბილო მონაჭორი შემოგაჩეჩა და შენც დაუჯერე. ნუთუ...

- გაჩუმდი, საკმარისია! ამ საქმეში სხვა არავინ ჩარეულა, - დამცინავი ინტონაციით შეაჩერა ჯაბამ, - მე არც ისეთი ბრიყვი ვიყავი, რომ თავზე დადგმული რქები არ მეგრძნო. ერთხელაც გიმეორებ, თავად მივხვდი-მეთქი.

ამის საპასუხოდ დიმიტრიმ დაჭრილი ფრინველის ფრთებივით აიქნია ხელები და თითებიც კი გაფარჩხა.

- ღმერთო დიდებულო, - შეიცხადა და ნათქვამს ქშენა ამოაყოლა, - რაც არ მომხდარა, იმას რატომ მწამებ, ანდა რატომ ხარ დარწმუნებული?!

- თუ მაინცდამაინც გაინტერესებს, კი ბატონო, აგიხსნი, - დაუთმო მოპასუხემ, - ჩემი დაბრუნების პირველსავე დღეებიდან ის ქალბატონი, ვიზეც ახლა ვსაუბრობთ, სისტემატურად გარბოდა ხოლმე ხან მეგობრების და ხან ნათესავების მოსანახულებლად, შაბათ-კვირას კი საყიდლებზე. ხოლო თუ საღამო იდგა, მოირთვებოდა და რომელიმე თეატრში პრემიერაზე მიბრძანდებოდა. მაშინ, როდესაც ვიცოდი, რომ თეატრს დასანახავად ვერ იტანდა. მაგრამ გასაოცარი ეს კი არა, სულ სხვა რამ გახლდა. უკანმობრუნებულს, როგორც წესი, ერთიდაიგივე სურნელი მოჰქონდა და ეს მძაფრი სუნი ჩემთვის კარგად ნაცნობი შანელის ოდეკოლონისა იყო, ანუ იმ ოდეკოლონისა, რომელსაც შენ ხმარობდი.

არგუმენტი უდავოდ დამაჯერებელი ჩანდა და იმავდროულად ფაქტობრივი სამხილითაც დადასტურებული. ასე რომ, დიმიტრის ისღა დარჩენოდა, ხმა გაეკმიდა და ფანჯარაში დაეწყო ცქერა.

- კარგი, კეთილი, ვთქვათ, მართალი ხარ, - დაეთანხმა სანახევროდ, - ახლა რაღა ეშველება მაგ საქმეს ანდა, კიდევაც რომ ვაღიარო, რა შეიცვლება მაგით?

- არაფერი, - ჩაიქირქილა ჯაბამ, - სრულებით არაფერი, მაგრამ ნუთუ შენ ფიქრობ და გგონია, რომ მე თქვენი ძველი ცოდვების დასაზუსტებლად მოვედი აქ? თუ განსჯის უნარი კიდევ გაქვს შერჩენილი, ნუ იქნები ასეთი გულუბრყვილო.

დიმიტრიმ სარკმელს მზერა მოაშორა და წინმჯდომს კითხვით შეხედა.

- მაშ, რატომ მოხვედი, - ჩაეძია, რას მივაწერო შენი მოულოდნელი ვიზიტი?

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე თანამოსაუბრეს ყურადღებით დააცქერდა და ყოფილი „მეგობარი" რატომღაც გამჭვირვალე მოეჩვენა, რაც სრულებითაც არ იყო გასაოცარი, რადგან განდეგილის ხანგრძლივი ცხოვრებით ჯაბა ისე გამოფიტულიყო, რომ ლოყებში სინათლე გასდიოდა.

ყოფილმა კოლეგამ მაგიდას იდაყვი დააყრდნო და ხელისგული პირისახისაკენ მიუშვირა.

- დამშვიდდი და ახლავე აგიხსნი, - ისე მომთხოვნად მიმართა, როგორც მოხუცმა მასწავლებელმა ონავარ პირველკლასელს, - მე მეხსიერების დაქვეითებას არასოდეს ვუჩიოდი და ამჟამადაც კარგად ვიხსენებ ყველა იმ დაცინვას, ქირქილს, აბუჩად აგდებას, რაც შენგან მას შემდეგ მქონდა, როდესაც საჯაროდ განვაცხადე, სულთა არსებობისა მჯერა-მეთქი. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, არც შენ დაგვიწყებია ის დღეები და ის პაექრობა, რაც ჩვენს შორის ხდებოდა.

„მაინც აქამდე მივიდა, არღანივით დაატრიალებს და აღარ გაჩერდება", - შეშფოთებით გაიფიქრა დიმიტრიმ, რომელიც გრძნობდა, რომ ნემსებზე კი არა, მტკაველის სიგრძე მახათებზე იჯდა.

- არც მე ვუჩივი მეხსიერების უქონლობას, - ნიშნისმოგებით და გაღიზიანებით შეეტოქა, - სხვათა შორის, როგორც მაშინ, ახლაც იგივე შეხედულება მაქვს და თუნდაც ათასჯერ გაგიმეორებ, რომ ის, რასაც შენ ასეთი დაბეჯითებით და გაქირის სიჯიუტით ამტკიცებ, არის აბსოლუტური სისულელე და სიბრიყვე. ამასთანავე, ეს გახლავს გონებაჩლუნგი ადამიანის ახირება. გაიგე და შეიგნე, რომ სული რეალურად არ არსებობს, არც ცოცხლებში და, მითუმეტეს, არც მკვდრებში, ამას ხომ საშუალო სკოლის მოსწავლეც ხვდება.

ჯაბამ ჭაღარაზე ხელი გადაისვა, შუბლი შეიჭმუხნა და მაგიდას დააცქერდა.

- შენთან პოლემიკა სრული უაზრობაა და დროის ფუჭად ფლანგვა, რადგან ყველაფერი ის, რასაც ხელით ვერ ეხები ან მზერით ვერ აღიქვამ, შენთვის არ არსებობს. მაგდაგვარი კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანებისათვის ჯადოსნური სარკე ჯადოქრობად დარჩებოდა, ტელევიზორი რომ არ გამოეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებინათ, ხოლო მფრინავი ხალიჩაც ზღაპრულ ნივთად, თვითმფრინავი რომ არ შეექმნათ. მოკლედ, წყლის ნაყვაა შენთან ამ თემაზე საუბარი; სულიერება რომ იგრძნო, თავად უნდა გაგახნდეს სული. ძალიან არ მინდოდა, მაგრამ...

აქ ჯაბამ სათქმელი აღარ დაასრულა, ტანის ერთი აქნევით წამოიმართა, ცოტაოდენ ხანს ნირვანაში მყოფივით გარინდული იდგა, თითქოს სადღაც შორეულ სივრცეებს ჭვრეტდა, მერე პიჯაკის გარეთა ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა და თავის მარადიულ მეტოქეს საწერ მაგიდაზე გაუფინა.

პირველსავე გვერდზე ჯაბას საკმაოდ მოზრდილი ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი, ხოლო მის ქვეშ დიდი შრიფტით აწყობილი ტექსტი იუწყებოდა.

„29-აპრილს, აღდგომა დღეს, მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი...“

ბატონი დიმიტრი წაკითხულის აზრს ჯერ ვერ ხვდებოდა და უცებ მისმა გონებამაც აღიქვა და გააანალიზა მიღებული ინფორმაციის შინაარსი.

ეს ყოველივე საშინელება იქნებოდა, რეალობა რომ გამომდგარიყო. როგორც გაზეთი იუწყებოდა, ეს კაცი 24 საათის წინ გარდაიცვალა, სადღაც მიუვალ მთებში და ახლა კი მის წინ იდგა სრულიად ჯანმრთელი და საღ-სალამათი. უდავო ფაქტი იყო, რომ პრესამ ყალბი ინფორმაცია გამოაქვეყნა, მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა ასეთი ბლეფი?

დიმიტრის ლოგიკური აზროვნება ჩიხში მოექცა, იმ ჩიხში, რომელსაც სათადარიგო გამოსასვლელი არ ჰქონდა. ახლა მისი განსჯა იმ კაცის მოქმედებას დაემსგავსა, რომელიც აბსოლუტურად ბნელ ოთახში იმ შავი კატის დაჭერას ცდილობს, რომელიც იქ არ არის.

საბოლოოდ მაინც მისთვის მისაღებ ვერსიას ჩაებღაუჭა, რომელიც წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ჰგავდა.

- ეს ყოველივე გათამაშებულია, - ისტერიულად წამოიყვირა, - აქ ყალბი ინფორმაციააა!

ჯაბას შემბრალებლურად გაეღიმა და ერთღილიანი პიჯაკი დინჯად შეიკრა.

- გონებრივი სიჯიუტე უმძიმესი სენია, - შეგონებით უთხრა, - თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მისი განკურნებაც შეიძლება.

ამ დამოძღვრის შემდეგ ერთხელაც მრავლისმთქმელად შეხედა დიმიტრის, მერე შებრუნდა და აუჩქარებელი ნაბიჯით გვერდითი კედლისაკენ გაემართა.

აი, იქ კი ისეთი საკვირველება მოხდა, რასაც ზღაპრადაც ვერავინ დაიჯერებდა.

ჯაბა მსუბუქად, როგორც უწონადობაში მყოფი, ისე ჰაეროვნად ახტა, შემდეგ ფეხის ერთი დაკვრით სკამიდან აირეკნა, ფანჯრის რაფას გადაევლო და...

დიმიტრი ცეცხლწაკიდებულივით წამოვარდა და ეს არც იყო გასაოცარი. მის თვალწინ ხომ თვითმკვლელობა ხდებოდა, თვალსაჩინოდ და დემონსტრატიულად.

როდესაც ფანჯარას მიაწყდა, ჯერ წინმდგომ სკამზე მუხლებით შედგა. მერე რაფას მუცლით გადააწვა და დაბლა ჩაიხედა.

ინსტიტუტის წინა ფასადის მხარეს, ახლად მორეცხილ ასფალტზე არაფერი ჩანდა, ადამიანი კი არა, ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯიც არ ეგდო.

სად გაქრა ცოცხალი, ხორციელი კაცი. ასე უეცრად როგორ აორთქლდა ანდა რა იყო ეს ყოველივე - მისტიკა თუ ფანტასტიკა?

დიმიტრიმ თავი ძალუმად გაარატრატა, იქნებ მეჩვენებაო. მერე ცერი თითებით საფეთქლები მოიზილა და სწორედ იმ დროს დაინახა ადამიანი, რომელიც მის წინ, მისსავე სიმაღლეზე, ცისფრად მოლივლივე სივრცეში მიფრინავდა.

სხვაგვარადაც შეიძლებოდა თქმა, - ჯაბა კი არ მიფრინავდა, არამედ მილივლივებდა, ისე მინავარდობდა, როგორც ირაოზე მყოფი ფრინველი.

მარჯვენა ფეხი სანახევროდ ჰქონდა მოხრილი, ხოლო მკლავები მკერდიდან ოდნავ ზეაღმართული და ფრთებივით გაშლილი.

მისი არც ერთი კიდური არ მოძრაობდა, სხეულიც კი არ ირხეოდა. მთელი მისი არსება სტატიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მაინც სივრცეში მისრიალებდა, მილივლივებდა, თითქოს ამქვეყნად დედამიწის მიზიდულობის კანონი აღარ არსებობდა და მის სანაცვლოდ უწონადობას დაესადგურებინა.

დიახ, ეს რეალობა გახლდათ. საზარელი და აუხსნელი რეალობა.

ჯაბას ჭეშმარიტი „მე“, ანუ ის, რაც მასში უკვდავი იყო, სულთა საუფლოსაკენ მიილტვოდა, მიისწრაფოდა, რათა იქ მარადიულ განსასვენებელში საუკუნოდ დამკვიდრებულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთევან გამგებელი

* * *

ბუხრის წინ მჯდომი მოხუცივით ოხრავს
ზამთარი;
და, როგორც მოხუცს ჭაბუკობის გახსენებაზე
თვალთაგან ცრემლი ედინება გამშრალ
ღაწვებზე,
ისე ზამთრის თვე სინანულით, წყნარი
სიზანტით
უკანასკნელი შეხვედრის ცრემლს ტოვებს
ნაძვებზე...

* * *

ვიცინი...
მიჭირს ტარება ნიღბის,
მაშფოთებს ეგზომ სილაღე იღბლის,
ვიცინი,
რადგან არარა მიკვირს,
რადგანაც ბევრი ჩემსავით ივლის.
ვინ იცის...
კვლავაც შევხედავ ივლისს?!
იქნებ საწუთრო წამებსაც მითვლის?
ვიცინი...
მიჭირს...

* * *

ისევ მოღრუბლულია,
ისევ წვიმას აპირებს,
ჩავუყვები რუსთაველს,
სევდა გამინაპირებს.

თითქოს გუშინ ვაფრთხობდით
მტკვარზე ფრთამალ თოლიას,
ახლა მცირე ტკივილიც
იწვევს მელანქოლიას;

ახლა ის სიყვარულიც
გულს ველარ დამიამებს,
ვერც მალამოდ ერგება
უკურნებელ იარებს.

ისევ მოღრუბლულია,
ისევ წვიმას აპირებს,
ჩავუყვები რუსთაველს
სევდა გამინაპირებს...

* * *

დილიდან ბაღში ვზივარ,
წვიმას აპირებს მგონი.
სახევს, ჩემკენ მზირალს,
ვცდილობ, მოვარგო ფონი.

დღეს ამ იმედსაც უფრთოს
დავასამარებ გულში,
რადგან კვლავ მტკივა უხმოდ,
რაც მაწუხებდა გუშინ...

* * *

ვიდრემდის ქარი მიუწვდომელი
ჩემს არსებაში ჩუმად ხმაურობს,
კვლავ დამრჩებიან ცრემლად ლექსები,
ასე ეულნი – უსათაუროდ...

* * *

დავლიე ყავა
და ჭიქის ფსკერზე
ჩვეულ მანერით რაღაცას ვუმზერ...
დამჩხავლა ყვავმა!..
(მწამს, ყველაფერი სისულელეა!)
მაინც რაღაცამ მიჩხვლიტა გულზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა





* * *

დგანან დღეები ზღაპრულ ქაჯებით,
თავი აიშვა ძველმა ცარამ,
შემომილეწა ღამემ ფანჯრები
და მთვარემ გულზე გადაიარა.

მესიზმრებიან წლები ბავშვობის
იყო ოცნება, წამი - ფერია,
ახლა ეს ღამე, ვით დედა შობილს,
გულში მიკრავს და არაფერია.

* * *

მე დაღლილი ვარ;
შენ არ გჯერა,
ვიცი, გგონია - ცრემლიც ფარსია,
გრძნობა - ეჭვში ჩაკლული მთვარე,
ძმაო, არ იცი,
აქ მე კაციც არ გამაჩნია,
ვინც მომიტევებს და შემიფარებს.
შენ შეგიგრძვნია ყინულის ფეთქვა
გამშრალ თვალებით,
ქარზე რომ ამბობ, გინახავს ქარი?!
მინდა, ბოლომდე გითხრა სათქმელი,
თუკი დამცალდა და მოვასწარი,

შენ დაღლილი გზის თუ იცი ფასი,
როცა ამ მანძილს სახავ ედემად
და თუ ბილიკებს, სიმრუდით დასვრილს,
დაევეფინები დაჭრილ გედებად,

ძმაო, ილოცე, შეთხოვე უფალს,
გადამაფაროს სინათლის კალთა,
რადგან შენღა ხარ, მხოლოდ შენ დამრჩი -
ჩემი იმედი გამოხრულ ძვალთა...

მხოლოდ ეგ არის -
შენ არ გჯერა,
ვიცი - გგონია, ცრემლიც ფარსია
გრძნობა - ეჭვში ჩაკლული მთვარე,
ძმაო, არ იცი,
აქ მე კაციც არ გამაჩნია,
ვინც მომიტევებს და შემიფარებს...



ვულოცავთ გიორგი ხორგუაშვილს დაბადების 70-ე წლისთავს და „ცისკრის“ მკითხველს ვთავაზობთ მწერლის ახალ მოთხრობას.



# გიორგი ხორგუაშვილი

## ორი თანაჭკუელი

ახალბედა მოწესრიგე გახლდით, მაშინვე გადაჭარბებულად მიყვარდა სამსახურში დროზე გამოცხადება, უფრო სწორად, უდროოდ გამოცხადება, ამ სიტყვის კეთილი გაგებით, რადგან ყოველთვის ადრე მივდიოდი და გვიან ვბრუნდებოდი. მაგრამ იმ ღირსახსოვარ დღეს სამსახურში კარგა გვარიანად დამგვიანებოდა ფრიად საპატიო მიზეზის გამო. ეხლაც მეუხერხულება სიმართლის გამჟღავნება, ისევ თაფლობის თვეში ვიყავი. მთელი ღამე ჩემს ხოხობასთან ალერსში გავატარე ღიღინ-ღიღინითა: „ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო...“

თბილისიდან ჩამოსულიყო ერთი ფრიად განათლებული მესკამური, რელიგიურ თემაზე ლექციის წასაკითხად. ამნაირ საკითხებზე ხშირად იმართებოდა წითელი საუბრები მეტად რთულ ვითარებებში. რაიონის თავკაცებს საჭიროდ მიუჩნევიათ ერთ-ერთი მოწესრიგის მცველად გაყოლება, რადგან მათი ფიქრით, მოსალოდნელი იყო რაიმე დავიდარაბის ატეხა ან სხვა უსიამოვნებანი, გინდა გზაში, გინდა თვით ლექციის დროს, რამეთუ უხვად მოეძიებოდათ საამისო მაგალითები. რაკი ჩემი თანამოსაქმეები, უფროსის ბრძანებით, უკვე გაკრებილიყვნენ თავ-თავიანთ საქმეებზე, როგორც იტყვიან, წამალივით გავუჩნდი და ჩამობრძანებული ლექტორის თანხლების პატივი წილად მხვდა მე, თქვენს მონა-მორჩილს, თაყა გაბიდაურს.

ლექცია უნდა ჩატარებულიყო რაიონის ერთ-ერთ მოზრდილ სოფელში – დიდმარანაში, რომელსაც, რასაკვირველია, კლუბი არ გააჩნდა და როგორც თვით დიდმარანას, ისე ახლომახლო სოფლების მოსახლეობა კარგა ადრე შეეკრიბათ ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში, გარშემო რომ ქვითკირის გალავანი ერტყა. არ ვიცი, ზემოდან დაევალებინათ, თუ მათივე გადაწყვეტილებით, თავის გამოჩენის მიზნით, ლექციისათვის და მისი ჩამტარებლისათვის რომ განსაკუთრებული ვითარება შეექმნათ, საპრეზიდიუმე, ანუ სათავკაცებო ადგილიც კეთილმოეწყოთ. ეკლესიის კედლის ძირში გაეხირათ გრძელი, უშველებელი მაგიდა, რომლისთვისაც გადაეფარებინათ სისხლივით წითელი ქსოვილი, წინა მხრიდან რომ თითქმის იატაკამდე ჩამოეფხატათ; გვერდით მიედგათ ვეება ტრიბუნა, იმხელა, რომ ზედ სუფრაც კი გაიშლებოდა, ოთხ კაცს რომ ძლივს მოეთრია ეკლესიაშივე გამართული სახელოსნოდან. ისიც წითელი ქსოვილით იყო შემოსილი, შუა ადგილას ბრინჯაოსფრად დაფერილი სსრ კავშირის გერბი და ნამგალ-ჩაქუჩი მიეტყუპათ, ტრიბუნის უკან, ფიცრის დაფაზე გაეკრათ ის სურათი, მიჯრით რომ ეხატა მარქსიზმის ოთხივე კლასიკოსი, გაეკრათ იმ სიმაღლეზე, რომ კარგად დაინახებოდა იმ ჟამსაც, როცა ტრიბუნაზე შეიმართებოდა დიდად პატივსაცემი ლექტორ-სტუმარი. ტრიბუნის უკან მოჩანდა წითელ ქსოვილზე თეთრი ასოებით დაწერილი ლოზუნგი: „პარტია ჩვენი გონება, სინდისი და პატიოსნებაა!“ მაგიდას თავმომწონედ შემოსხდომოდნენ სოფლის თავკაცები, რომელთაც ემოსათ თითქმის ერთნაირი ფორმა – გახუნებული ბალახისფერი, სქელი ხალათები, მკერდზე მტკაველის სიგრძე, გატიკნილი ჯიბეებით, წელზე ერტყათ ბრტყელი, ორენიანი ბალთებით დამშვენებული ქამრები, იქვე უსხდნენ უღმერთოთა კავშირის მესვეურნი, – ქალიშვილები, მოდაზე რომ შეეკრიჭათ თმა. სათავკაცოთა მარაქაში გაერიათ ორიოდე მოწინავე გლეხი, რომელთაც ახალთახალი სატინის ხალათები ეცვათ და პირსახეებიც საამდღეოდ გაეპარსათ და გაელაზათი-

ანებინათ. შუაში ჩაესვათ ჩამობრძანებული ლექტორი, სიამაყით რომ შესციცინებდნენ პრეზიდიუმში მსხდომნიც და, რასაკვირველია, მთელი კრებულის გულისყური მისკენ იყო მიპყრობილი. წესრიგის დასაცავად ოთხივ კუთხით ჩაეყენებინათ ჯანღონიანი და გულთამამი ბიჭები, აქტივისტებს რომ უძახდნენ. რაღა თქმა უნდა, წესრიგის დამყარების მთავარი მისია მე, თქვენს მონა-მორჩილს, მქონდა დავალებული და მოხერხებული ადგილიც შევირჩიე, ისეთ ადგილას ვიდექი, რომ ცალი თვალი და ყური დარბაზისკენ მქონდა მიპყრობილი, მეორე - სათავკაცოსაკენ და ჩამიჩუმიც არ გამომეპარებოდა არც ერთი მხრიდან.

ეკლესიის ეზო-გალავანი კაიხნის გავსებული იყო ხალხით, მაგრამ პრეზიდიუმში მსხდომნი რატომღაც არ ჩქარობდნენ დაწყებას. როგორც მერე გავიგე, გვიან დაეკლათ ლექტორისათვის შეწირული დეკეული, ლექციის დამთავრების მერე რომ უნდა დაეგემოვნებინათ თავკაცის სახლში. განგებ აგვიანებდნენ, რათა დიდხანს არ ელოდინებინათ, მათი ფიქრით, ისედაც მოშივებული სტუმარი, უხერხულად არ ეყლაპებინათ ნერწყვი და არც თავად დასწყვეტოდათ თვალები ხაშლამის ქვაბისკენ ყურებით... ჰო, ამიტომ არა ჩქარობდნენ დაწყებას პრეზიდიუმში მსხდომნი და რიგრიგობით და ხანაც თითქმის ყველა ერთად საკმაოდ გაშინაურებულად და ღიმილნარევად ესაუბრებოდნენ სტუმარს, ჩემი ფიქრით, ალბათ, იმის გამო, რომ ხალხისათვის ეჩვენებინათ, აი, რა ახლოს და შინაურულად ვართ ხელისგულზე დასასმელ სტუმართან, იგივე პატივცემულ პროფესორთანაო /პროფესორობა მაშინ იშვიათი ხილი გახლდათ/. ამით კი, მათი გუმანით, კიდევ უფრო ამაღლდებოდნენ თანასოფლელთა თვალში.

„დავიღალეთ, რაღას ველოდებით!“ - გაბედა ერთმა.

„დავწყდით ფეხზე დგომითა!“

„დროზე ქენით საქნელი!“

„ან დაიწყეთ, ან გაგვიშვით!“ - აჰყვნენ სხვებიცა.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ - კიკა ჭრელოვანმა, აქაც რომ თავკაცობდა, ყურად იღო მსმენელთა თხოვნა, დინჯად წამოდგა, ბრტყელი ქამარი გაისწორა ორივე ხელით, შემხმარი ბალახისფერი სქელი ხალათის კალთა საგულდაგულოდ გადაიჭიმა ახალ წამოზრდილ ღიპზე, მედიდურად გადახედა დარბაზს, ეჟვანს დაარტყა კოტიტა თითები და წვრილი, მძრომიალე ხმით ბრძანა:

- სიმწყნარე იყოს, ამხანაგებო! - და მცირეხანს შეყოვნდა, კარგი მახარობლის იერი გადაითამაშა სახეზე და მალე მიაყოლა პაწია შესავლის მსგავსი:

- ეხლა თქვენს წინაშე გამოვა ძაან სახელოვანი პრაპისორი სევერიან ქადაგიძე, რომელიც წაიკითხავს ძაან მაგარ ლექციას უღმერთობაზე, ყოფას უტირებს წმინდანებსაც, ბერებსაც, მღვდლებსაც, ფოფოდიებსაც, მათს მიმდევრებსაც და არც მერყევ ელემენტებს დააყრის კეთილს, ღედა ეტირებათ აგრეთვე პარტიისა და ჩვენი სოციალისტური დედასამშობლოს მტრებს. კაიკაი ღრმა სიტყვებსაც გაიგონებთ, ძაან ჭკვიანურსაც, შინაურულსაც, როგორც მან ბრძანა წელან ჩემთან საუბრისას, ილაპარაკებს თქვენთვის გასაგები ენით, თქვენ რომ გაგეხარდებათ ისე, შეკითხვებიც იქნება, პასუხებიც, სიცილითაც დაიხოცებით და, თუ ჭკვიანურად მოიქცევით, „არსენას კინოსაც“ გიჩვენებთ. ხოლოთა, ძაან გთხოვთ, სიმწყნარე იყოს! - ერთხელ კიდევ ააჟღერა ეჟვანი და სიტყვა მისცა ფრიად პატივსაცემ სტუმარს, რომელმაც ბოლომდე თქმა არ დააცალა თავმჯდომარეს, ფიცხლად წამოხტა, სქელ, გადაქერცლილ ჩანთას სტაცა ხელი და მკვირცხლადვე შეიმართა ტრიბუნაზე.

- ჩემი ლექციის თემა გახლავთ „ღმერთები და ადამიანები“, - ისე ხმამაღლა დაიწყო ღრმად პატივცემულმა ლექტორმა, რომ ბოლოში მსხდომ მსმენელებსაც აცქვეტინა ყურები. და რომ თავიდანვე ცხადი ყოფილიყო საუბრის დედააზრი, იქვე მიაყოლა ქვესათაურივით: „არავითარი ღმერთი, არავითარი სატანა!“ - მიაყოლა და უცებ შეიღერა მელოტი თავი, შეიღერა და მცირე ხანს შეფიქრდა.

ეხლაც თვალწინ მიდგას სევერიან ქადაგიძის ფრიად სამახსოვრო სახე: მტკაველზე მეტად წაგრძელებული კისერი, დედაძარღვები რომ გარეთ ჰქონდა გამოყრილი, ძირს ჩამოკაუჭებული, კარგა მოგრძო ცხვირი, წინ გადმოჩიჩვირებული თხელი ტუჩები, წამოგრძელებული, შუაში ჩაჭრილ-ჩაჩვრეტილი ნიკაპი, ღრმად დაჭმუჭნილი შუბლი, დიდრონი, ეშმაკურად მოფოფინე თვალები, ხან რომ ჭერში აღაპყრობდა და ხანაც კრებულს მიანათებდა.

ფრიად პატივცემულმა ლექტორმა, როგორც მეც უმალვე დავასკვენი და პრეზიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმშიც მსხდომებმაც მაშინვე დამიმოწმეს, სულგანაბულნი რომ მისჩერებოდნენ, – დაწყებიდანვე გამოამჟღავნა დიდი ცოდნა, ორატორული ნიჭი, და მებრძოლი სულისკვეთება. „არავითარი ღმერთი, არავითარი სატანა!“ – ცეცხლებს ჰყრიდა თვალებიდან და პირიდანაც, რაიც, სამწუხაროდ, ზოგიერთებმა ღორბლად მიიჩნიეს. ამგვარი ხერხითა და მაგალითებით ამტკიცებდა თავის თვალსაზრისს, მოსდგა მორწმუნეებს და ბუღი ადინა. ისე დაუნდობლად ანგრევდა „რელიგიურ ხუხულას“ რომ ქვას ქვაზე აღარ ტოვებდა, თვითონ ღმერთებსაც, მოციქულებსაც, მორწმუნეებსაც მოურიდებლად და ცინიკურად აკრიტიკებდა და ჩვენს წამებულ სახელოვან წინაპრებსაც არ ინდობდა, მათს აჩრდილებსაც სუსხიან ღიმილს გაადევნებდა, – ორ-სამმაგად სუსხავდა ბერის კაბაში გადაცმულ მოღვაწეებს:-

– თუ ღმერთი არსებობს და ამავე დროს სამართლიანი და კეთილმოქმედი ბრძანდება, რატომ ჩათესა ადამიანში ბოროტება და, საერთოდ რად გააჩინა ბოროტი ადამიანები, რატომ გააკვრევინა მისი ძე – იესო ქრისტე ჯვარზე, ან ის რაზე აწამებინა ასე ულმერთოდ და ან მისი მოციქულნი, ან შუშანიკს რატომ გაუმწარა სული, ან აბოს და ათას მისთანას?! რად უცქეროდა მშვიდად ქეთევან დედოფლის წამებასა, ძუძუები რომ ცხელი მარწუხებით დააგლიჯეს, რატომ ახეტიალა სულხან-საბა ორბელიანი უცხო ქვეყნებში ასე უშედეგოდ?! – დასვამდა კითხვას და თვითონვე გასცემდა პასუხს:

– არავითარი ღმერთი, არავითარი სატანა!

ხომ ყველა გაკვირვებით უსმენდა ღრმად პატივცემულ ლექტორსა, მაგრამ პრეზიდიუმში მსხდომთ სულ სხვა სიფათები ჰქონდათ. ყველა პირდაღებული მისჩერებოდა მაგრამ პირველობას აქაც არავის უთმობდა სოფლისა და შეკრების თავკაცი-კიკა ჭრელოვანი, რომელსაც სიამოვნების ღიმილი გადასდიოდა მობრტყელო სახეზე, შეწითლებულ-შემღვრეულ თვალებში, მქრქალი, სისხლისფერი ძაფებივით რომ ემჩნეოდა თვალის ძარღვები, ღტაცებისა და სიცილის ცრემლები ჩასდგომოდა, დროდადრო ხელებსაც შემოსცხებდა ერთმანეთსა, ყბას მოიღრეცდა ამ სიცილში და თითქოს ბუზარა დააჯდაო, თავსაც გაიქნევდა ზაქივითა, რითაც, რასაკვირველია, ერთდროულად დიდ კმაყოფილებასაც გამოხატავდა და დიდ გაკვირვებასაც. „საიდან იცის ამდენი, კაცოო!“, თითქოს თავისთვის იტყოდა, მაგრამ ჩემს ყურსაც არ გამოეპარებოდა. ხოლო მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს, ნარგიზა ებანაშვილს, სოფლის ულმერთოთა კავშირის თავმჯდომარეს, პუტკუნა ლოყები ეჩვრიტებოდა მოწონების ნიშნად და გაუთავებლად ეკრუტუნებოდა, რასაკვირველია, სიხარულისა და აღტაცების გამო, ხოლო ჟამი-ჟამ ისე გულიანად ჩაიხითხითებდა, მთელი სხეული უზანზარებდა, ღონივრად აუთახთახდებოდა გაჭიკნილი მკერდი და სწორედ მაშინ გამოუჩნდებოდა დროშისფერი აზლუდიც, და, მაპატიოს უნებლიე ჭვრეტისათვის, წითელივე ფერის მეტისმეტად მოკლე, ლაგამივით ამოდებული ალერსიც ანუ დუნდულთსამოსიცა, გამოუჩნდებოდა უფრო მაშინ, როცა თავის ნებაზე მიუშვებდა თავის მიტყუპებულ, მსხვილ მუხლისთავებს, მოკლედ გადმოფარებული წითელი ქსოვილის სუფრა რომ ვერა ფარავდა, მუხლისთავების მიღმიერიც რომ გამოუჩნდებოდა საზარდულებითურთ /ხან მეტიც/ ლაქლაქა, მოთახთახე, ათასი თვალი მაინც რომ შესცქეროდა და თვალით მანიშნებელიც რომ არავინ გამოუჩნდებოდა. აქვე ვიტყვი, რომ „ამრევი ბიჭები“, ესოდენ რომ მრავლობდნენ დარბაზში, ნარგიზა ებანაშვილის ძუძუების თახთახს და ნებაზე მიშვებული მუხლების მიღმიერის ჭვრეტის გამო უფრო იყვნენ გატრუნულ-დაწყნარებულნი. ამას კი ფრიად პატივცემული ლექტორი თავისი საუბრით მოჯადოებად მიითვლიდა და ხან დარბაზს გადახედავდა დიდი კმაყოფილება-სიამოვნებითა, ხანაც მოცინარ-მოხითხითე-მოკრუტუნე განცვიფრებულ პრეზიდიუმს. მათკენ ჟამი-ჟამ თვალებგამოპარებული წახალისებული ღრმად პატივცემული პროფესორი უფრო მეტი აღგზნებით, მე ვიტყოდი, გულმოსული, ხანდახან მუშტების ქნევითაც ლაპარაკობდა, დროდადრო მოირგებდა ოქროსვარაყიან სათვალეს წოწოლა, კეხიან ცხვირზე და ვრცელი თუ მოკლე ამონაწერებით ამაგრებდა და აღრმავებდა ზეპირად ნათქვამს. ეტყობოდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ახალ-ახალი მოსაზრებების მარჯვედ ჩართვა საუბარში და გამარჯვებაგანცხრომის ნიშნად, სწორედ მაშინ დაკრეჭდა საკმაოდ მოზრდილ კბილებსა ერთი უცნაური მსახიობივით, თბილისში რომ მინახავს იმ ხანებში. მე, ეგრე კბილთაკრეჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგონა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი ღრმად პატივცემული ლექტორის წინაშე, მაგრამ თურმე გაცინება უფრო მიესადაგებოდა მის კბილთა ჩენას, ბებერი გოგრის თესლებივით რომ ჩაეიმატებოდა. ჩვეულებად ჰქცეოდა საუბრის დროს მელოტ თავზე ხელის გადასმა, უფრო მაშინ, როცა შეატყობდა, რომ მსმენელები ან შეიმშუშნებოდნენ, ან აყაყანდებოდნენ. სიხარულისა თუ შინაგანი ნერვიულობისაგან შეცახცახებული ხელით ძლივს შემორჩენილ ორიოდე ღერ თმას ხან აღმა წაიგლესდა და ხან დაღმა. იმავე მოტვლეპილ თავზე, უფრორე შუბლის თავზე თვალსაჩინოების მიზნით, ქამი-ქამ გამეტებით დაიტყაპუნებდა ხელსა და თან ღიმილით მიაყოლებდა: „ამაში არაფერი უჯრიათო". რასაკვირველია, გულისხმობდა ძღვდელ-მსახურებსა და მორწმუნეებსა. ჰო, მალ-მალე დაიტყაპუნებდა შუბლის შელმა ხელსა, კბილებსაც გამეტებით დაკრეჭდა მეტისმეტი განცდითა და არ ვიცი ვისი მიბაძვით, დატყაპუნება-დაკრეჭის მერე გულზე ხელებს დაიკრეფდა, ზეცისკენ აღაპყრობდა ღრმად მძრომიალე თვალებსა და, ვერ გეტყვით, ვიღაცას თუ რაღაცას დასცინოდა თუ სიხარულით შეჰკრიჭინებდა მოლანდებულ არსებას, მეტისმეტად უცნაური შეფარული ღიმილი გადასდიოდა შემჭკნარ სახეზე. და ღმერთო, შეგცოდე ამის გაფიქრებისათვის, ჩემთვის დავასკვენი, ამ კაცს ჩვენებურად რომ ვთქვათ, ძაან უქიქინებენ იქ, მაღლა, მეცხრე სართულში-მეთქი, თუმცა ნუ ავჩქარდებით...

იმისათვის, რომ ცხადი და ნათელი ყოფილიყო საუბარი, ღრმად პატივცემულმა ლექტორმა უხვად მოიშველია ფაქტები და ცოცხალი მაგალითები.

– ბიბლია გაგიგიათ, ხომ – შემპარავი ღიმილით გადახედა დარბაზს.

ამხელა კრებულიდან კრინტი არავის დაუძრავს.

– გაუგიათ, გაუგიათ! – მთელი დარბაზის სახელით ბრძანა ბატონმა კიკამ.

– ჰოდა, ის ბიბლია იმდენი სისულელეებით არის გამოტენილი, რომ ბარე სამას ქოსატყუილას ეყოფა ენის მოსაღლელად.

– იმ სამასიდან პირველი ქოსატყუილა ეს იქნება! – სრულიად საიდუმლოდ გადაუჩურჩულა ერთმა, წინა რიგში მყოფთაგანმა გვერდით მდგომსა, ეს ჩურჩული, რასაკვირველია, არ გამოჰპარვია ჩემს სმენამახვილ ყურსა, გული ჭინჭარივით დამსუსხა, მაგრამ არ შევიმჩნიე, უბრალოდაც არ მიმინიშნებია, რათა არ შეეტყოთ ფრიად პატივცემულ ლექტორსა და პრეზიდიუმში მსხდომთ და უსიამოვნო შედეგი არ მოჰყოლოდა. ისე კი, რას გავუშვებდი, უჩუმრად ავიყვანე აღრიცხვაზე მეხსიერებაში.

– მოსე წინასწარმეტყველიც ცნობილი იქნება თქვენთვის. – „წინასწარმეტყველი" ისეთი გაწელვით ბრძანა, არ მეგონა, თუ ტუჩები არ გაუწყდებოდა, ცხვირის ნესტოებიც მრეზით აიფაფხა და უარყოფითი პასუხის მოლოდინში დამცინავად მოივიწროვა თვალები.

– ცნობილია, ცნობილი! – ახლა ნარგიზა ებანაშვილმა მოწმინდა ნამუსი გატვრენილ დარბაზს.

– ისიც ცნობილი იქნება, რომ თოთოყმაწვილობაში ძლივს გადარჩენილი, ნილოსის ტალღებს გამოტაცებული ბიჭი დიდი სისხლისგუდაც გახლდათ, ჯერ კიდევ ყმაწვილბიჭობისას ერთი მეგვიპტელი ფარაონის ბიჭი გამოასალმა სიცოცხლეს იმის გამო, რომ მისი მეგობარი, მწყემსის ბიჭი სცემა იმ მეგვიპტელმა. ეგეც შენი წმინდანი და უცოდველი მოსე!.. იმ თქვენს წმინდან მოსეს სულ ქალებისაკენ და ქონებისაკენ მიუწევდა გული, წამოიქოჩრა თუ არა, ერთ ლამაზ ასულს დაადგა თვალი და წლისთავზე ბიჭის მამაც გახდა. ბიჭს გირსამი დაარქვა. სიმამრი იოთოსი, მაგარი შეუხვდა და მეცხვარედ დაიყენა თავმომწონე სიძე, რომელმაც სწორედ ცხვრის ძოვების დროს დაინახა, რომ მაყვლის ბუჩქს ცეცხლი ეკიდა, მწყემსმა მოსემ გაოცებისაგან პირი დააღო, ბუჩქს ცეცხლი ეკიდა, ალი ზეცასა სწვდებოდა, მაგრამ არ იწვოდა. სწორედ ამ დროს გამოეცხადა აბრამის, ისაკისა და იოსების ღმერთი – იაღვე, რომელმაც დაავალა მას, რომ თავისი ხალხი, ანუ ერი – ისრაელნი გამოეხსნა დამპყრობელი მეგვიპტელებისაგან და წაეყვანა აღთქმულ ქვეყანაში, სადაც მათივე თქმით, სიმდიდრეს მოიხვეჭდნენ, და, რაც უმთავრესია, თავისუფლებას ეზიარებოდნენ. მაგრამ ყოველივე ეს ძვირად დაუსვეს ხალხს; რამდენი ეწამა, რამდენი დაიხოცა შიმშილითა თუ ნერვიულობითა, მთელი თაობები ამოწყვიტეს თავიანთი ახირებული მიზნის მისაღწევად. ჩვენ ამ შემთხვევაში არ შევუდგებით ღმერთი იაღვეს და „წინასწარმეტყველი" მოსეს კრიტიკას იმის თაობაზე, თუ რა ძალა ადგათ ასეთ სახათაბალო საქმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

- „გამოხსნას" რომ კისრულობდნენ, ყოფილიყვნენ მეგვიპტელების ხელში, ერთ ლუკმა პურს იქაც შეჭამდნენ, მართალია, იმათ დაკრულზე უნდა ეცეკვათ, მაგრამ მშვიდობიანი ცის ქვეშ მაინც იცხოვრებდნენ. ჰო, ჩვენ ამაზე არ ვიდავებთ უდროობის გამო. მე სხვა რამის გამო გაგახსენეთ მაყვლის ბუჩქის ამბავი. როგორ, ცეცხლი ეკიდა, ალი ცასა წვდებოდა და ბუჩქი არ იწვოდა?! ეს ხომ აბსურდია! მთელ კვირას რომ ჰკიდებოდა ცეცხლი იმ „მოსეს ბუჩქსა", არამც და არამც არ დაიწვებოდა. რატომ? - ვეკითხებით მორწმუნეებს. - და თავისებური თვალვიწრო ღიმილით გადახედა დარბაზს.

ბევრმა მართლა გაკვირვებით დააბჩინა პირი. უპირველესად კი კიკა ჭრელოვანი მიაჩერდა პირდაღებული.

- იმიტომ, - ვპასუხობ მორწმუნეებს, - რომ ეკლიანი ბუჩქი გამოყოფს დიდი რაოდენობით ეთეროვან ნივთიერებას, რომელსაც ცეცხლი ეკიდება, მაგრამ არ იწვის. ასე, რომ ეთეროვანი ნივთიერება იწვის და არა თვით ბუჩქი.

და თავის მიერ დასმულ კითხვაზე რომ თავისივე პასუხი მოეწონა, კმაყოფილებით დაკრიჭა კბილები, ანუ გულიანად და უხეშად გაიცინა.

- საიდან იცის ამდენი, კაცოო! - უფრო ხმაშემაღლებით ბრძანა კიკა ჭრელოვანმა და თავიც გამეტებით გაიქნია.

- მაშა, კაცო, მაშა! - უარესი თავის გაქნევით ბრძანა მის გვერდით მჯდომმა.

ამ სიტყვებს ხალისით სტაცა ყური ფრიად პატივცემულმა ლექტორმა და მეტისმეტად დაჯერებულად ბრძანა:

- აქედან დასკვნა: იმ თქვენი ბიბლიის დამწერს და მის დამზეპირებელ მორწმუნეებს ამაში არაფერი უყრიათ! - და უფრო გამეტებით დაიტყაპუნა ხელი შუბლის შელმა.

- ეს კაცი მარტო არ უნდა იყვეს, ეტყობა, სამყოფზე მეტი ჰყავს! - ვითომდა ხმადაბლა წამოაყრანტალა ერთმა. დარბაზმა გადაიხარხარა / მე, რასაკვირველია, ყური მოვიყრუე წელან ნათქვამი მოსაზრებების გამო/.

პროფესორმა უთუმცაოდ მიითვალა, რომ დარბაზი მის ნათქვამზე ხარხარებდა და უფრო მეტი გამბედაობა-ხალისით მოიხმო მომდევნო არგუმენტ-ფაქტ-მაგალითები.

- მე წარმოშობით მარიამწმინდიდან გახლავართ, კაი ცამეტი საუკუნის წინათ რომ დაარსებულა. და დიდი ტაძარიც აუგიათ მეთორმეტე საუკუნეში.

ჩემს მშობლიურ სოფელ მარიამწმინდაში იმართებოდა ხოლმე დიდი სახალხო დღესასწაული - მარიამობა... ამასთან დაკავშირებით შემახსენდა ერთი აბსურდული ამბავი. ყველა ცოცხალი არსება ხომ... მაპატიეთ გამოთქმისათვის, დედალ-მამლის ურთიერთკავშირით თუ ჩასახვით არის წარმოშობილი. მათ შორის თქვენც, დიდად პატივცემულნო და თქვენი შვილებიც... თუ დარვინიზმს დავუჯერებთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაზე დაყრდნობით, ეს კანონი ვრცელდება მცენარეთა სამყაროზეც და თუ კიდევ იგივე მარქსისტულ ლოგიკას მივყვებით, ღმერთებიც ამ გზით უნდა იყვნენ წარმოშობილნი. თუ ღვთისმშობელი ყოვლად წმინდა და უბიწო ბრძანდებოდა, თუ მისი კანონიერი ქმარი - იოსები ერთხელაც არ გაჰკარებია მას, „მარად ქალწულ მარიამს", როგორ ჩაესახა და როგორ გაუჩნდა შვილი იესოს სახით?!

- საიდან იცის ამდენი, კაცოო! - მიმიხვედრებით ვინც გაიკვირვებდა.

ხალხი აღშფოთდა.

„ვაი შენს პატრონს!" - წამოიძახა ვიღაცამ.

დარბაზი შფოთავდა.

- სიმწუნარე იყოს, ამხანაგებო, დავაცადოთ, ბოლომდე ვათქმევინოთ და აი, თუ ქვა ქვაზე დაგიტოვოთ თქვენი რელიგიური ხუხულადან, მაშინ მითხარით, უნამუსო ყოფილხარო! - ბრძანა კიკა ჭრელოვანმა და ისევ გამეტებით დაარტყა კოტიტა თითები ეჟვანს.

- თქვენი აღშფოთება გასაგებია, მოითმინეთ, მოითმინეთ! - ისევ დინჯად მიჰყვებოდა ღრმად პატივცემული ლექტორი, - თქვენ მიპასუხებთ, რომ ღმერთი ჩაუსახავდაო, მაგრამ რახან ღმერთი არ არსებობს, როგორც ამას მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, მაშასადამე, ვერც ის ჩაუსახავდა.

- ღმერთო, რა შეგცოდეთ, რად მოგვივლინე უღმერთოდ გაგიჟებული კაცი? - ეს დედაკაცის ხმა იყო, ამჯერადაც გადავრჩით, რადგან ჩემი ლოკატორივით ყურების გარდა, არავის არაფერი გაუგონია.

დიდად პატივცემული ლექტორი მიხვდა, რომ ღმერთის უარყოფის ეს არგუმენტი მაინცდამაინც მარჯვედ ვერ მოუვიდა და თავის მშობლიურ სოფელ - მარიამწმინდასთან დაკავშირებით, სხვა, უფრო ცოცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი გაანდო მუქარით გაჩუმებულ დარბაზს.

– ჩემო ერთგულო მსმენელნო! აქვე უნდა მოგახსენოთ დიდი სიამოვნებით, რომ... ჩემი თაოსნობით, ბოლშევიკური პარტიის წევრთა ერთსულოვანი მხარდაჭერით და კომკავშირელთა სასიხარულო ყიჟინით, სულ ახლახანს დადგა საკითხი, რომ ამ სოფელს – მარიამწმინდას დარქმეოდა გეგეჭკორი ან კიროვი, რადგან ორივე დიდი ბოლშევიკი ნამყოფია ჩემს მარიამწმინდაში. სერგეი მირონის ძე ჩემს მშობლიურ სოფელში ბრძანდებოდა იმ ჟამს. იგი ლეგენდარულ წითელ არმიას შემოუძღვა დარიალის ხეობიდან და მისი უახლოესი თანამებრძოლის საშა გეგეჭკორის შესახვედრად გამოემგზავრა სერგო ორჯონიკიძის საიდუმლო დავალებით. საშა გეგეჭკორი ხომ მამისონის უღელტეხილის გადმოვლით მოუძღოდა წითელ არმიას თეთრი ცხენის კუნტრუშითა და „მოვდივართ, მოგვიხარიას" სიმღერით. მათი შეხვედრა მოხდა სწორედ ჩემს მშობლიურ სოფელში, მეც იქ გახლდით და წილად მხვდა ბედნიერება, მონაწილეობა მიმეღო ბოლშევიკურ ქეიფში, წყაროსთავზე რომ გაიმართა. ჰო-ჰო-ჰო! რა მოლხენა სცოდნიათ!.. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: სერგეი მირონიჩმა ყველა საჭმელს გაუსინჯა გემო, აღფრთოვანებას ვერა მალავდა, ერთმანეთზე უკეთესებიაო. აღარ იცოდა, რით დაეწყო და რომელი უფრო მტი მიერთმია. საჭმელების მეფედ დედალი ინდაურის საცივი მონათლა, დედოფლად – ნასუქი ვარიის ჩახოხბილი, სასმელებში კი ჭაჭას მიაკუთვნა პირველი ადგილი, მერე ხვანჭკარა დააყენა წინა, უფრო იმის გამო, რომ მისი უსაყვარლესი სასმელის – ბურახის გემო მოაგონა. იმასაც გაგიმხელთ, კარგა რომ შეზარხოშდნენ, ალავერდებიც გაახურეს და ვახტანგურიდაც მოილხინეს. თქვენ წარმოიდგინეთ, კიროვმა აჯობა გეგეჭკორს, ბარე ათი წამით ადრე გამოცალა მოზრდილი ყანწი. თითო ვახტანგური ჩემთანაც ინებეს და თამამადაც გამოვუცალე იდლიის ქვეშ. ეს სხვათა შორის მოგახსენეთ, ესეც რაკი სიტყვამ მოიტანა, თორემ... – შეყოვნდა და შუბლის აჭიმვით, სათვალის ზემოდან გადმოხედა პრეზიდიუმს, თითქოს მიანიშნებდა: აი, ვინ ვარ და ვისთანა გაქვთ საქმეო. პრეზიდიუმში მსხდომნიც კმაყოფილებით იღიმებოდნენ და სიამაყით გადასცქეროდნენ დარბაზს.

– ვახტანგური რო დალიეს, არ გადაკოცნეს ერთმანეთი?! – წამოიძახა ერთმა.

– რასაკვირველია. ბოლშევიკურად... ეგ კარგი გამახსენეთ, მეც დამაჯილდოვეს კოცნით, სერგეი მირონიჩმა ზედ შუბლზე მაცხო სველი ტუჩები მირონივით...

– ოჰ-ოჰ-ოჰო! როგორ დაუფრთიანებია! – ყური ვკიდე დაბალი ხმით ნათქვამს.

დარბაზში ფრთხილად აფხუკუნდნენ. პრეზიდიუმში მსხდომებს, პირდაბჩენილი რომ მისჩერებოდნენ ლექტორს, ვერც ამჯერად შეესმათ სახიფათო წამოძახილი, ხოლო წარმატებით გაბრუებულმა ლექტორმა თავისი სიტყვის ცხოველმყოფელ გამოხმაურებად მიითვალა დარბაზში მოძრაობა-გადაჩურჩულ-გადაფხუკუნება და უფრო მეტი რიხით ბრძანა:

– ჰოდა, ამიტომ უნდა დარქმეოდა მარიამწმინდას ან კიროვი ან გეგეჭკორი, და რაკი გეგეჭკორმა მარტვილი აირჩია თავისი სახელის უკვდავსაყოფად, კიროვი დაერქვასო, კიროვიო, წამოიძახეს კომკავშირელებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი გაჯიქდა და ბოლოს წითელი სოფელი აირჩიეს დასარქმევლად და, იმედია, მალე გადაწყდება ზემდგომ ორგანოებში კიროვის სასარგებლოდ... ესეც სხვათა შორის მოგახსენეთ.

– ღმერთები რომ არ არსებობენ და ცრუმორწმუნეთა გამოგონილია, ამას თვითონ ცრუმორწმუნეები ამტკიცებენ თვით უამრავი ღმერთის გამოგონებითაც და თავიანთი ცრუმოქმედებითაც. აბა, ვინ ჩამოთვლის, რამდენი ღმერთი არსებობდა და ეხლაც არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. გავიხსენოთ თუნდაც: იაღოვე, ქრისტე, ბუდა, მაჰმადი, სულ ერთმანეთის მოწინააღმდეგენი და დაუძინებელი მტრები... თვით ქრისტიანობაში რამდენი მიმდინარეობა თუ სექტაა, ერთმანეთს რომ ეწინააღმდეგებიან... იცით, რამდენი თაღლითია თვით მორწმუნეთა შორის?!

დარბაზმა იტერინა.

– რასაკვირველია, არ გეცოდინებათ!.. – ირიბი ღიმილი აისხა ტუჩების კიდეებზე.

მერე უცებ შეყოვნდა, შეფიქრიანდა. რაღაცა ახლის თქმას აპირებდა. ეტყობოდა, მეხსიერებას ვერ ენდო, სათვალე შეისწორა, ჩანაწერს ჩააკვირდა და რომელიღაც სტრიქონს პირველკლასელი მოსწავლესავით თითი გააყოლა. ტუჩებს აცმაცუნებდა, ეტყობოდა, ამოკითხვა უჭირდა, მერე თავი დაირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წმუნა სისწორეში და რიხიანად წამოიძახა:

- ვინმე არიოზი გაგიგიათ?!

ხმა არავინ გაიღო.

ღრმად პატივცემულმა ლექტორმა თვალვიწროდ გადახედა დარბაზს და სიბრალულის კილოთი ბრძანა:

- რასაკვირველია, არ გაგეგონებათ და არც გაიმტყუნებით!

პრეზიდიუმში მსხდომნი კვლავ გაკვირვებით მიაჩერდნენ. ვინ უფრო ღონივრად დააბჩენდა პირსა, ადვილად მიხვდებით.

- ძაან ბილწი მწვალებელი იყო, ძაანა, ცალი არა ჰყავდა.

დარბაზი კვლავ დადუმებულიყო.

ლექტორი ისევ გულმოდგინედ მიადევნებდა თითს თავის ჩანაწერს, ისევ ამაყად აიღერა თავი და...

- არც წმინდა ნიკოლაოსი გაგიგიათ?! საკვირველმოქმედი, მირონ... მირონლუკიის მთავარეპისკოპოსი?! - ისევ გულმოდგინედ მიადევნებდა თითს ჩანაწერს.

დარბაზმა ამჯერადაც დუმილი ამჯობინა.

- თქვენ რა გითხრათ. ეს მაინც უნდა იცოდეთ, რომ ნიკოლაოსი იგივე ნიკოლოზია, არსახსენებელი იმპერატორის მოსახელე, ვისი ჩამოგდებისთვისაც მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ამდენი სისხლი რომ დაიღვარა.

- გაგვიგია, გაგვიგია! - წამოიძახეს უფრო იმად, რომ ლექტორი შეეცოდათ, დაკარგულ სტრიქონს რომ ვერა და ვერ პოულობდა და ნერვიულობდა.

- ჰოდა, იმ წმინდა ნიკოლაოსმა, ანუ ნიკოლოზმა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გამოიტანა იმ ვინმე არიოზის საკითხი, სამას ოცდახუთ წელს რომ ჩატარდა ნ-იკ-ნ-იკ-ე-ა-ში და დაუნდობლად ამხილა კიდეც, ტყავი გააძრო ბილწსიტყვაობის გამო... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი არიოზი ჰყოლია ქრისტიანულ სამყაროს.

ესე რომ ამ მაგალითებიდანაც დღესავით ნათელია, თუ როგორი ქაოსია და ერთმანეთის დაჭმაა თვით ქრისტიანულ მოძღვრებაში.

- საიდან იცის ამდენი, კაცოო?!

- უარესებს გეტყვით... სხვა როგორ გაამტყუნო, თვით ეგრეთწოდებული დიდი მოციქულები არ ინდობდნენ თავიანთ მასწავლებელს... იუდა ისკარიოტელი ხომ მაინც გაგეგონებათ, უერთგულეს მოციქულად რომ აჩვენებდა თავსა. ბოლოში მომითხოვია და, თხასავით გაყიდა თავისი ვითომდა უსაყვარლესი მაცხოვარი. გაყიდა და, დამსახურებულადაც აწამეს... თომა მოციქული ხომ ეჭვით იყო დაავადებული, ჯვარზე გაკრული ქრისტეს წამებაც არა სჯეროდა. არა და არამჯერა, გინდა თუ არა ნალურსმანები უნდა მაჩვენოთო, თავისი ურწმუნოება სხვასაც გადასდო. პავლე მოციქულიც გაგეგონებათ, რომაელი სამხედრო პიროვნება, დიდჩინოსანი, სისხლის მდინარეები რომ წარმოქმნა მის მიერ ურიცხვ დახოცილთაგან., სისხლის ტბებში რომ აცურავა უცოდველი ქრისტიანები, მერე რაღაცა თუ ვიღაცა ცოდვებისგან ჭკუაგადაბრუნებულსა და წითელი ღვინისაგან ჭკუაშემზიანებულს ვითომდა მაცხოვარი გამოეცხადა, იმ ღამესვე ავი სიზმარი ნახა: ვითომდაც ჯოჯოხეთში შეეპანღურებინათ, სისხლის გუბეებში ცურავდა და გამოიღვიძა თუ არა, მოინანია თავისი ურიცხვი ცოდვები, მას მერე ქრისტეს კვალს გაჰყვა და სათავითაო მოციქულადაც იქცა. პეტრე მოციქულიც გსმენიათ, ალბათ, სანამ სრულ ჭკუაზე იყო, არც მასა სწამდა ქრისტე, მერე ხან იწამებდა, ხან არა, ბარე სამჯერ მაინც უარყო, საბოლოოდ მაშინ აღიარა, როცა ქრისტემ გამარჯვების დროშაააფრიალა. ეგ თქვენი პეტრე ვერც გაქრისტიანების მერე დალაგდა. რაღას აღარ ოინბაზობდა ანცი ბიჭივითა, გასაოცარი გარდამსახველიც იყო, მამალივით დაიყივლებდა ხოლმე, ბრბოსაც ახარხარებდა და თვით იესოსაც.

ლექტორი უცებ შეყოვნდა, თავი აიღერა და შეფიქრდა.

- ყიყლიყოოო! - მოულოდნელად წამოიყივლა ვიღაცამ, ზუსტად ისე, როგორც ნამდვილი მამალი ყივის.

- ყიყლიყოოო! - წამოიყივლეს სხვებმაც.

- ყიყლიყოოო! ყიყლიყოოო! ყიყლიყოოო! - აჰყვნენ გარედან ნამდვილი მამლებიც, ჯერ რომ ეადრევებოდათ ყივილი, მაგრამ ადრეულა, წინამასწარა მამლებს რომ არ უღალატეს.

და გაიბა ყივილი, მთელი უბნის, მერე მთელი სოფლის მამლებისა.

კიკა ჭრელოვანმაც და ნარგიზა ებანაშვილმაც მაშინვე „იყიდეს“, მაგრამ გაჩუმება არჩიეს.

არც მე ვცანი საჭიროდ გონების მოქექვა, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, ვინც და რატომაც წამოიყივლა.

ლექტორ-მომხსენებელი, მაღლა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღეპყრო თვალ-გონება, ცაში რომ დალივლივებდა და ისეთი უბრყვილო ღიმილი გადასდიოდა სახეზე, თითქოს თოთო ბავშვს ანგელოზები აცინებდნენ, - მამლის ყივილმა უცებ ჩამოასხეულა მიწაზე, ახალი გამოფხიზლებულივით დაბნეულად მიმოიხედა დარბაზში და დანანებით ბრძანა:

- შუაღამე მოსულა!... ძაან გამგრძელებია!.. ბოდიშს გიხდით, ცოტაც მადროვეთ, ბარემ ბოლომდე მიმაყვაინეთ!!.. ქრისტეს მოციქულებსა და წმინდანებს ვამხელდით... კიდევ უარესებს გეტყვით... იცით თუ არა, რომ საყოველთაოდ ცნობილი წმინდანი - მარიამ მაგდალინელი თავდაპირველად განთქმული მეძავი იყო?! და მერე როგორი აღტკინებული და ვნებიანი, ვიღას აღარ ჩაგორებია ლოგინში! და, ჰოი, საოცრებავ! ეს ულამაზესი ბოზლარა მერე წმინდანად აქციეს... სხვა წმინდან ლამაზმანებსაც დაგისახელებთ, ყმაწვილქალობაში განთქმულ ბოზლარებს, მერეც რომ ვერ დაუცხრიათ ვნება და ბერებსაც რომ ჩაჰგორებიან ლოგინში...

- საიდან იცის ამდენი, კაცოოო!

- ამგვარად, ბნელეთის მოციქულებს ამაში არაფერი უურიათ! - მცირედი შეყოვნების მერე კვლავ ხალისითა და სიამაყით აღმოთქვა ღრმად პატივცემულმა ლექტორ-პროფესორმა, ასე რომ ეამა კიკას გაკვირვებით ნათქვამი, და, ჩვეულებისამებრ, უმალვე იტკიცა ხელი შუბლზე.

- ბევრი მინახავს, მეცხრე სართულში რომ ეკაიფება, მაგრამ ამნაირი ჯერ არ გამომცხადებია! - მეორე მხარეს წამოაყრანტალა ვიღაცამ.

დარბაზი კვლავ ახარხარდა.

- ხომ გითხარით, სიცილი იქნება-მეთქი! - ხითხითით ბრძანა სოფლის თავკაცმა, რომელიც კმაყოფილი იყო იმითაც, რომ მისი წინასწარნაუწყები ცხადდებოდა, - სიმწყნარე იყვეს, ამხანაგებო, და სიცილი უფრო მეტი იქნება!. - კმაყოფილების ღიმილი გადაივლო და ტრიბუნაზე შემართულ ლექტორს მიაჩერდა უკეთესის მოლოდინში.

წაქეზებულმა ლექტორმა, რომელსაც, რასაკვირველია, ღრმად. სწამდა, რომ მის სიტყვამახვილობაზე იცინოდნენ, ზოგიერთის თანამედროვე ჟარგონით რომ ვთქვათ, კიდევ უფრო გაახურა.

- მოწამეთა გაგიგიათ?

- კი, კი გაგვიგია! - სამარისებური სიჩუმე დაარღვია ნარგიზა ებანაშვილმა.

- ესეც ბედისწერა! ეს სოფელი ჩემი დედულეთია, ნათლიაც იქაური მყავდა, ქიტესა ერქვა...

- ტრაგიკული პიროვნება ყოფილა! - გაბედა უჩიტლიაანთ ქალიშვილმა - ნინომ აგრეთვე პედაგოგმა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლის მასწავლებელმა.

მადლობა ღმერთს, ვერც ამ ხმამ მიაღწია ლექტორისა და პრეზიდიუმში მსხდომთა ყურებამდე, თორემ ვერც მისი, უჩიტლიაანთ ნინოს საქმე წავიდოდა კარგად, რადგან კიკა ჭრელოვანს ისიც აღრიცხული ჰყავდა, ვითარცა მენშევიკური ოჯახის წარმომადგენელი და, მაშასადამე, ანტისაბჭოთა ელემენტი.

- ესეც ძველი სოფელია, აქაც დიდი მონასტერია და თუ ჩვენს ისტორიკოსებს დავუჯერებთ, მონასტერში დაფლული იყო არგვეთის მთავრების - ძმების, დავითისა და კონსტანტინეს გვამები, წმინდანებად რომ შეურაცხავთ იმის გამო, რომ ისინი დაეცნენ არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჰმ, თავადები და გმირები?! თანაც წმინდანებად შერაცხულნი?!.. - ტუჩი ამობრიცა ღრმად პატივცემულმა ლექტორმა. ეს ხომ ძირეულად ეწინააღმდეგება მარქსისტულ მოძღვრებას და პროლეტარიატის დიქტატურის ლენინურ თეორიას?! ბარემ ამოვიღოთ ტირიფონას ველზე 1924 წელს დახვრეტილი ამილახვრების, მესხიშვილების, ზაალიშვილების, კარბელაშვილების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების გვამები და სამთავისის ეკლესიაში დავკრძალოთ, დავუჩოქოთ, სანთლები დავუნთოთ და ვილოცოთ. ბარემ ლუარსაბის და დარეჯანის ქანდაკებებიც დავდგათ სერგო ორჯონიკიძისა და ბორის ძნელაძის ძეგლების ნაცვლად! - კვლავ ამობრიცა ტუჩები პროფესორმა და მაღლა აღაპყრო თვალები!

კრებული აჩოჩქოლდა.

- სიმწყნარე, ამხანაგებო!

- დიდი სიამოვნებითა და სიამაყითაც უნდა მოგახსენოთ, რომ მეც ვესწრებოდი იმ ამბავს, დიდმა რევოლუციონერმა, მგზნებარე ბოლშევიკმა, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივანმა ჩემმა უფროსმა მეგობარმა ვალია ბახტაძემ, ქუთაისის რკინიგზის სადგურში მოსწავლეებს გაკვეთილი რომ ჩაუტარა ათეიზმის თემაზე. მოწამეთიდან წამოღებული კონსტანტინე და დავით მხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იძეების თავის ქალები ერთმანეთს უბრახუნა და თან საზოგადოებას მიმართავდა: აი, თქვენი დავითი და კონსტანტინეო, - ის თავები აი, ამ ხელებსაც სჭერია და უბრახუნებია კიდეც, - თქვა, გაშლილი, თითებგაფარჩხული ხელები მაღლა შემართა, ყელიც შეიღერა და თვალები ზეცას შეაპყრო.

დარბაზი აჩოჩქოლდა, აიმღვრა, აღელდა.

- ვაი, შენს პატრონს! - ესეც უჩიტლიაანთ ნინოს ხმა იყო.

ღმერთს იმჯერადაც მადლობა შევწირე, რომ ვერც მაღლათვალებაპყრობილმა ლექტორის ყურმა დაიჭირა ეს ხმა და ვერც პირდაღებით მიჩერებულ კიკა ჭრელოვანის და მის გვერდით მსხდომთა ყურებმა.

- სიმწყნარე, ამხანაგებო! - გვიან გაწყრა სოფლის თავკაცი.

ლექტორმა ყელში ამოიხიხინა და განაგრძო:

- ბნელეთის მოციქულებმა ბევრი ღმერთი და ღმერთკაცა გამოიგონეს, მაგრამ ქრისტეს ვერც ერთი ვერ შეედრება. მე ვიცი, თქვენც ძაანა გწამთ და გიყვართ კიდეც, თქვენ რა გაგამტყუნოთ, ზოგიერთი ჩემი კოლეგა, ანუ ვაილექტორი თუ ვაიპროფესორი იესო ქრისტეს სასწაულმოქმედ მკურნალად ნათლავს, რომელსაც ბადალი არა ჰყავდა თერაპიასა და ფსიქონერვოლოგიაში. მათი ღრმა რწმენით, იესო ქრისტე კურნავდა გადადებულ ავადმყოფებს, და საიქიოს, გამგზავრებულები, ბეწვის ხიდზე გავლილებიც კი გამოუბრუნებია უკან და ამ მზიანი ქვეყნის ხელმეორედ მოსიარულედ გაუხდია, რითაც ხალხში უდიდესი პოპულარობა და სიყვარული მოუპოვებია, ზოგიერთთა აზრით, დიდი სახელი და შეუბზარავი რწმენა, დიდი გონიერებით, ადამიანის სულისმცოდნეობით, და, მაპატიეთ, დიდი მოხერხებულობა - გაქნილობით უფრო მოუხვეჭია. ესეც სათქმელია, იესო ქრისტე იღბლიანი „ღმერთკაცი" ბრძანდებოდა. რომელ ავადმყოფსაც დაადო ხელი, ყველა წამოაცოცხლა...

ვიცი, გულს ვატკენ ზოგ ცრუმორწმუნეს, მაგრამ ქრისტეს სასწაულმოქმედების შესახებ მე უფრო ვიზიარებ მარქსისტულ-რადიკალურ შეხედულებას, რომლის თანახმად, იესო ქრისტე თვალთმაქცობდა, ვითარცა მკურნალ-თერაპევტი, მისუსტებულ-მიკნავებულ ავადმყოფებს, რომლებიც ღრმა ძილს ეძლეოდნენ დაღლილობის გამო, უკვე საიქიოს გასტუმრებულად წარმოსახავდა, მერე ვითომდა უკვდავების წყალს გადააყლაპებდა, ფეხის გულზე წაუღიტინებდა, თვალებს გაახელინებდა და დაიბრალებდა, ვითომდა მან მოარჩინა; გამორიცხული არ არის, ასე მოიქცა ლაზარეც, რომელმაც წინასწარ მოლაპარაკების თანახმად, თავი მომიკვდარუნა, ბარე ერთ კვირას იწვა გასუდრული, თითქმის შეუმჩნევლად სუნთქავდა, ფერიც დაეკარგა, მკვდარს ემსგავსა, ტირილით დაღალა ახლობლები, მთელი სოფელი დაამგლოვიარა, მერე მივიდა იესო, ჯადოქრულად მოიმოქმედა, ვითომდა უმკურნალა, ათიოდე წუთში წამოახტუნა, ბეჭებზე ხელი წამოარტყა და ღიმილით ჩასჩურჩულა: ყოჩაღ, დიდებულად იავადმყოფეო. იმათ ასე იმსახიობეს, ხალხმა კი დაიჯერა და ცამდე აიყვანა, ვითომდა სასწაულმოქმედი, საიქიოდან გამომბრუნებელი მკურნალი.

ლექტორ-პროფესორი შეყოვნდა, ტუჩები მოიწკლატუნა, შუბლშეჭმუხნით შეიღერა თავი, ეტყობოდა, ახალ აზრებს ითვალიერებდა გონებაში.

- საიდან იცის ამდენი, კაცოოო! - დროის სიცარიელე ამოავსო კიკა ჭრელოვანმა.

- სასწაულია, სასწაული! - მიუსაფანლა ნარგიზა ებანაშვილმა.

ლექტორს ეამა ორივეს ნათქვამი, მაგრამ არ შეიმჩნია და ხმათამამად ბრძანა:

- იესომ წყალი ღვინოდ რომ გადააქცია, თქვენც კარგად იცით. მაგრამ როგორ, ეხლავე გიჩვენებთ...

დარბაზი გაისუსა.

- ის მომართვით!.. - ბრძანა ცოტა შეყოვნების მერე.

ნარგიზა ებანაშვილი მკვირცხლად წამოხტა, საამაყო ძუძუების ქანქარითა და კურტუმის მოხდენილად მიმოქნევით გაიარა პრეზიდიუმში მსხდომთა წინა და რაღაცა ჭურჭელი მიართვა ღიმილის ჩენითა. ლექტორ-პროფესორმა ერთ კოლბაში უფერული ხსნარი ჩაასხა. ეს მტუტეაო, ისეთი კილოთი ბრძანა, რომ მიგვახვედრა, მხოლოდ და მხოლოდ მე ვიციო, მერე რაღაცა ჩააწვეთა, კარგად აღარ მახსოვს, მგონი პენოპლასტინი დაარქვა, ღონივრად გაანჯღრია, პატარა ხანს აცალა და თეთრი სითხე ქოლოსფერი რომ გახადა, მაღლა ასწია შეფერადებული სითხით სავსე ჭურჭელი და გამოუცნობი ღიმილით ბრძანა:

- ხომ ჰგავს თავანკარა თავკვერს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



– ჰგაამს, ჰგაამს!

– ჰგაამს და მერე, როგორ!

– თავკვერივით გემრიელიც იქნება! – უწინარესად პრეზიდიუმში მსხდომნი უდასტურებდნენ.

– ამ ხელობის დიდოსტატი გახლდათ თქვენი საყვარელი იესო ქრისტე. ასე აქცევდა წყალს ღვინოდ. დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, ჯერ თვითონ გადახუხავდა, გუნებას გაიმზიანებდა, მერე სხვასაც გადააკნაპებდა თავკვერის გემოზე. ასე რომ ღვინის ფალსიფიკაციასაც იესო ქრისტემ დაუდო სათავე. სწორედ ასეთი საქმეების ჩადენისათვის დაიჭირეს და გაასამართლეს პილატე პონტოელის თავმჯდომარეობით, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო... გაასამართლეს, საკადრისად დასაჯეს კიდეც და ისეთივე ფერის სისხლი და ცრემლი ადინეს ჯვარზე გაკრულს, რა ფერის ღვინოსაც აკეთებდა.

ხალხი აყაყანდა, აბობოქრდა და აღელდა კიდეც. ესეც ცხოველ გამოხმაურებად მიითვალა ღრმად პატივცემულმა ლექტორმა და მეტად კმაყოფილი ღიმილით გადახედა დარბაზს.

– სიმწყნარე, ამხანაგებო! – სახე გაებადრა კიკა ჭრელოვანს, რომელიც ისე იყო მოხიბლული პროფესორის საუბარ-ლექციით, რომ იმანაც ცხოველ გამოხმაურებად მიუთვალა ლექტორს დარბაზის „გამოცოცხლება“:

– აქედან კიდევ ერთხელ უნდა დავასკვნათ, რომ მორწმუნეებს ამაში არაფერი უურიათ! – კვლავ გამეტებით იტკიცა შუბლზე ხელი ლექტორმა.

– რამდენს იბრახუნებს შუბლზე, აღარ გამოელია დასაფრენები, სულ ფრთხიალ-ფრთხიალით რომ გამოუდის?! – ახლა შუა დარბაზიდან წამოაყრანტალეს.

კრებული კვლავ ახარხარდა.

– ხო გითხარით, სიცილი იქნება-მეთქი, – ჯერ სადა ხართ! – ხითხითში ძლივს ითქვამდა სულს კიკა ჭრელოვანი.

ღრმად პატივცემულ ლექტორს ამან კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა, კრებული ნამდვილად მის მახვილსიტყვაობაზე ხარხარებდა და აყოლის, თანაგრძნობის და თავმოწონების ნიშნად, თავი მაღლა შეიღერა, ზეცას მიაშტერდა და გამეტებით დაკრიჭა კბილები, ანუ უფრო გულიანად გაიცინა. თქმა აღარ უნდოდა, მეცხრე სართულში ისევ უღირღიტებდნენ და გულსაამოდ კაიფობდა თავისთვისა. ახლა უფრო სახიერად დავაკვირდი მის სიცილ-სიფათს და მაპატიოს თამამი, მაგრამ უპრიანი შედარებისათვის, ისე შეჰკრიჭინებდა ზეცას, როგორც ჭკუაშემღერებული ჯემალა შეჰკრიჭინებს ხოლმე უწვიმარ ღრუბლებს; ხან რომ მოყროყინე გრძელყურად ესახება და ხან ერთმანეთზე გადაკლეტილ ძაღლებად.

შემთხვევით არ გაგვხსენებია ჭკუაშემღერებული ჯემალაი, თავის დროზე ნიჭიერ ყმაწვილად რომ იყო ცნობილი ახლომახლო სოფლებშიც კი. შვიდი წლისა სავარჯიშო ღერძიდან ჩამოვარდნილიყო, ზურგით დაცემულიყო მიწაზე, ტვინი შერყეოდა და მას მერე ვეღარც გასწორებოდა გონება-აზროვნება.

ლექციაზე ისიც პირველ რიგში იდგა თუ იჯდა და დიდი გულმოდგინებით ისმენდა. უფრო სწორად, კინოს ხალისით მოსულიყო ამ საკრებულოში და რაკი ლექტორისაგან ისიც მოელოდა სიცილს, წინ წამომჭვიტულიყო და გულმოდგინეობდა, ვითარცა მსმენელი. თუმცა გულისგულში უკმაყოფილოც იყო, რადგან ლექტორისაგან ჯერჯერობით იმას ვერ ისმენდა, რასაც მოელოდა კიკა ჭრელოვანის შეპირებისამებრ – ეგონა, სულ სახარხაროზე ილაპარაკებდა სტუმარი, მაგრამ იმედი არც იმას გადასწურვოდა და იმად უფრო ქცეულიყო სმენად. არც ამჯერად ღალატობდა თავის ჩვევას. არ ვიცი, სხვა რამ სასაცილო წამოაგონდებოდა თუ ლექტორის სიტყვასა თუ ქცევა-მოქმედებაზე ეცინებოდა, ჟამი-ჟამ კბილებს ერთმანეთზე ღონივრად აჭერდა, ტუჩებს გან-განზე სწევდა და უხმოდ იკრიჭებოდა, ღმერთო, შეგცოდე, ზუსტად ისე, როგორც ღრმად პატივცემული ლექტორი. და კიდევ ერთი დამთხვევა: ორივე ზუსტად ერთდროულად იკრიჭებოდა. იტყოდა ლექტორი მარჯვედ მიგნებულ სიტყვას და თავისებურ კრეჭა-სიხარულსაც მიაყოლებდა, რასაც, როგორც ზემოთ ვთქვით, კბილების უცნაური ჩენით გამოხატავდა, და მსმენელი ჯემალაც ზუსტად მაშინ გაიცინ-გაიკრიჭებოდა. ისინი და სხვა მათი შემყურენი, ეგრე კრეჭა-სიცილით ილხენდნენ გულსა, მე კი, როგორც უპირველეს მოწესრიგეს, სული კბილით მეჭირა, ემანდ, თვალი არ მოჰკრას პატივცემულმა ლექტორმა, აგრეთვე პატივცემულ და ერთგულ მსმენელ ჯემალას და რაიმე ინციდენტი არ მოხდეს-მეთქი. მაგრამ, საბედნიეროდ, ლექტორის

თვალები ხან ცაში იყო მიპყრობილი, ხან ბოლოში მდგომი მსმენელებისაკენ, იქვე მდგომი ჯემალა შეუმჩნეველი რჩებოდა და ლექციაც რიგზე მიდიოდა.

ფრიად პატივცემულმა ლექტორმა მაღლა შეიღერა თავი. ეტყობოდა, ახალი მაგალითი უნდა მოეხმო, ალბათ, კიდევ უფრო სასაცილოს ეძებდა თავის უკიდეგანო მეხსიერებაში. ამჯერად კარგა ხანს იმზირა ზეცაში უჩუმრის პირით, და დარბაზიც გაგერენილი მისჩერებოდა.

– ერთი შეკითხვა შაიძლება? – გაისმა მოულოდნელად.

ეს ჭკუაშემღერებული ჯემალა გახლდათ.

– ბრძანეთ, ბრძანეთ! – უმალვე შეაგება ლექტორმა, ჩემი ფიქრით, ალბათ, ამიტომ უფრო, რომ სასაცილოს ისე ჩქარა მოძებნა უჭირდა და, მგონი, გაუხარდა კიდეც დროულად მიშველებული „შაიძლება".

იმას კი გაუხარდა, მაგრამ, მართალი გითხრათ, მე ტანში გამცრა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ჭკვიანურს რას იტყოდა ჭკუაშემღერებული ჯემალა, და მეორე და უმთავრესი, ლექტორის მსგავსად რო გაიცინებდა, რა სიკეთე უნდა მოჰყოლოდა მის კბილთა ჩენას?! მაგრამ ფეხზე წელანვე წამომხტარმა ჯემალამ ბრძანა:

– რატომ არ მეკითხებით, რა მომწონს თქვენს ლექციაში?!

ლექტორი შეცბა, მაგრამ არ დაბნეულა.

– აჰა, მიკითხია.

– მე ვოლოდიაში ძაან მიყვარს, ბარე ხუთი შეყვარებული მყავს იმათაც; ძაან ვუყვარვარ, მაგრამ სახელებს არ გეტყვით... თქვენს ლექციაში ყველაზე უფრო მომეწონა ის ნათქვამი, ქალები რომ ახსენეთ...

– ეს თქვენი გემოვნების საკითხია, დიდად პატივცემულო მსმენელო!

– თქვენ ჩემზე პატივცემულო ლექტორო, თქვენ ერთ წმინდანზე რომ ბრძანეთ თავდაპირველად ბოზი იყოო, ალბათ, ლამაზი იქნებოდა, არა?!

– ალბათ!.. – დაიბნასავით ლექტორი.

– ჩემი შეყვარებულებიც ლამაზები არიან...

– სასიამოვნოა...

– ხო არ იცით, ვინ უყვარდათ, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ბოზლარებსა?!

–მაგდენს არ გაგიდენებივარ!..

– კაი იქნებოდა, გადევნებულიყავით.

ლექტორი გაკვირვებით მიაჩერდა.

– აი, მანდ რომ ზის ნარგიზაი, იცნობთ?!

– დღეს გავიცანი!

– ხომ ლამაზია?!

– მშვენიერი ქალბატონი ჩანს...

– იცით, მაგის საყვარელი ვინ არის?!

– არა, საიდან შეცოდინება!.. – მიხვდა, რომ ასე არ უნდა ეპასუხა, ენაზე კბილი დაიჭირა, რაკი გვიან იყო, სიტყვის ბანზე აგდება სცადა.

– სხვა ვისა აქვს შეკითხვა?!

კრინტი არავის დაუძრავს.

– მე კიდევა მაქვს შეკითხვაი.

– თქვენი სახელი?!

– ჯემალა ვარ.

– ბრძანეთ, პატივცემულო ჯემალ!

– სტალინს რომ კრუპსკაია უყვარდა, არც ის იცით?

– მე მხოლოდ ის ვიცი, რომ დაძმური სიყვარულით უყვარდათ.

– შენ დაძმობა უძახე და...

ლექტორი აღარ გაეპასუხა.

– შვილი რატო არ უჩნდებოდა კრუპსკაიასა?

ლექტორმა მხრები აიჩეჩა.

– ძია ლენინს მართლა ავადმყოფობა სჭირდა და იმიტომ არ უჩნდებოდა შვილი?

„ვაჰ, ეს ვის გადავეყარე!" – გაიფიქრა ლექტორმა და მერე გაბრაზებით წამოიძახა:

– თქვენ, მე მგონი, სრულ ჭკუაზე არ უნდა ბრძანდებოდეთ, მაგდენი კი უნდა იცოდე, რომ ლენინი კარგად ვერ იყო.

– ჩვენსავითა?

– კიდევ ვისა აქვს შეკითხვები?!

არც ამჯერად გამოუთქვამს სურვილი ვინმეს!

– აი იმ არიოზზე რომ ბრძანეთ, მაწვალებელი იყოო, ქალებს აწვალებდა? – არ ეშვებოდა ჯემალა.

– დიახ, ქალებსაც, პატივცემულო ჯემალ!

– რათა, რა სჭირდა ისეთი?!

– ვერ იყო კარგად...

– ვერც ძია ლენინი ბრძანდებოდა კარგად?!

„ვაჰ, ეს ვინ გადამეკიდა..." – კვლავ გულში ჩაიბრაზა ფრიად პატივცემულმა ლექტორმა... და საცოდავად შეფიქრიანდა...

მერე იქვე, სახელდახელოდ დაწერილი პაწია ბარათიც მიუტუტუტა ძუძუების ზანზარითა ნარგიზა ებანაშვილმა.

„მეტად პატივცემულო, ჩვენო უსაყვარლესო ლექტორო და პროფესორო, დიდი მოწიწებით გთხოვთ ყურადღება არ მიაქცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთ ახირებულ ჯემალას შეკითხვებს, იგი სრულ ჭკუაზე არ ბრძანდება. დანარჩენს მერე გეტყვით!..“

კომუნისტური სალმით.

კუკა ჭრელოვანი!“

ლექტორმა შვება იგრძნო. თანაგრძნობლის თვალით მიხედა კუკა ჭრელოვანს და ხელის მაღლა შემართვით აჩვენა, ეგ არაფერია, მაგ თქვენს ჭკუათხელს მე მოვუვლიო და თავი გაიმამაცურნა...

მეც გულზე მომეშვა, რომ ფრიად პატივცემულმა ლექტორმა და არანაკლებად პატივცემულმა ჯემალამ ერთმანეთს გაუგეს და, თუ არა ვცდები, ურთიერთსიყვარულსაც კი ამჟღავნებდნენ...

და მაინც სცადა ჯემალას „კლანჭებიდან“ თავის დაღწევა.

– ბრძანეთ, მეგობრებო, კიდევ ვისა აქვს შეკითხვა?

საოცარია, დარბაზიც დუმდა და პრეზიდიუმიცა.

– ერთი შეკითხვა კიდევ შაიძლება?!

– შაიძლება, პატივცემულო ჯემალ, შაიძლება!

– ქათამი უფრო ადრე გაჩნდა, თუ კვერცხი?

ამ კითხვას ნამდვილად არ მოელოდა ფრიად პატივცემული ლექტორი. კარგა ხანს იფიქრა და ხელის გასავსავებით მიუგო:

– ეგ ჩემი ლექციის თემაში არ შედის.

– არ შაიძლება ძალად შაეიყვანოთ?

– არა! – მტკიცედ აღმოთქვა.

– ერთი შეკითხვა კიდევ შაიძლება?! – თითიც ასწია.

– შაიძლება, შაიძლება! – ტუჩებზე ღიმილმოკიდებით დართო ნება.

ჯემალამ ისევ ჭკვიანი კაცივით აისხა ნაოჭები შუბლზე და ბრძენივით დინჯად აღმოთქვა:

– ღმერთი უფრო ადრე გაჩნდა თუ ადამიანი?

ლექტორმა დაკვირვებით შეათვალიერა მსმენელი და:

– გეტყობათ, ეხლა მობრძანდით.

– არა, სუ პირველად მე მოვედი.

– მაშინ, არ მისმენდი, თორემ მთელი საათია იმაზე გელაპარაკებით, ღმერთი არ არსებობს–მეთქი, მაგის მტკიცებისათვის მოვედი, თორემ შენი გაცნობა კი არა მსურდა.

– თუ ღმერთი არ არსებობს, ადამიანი როგორ გაჩნდა?

– მაიმუნისაგან.

– მაშ ჩვენც, მე და შენ მაიმუნები ვართ?!

– წარმოშობით კი... საკითხს ღრმად უნდა ჩაწვდომა.

– მაიმუნი რისგან გაჩნდა?!

– მაიმუნის მსგავსი ცხოველისაგან.

– ის მაიმუნის მსგავსი?

– მასაც ჰყავდა თავისი წინაპარი.

– ის წინაპარი?

– დიდი წინაპრისაგან.

– ის დიდი წინაპარი?

– წინაპრის წინაპრისაგან.

– ის წინაპრის წინაპარი?

ასე შეჰყვნენ და თავ-თავიანთი გზებით მივიდნენ პირველსაწყისამდე. რასაკვირველია, ეს გრძელი დიალოგი ლექტორის გამარჯვებით დამთავრდა და მეც, პრეზიდიუმში მსხდომნიც და, მგონი, მთელი კრებულიც კმაყოფილნი გახლდით, რომ ასე კარგად აეწყო ფრიად პატივცემული ლექტორისა და არანაკლებ პატივცემული ჯემალას საუბარი და ბევრი რამაც გავიგეთ. მაგრამ ვატყობდი, რომ ჯემალა მაინც უკმაყოფილო იყო და მორიგი შეკითხვისათვის აიწია ხელი.

– ბრძანეთ, ამხანაგო, ჯემალ! – სიამოვნებით დათანხმდა გამარჯვებული ლექტორი.

– მე და თქვენ ერთნაირები ვართ? – კვლავ ჭკვიანი კაცის ტონით იკითხა. მე გული შემიქანდა. ლექტორმა ჯერ შემკითხველს დახედა, სათვალის ზემოდან, თვალები მაღლა აღაპყრო და შეყოვნების მერე უპასუხა:

– ფილოსოფიური გააზრებით ჭეშმარიტად ერთნაირები ვართ, როგორც ადამიანები, ანუ მოაზროვნე ცხოველები.

– მოაზროვნე ცხოველი რაღა არის?

– ხომ განვმარტე: ადამიანი.

– უაზრო ცხოველიც არსებობს?!

– რასაკვირველია, ადამიანის გარდა, ყველა უაზროვნოა.

– სულხან საბას იგავ-არაკი წაგიკითხავს!

– რომელს ბრძანებთ, ამხანაგო ჯემალ?!

– აი, ვირი როა, რო გაიჯორა და ტალახში რო არ შეტოპა.

– კი! – ფერი დაეკარგა ლექტორს, მიხვდა, რომ, ძაან დაუცერავდა.

– ჰოდა, აზრი რომ არა ჰქონოდა, იმ ვირსა, ტალახში ხომ შეტოპავდა?

– ძაან ღრმად ნუ შევტოპავთ, პატივცემულო ჯემალ!

– შენ შეგვატოპინე, თორემ მე სულაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



არა ვფიქრობდი.

- სხვა შეკითხვები ხომ არაფერია?! - ჯემალასაგან თავის დაღწევის მიზნით გადახედა დარბაზს ლექტორმა.

- იესო ქრისტე გიქებსაც ხომ არჩენდა? - ისევ ჯემალამ წამოისროლა.

ახლა უფრო გამცრა ტანში, მაგრამ ლექტორმა მიუგო:

- ცრუმორწმუნეებს რომ დავუჯეროთ, გიჟებსაც არჩენდა ის შენი არარსებული იესო ქრისტე.

- ჩვენც მოგვარჩენდა?

წარმატებისაგან გაბრუებულ ლექტორს ნამდვილად ასე მოესმა ყურში: მეც მომარჩენდაო და დაუფიქრებლად და დაცინვით მიუგო:

-უთუოდ, პატივცემულო ჯემალ.

დარბაზი ახარხარდა.

ლექტორმა ესეც თავისი სიტყვამახვილობის შედეგად მიიჩნია, ახარხარებულ დარბაზს კმაყოფილებით მიმოავლო მზერა და თვალი ჰკიდა თუ არა იქვე მდგარ ჯემალას, რომელიც ლექტორის სიტყვასა და მოქმედებაზე მასავით კბილითა ჩენით იკრიჭებოდა, უცებ შეყოვნდა, ნაღდად ეგონა, რომ მას აჯავრებდა და დასცინოდა, უკმაყოფილებამ გადაურბინა სახეზე, სწრაფად შეუცვალა სიფათი და პრეზიდიუმში მსხდომთ გადასჩურჩულა:

- გაათრიეთ აქედან, ვიღაც სულელი რომ შემომკრიჭინებს დაბლიდან!

გამთრევი, რასაკვირველია, მე გახლდით, თვალით ვანიშნე მარჯვე ბიჭებს და ჭკუაშემღერებული ჯემალა სადღაც უკანა რიგებში მიჩურთეს.

კიკა ჭრელოვანი წამოდგა, ექვანს გამეტებით დაარტყა ხელი.

- თითო-ოროლა სულელს ნუ აჰყვებით, გიჟს რაღა თქვენი გაგიჟება უნდა. დააცადეთ ლექტორს, თავის ნებაზე მიუშვით, სიმწყნარე იყოს და სიცილიც კიდე ბევრი იქნება და, „არსენას“ კინოსაც გაჩვენებთო.

ჩურჩული და ფხუკუნი ჩაცხრა, დარბაზმა იტვრინა.

ფრიად პატივცემულმა ლექტორმა იხტიბარი არ გაიტეხა და ჩვეული ხალისით განაგრძო ლექცია. ისევ სასაცილო მაგალითებისა და ფაქტების მოხმობა არჩია. საამისოდ შეიღერა თავი, თვალები მაღლა აღაპყრო, თავისებურად გაიკრიჭინა, მერე უცებ დასხეულდა მიწაზე, ეტყობოდა, რაღაც გაახსენდა, სიხარულის ღიმილი მიიფინა სახეზე და პრეზიდიუმში მჯდომთაგანს წასჩურჩულა: „ის მომართვით!“ მალე მოუძუგძუგეს ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით მოჭედილი მოზრდილი ჯვარ-ხატი, რომელზეც გამოსახული იყო ჯვარზე გაკრული მაცხოვარი.

- მე აქ როგორც ვატყობ, ზოგიერთი მორწმუნე ვერ დავარწმუნე, რომ არავითარი ღმერთი და არავითარი სატანა არ არსებობს! - ჩვეული რიხით წამოიძახა ორატორმა, მოულოდნელად დააძრო რევოლვერი და ხატს მიუშვირა.

დარბაზი გაისუსა.

რო არ დაგიმალოთ, მეც ძაან შემიქანდა გული, ჯერ პრეზიდიუმს გადავხედე შეშფოთებით, მერე გატვრენილ-განცვიფრებულ კრებულს, უნებურად ვიტაცე ხელი ჩემს ნუგეშაზე /ნუგეშა ხომ ბრაუნინგს მიქვია/, მარჯვენა თეძოზე რომ მქონდა ჩამოკონწიალებული ბურვაკის ბარკალივით; ვიტაცე და ჯერჯერობით მხოლოდ ღილი გავუხსენი ტყავის ბუდეს.

- აბა, ამხანაგო მორწმუნენო, თუ მართლა არსებობს ის თქვენი ღმერთი, თუ რამე ძალა აქვს, მიყოს რამე! - მჭახე ირონიით თქვა ორატორმა და უცებ გამოჰკრა თითი რევოლვერის ფეხსა. გამოჰკრა და მოხდა ის, რაც თურმე მანამდე არაერთხელ მომხდარა. ასეთ „თვალსაჩინოებაში“ ფრიად გაწაფული ყოფილა პატივცემული სევერიან ქადაგიძეც და მისი ჭკუის ამხანაგებიც.

- კაცი გაგაგიჟა, მაგაზე მეტი რაღა უნდა გიყოს! - წამოაყრანტალა ვიღაცამ. ეს თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჯემალა უნდა ყოფილიყო. წამოიძახა და კვლავ ახარხარდა ამხელა კრებული.

პრეზიდიუმში მსხდომნი უხერხულად შეიშმუშნენ. თითო-ოროლას იქაც მოადგა პირს ღიმილი, რასაც ნაძალადევი ჩახველებით ფარავდნენ. თავმჯდომარესაც მისდაუნებურად წასკდა სიცილი, მაგრამ დროზე მოეგო გონს, უცებ წამოხტა და გაბრაზებით დაარტყა ხელი ექვანსა, რომლის ჟღარუნი კრებულის სიცილ-ხარხარში ჩაინთქა. კრების მეთაურმა ექვნის ჟღრიალს მოუმატა, ჯერ მე შემომიბღვირა, როგორც უპირველესს მოწესრიგეს და მერე აქტიურ ბიჭებს, მეც მწყრალი თვალები მიმოვუბრიალე ჩემს თანამდგომებსაც და თვით მოხარხარეებსაც და სიცილ-ხარხარი ჩანელდა კიდეც. ლექტორმა ეს გაცინ-გახარხარებაც თავის სხარტულისა და მოქმედების შედეგად მიითვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და კიდევ უფრო მეტი ხალისით განაგრძო ლექცია. უფრო თამამად უტყლაშუნებდა მათრახებს მორწმუნეებსა და პირადად მეც უფრო აღმატებულ თვალსაჩინოება-მოქმედებას მოველოდი. ვფიქრობდი: მაცხოვარი დაცხრილა, ნეტავ, ეხლა რომელი ღმერთისა და წმინდანის ჯერია-მეთქი. ამ მოლოდინში ცოტა შიში მომეძალა, არა იმის გამო, რომ საერთოდ მშიშარა ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ რაიმე ინციდენტი არ მოჰყოლოდა მომდევნო მსხვერპლს, ანუ მომდევნო ღმერთის და წმინდანის სიკვდილით დასჯას. სწორედ ამ შიშის გამო ხელს აღარ ვაშორებდი ჩემს ნუგეშას, ასი თვალი და ასი ყური გამოვისხი.

– ვისაც ღმერთი სწამს, ამაში არაფერი არ უყრია, – კვლავ გაცხარებით დაიტყაპუნა ხელი შუბლის თავზე, კვლავ დამცინავად დაკრიჭა კბილები, მერე მორწმუნის პოზა მიიღო დაცინვისავე მიზნით, გულხელი დაიკრიფა, თვალები მაღლა აღაპყრო და მავედრებელივით ააცმაცუნა ტუჩები, თან გესლიან ღიმილს ვერ იოკებდა.

და სწორედ მაშინ მოხდა, რაც მოხდა: შუბლზე მოულოდნელად სთხლიშეს კარგა მოზრდილი კვერცხი. ეხლაც მიკვირს, როგორ ამოიღეს მიზანში და ზუსტად იმ ადგილას როგორ მოახვედრეს, სადაც აღტაცებით იტყაპუნებდა ხელსა და გაიძახოდა: მორწმუნეებს ამაში არაფერი არ უყრიათო!.. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, მესამეს – მეოთხე და თეთრ-ყვითლად ჩამოეთხაპნა გალოპრილი თავი, ნაწუწები ჩამოსდიოდა დაღარულ შუბლზეც, მოთეთრო-მოჩალისფრო წარბებზეც, ნისკარტა ცხვირზეც, წამოშვერილ ნიკაპზეც და ლოლუების ნადნობივით ეწვეთებოდა ქათქათა პერანგზე, ჭრელ ყელსახვევსა და თეთრი ტილოს პიჯაკზეც.

როგორც შემდგომ დადგინდა, კვერცხები ლაყე იყო. ლექტორს ხომ სული ვერ მოათქმევინეს და ლაყე კვერცხები ეთხლიშებოდათ აგრეთვე, მარქს-ენგელს-ლენინს, ლექტორის ზურგსუკნიდან რომ იყურებოდნენ...

ეს მეტად სამარცხვინო ინციდენტი მე მივიჩნიე არა მხოლოდ ღრმად პატივცემული ლექტორის შეურაცხყოფად, არამედ პრეზიდიუმში მსხდომთა, ჩემი და მთელი დარბაზის ლანძღვადაც. მთელი მარქსისტული მოძღვრების, ბოლშევიკური პარტიის, სოციალისტური სამშობლოს და საზღვარგარეთული კომპარტიების თავსლაფის დასხმადაც. აღვიქვი დიდ უკულტურობადაც, რითაც თავი ეჭრებოდა მთელ სოფელს, მხარეს, ქვეყანას და გული მიგრძნობდა, რომ დაუსჯელი არავინ გადარჩებოდა. ჩემი აზრი თითქოს უსიტყვოდ გადაეცა თავმჯდომარესაც, ფეთიანივით წამოხტა, ჯერ ექვანი ააღარუნა გაცხარებით, და მერე თვალებიდან ცეცხლები ჰყარა, პირიდან – ცოფი და სწორედ მაშინ სთხლიშეს ბატის ბარე სამი კვერცხი, ასევე ფრიად ლაყენი, სთხლიშეს და მასაც არანაკლებ ჩამოუთხაპნეს თავ-პირიც და დამჭკნარი ბალახისფერი ხალათიც.

-რას შერებით, თქვე უღმერთოებო! – იკივლა უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარემ – ნარგიზა ებანაშვილმა. ეხლა მას ჩამოუთხაპნეს ფერ-უმარილით ნაგლესი პუტკუნა ლოყები, დროშისფრად შეღებილი ტუჩებიც და საგულდაგულოდ გამობზეკილი საამაყო ძუძუებიც. პირი მოუთხუპნეს ბარე ორ სხვასაც, მათ გვერდით. ამ ამბის შემსწრე კრებული ზღვასავით ღელავდა, ზოგი უსტვენდა, ზოგი ხარხარებდა, ზოგი ღრიალებდა. როგორც ჩანს, აქტიურმა ბიჭებმაც ველარაფერი გააწყეს, ისინიც, დაზარალებულნიც, შფოთის ჩატარების მნატვრელებიც და ტრიბუნიდან ჩამოუსვლელი ღრმად პატივცემული ლექტორიც, საცოდავად რომ ჩამოთხაპნოდა თავ-პირი და გულ-მკერდი, – მე შემომყურებდნენ, როგორც ერთადერთ მოიმედეს.

მეც, რასაკვირველია, არ დავბნეულვარ, „აბა, ჩემო ნუგეშა, ეხლა უნდა მასახელო!“ – ვთქვი გულში და უმალვე დავაძვრე იარაღი. „–ამ რევოლვერის ანაწერა გახდებიან, კვერცხების მსროლელი ხულიგნები, მერე ისინიც მიჰყვებიან, ვინც ღრიალებს!“ დავიყვირე დებოშის ამტეხთა შესაშინებლად და მაღლა შევიშვირე დატენილი ბრაუნინგი... სროლას ჰაერშიაც არ ვაპირებდი, მაგრამ ვიღამ მაცალა, ხელის აწევისთანავე, სთხლიშეს ჩემს ნუგეშას თოვლის გუნდასავით დიდი კვერცხი, რომელიც აგრეთვე ლაყე გამოდგა. უფრო ზუსტად, კვერცხი მოხვდა სასხლეტს, მე, ჩემდაუნებურად, გამომეკრა სასხლეტს მიმარჯვებული თითი და ნუგეშამაც არ დააყოვნა, ზარბაზანივით დაიგრიალა იმ დალოცვილმა, დაიგრიალა და, მიმართულებაშეცვლილმა ტყვიამ ყურის ბიბილოსთან გაუწუწუნა ლექტორს, რომელიც ტრიბუნის გვერდით გადაეყენებინათ უღმერთოებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრეზიდიუმის მაგიდის გადასაფარებელის ფოჩებით სწმენდნენ ლაყე კვერცხებისაგან ჩამოთხუპნილ თავ-პირს. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, დიდად პატივცემულ ლექტორს ჩამოთხუპნილი თავ-ყბა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ჩამოწუწული თეთრი ტანსაცმელი. ტილოს მაზარა, სტალინის მიბაძვითა და სიყვარულით რომ შეეკერინებინა სწორედ იმ ყაიდაზე, როგორც ბელადს ემოსა. ძუძუსთავებზეც რომ ეკერა გარეთა, დიდი ჯიბეები და თეძოსთავებზეც იმხელები, ლენინის ტომიც რომ ჩაეტეოდა... კიკა ჭრელოვანს და უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარეს - ნარგიზა ებანაშვილს ლაყე კვერცხებით ჩამოწუწული საკუთარი თავპირი და ტანისამოსი მივიწყებოდათ და დიდი გულმოდგინებით, მობოდიშებითა და ნუგეშისცემით სწმენდნენ ლექტორს ჩამოწუწულ მაზარასაც და ნამუსსაც, სწმენდნენ და თითქოს ტირილის კილოთი ჩიოდა ფრიად პატივცემული ლექტორი: ნეტავი ამოვა თუ არა ეს ლაქებიო, ეგება კაპასი ცოლი ედგა თვალწინ, ისედაც რომ არ ულევდა საყვედურს ფეთხუმობაზე... ჩიოდა და ზრდილობის გამო უფრო იმუქრებოდა ხმადაბლა: ამას არავითარ შემთხვევაში არ გადავყლაპავო. მე, რასაკვირველია, მივუხვდი, რომ არგადაყლაპვაში არპატიებას გულისხმობდა, მაგრამ ერთ-ერთ მწმენდავ-ფარეშს, როგორც შემდგომში გაირკვევა, პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია და ზრდილობიანი ჩურჩულით შეუპარებია: გადაყლაპვას არც გისურვებდით, პატივცემული სევერიან, ყველა კვერცხი, სუნზე ეტყობა, ლაყე უნდა ყოფილიყო, ფრიად პატივცემულ ლექტორს რომ მოსწმინდეს ლაყე კვერცხების ნათხაპნიცა და ნამუსიც, მერე თვითონ კიკა ჭრელოვანი და ნარგიზა ებანაშვილი მოწესრიგდნენ, მარქსიზმ-ლენინიზმის ოთხივე კლასიკოსის სურათიც ჩამოწმინდეს სველი ტილოთი და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდექით შეურაცხმყოფელთა დასჯის განსჯას.

დიდად პატივცემულ ლექტორს რომც ეპატიებინა, ჩვენ, პირადად მე, რას ვაპატიებდი იმ ინციდენტის ჩამდენებს?

რასაკვირველია, ლექცია ჩაიშალა, სიცილხარხარიც შეწყდა, აღარც „არსენას კინო“ უჩვენებიათ დიდი ამბით რომ გვპირდებოდა კიკა ჭრელოვანი და აქვე ვიტყვით, ვახშამიც კინაღამ ჩაუშხამდათ, „კინაღამს“ ვამბობთ იმიტომ, რომ...

თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ...

ამ ფრიად საგულისხმო ამბავს ფუჭად არ ჩაუვლია. რამდენიმე წუთის შემდეგ, აქტიურმა ბიჭებმა, უფრო სახიერად რომ ვთქვათ, მიდეგა საღოლიანმა და მისმა დამქაშებმა მოგვგვარეს ხუთი პიროვნება, ერთი ხუცესი გახლდათ, გაბრიელ კარგარეთელი, ამ სოფლის მკვიდრი, ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზი, მეორე ჯემალა, ჭკუაშემღერებული ბიჭი, ერთთავად რომ იკრიჭებოდა. სამი კი ახლადშეღერებული ყმაწვილი იყო. სამივეს შორიდან ვიცნობდი, სოფლის მოწალმართეთა ოჯახებიდან გახლდნენ. სათითაოდ შევათვალიერე, თვალებს არ ვუჯერებდი, გაკვირვებისაგან მხრები შევიფხორე, და გულში ვთქვი: ამ ჭკუაშემღერებულ ჯემალასაგან არაფერია გასაკვირი, ახალგაზრდებიც კიდე ჰო, ჯეელები ჩანან და ჭკუა გადატრიალებიათ, მაგრამ ეს მამა გაბრიელი რაღამ გააგიჟა! ეს შუბლდაღარული, წვერდაბურული ხუცესი, ნუთუ ეგრე გატუტრუცანდა, რომ საბუდრიდან კვერცხები ამოკრიბა, თანაც, ფრიად ლაყენი და ასე სახალხოდ ჩაიდინა უმსგავსი საქციელი?! ესროლა და ვისა?! - ღრმადპატივცემულ პროფესორს. ლექტორიც რომ არ ყოფილიყო და პროფესორის წოდებაც რომ არ ჰქონოდა ბოძებული, ბოლოს და ბოლოს სტუმარი იყო. სტუმარი და სად?! ქართლის გულში. სტუმარი და ვისი?! ან კი როგორ მოახვედრა ასე მიზანში, ზედ ჭკუის კოლოფზე? ჰო, გაკვირვებისაგან ავიფხორე მხრები. მით უმეტეს, ამ ბერს სოფელშიც და მის გარეთაც იცნობდნენ, ვითარცა დარბაისელს, სინდის-ნამუსით დაუნჯებულს, ჭკუით აღსავსეს, სანთელივით განათებულს, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია რომ ჰქონოდა დამთავრებული და, დეკანოზობის გარდა, სამეცნიერო და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. სხვისგან გამეგონა, თორემ მე სად ვიცოდი მაგდენი.

მხრებშეჩეჩილი მივტრიალდი დარბაზისაკენ და გაკვირვება გამიორკეცდა, რადგან კრებული პირწმინდად გაკრებილიყო. როგორც შევიტყვე, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, შარსა და ბოროტს განრიდებოდნენ, რამეთუ ზოგ მათგანს ადრე ეწვნია კიდეც საქმეში გარევით, შუაკაცობით და გაშველებით მინიჭებული უსიამოვნებანი და კიდევ მეტიც.

მერე პატივცემულ კიკას შევხედე და კიდევ უფრო შემიფხორდა მხრები, რადგან მას სულაც არ გაჰკვირვებია არც დეკანოზის

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქციელი და არც სხვებისა. მით უმეტეს, დარწმუნებული იყო, რომ მიდევა მხოლოდ ნაღდ დამნაშავეებს მოჰგვრიდა.

წესით, იქ მყოფთა შორის გახლდით მთავარი პასუხისმგებელი პირი, მე უნდა დამეწყო დაკითხვა და ჯაჯღანი და მერე გამეყენებინა სასჯელისაკენ მიმავალი გზისკენ, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარე იმდენად აღშფოთებული იყო მომხდარი ამბის გამო და, როგორც მერე შევიტყვე, იმდენად შეშინებული გახლდათ, ამის გულისათვის არ მომხსნანო, რომ აღარავის დაგვაცადა:

– ეს რა ჩაიდინეთ, თქვე დურაკებო! – კვლავ გააკრაჭუნა კბილები, ლოყისთავები აიცახცახა. – ამმმ! – ბოღმიანად ამოიზმუვლა და ამოაყოლა: – თქვენ სისხლს დავლევ, სისხლსა!

„ჩვენ არ ვყოფილვართ!"

„ჩვენ არ გვისროლია!"

„მაგას როგორ ვიზამდით!" – ერთმანეთს არ აცდიდნენ ახალგაზრდები.

ერთადერთი დამნაშავე აღიარებდა, თანაც რაღაცა სიამაყით, სიხარულით და უდარდელადაც: „მე ვიყავი, მე... ზედ ლოპოზე მე ვთხლიშე ლაყე კვერცხი, ახი იყო და იმიტომა!" – არავის აცდიდა ჯემალა, იძახდა და თან თავისებურად იკრიჭებოდა. საკვირველია, რომ მის ნათქვამს ყურადღებას არავინ აქცევდა. მარტო დაზარალებულს, პატივცემულ სევერიან ქადაგიძეს მოსდიოდა ელეთმელეთი, ისევ ეგონა, რომ ჭკუაშემღერებული ჯემალა მას დასცინოდა, კბილებს რაკი ზუსტად მისნაირად დაკრეჭდა ხოლმე სიცილის დროს. პატივცემული კიკა მოძღვარს მიაჩერდა და კბილების კრაჭუნში გამოსცრა:

– ეს იქნებოდა ამ სამარცხვინო აქტის ავან-ჩავანი, ესა!

– რაღა თქმა უნდა! – უმალვე დაუკრა კვერი მიდევამ.

– არა, ეგ არ იყო, ეგ კაცი ღმერთებს ელაპარაკება ხოლმე... ეგ გაუშვით, მე მცემეთ მაგის მაგივრადაც! – კვლავ ენად გაკრებილიყო ჯემალა.

არც ამჯერად უგდებდნენ ყურსა.

დეკანოზი კვლავ პირგამეხებული იდგა.

პატივცემული კიკა ბაყაყივით გაიბერა, რაღაცა უნდა დაეჭექა, მაგრამ სიტყვა ტუჩებზე შეაკვდა, რადგან სულ ახლოს იგრიალა რაღაცამ, მძლავრი იარაღის ხმასა ჰგავდა. მე ჩემდაუნებურად, ნუგეშაზე ვიტაცე ხელი, განა იმიტომ, რომ შემეშინდა, არა, ისე, ყოველ შემთხვევისათვის. ყველა ადგილზე გახევდა. ჭკუაშემღერებული ჯემალა კი შიშისაგან გამოქანდა და წელზე მომხვია ხელი. ჩიტივით უცემდა გული. მერე ძლივს ამოილუღლუღა: – შენც არ ისროლო, ძია თაყა, რა! სროლა და ჩხუბი ძაან მეჯავრება, მეშინია, ცოდოა ხალხის დახოცვა, კვერცხები კიდე ჰო, რამდენიც გინდა, ესროლე კაცსა, არ მოკვდება, თოფი და ხანჯალი – არა. ცოდოა კაცის მოკვლა, ცოდო!

მე მისთვის არა მცხელოდა, მაგრამ სანუგეშოდ მაინც ყვრიმალზე მოვუთათუნე მარცხენა ხელი /მარჯვენა ხომ ნუგეშაზე მქონდა წავლებული/. იქ მყოფთა სახეებიც შევათვალიერე. ჯერ ერთმანეთს მისჩერებოდნენ და მერე ჩემკენ წამოუვიდათ ფიქრიანი და შიშიანი თვალები.

სხვისი არ ვიცი და, თანამედროვე ჯეელების ლექსიკონი რომ მოვიშველიოთ, მე მაშინვე ვიყიდე – ეზოს გარეთ, ბნელსა და მიგდებულ ქუჩაში ვიღაცები იყვნენ ჩასაფრებულნი, თვალყურს გვადევნებდნენ და ამ სროლით გაგვაფრთხილეს, უსამართლოდ არავინ დასაჯოთ, თორემო... მე, რასაკვირველია, სულაც არ მეშინოდა, იმათი გაფრთხილების გარეშეც მშვენივრად მქონდა შეგნებული ჩემი მოვალეობა და უნებლიედ გავიმეორე გულში ჩემი საყვარელი სათქმელი – „ქმნა მართლისა სამართლისა..." და უფრო დავიდინჯე ჭკუა.

პატივცემული კიკა კი, არ ვიცი, შიშისა თუ ბრაზისაგან, უფრო გაცეცხლდა, ჰმმ!. შე ყურუმსაღოო! – წვერებში წასწვდა მოძღვარს და ღონივრად შეაჯანჯღარა.

– ეე, რასა შვრები, ცოდოა, ცოდო, მამის ტოლა კაცია და ეგრე უნდა აბანჯღალავო! რო ტყუოდეს, კიდე ჰო, და... – წინ წამოდგა ჯემალა.

– რას სჩადიხარ, პატივცემულო კიკა, – გადავუღობე ხელი.

– რას ჩავდივარ კი არა, ცხენის კუდზე უნდა გამოვაბა წვერებით და ისე ვათრიო სოფელ-სოფელა!

– ამ საქმეში მე ვარ მთავარი! – შევუტიესავით.

– ჰოდა, მთავარი რო ხარ, რატო არა მთავრობ? – შემომკრიჭინა ჯემალამ.

მე უნებლიედ გავღიზიანდი, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რომ მე კი არა, კიკა წარმართავდა წინასწარ გამოძიებას, გული მომივიდა, მაგრამ მაინც თავაზიანად მივმართე:

– თუ ძმა ხარ, ჩემს ფუნქციებში ნუ ერევი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



– როგორ, შენც დამნაშავე დეკანოსს ემხრობი?!

– მე სიმართლეს ვემხრობი და მოვალე ვარ, ბოლომდე დავიცვა იგი. სანამ სიმართლე არ დადგინდება, არავის გვაქვს დასჯის და შეურაცხყოფის უფლება! – თანდათან ავუწიე ხმას, – ჯერ გავარკვიოთ და თუ გამტყუნდა, მე ვერ დამასწრებ ცხენის კუდზე გამობმას, თუ არა და, რას ვერჩით ამ პატიოსან მოძღვარსა!

– ჰო-ჰო-ჰო, ნამუსი მოსწმინდე, თორემ ძაან პატიოსნები არიან მღვდლები და ბერები, – იმანაც აუწია ხმას, – დეკან-მირონი წაგიკითხია?!

მართალი გითხრათ, არც გამიგონია ასეთი წიგნი და ულონოდ გავუქნიე თავი /მერე დავინტერესდი, სადღა აღარ გავიკითხე და ყველა მხრებს იჩეჩდა, ასეთი რამ არ ვიცითო. ბოლოს ერთმა იაზრა: ალბათ, „დეკამერონს“ გულისხმობდაო, მიუხედავად იმისა, თუ წაკითხვა იყო, სწორედ ასეთი ხასიათის წიგნი უნდა წაეკითხა პატივცემულ კიკას, გამოირკვა, რომ არც ის წაუკითხავს, ვიღაცისაგან მოუსმენია ორიოდე ნოველის შინაარსი „დეკამერონიდან“ და წამკითხავივით იჭერდა თავსა/.

აქაოდა, ცოდნით დავჯაბნეო, კიკამ სიტყვა გაითამაშა და ირიბი ღიმილით მოაყოლა:

– თუ დეკან-მირონი არ წაგიკითხავს, მღვდელი გაპონი ხომ გაგიგონია?

– კი.

– ჰოდა, მღვდლებისაგან და ბერებისაგან არის ამოგდებული ქვეყანა და რატომ გიკვირთ, რომ ამ წვერცანცარასაც ასეთი უმსგავსი რამ ჩაედინოს!

– აბა, როდის აცანცარებს წვერსა, ამაზე დინჯი პაპა სად გინახავთ? – საუბარში კვლავ ჩაგვერია ჯემალა.

– შე თავქარიანო, თუ მაგდენი იცი, ისიც უნდა იცოდე, რომ წყნარ ჭაობში უფრო მეტი ეშმაკები ბინადრობენ.

– ყველას ერთ ტაფაში რატომ გადაუძახე? – ვკითხე.

პატივცემული მიდეგა უბრალოდ არ მოიყვანდა, ამ კაცს სიზმარიც კი დაეჯერება. – გამოესარჩლა სხვა.

მიდეგა ამაყად წამოდგა წინ.

– მიდეგას მეც დიდ პატივსა ვცემ, მაგრამ მაინც დადგენა უნდა სიმართლესა.

– დადგენილია და ეგ არის, აბა მუჭა გამოუშალეთ! – მაგ თქვენს ქრისტეს კაცსა, – თქვა მიდეგამ.

მართლა გამოეუშალეთ მუჭა და გაოცებისაგან თმა მაღლა წამივიდა,? – მარჯვენა ხელში კვერცხი ჰქონდა შემოჭყლეტილი დეკანოზსა.

კიკამ და მიდეგამ კმაყოფილებით შეჰღიმეს ერთმანეთს. მე კი გავცხარდი უფრო იმიტომ, რომ ალღომ მიმტყუნა და ყველას წინაშე სირცხვილის ჭამა მიწევდა, უპირველესად კი კიკას, მიდეგას და ღრმად პატივცემული ლექტორის წინაშე. გავცხარდი და წამოვიძახე:

– რას ნიშნავს ეს?!

– ვიღაც ხელდაუყენებელს გამოვტაცე სასროლად გამზადებული და მაშინ შემომეჭყლიტა ხელში, – ბრძანა გაბრიელმა.

– მაგას ვინ ჭამს, მამაო!

– ვინ და, აიმ ჩემნაირს ეჭმევა, აი! – ხელი გაიშვირა მოშორებით მდგარ ღრმად პატივცემულ ლექტორისაკენ და თავისებურად შეჰკრიჭინა ჯემალამ.

ლექტორს ელეთმელეთი მოუვიდა.

– ვინ შემომიჩინა ეს თავქარიანი ვიღაცა!

– გამოეთრიე აქეთა, შე ბეჩეჩო! – ზიზღნარევი სიბრაზით დაუყვირა მიდეგამ, ქეჩოზე ტორივით დასცხო ხელი. ახლოს მიითრია, გასასვლელი კარისაკენ უქნა პირი და ღონიერი ჭიტლაყიც ამოუჭირა.

კნაჭა ჯემალა როგორ გაუძლებდა ამხელა წიხლსა, კინწისწაგდებით გაქანდა წინა, თავი ვეღარ შეიკავა და პირქვე წაექლიტა ბალახიან მიწას, წაექლიტა და ცხვირ-პირიდან სისხლი წამოსკდა. ძლივს წამოდგა, მიწიან-ბალახიან სისხლს აფურთხებდა პირიდან და თან ტირილით ამბობდა: „ჩემი ჭკუისანი დაბერდით, აჰაანდე!..“ – მაგრამ ჯემალას აღარავინ უგდებდა ყურსა.

კიკა და მიდეგა მისდგომოდნენ დეკანოზსა და მოურიდებლად ლანძღავდნენ, რაღა არ უწოდეს: ჩხუბისთავი, წვერებში შემალული ბოროტება, მოღალატე, ჭკუაშექანებული, ჯემალას ჭკუისა, კიდევ უარესი, – გაიძვერა გაპონი და მისთანანი.

დეკანოზი კი პირგამეხებული იდგა და იობის მოთმინებით ისმენდა ასეთ სამკობ სიტყვებს, იდგა და ცას გაჰყურებდა.

– მაგას შეეშვით! – ბრძანა დაზარალებულმა, – ეგ ლანძღვა-გინება სრულიად საკმარისია ჭკუის სასწავლებლად. იმედია, სხვა დროს აღარ იკადრებს ასეთ ტუტრუცანულ საქციელსა.

დეკანოზმა დინჯად მიიბრუნა სახე და წამით მიაშტერდა „შემწყალებელს“, მიაშტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რდა და თვალებში ცრემლი მოაწვა, უხმოდვე შეიშრო თვალები, ღრმად ამოიოხრა და დინჯად გააბიჯა.

სამი ახალგაზრდა შემოგვრჩა, მათ უფრო საკადრისი მიეზღოთ შეურაცხყოფილი პროფესორის თვალწინ. კარგა მოგვიანებით შევიტყვე: ის ლექტორი, რომელსაც ასეთი ამბავი დამართეს, მართლა პროფესორი კი არა ყოფილა, როგორც თავად გაესაღებინა თავი, არც დოქტორი, არც კანდიდატი, სულაც უხარისხო ლექტორი გამოდგა, ანუ უბრალოდ, რიგითი მოსაუბრე, გინა მოლაქლაქე.

ვისაც გვევალებოდა და ჭკუა გვეკითხებოდა, ყველა ერთი აზრისანი ვიყავით, ღებოშის ამტეხნი იქვე, ცხელ გულზე, დაგვესაჯა, რამეთუ ნათქვამია: სანამ თონე ცხელია, მანამდე უნდა მიაკრა პური, თორემ მერე, როცა განელდება, ვეღარ მიიკრავსო, თუმცა, იქ მყოფთ და პირადად მე, შემდგომშიაც არ გამიჭირდებოდა თონის გახურება, მაგრამ გაცეცხლებული ლექტორი თუ მაშინვე, თავისი თვალით არ დაინახავდა ანგარიშსწორებას, შესაძლებელია საბედისწეროდ ქცეოდა ის დრო და საათი. ამ პირობაზე ერთი აზრისანი ვიყავით, მაგრამ დასჯის მეთოდებში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა. კიკა დაჟინებით მოითხოვდა ღებოშის ამტეხთა გაკოჭვას, მიწაზე დაყრას და რევოლვერის ყუით ცხვირ-პირის ჩანაყვას, მიდეგა - დამნაშავეთა წიხლით მისიკვდილებას, მე კი უცებ მომაფიქრდა ამ დროისათვის მეტად ორიგინალური დასჯის წესი: როგორი შეურაცხყოფაც მიაყენეს დაზარალებულს, და მაშასადამე, იქ დამსწრე საზოგადოებას, ისეთივე ან ცოტა მეტი დოზით დაგვესაჯა სამივენი - ახლა მათთვის ჩამოგვეთხუპნა თავ-პირი ლაყე კვერცხებით. ამ წინადადებაზე ვერა მთანხმდებოდნენ, მაგრამ ლექტორმა მხარი დამიჭირა, ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენი წინადადება იქნა მიღებული და სახელდახელო განაჩენი მოვიყვანეთ სისრულეში. მიდეგას თავკაცობით აქტიურ ბიჭებს სასწრაფოდ მოვატანინეთ კვერცხები, ჩამოვამწკრივეთ ხელებგაკრული დამნაშავენი, გადმოვთვალე ცხრა ნაბიჯი, მათ პირდაპირ დავჯექი, ოთხივე დაზარალებული /ლექტორი, საბჭოს თავმჯდომარე, უღმერთოთა კავშირის თავმჯდომარე და მე/, აგრეთვე მიდეგა და იმ თქვენს შფოთისთავებს ისე ჩამოვუთხუპნეთ სახეები, რომ ერთმანეთს ვეღარა სცნობდნენ. როგორც შემდეგ დადგინდა, კვერცხების უმრავლესობა საღი იყო. თითოოროლა თუ ერია ლაყე.

ამით ვაპირებდი საქმის მოგუდვას - არ მინდოდა გახმაურებულიყო ეს ამბავი და საქვეყნოდ მოგვჭროდა თავი არც ჩვენ, მასპინძლებსა და არც ფრიად პატივცემულ ლექტორს, მაგრამ ვითარებამ ჩემი აზრის სისრულეში მოყვანის საშუალება არ მოგვცა - ჯავრი რომ ვიყარეთ, ჩემი სამსახურის თვალთახედვით შევმზირე დაზარალებულთა სახეებს, უფრორე სევერიან ქადაგიძეს, რომელიც მაზარაზე ჩაღვენთილ ლაქებს ითვლიდა, და ისიც წარმოვიდგინე /ჩემი სიკეთისა არ იყოს/, ცოლი რა დღეში ჩააგდებდა, აგრეთვე თვალწინ რომ დამიდგა დასჯის წყურვილით აღტყინებული ჩემი უფროსი - კვლავ მომეძალა ღებოშის ამტეხთა დასჯის სურვილი. მაინც ვივაჟკაცე, თავიც შევიკავე და გულიც. ის იყო, დავაპირე, ჭიტლაყის ამოჭერით გამერეკა დამნაშავენი, რომ ქაქანით მოვარდა შიკრიკი, რომელმაც მამცნო, ტელეფონთან გიხმობენო. „არავინ გაინძრეს"! - ვთქვი და ქაქანით გავექანე საბჭოსაკენ, მივვარდი ყურმილს და ამიცხადდა ჩემი გუმანი - უფროსი მირეკავდა. სალამის თქმა აღარ მაცალა და პირდაპირ მიყვირა: რა აყალმაყალი აგიტეხიათ. „ისეთი არაფერიმეთქი", - ჩვეული სითავმდაბლით მივუგე. „როგორ თუ ისეთი არაფერი, კვერცხების ომი გაგიჩაღებიათ!" - დაიღრიალა მისთვის ჩვეული გულმხურვალებით. ვინ მოგახსენათმეთქი, - შევკადრე. ეგ შენი საქმე არ არისო! /მერე დავადგინე, რომ იმ აყალმაყალის დამთავრებისთანავე მელიასავით მოეძურწა სოფლის ფინაგენტს და ტელეფონით ეცნობებინა უფროსისათვის/ მთლად ეგრე არა ყოფილა-მეთქი და ჩვეული სიდინჯით შევამსუბუქე ამბავი, რათა საბედისწეროდ არა ქცეოდა ის ნერვების მოშლა ჩემს უფროსს. ჩვენს მიერ მიღებული ზომები გავუზვიადე, რათა ცოტათი მაინც ჩანელებოდა შურისძიების გზნება. მოვახსენე, რომ საკადრისზე მეტი მიითვალეს წესრიგის დამრღვევებმა, კვერცხებით თავპირის ჩამოთხუპნას არ დავჯერდით, ჩექმების ქვეშ მოვიქციეთ და ღედის ხსენი ვარწყევინეთ-მეთქი. ეგეც კარგი გიქნიათ, მაგრამ არა კმარაო, გაკოჭეთ და სასწრაფოდ ჩამომითრიეთ აქაო. არისმეთქი, მტკიცედ ვუპატაკე და უმალვე გავქანდი ღებოშის ამტეხებისაკენ, რომელთაც ჩემებურად შევუღრიალე, თითო-ოროლა მჯიღი მართლაც ვუთავაზე და ჩექმის წვერიც ამოვუქნიე, რათა მთლად ტყუილი არ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსვლოდა და შედარებით პირნათლად წარდგომოდი ჩემს უფროსს, ლაზარე ლიქოველს და ორიოდე საათის მერე მივგვარე კიდეც დამნაშავენი. უფროსმა კაბინეტში მოიმწყვდია და თქვენს ავადმახსენებელს, რაც იმათ დღე აყარა, რა თქმა უნდა, ამითი არ დაკმაყოფილდებოდა, თავისივე საპატიმროში შეყარა სამივე ერთად და დღეში სამჯერ საუზმე-სადილ-ვახშმის წინ წამალივით გამოწერილი ჰქონდათ თხლაშა-თხლუში და, მგონი, ზომაზე მეტსაც აძლევდნენ, ხანდახან ურეცეპტოდაც სთავაზობდნენ. ასეთი საუზმე-სადილ-ვახშამი თითქმის ორ კვირამდე გაუგრძელდათ. მერე კი ბედნიერი დღე გაუთენდათ, საბოლოოდ ეახლა უფროსი, თითო-თითო სთხლიშა ცხვირ-პირში, თითო ჩემქმის წვერიც აჭიტლაყა მგონი, უნდა გეყოთ ჭკუის სასწავლებლად, ეხლა არც ერთი აღარ დაგინახოთ ჩემმა თვალებმაო, და კუკუს ამოჭერით გამორეკა.

ზემოთ ვახშამი ვახსენეთ. წინასწარ რომ საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ფრიად პატივცემული ლექტორის სასიამოვნოდ, კარგა ნა[illegible]კეული რომ დაუკლეს, სხვა მხრივაც რომ მონაწილეობდნენ, საბაბი ლექტორი იყო, სახრავად კი ბევრნი გამოჩნდნენ, თვითონ მასპინძლები როგორ გაახარებდნენ სტომაქებსა, – ეს იყო თავიდათავი. ხომ ასეთი დღე დააღწიეს ფრიად პატივცემულ ლექტორსაც, კიკა ჭრელოვანსაც, ნარგიზა ებანაშვილსაც, მიდეგა საღოლიანსაც, და, სამწუხაროდ, მარქსიზმის კლასიკოსებსაც; ხომ თითქმის არავის არ უნდა გახსენებოდა თამთამა დეკეულის სუკები, მაგრამ მასპინძლებს არადა არ ავიწყდებოდათ ვახშამი. როცა დამნაშავენი დავსაჯეთ, გული მოვაბრუნებინეთ ფრიად პატივცემულ ლექტორს და ლაყე კვერცხებით ჩამოთხუპნილი პირსახე და გულ-მკერდი ჩამოვუწმინდე. ლექტორი ხელებს ასავსავებდა, ახლა ამის თავი არა მაქსო, მაგრამ მუცელი რომ ხმამაღლა გაუჭყრიალდა, მთელი დღის პირში ლუკმაჩაუშვებელს, მასპინძლებმა უფრო მოუმატეს ხვეწნას, ლექტორიც დაყაბულდა დიდი მუდარის მერე და მიდეგა საღოლიანის ოჯახში აპირველსტუმრეს, მეც გულით დამპატიჟეს, უშენოდ ყელში ლუკმა არ ჩაიშვებაო, მაგრამ გული ვატკინე უარის თქმითა, რადგან ყოველწამიერად დაკავშირებული ვიყავი ჩემს უფროსთან და, თუ მართალს მათქმევინებთ, პური არც იჭმეოდა იმ ჟამს, მით უფრო, მიდეგა საღოლიანის ოჯახში.

მაინც მეხსიერების მიღმა არ დამრჩენია მათი ვახშამი.

როგორც მერე შევიტყვე, პირველ ჟამს მგლოვიარეებივით უსხდნენ თურმე სუფრას, მერე კი, კუჭი რომ მოუმადლიერებიათ გუდის ყველით, სქლად დაჭრილი მოთალით, შაბით გალურჯებული ცოცხალით, გემოზე შეგემებული ყაურმით, უფრო დაგემრიელებული ჩაკაფულით, ზოლიანი ხაშლამითა თუ ცვრიანი მწვადითა და შუშხუნა ატენურით მოხალისებულან, რასაკვირველია, ყველანი მოტკბობიან ერთმანეთსა, ისე რომ კინაღამ დავიწყნიათ კვერცხების ომი. ლაყე კვერცხებით თავპირჩამოთხაპნილი დიდად პატივცემული ლექტორი, თურმე დაუზოგავად იტორებოდა და ძლივს იცლიდა მადლობის სათქმელად.

სადღეგრძელოები, რასაკვირველია, სულ მის გარშემო უბრუნებია მერე და მერე უფრო გახალისებულ თამადას, რომელიც ისე გაშინაურებია დიდად პატივცემულ ლექტორს, რომ სულ „შენ ჩემო სევერიან“, უძახია, „არა უშავს რა, ჩემო სევერიან, უფრო უარესები ხდება, გულთან ნუ მიიტან თითო-ოროლა ანტისაბჭოთა ელემენტის ხულიგნურ გამოხდომებს!“ – უბრძანებია ყანწშელერებულს, ჯერ რომ ისევ დაუთრობელი ბრძანდებოდა.

ღრმად პატივცემული სევერიან ქადაგიძეს კი ყველასთვის უღრმესი მადლობა შეუწირია ესოდენ დიდი შეფასებისთვის, მაგრამ ვერა და ვერ მოუშორებია თავისივე ხატი, – ლაყე კვერცხებით ჩამოთხაპნილი თავ-პირი.

მაგრამ ეს ნერვიულობა ბოლომდე არ გაჰყოლია, რადგან დიდი პატივით გაუსტუმრებიათ სოფლიდან: ის ვეებერთელა ჩანთა, თურმე საგანგებოდ რომ დაათრევდა, გაუტენიათ გუდის ყველის კვერეულით, სათალისა და ზურგიელის მოზრდილი ნაჭრებით, მოუხარშავი სახაშლამეთი, მოხარშული ბეჭითა და ინდაურის თითქმის ნახევარით. აგრეთვე ხილეულითა და ტკბილეულით.

მის თავს გადახდენილი ყველა უსიამოვნებანი ხომ მივიწყნია და, თქვენ წარმოიდგინეთ, კინაღამ ქრისტეს რჯულზეც კი მოქცეულა – შემწყნარებელი გამხდარა, გულწრფელად უბრძანებია, ნუ დასჯით ჩემს მეკვერცხეებს, რადგან მათ ჩაიდინეს უნებლიე შეცდომა თავიანთი უვიცობის გამოო...

თანაც ჩემში არა ზის შურისმაძიებელი და არც მათი და არც პროკურატურა-სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მართლოში დევნის თავი და დრო არა მაქვსო... ვიმედოვნებ, მეორედ რომ ჩამოვალ, მოინანიებენ თავიანთ ცოდვას, მომიბოდიშებენ და შეიძლება დამპატიჟონ კიდევაცო.

როგორც ჩანს, ესეც გაითვალისწინა ჩვენმა გონიერ-მგრძნობიარე უფროსმა დებოშისამტეხთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე რომ არ უღუძრა განსასჯელებს, სასამართლოც აიცდინა და ციხის კედლებიც. ამ მოქმედებას ჩემნაირი რიგითი მუშაკები და უბრალო ადამიანები სხვადასხვა შეფასებას აძლევდნენ. ერთნი ჩურჩულებდნენ: პატრონებმა გარედან იჩალიჩეს, ჩვენ უფროსს კარგა ბლომად მიტანილი ნობათით დაახრევინეს თვალი და იმიტომ ჩაკლა ეს საქმეო. მეორენი უფრო გაბედულად ამბობდნენ, საქმეს მსვლელობა იმისთვის არ მისცა, რომ მეტად აღარ გახიახებულიყო და უფრო არ მოსჭროდათ თავი თვით დაზარალებულსაც, სოფელსაც და რაიონსაცაო.

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ცოტა მოგვიანებით დადგინდა, რომ სამივე დებოშის ამტეხი აბსოლუტურად უდანაშაულო აღმოჩნდა. პირიქით, ისინი გამოდგნენ ურწმუნოზე ურწმუნონი, ღვთისმშობლის ეკლესიის შემბილწავენი და პირველებმა ჩამოანგრიეს ჯერ გაჯის ნალესი, მერე შიგ ნალესი, მერე შიგ შემორჩენილი ფრესკებიც მიაყოლეს. თუ ულმერთოთა თვალთახედვით მივუდგებით, ჯილდოს ღირსნიც იყვნენ, მაგრამ მადლობის მაგიერ ასეთი სასჯელი მიიღეს. არ ვიცი, რატომ, სამივე ვიღაცებს მიუჩეჩებიათ აქტივისტებისთვისაც, ამ უკანასკნელთაც, ზოგი თანამედროვე ახალგაზრდის ლექსიკონი რომ მოვიშველიოთ, მაშინვე უყლაპიათ, ანუ დაუჯერებიათ და წარუდგენიათ მიდეგასათვის, რომელსაც თავის წარმოჩენის მანიით გამოძიება აღარ დაუწყია, თავის მხრივ, ორი კაცი დაუმატებია – ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ჭკუაშემლერებული ჯემალა და დეკანოზი გაბრიელი, როგორც ვითომდა ამ საქმის სულისჩამდგმელნი და ასე მოგვგვარეს ჩვენ, სიმართლის მწონავებს და ჩვენდა უნებურად ასე დაისაჯნენ უდანაშაულო დამნაშავენი.

მას მერე მტკიცედ ჩავითქვი გულში: ურწმუნო თომად ვქცეულიყავი – არავისთვის არაფერი დამეჯერებინა, ვიდრე ჩემი თვალით არა ვნახავდი და ჩემი ყურით არ გავიგონებდი, ანდა სარწმუნო, უტყუარზე უტყუარი ნივთმტკიცებანი არ ამეტყველდებოდნენ. ასჯერ გამეზომა და ერთხელ მომეჭრა. რამეთუ არ მეგულება იმაზე დიდი ცოდვა, როცა სიმართლეს ბოჭავ თუნდაც შენდა უნებურად და უდანაშაულო დამნაშავეს სჯი.

უდანაშაულო დამნაშავეთა ცოდვით ვიწვოდი. ეხლა გამოვტყდები, რომ ყურის მოყრუება ვამჯობინე გარკვეული მოსაზრების გამო... მე კი პირზე კლიტე დავიდე, მაგრამ სხვათა და სხვათა ყურთასმენას არ გამოჰპარვია, უმალვე მივხვდი, რომ ჩემს უფროსთან ამბის ჩაცუნცულებას აპირებდნენ, ვერ კი მივართვი – მე დავასწარი, გამოვეცხადე უფროსს და მშვიდად მოვახსენე, რომ ის სამი ახალგაზრდა, „კვერცხების ომს“ რომ ვანაცვალეთ, სრულიად უბრალონი იყვნენ და ტყუილად დაისაჯნენ ასე სასტიკად და უჩვეულოდაც. უფროსმა ცეცხლი ჰყარა პირიდანაც და თვალებიდანაც, გამთათხა და გამათრია. დამავალა: სამ დღეში თუ არ გიპოვნია და ჩემთვის არ მოგიგვრია ნამდვილი დამნაშავენი, შენი ფეხით ადი მაღალ კედელზე და თავდაყირა გადმოეშვიო. თანაც ისე გამოიძიე, რომ კაციშვილმა არ გაგიგოსო. კარგა ხანს ვიძიე, რაღა ღონე არ ვიხმარე, ვინღა აღარ დავიხმარე აშკარად და მალულად, მაგრამ ვერა და ვერ მივაგენით, მთელმა სოფელმა შეკრა პირი და დიდი თუ პატარა გაკვირვებით იჩეჩდა მხრებს – დამნაშავენი ხომ დასაჯეთ და ვიღას ეძებთო.

რასაკვირველია, იმ გადასავარდნ კლდეზე არ ავიდოდი ჩემი ფეხითა, შიში კი მქონდა, ამ საქმეს არ შევწიროდი. მაგრამ ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამჯერადაც გადავრჩი, უფროსმა კი არც ამ საქმის გახიახება ჩათვალა საჭიროდ, ტუჩებზე ხელი მომადო და თითქმის ჩურჩულით მითხრა: შენც სუ და მეც სუო. გარდა ამისა, რომ კეთილი კაცი იყო, ასე მოიმოქმედა იმიტომაც, რომ ამ საქმეში არც მას ეტყოდნენ მადლობას. უფრო მთავარი: ზემოთაც მიეყურისძირებინათ, რადგან ფრიად პატივცემული სევერიან ქადაგიძე, არც ცეკაში ეხატათ თურმე, გულზე და არც „წითელ პროფკავშირში“, რადგან ბარე ორჯერ მაინც შეურცხვენია ისინი თვით ლექციის კითხვისასაც და მის მერე გამართული პურ-მარილის დროსაც, სახელი გაუთქვამს, ვითარცა სიმთვრალის დროს მოლაყბე-მოტრაბახესაც და დაოსტატებულ ჩამშვებსაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ახლოური



## ცრემლი და ღრუბელი

მებადურივით გაუშლია მთვარეს ღრუბელი
და სიყვარულის ბადეს ალბათ
შემოხვევს მზესა.
მე სათიბიდან ისევ ძველი დარდით ვბრუნდები,
იწვიმებს დღესაც...
აღარ კივიან სათიბებში სხვათა ცელებიც
– ჰე, ბიჭო, იქნებ გაიდაროს,
ვაცალოთ ცოტა.
მთვარეს კი,
მთვარეს ჩაღვრება მკერდზე ცრემლები
ქალწულის,
დღეს რომ პირველად სცოდა.
. . .
ნეტა გადავრჩეთ,
არ იწვიმოს,
თორო სათიბი... –
ცაში გზავნიან ლოცვას ქალებიც.
ხოლო იქ მზესთან,
იქ მთვარესთან,
იქ,
იქ, ცაში კი,
პრობლემა არის სიყვარულის
მოსაგვარები.

* * *

მზეზე დავაგე ჩემი ლოგინი,
ახლა მზეს უნდა
მოვტაცო სხივი,
თორემ მე შენი ამო ლოდინით,
ველარც კი ვისმენ
საკუთარ ჩივილს.
შენ იქნებ გძულვარ –
მზარავს ეს ავი,
ფიქრი,
გიყურებ რა წუთს და
რა წამს...

რაღა სიძულვილს შევწირო თავი,
სჯობს, რომ მზის სხივის
ალერსმა დამწვას.

## რა იქნებოდა

მომკლა ამდენმა ფიქრის ქსელმა,
აზრის ბეჭვამა –
რა იქნებოდა
ევას ვაშლი არ შეეჭამა?

არ იქნებოდა ალბათ შენ და
არ ვიწვალებდი არც მე
ლექსისთვის...
რა იქნებოდა
ადამს ბედს იქით...

რა იქნებოდა რომ იმ ბაღში
ერთხელ მეხილე,
სადაც მე მთვლიდი მხოლოდ მეხილედ.

## ხევსურული ბალადა

მზე ჩავა,
მზე ჩავა,
მზე ჩავა,
დარჩება სინათლის კვალი,
საღამოს ხევსურულ დღეობას
მზეებრ გაანათებს ქალი.
მზექალა,
მზექალა,
მზექალა,
მინათებს სინათლე მე კვლავ,
სიყვარულ შემატყვეს,
მომიწვევს,
ხევსურთან ხანჯლებით ცეკვა.
მზექალა,
მზექალა,
მზექალა,
რატომღაც არ მინდა ფარი,
დამჭრიან?
ჭრილობად დამრჩება,
ხევსურის ლამაზი ქალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



* * *

შინაურ ბეღურას
ათასში ერთხელ მოფრენილი
მერცხალი მირჩევნია,
პაწია ფრთებს რომ დაატოლებს
ხანდისხან არაგვს,
იქნებ იმიტომ,
დღეს რომ სული
აპრილს მიჩვევია,
ან იქნებ მართლა,
შინაურ მღვდელს
შენდობა არ აქვს.

## ჩემი გზა

ჩემი გზა ტაძრისაკენ მიდიოდა,
არ გადამიხვევია გზიდან.
ჩემი მამა-პაპის დიდი ოდა,
მხოლოდ ამ გზისათვის მზრდიდა.
არც რა სხვის ხატში არ მილოცია,
ვერც რას დამაყვედრი გზისთვის,
ყოველ გამთენიას მიკოცნია,
საყდრის ხავსიანი ქვისთვის.
ყოველ გამთენიას დავუმხივარ,
პირჯვერის გადაწერის სურვილს,
ღმერთი მაშინ როდი განუხილავს,
როცა ილღებოდა სული.
ვიტყვი:
სხვის ტრფობაში მურმანივით,
არც ლამაზ ქალისათვის
გავყიდულვარ,
მქონდა ღარიბული პურმარილი,
მაგრამ სიმდიდრეს არ გავკიდულვარ.
ღვთის მოშიშობითა და
ქრისტეს მცნებით,
ტანჯვა-წამებით მაქვს ნაცხოვრები.
ვიცოდი გამკითხავი ბოლოს ჩემი,
თვითონ იქნებოდა მაცხოვარი.
ჩემი გზა ტაძრისაკენ მიდიოდა
და ხვალ თუ ავირჩევ სხვა გზას,
მხოლოდ იმისთვის რომ თბილი ოდა
ხვალე ჩემი ერქვას საფლავს.
იქვე, იმ ტაძრიდან სამ ნაბიჯზე
კრძალვით მიხსენებდნენ რომ მეც,
ქვეყნად ამისათვის დავაბიჯებ
ქვეყნად ამისათვის მოველ.
ჩემი გზა ტაძრისაკენ მიდიოდა,
არ გადამიხვევია გზიდან,
ჩემი მამა-პაპის დიდი ოდა
მხოლოდ ამ გზისათვის მზრდიდა.

## სატრფოს ცრემლებზე

ვუძღვნი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში
დაცემულ მამულიშვილთა ხსოვნას

სატრფოს ცრემლებზე
ხან ია ამოდის,
ხან კიდევ
წითელი ყაყაჩო.
მერე გაზაფხულით
ორივეს მოსწყვეტენ
იქაც მათი დარდი დამახრჩობს...

ორივეს მოსწყვეტენ
შმაგი მიჯნურები,
ნიშნად სიყვარულის ძლიერის
და ვერ მიხვდებიან
თუ რატომ ამოდის,
საფლავზე ლურჯთვალა იები.

* * *

ვერ დავეხსენი,
სიტყვას ისევ ეჭვით დავები,
ისევ ლექსებს ვწერ,
ისევ რითმებს ვეჭიდავები.
ისევ ვწუხვარ და
ისევ ვდარდობ,
კვლავ მიხარია.
დაღლა არ ვიცი,
დასვენებაც,
კაი ხანია,
ახლაც ჩემს ირგვლივ
ფანტელები ყრია სიტყვისა,
ვით გაზაფხულზე ყვავილები
ტყემლის,
სეტყვისას
და მაშინ არის სრულყოფილი
ბედნიერება,
ბედი მაშინ გაქვს,
თუკი უფალს ბედი ენება,
როდესაც იმედგაცრუებულს
გესმის ლექსის ხმა,
შნო და ლაზათი როცა მოგწონს,
შენი ლექსისა.
ვერ დავეხსენი,
სიტყვას ისევ
ეჭვით დავები,
ისევ ლექსებს ვწერ,
ისევ რითმებს
ვეჭიდავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინო სირბილაძე

## ვირთხა

საკუთარმა ყვირილმა მისროლა ძილის სამფლობელოდან. გული მკერდში კი არა, ყელში ფეთქავდა. არა, კოშმარი არ მინახავს, მაგრამ ამდენი უსიზმრო, ჯოჯოხეთური ღამის შემდეგ ისეთი კაშკაშა ფერები მოასკდნენ თვალებს, რომ ღვიძილში გამოხეთქეს და შიშისაგან გამეღვიძა.

„სიზმრები შემირიგდნენ...“

გაოფლილი და არაქათგამოცლილი გაჭირვებით გადავბრუნდი კედლისკენ.

„შემირიგდნენ...“

როგორც თებერვალში ერთ მზიან, ჩათაფლულ დღეს გაზაფხულის სურნელი იგრძნო, ისე ვიგრძენი ოდესღაც განცდილი, მონატრებული სიტკბოება ზმანებათა ქვეყნისა.

ბავშვობაში მეგონა, რომ სიზმრები ბალიშში მყავდნენ, ნანახებიც და უნახავებიც. მიყვარდა მისი სითბო, სუნთქვის შეკვრამდე ჩახუტება. გარდატეხის ასაკში მაინც რა იყო, მკერდი რომ მეზრდებოდა, სირცხვილისაგან ღამღამობით ჩუმად ვტიროდი. მივეწებებოდი ბალიშს და მეგონა, მეტად გაზრდის საშუალებას არ ვაძლევდი მათ - ორს, საძულველებს. გაჩხნაკული, სიგამხდრისაგან თვალებამქცეული გოგო ყოველ დილით საგულდაგულოდ „ვიტკეპნიდი“ მკერდს და მხრებში ისე ვიხრებოდი, დედას ეშინოდა, ხერხემალს გაიმრუდებსო.

ბალიში იყო ჩემი მხსნელი. ბალიში კი არა - მარიამ ღვთისმშობლის კალთა.

ჩავუდებდი თავს და იქ ვიყავი - სასურველ ქვეყანაში.

უტკბეს სიზმრებს ვხედავდი, ხოლო...

●

ხოლო იმ ამბების შემდეგ ძილი შემძულდა.

თავი აგურზე მედო. ცუდად გამომწვარ, დახვრეტილ აგურზე, ყურებში და ლოყებზე კი ნარინჯისფერი ნაფშხვენები მეყარა. სიზმრები ამიჯანყდნენ და გაიკრიფნენ ბალიშიდან.

იმ ზღაპრულ ფერებს ვინ ჩივის, თვალით უნახავ კოშმარებს ვნატრობდი. ჯერ უსიზმრობა დაიწყო, მერე სიცილი დამავიწყდა, მოგვიანებით ტირილსაც ვეღარ ვახერხებდი და მერე დადგა დიადი უსურვილობის ხანა.

არაფერი აღარ მინდოდა. არა მნებავდა.

დღეს კი...

„შემირიგდნენ?..“

თითქოს არაფერი, მაგრამ რაღაც ჩემს გარეშე ხდებოდა. ვიღაც უხილავის ძალისხმევას ვემორჩილებოდი და ვგრძნობდი, როგორ ბაცდებოდა სულში გაბატონებული სევდა. სიზმარი მაინც მხსომებოდა...

თვალები გამიშტერდა.

●

თვალები გამიშტერდა.

გვიან მივხვდი, რომ აგერ უკვე ნახევარი საათი პირდაღებული მივჩერებოდი მას. რაღაცას უყვებოდა ძმაკაცს და გულიანად იცინოდა. ისეთი ძალდაუტანებელი, კეთილი და თავხედურად ამაყი იყო, რომ მიყვარდა. თითქოს ის იყო, ვის ნეკნადაც უზენაესმა გამაჩინა, თითქოს...

●

თითქოს თოვლში დამარხული ჩიტი ეს-ესაა ბავშვებს ამოეთხარე სითეთრიდან, გაფშეკილფეხებიანი, ყინულისფრთება. თებერვლის მოლამუნე მზეზე ვლხვებოდი და გაზაფხულს ვგრძნობდი. თბებოდა ბალიშიც. ვეხუტებოდი, შიგ ჩემი სიზმრების მზე იკრებდა ძალას. წამებასავით იყო უცაბედი სითბო დამზრალ სხეულში და მეც - აგურნაჩვევს, მეტი აღარ შემეძლო.

მუშტები დავცხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგონა, ხელებს ნარინჯისფერი ნაფშხვენ-ები დამიფხაჭნიდა, მაგრამ მორჩა! მორჩა! აღ-არ არსებობდა აგური! ბალიში იყო... კალთა...

წამოვვარდი.

სამზარეულოსკენ წავტყაპუნდი შიშველ-ტი-ტველი და აივანზე გასასვლელი კარი ანგარ-იშმიუცემლად გამოვქაჩე.

- ოხ, შენი...

ღამით სინათლე რომ გამორთეს, მაცივრი-დან გამღვალ ყინულს გამოუჟონავს და სველ ლინოლიუმზე ამისხლტა ფეხი.

ვეგდე ღია კართან და მციოდა.

გრიბოედოვის ქუჩა გამიკრთა მეხსიერ-ებაში. დეკემბერი იდგა, უწყინარი დარით. მე ერთ დიდ წიგნს და ერთ ქილა მოცხარის მუ-რაბას მივათრევდი ანასთან. ავად იყო, ჩემი სულელი, ჩემი დარტყმული, ჩემგან სრულიად განსხვავებული, „ნაშოჩკა" და ყოველ მეორე კაი ტიპთან მოზასავე დაქალი. რაღაცნაირად, უმიზეზოდ ვიყავი ბედნიერი. ეს ჩემი ბავშობი-დან გამოყოლილი დაავადებაა - სიცილის ხასი-ათზე ყოფნა; ერთი სული მქონდა ანამდე მიმე-ღწია, რომ ცინცხალი ანეკდოტი ჩამერასკა-ზებინა. უცებ წინ გავიხედე და ელდისაგან გული გამიჩერდა.

მოდიოდა.

ისიც უმიზეზოდ ბედნიერს ჰგავდა. საკუთარ ფიქრებს უღიმოდა, თავისუფლად მოაბიჯებდა და რაღაც ფურცლებს მოაფრიალებდა. ნაად-რევად გაჭაღარავებული, კეხიანი ცხვირით, უხეშად კაცური, ის კი არა, ოდნავ აგდებული გამოხედვით და თითქმის ჩემი ფერის მწვანე თვალებით. ვერავინ დამარწმუნებს, რომ შემ-თხვევა იყო ჩვენი შეხვედრა, ბუნებაში ეს ქუ-ჩაც კი იმიტომ არსებობდა, მე რომ დავბრმავე-ბულიყავი, რადგან, როცა მივუახლოვდი, ჩვენი მზერა კი არა, გავარვარებული, მწვანე მზეები შეასკდნენ ერთმანეთს... თავი დავხარე, ველ-არაფერს ვხედავდი.

ექალი მეყარა.

შიშვლიკანა ვეგდე კართან.

უნდა ავმდგარიყავი.

●

მეც ავდექი და სულ სხვაგან, სულ სხვა სი-ტუაციაში ვუთხარი:

- წამოვალ რა, შენთან...

- სად?

- შენთან... - საშინლად გრძელი წინადადება იყო.

- საკუთარ გულსა და სხეულს მთავაზობ? - გაეცინა. ჩემზე კი არა, საკუთარ თავზე. იცი, რატო? თქმაც კი მიტყდება...

- შენ გიჟიც ხო არა ხარ?

- მომისმინე...

- თავმოყვარეობა საერთოდ არა გაქვს?

- რა შუაშია აქ ეს კრეტინული თავმოყვა-რეობა...

- აბა, რა არის, რა გინდა, რა?

- შენთან მინდა... - ძლივს ვიკავებდი ცრე-მლებს. სული კბილით მეჭირა.

გაქვავებული იდგა.

●

გაქვავებული ვიდექი კართან.

იტირეო.

იტირე, სანამ გული გაგხეთქიაო.

დედა იწვა კუბოში.

როგორ მიყვარდა. გულის ტკივილისაგან ვიკრუნჩხებოდი. ეს იყო სიყვარული. აუტანელი, სამყაროს, სულის, ხორცის, სიცოცხლისა და სიკვდილის სიყვარული. „ჩემი მკვდარი, ჩემი ლამაზი დედიკო..." - ვიმეორებდი განუწყვეტ-ლივ. ღამით, ჩრდილი რომ დაგრძელდებოდა, მივუწვებოდი გვერდით და როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა დედა... რა გაუძლებდა ჩემი ცრემლების დუღილს. ისე უცებ რომ არ დაემ-არხათ, გავაცოცხლებდი. დღისით, ხალხთან არ შემეძლო ტირილი, თორემ... პანაშვიდის წინა დღეს შევამჩნიე, რომ თბებოდა, ერთ ღამეს კიდევ თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, თი-თქოს კი არა... ისე ვეფერებოდი, წარმოუდგენ-ელი იყო, არ გაცოცხლებულიყო. „როგორ მიყ-ვარხარ, დე, როგორ მიყვარხარ...". ცოტა ხანსაც რომ ეცლიათ - გავაცოცხლებდი. ცხედარს სი-სხლი სდიოდა ცხვირიდან და ბამბას უდებდნენ. ყოველ დილით დედაჩემის სისხლით მქონდა თავ-პირი მოსვრილი, ძალით მაბანინებდნენ.

- არ დამარხოთ! არ დამარხოთ, თქვენი დედა ვატირე, გაცოცხლდი, დე!.. - ვკიოდი.

ღამისთვის ვინახავდი ცრემლების სითბოს.

უნდა გამეცოცხლებინა. გავაცოცხლებდი.

თბებოდა უკვე - ცოცხლდებოდა

იმათ კიდე...

●

იმათ კიდე ატეხეს წივილი და ვაი-უშველე-ბელი.

- რამდენ ხანს უნდა ეგდოს აქ, ვერ ხედავთ, რომ აყროლდა? კაცი არა ცხოვრობს ამ სახ-ლში, მოკიდოს ხელი და ბუნკერში ისროლოს?!. გაუხეთქეს ბავშვს გული! - ყვიროდა გაცოფებუ-ლი მამიდაჩემი. - ის სად არის, ის?! - წყევლიდა და ქოქავდა „საპოჟნიკს", - მარტო მოკვლა ხომ არაა, აელო ბარემ და გადაეგდო.

წინა დღეს ტელმანას ნაგვის ასაღებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენს სადარბაზოსთან უზარმაზარი ვირთხა მოეკლა და აღება დავიწყებოდა. დილით მაღაზიაში მიმავალმა შემთხვევით ფეხი დავადგი და ისეთი კივილი მოვრთე, მთელი სახლი ჩემს თავს იყო.

ბავშვობიდან მეშინოდა, წრუწუნებისაც კი. მეშინოდა კი არა, მეზიზღებოდა, თან ისე, რომ ზიზღისაგან მაზიდებდა. ვირთხის დანახვაზე ხომ სულ ვირეოდი. იმ ფეხის დაბიჯებამ მომიღო ბოლო. ხშირად ვფიქრობდი, საიდან-მეთქი ამდენი სიძულვილი, საიდან? გაოგნებული ვიყავი საკუთარ არსებაში დაგუბებული ზიზღის ძალით. მე იგი - დიადი მძულვარება წარმომედგინა უზარმაზარ კაშხლად, რომელსაც ყოველ წუთში შეეძლო აფეთქება და ჩემი განადგურება. საერთოდაც, დაკვირვებული ვიყავი, რომ არაფერი ჩემში ზომიერი არ სულდგმულობდა. ბავშვობაში, დედას, მაგალითად, ყოველთვის ეშინოდა, რაიმე ძალიან სასაცილო ან სევდიანი მულტფილმი არ მენახა, რომ არ გადავბჟირებულიყავი ან სიცილისგან, ან ტირილისგან. ის კი არა, როცა ჩუმად ვიყავი, მშვიდად, იმ სიმშვიდესაც კი მთელი სხეულით განვიცდიდი. ჩემი სიძულვილიც რაღაც ამდაგვარი იყო... საიდან, საიდან?.. უნებურად ის მათხოვარი გამახსენდა, ჩვენს მიწისქვეშა გადასასვლელში რომ მღეროდა. ერთი ფეხი არ ჰქონდა, ვირთხას ჰგავდა თითქოს...

ფუჰ! გამაჟრიალა.

- ჩადი, შვილო, ჩადი, არ შეხედო, ისე გაიარე. - მეხვეწებოდა მამიდა, - მკვდარია, გული მოუკვდეს ტელმანას შენი გულის გახეთქვისთვის. დღესაც რომ არ გამოჩნდეს და არ გადააგდოს, იმ ვირთხასავით გავუნაყავ თავს.

ორი დღე სახლში ვიჯექი და ღებინებით ვკვდებოდი. მარცხენა ფეხის გული იმ პატიოსან ვირთხას რომ დავაბიჯე, ისე მძულდა, რომ მოვიჭრიდი და გადავაგდებდი, გულიც არ დამწყდებოდა, სიძულვილისგან ისე ვიყავი გაკაქებული...

●

ისე ვიყავი გაკაქებული, მეგონა, ველარაფრით დამწყვეტდა გულს. ერთადერთი იმისი მეშინოდა, დედა არ შეეგინებინა. ძალიან ცუდად მექცევი-მეთქი... ბოლოს ვუთხარი, როცა უკვე ავადმყოფი ვიყავი და არა შეყვარებული. მართლა ავად ვიყავი.

- რატო, ქვებს გესვრი? - ვითომ ქვების სროლაზე უარესი არ იყო მისი ყოველი ფრაზა, ყოველი გამოხედვა, ყოველი ჟესტი, მიმიკა, - ამ ტინგიცობებით იყო აღსავსე ღრმადპატივცემული. ამას ვერ დავუკარგავდი.

- მე მარიტა არა ვარ, სიყვარულის გულისთვის ვირზე რო შემსვა და ტალახისა და ქვების სროლით სული ამომხადო!

- ირინა ხო ხარ, ნებიერიძე? მე კიდე ახვარი კაცი ვარ...

- არა, არა...

- არა კი არა, ეგრეა, ორი აგური უნდა გეჭიროს ხელში და თავში·იცემდე, ერთი წითელი, ერთი - თეთრი...

- რატო? - ჩამეღიმა და უპეები ამოვიმშრალე, - ორი წითელი არ შეიძლება?

- არა, შენ ფიზიკიდან არ გახსოვს, ორი ერთნაირი ფერი „ზამეკანიას“ რო იძლევა?.. დენმა არ დაგარტყას.

- ჰო, ვითომ დარტყმა მაკლდეს. - ჩავილაპარაკე ჩემთვის.

გაეცინა.

რაც, უნდა მეთქვა, ყველაფერზე ეცინებოდა, გიჟს მეძახდა და ავადმყოფს. „არ მინდა ცუდად მოვექცე, კარგი ბავშვი“. რას გულისხმობდა ამ „ცუდად მოქცევაში“, აზრზე არა ვარ. რო „გამჟიმავდა“, მიმატოვებდა და „ცხოვრებას დამინგრევდა“ თუ რამე უფრო დიდი საძაგლობის ჩადენა შეეძლო ჩემთან ურთიერთობაში მისი ამოუწურავი ფანტაზიის პატრონს... არ ვიცი.

- გინდა, ვიძმაკაცოთ?.. - ვკითხე თვალებგაბრწყინებულმა.

- ირინ, შენ მართლა ხო არ გიყვარვარ? - გაოგნებულმა ამომხედა. - ეე, ეგრე არ შეიძლება.

ჩემმა დაქალებმა სიცილით ჩაიფსეს. ამას ნებიერიძის მეტი ვერავინ მოიფიქრებდაო. არც ერთი არ მგავს. „არიფს“ და „ბეზპონტას“ მეძახიან არამწეველ-არამსმელობის გამო და არა მარტო. ათი წლისას მე რომ სიტყვა „სიყვარულის“ ხმამაღლა თქმა სირცხვილი მეგონა, იმათ უკვე ის იცოდნენ, სიყვარულით გათხოვება რომ არ ღირდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ისეთი ვინმე უნდა „შეეყვარებინათ“, მდიდარი ყოფილიყო. ერთხელ გაჩერებიდან ვიღაც ტიპმა მე და ეკა „შესოტკით“ წამოგვიყვანა. გაგვეცნო, ზაზა მქვიაო, ქურასბედიანი ვარო. „მეიდ ინ მესტია“ - ჩავიღიმე. ეკა წაეფარცქვალა, ნუ, პირდაპირ... მანქანიდან რომ გადმოვედით, სერიოზული სახით მეუბნება:

- ირინ, ზაზა შემიყვარდა.

- აბა, ზაზა?

- აი, - თან ხელი რაღაცნაირად, არტისტულად აიქნია ჰაერში, გვარი ვერ მოიგონა და - ის, კაცო, შესოტკიანი, რა გვარი იყო?

- რათ გინდა გვარი, შესოტკ-იანი, ქურასბედ-იანი, ორივე შემთხვევაში ზაზაა რა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მესტიელი.

- აბა, გოგო, რა სალონი იყო...

ისტერიკული სიცილი აგვივარდა. ერთი კვირა ამ ჩემს მოგონილ სვანურ გვარზე ვხოხმაობდით. მეორე ერთი კვირა კიდევ მამამისს აბამდა ეკა - ნუცუბიძეზე ბინა გავყიდოთ, ერთი „მესტი“ მაინც მიყიდეო. რა მნიშვნელობა ჰქონდა ან ამას ეკასთვის, ორივე „მესტ“-ზე არ იწყებოდა?

მე კიდევ, ოღონდ მის გვერდით ვყოფილიყავი და, უცებ წარმოვიდგინე, რომ ხვიჩასავით ისიც წამიყვანდა კალათბურთზე, ერთად ვივლიდით დაბადების დღეებზე, ერთმანეთის დანაღეჭ კევს დავღეჭავდით, მე გამოვუცხობდი ნამცხვრებს, ის ამომივარდებოდა სახლში გიჟივით და „ჰა, წრუწუნ, ხო არავინ გიხურებს?“ - მეტყოდა. მე კიდევ გავიბუტებოდი, რამდენჯერ გაგაფრთხილე, წრუწუნას ნუ მეძახი, ხო იცი, როგორ მეზიზღება-მეთქი. მომიყვებოდა უზრდელურ ანეკდოტებს და ავიწყვე ქალმა ცხოვრება, ენახე რა გამოსავალი...

- არაო! არ გამოვაო.

- რატო? რატო? - ხმა გამებზარა. ვტიროდი.

- იცი შენ, რატოც!

არ ვიცოდი. მართლა არ ვიცოდი, თუმცა ძალიან მინდოდა მივმხვდარიყავი, რა იყო ჩემში ისეთი საძულველი, ამაზრზენი და აუტანელი...

●

რა იყო იმ მათხოვარში ისეთი საძულველი, ამაზრზენი და აუტანელი, ვერ ვხვდებოდი. ალბათ, ის, რომ ვირთხას მივამსგავსე. იმათ უყვართ ქვესკნელები და მიწისქვეშა საძრომიალოები, თან ეს მყრალი სუნი, სიბინძურე. ვირთხებიც ხო სიბნელეს და ბუნკერებს ეტანებიან. შემეძლო იქვე ჩამექოლა, მაგრამ ისე მეზიზღებოდა, რომ იმ ზიზღის განცდისა მეშინოდა. თან ის მაცოფებდა, ბრუციანი რომ იყო, დაჭყეტილი, გამოცარიელებული გუგებით, და რომ მღეროდა: „თუკი გესიზმრები, თუკი გელანდები“-ო. რა ესიზმრებოდა და ელანდებოდა ამ დეგენერატს, თვალების დახუჭვაც რომ არ შეუძლია, ძილისა და სიზმრისა რა იცის-მეთქი. ჩემი სიზმრების ბალიშის პატრონს რა მესწავლებოდა...

იმ გადასასვლელში არ ჩავდიოდი, ნერვებაშლილს რომ არ მევლო. ტრასაზე გადავრბოდი, ინსპექტორები მაგინებდნენ, მაგრამ ფეხზე მეკიდა. .

ეგინებინათ - თანახმა ვიყავი.

●

- თანახმა ვიყავი, გჯერა?! ახლაც თანახმა ვარ და იმიტომ ვარ უბედური. გარბოდა და უკან მივდევდი... ვეზიზღებოდი. რო ვეცემე, იმაზეც თანახმა ვიყავი, დედა რომ შეეგინებინა - იმაზეც. სად მქონდა თავმოყვარეობა, რა ვიცოდი სიამაყისა, ფეხებზე მეკიდა ეგ შენი სიამაყე. იცი, როგორ მემეტებოდა ჩემი თავი? როგორ არაფრად მიმაჩნდა ყველა დანარჩენი გრძნობა, რაც კი შეიძლება ამ დროს მაწანწალასავით აგეკიდოს? იცი, რა მინდოდა? რო ჩავხუტებოდი, ძალიან მაგრად... ის კი ისე ულვთოდ გულგრილი... ღმერთო ჩემო, ზიზღის ღირსადაც არ მივაჩნდი...

- ჩემი დღიურები დამიბრუნე-მეთქი...

- არაო, თუ გინდა მოგყიდი, ფურცელ-ფურცელ, თითოს 1500 დოლარადო. - თანახმა ვიყავი, ხვიჩა, არ გეზიზღები?..

ხვიჩა ფანჯარას გასცქეროდა. ტირილით ვუყვებოდი ორი საათის წინანდელ ამბავს.

- ნუ გარბიხარ, ველარ გეწევი.

- დავაი რა აქედან!

- მკვდარი ვირთხა ხო არა ვარ?..

- უარესი ხარ ჩემთვის და დავაი ახლა აქედან!.. - უარესი ხარო, ხვიჩ... მოვკვდები, აეგრე, ავდგები და მოვკვდები. არაფერი აღარ მიხარია...

მოვკვდები...

●

მოვკვდები-მეთქი, მეგონა.

ორი კვირა ლოგინში ვეგდე. იმდენს ვტიროდი, თვალებიდან მწვანე ფერი ჩამომირეცხეს ცრემლებმა და იმ მათხოვარივით ცარიელი, დაჭყეტილი გუგები დამრჩა. მეჩვენებოდა, რომ მწვანე ცრემლები მდიოდა. ბოლოს ისინიც გაქრნენ.

აი, მაშინ დაიწყო.

უსიზმრობა, ტირილსა და სიცილს გადაჩვევა, ყოველი დილა ერთი და იგივე „არ მინდა“-თი, ყოველი ღამე აგურზე ძილით.

დილიდან კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, უფრო სწორად, მანამდე იყო ჩემი ყოფა ხელებით მოსიარულე. სიზმრები შემირიგდნენ და ბალიშიც აგური კი არა, ისევ ღვთისმშობლის კალთა იყო.

სიხარულის თავი არ მქონდა.

„ეკლესიაში წავალ...“ გავიფიქრე.

●

- წავალ! - ვთქვი და წამოვხტი.

- გაბედე ერთი! - მეცნენ რამაზი და გოგიტა და აშელილ სუფრასთან პროზაულად დამდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩანგალივით თუ თხილის სამტვრევივით. ჩემს მტერს, ამათ თუ რაიმე აიჩემეს.

- კარგი მაშინ, თქვენ დალიეთ, მე ნელ-ნელა სუფრას ავალაგებ.

- „Умница," - დაადგინა ჩემი გონებრივი შესაძლებლობები ხვიჩამ და თვალი ჩამიკრა, აქაოდა, მართლა ჭკვიანი არ გეგონოს შენი თავიო.

შემიკლეს ხელში, შემჭამეს! დამათრევენ, სადაც უნდათ. ერთი ბოზებში არ დავყავარ, თორემ, სულო და გულო, პროფილაქტიკაში, ვარჯიშებზე... როგორ მიყვარდნენ. ვუყურებდი ამ გამოჩერჩეტებულ, მთვრალ დათვებს და მეცინებოდა.

როგორც იქნა, ეღირსათ. სამივე, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი ზურგით და 47- კილოგრამიანი წონით დავარიგე სახლებში. ბოლოს მე და ხვიჩა შემოვრჩით.

თოვდა.

ულამაზესი ღამე იყო და განწყობილება ასეთი: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის.... და სიყვარულის ასე მოთმენა..."

- შენ მძიმე წონით კატეგორიაში უნდა გაჭიდავო, - გაეცინა ხვიჩას ჩემს გამძლეობაზე. რა მეხუმრებოდა, ბალანჩივაძიდან კეკელიძემდე შეუსვენებლივ ვათრიე, ვარაზის ხევი ხომ ჯარისკაცის მამასავით გმირულად ავიარე ამხელა ტანკით. ხვალ, ალბათ, წარწერა გაჩნდებოდა მთელ აღმართზე: „Здесь прошли танки Махарашвили".

ამის წარმოდგენაზე გამეცინა.

- რა გაცინებს?

- არაფერი, - ჭიდაობაზე კი არა, ბოდიბილინგზეა თუ რაღაცა ჩემ ფეხებზე.

- ვის უნდა შენი ფეხები, შე დაბრეცილო და მახინჯო.

- ხო, ვიცი. - გამეცინა.

- რა იცი? დაბრეცილი და მახინჯი რო ხარ?

- ხო.

- იცი, დათომ რა თქვა შენზე?

- რა? - ცოტა არ იყოს, უსიამო შეგრძნება დამეუფლა.

- ციცინათელასავით გოგოა შენი დაქალიო.

- აჰ, - ამოვისუნთქე. არასოდეს ვყოფილვარ ბიჭებისაგან კომპლიმენტებით განებივრებული. როგორც წესი, ნებისმიერ მამრს ჩემი მოწონებაც და „გადაწონებაც" უჭირდა, რასაც საკუთარ არანორმალურობას მივაწერდი.

- მერე?

- მეთქი, ციცინათელასავით კი არა, ბიჭო, ისტერიჩკაა, ამხელა გოგო მულტფილმებზე ტირის-მეთქი.

- ის ხო არ გამოგრჩა, ვირთხები რო მეზიზღება? - გამეცინა.

- გეკადრება?..

- რომელი ოქროსფერთმება და ფითქინა თეთრი მე მნახა, თუ შავგვრემანი ციცინათელა ვარ?

- სახლშიც მოვსულვაართ, - გაიხარა ხვიჩამ. როგორც იქნა, ავასკდით მეხუთე სართულს. ერთი საათი გასაღები ვუქექე ჯიბეში. ვერსად ვერ ვიპოვე. ბოლოს და ბოლოს ჩემს ჩანთაში აღმოვაჩინეთ, რა უნდოდა იქ, წარმოდგენა არა მაქვს. ძლივს შევაღწიეთ ოთახში.

- ციცინათელობა არ გინდა, ძმაო, აბა რა გინდა, იყო?

- ბელურა!

- შტერო, ბელურა და მწვანეთვალება? - ბოტასები გაიხადა და საწოლზე მიეგდო. ბრძენი ძმაკაცი მყავდა რა.

- ციცინათელა ხომ, რას ამბობ... არა გშია?

- ჰო! ჩაი და კარაქიანი პური.

- ირინ, მართლა, ბელურებს რა ფერის თვალები აქვთ; ჰა?.. მულტფილმებზე მელოვიარეევ!

- რა გინდა? - სამზარეულოდან გამოვყავი თავი, - ვერ გავიგე, რა მკითხე.

- რა და, დათოს არაფერი უთქვამს შენთვის?

- არა. - გავწითლდი.

- მგონი უყვარხარ.

- მე რო...

- ერთი იმისიც... ვერა ხედავ, ფეხებზე რო კიდიხარ, რას იმცირებ თავს, რა მუხლებში უვარდები, შენი თავი არ გენანება? მე არ მინდა, ვიღაცამ გაგამწაროს, თორე... იცი, როგორ არი, ირინ? - რაც შენია, რაც გარანტირებული გაქვს, რასაც მიღწევა და ბრძოლა არ უნდა, ის არ გინდა, არა გჭირდება, ის კი არა ნერვებს გიშლის და გეზიზღება კიდეც. შენ თუ გინდა სუპერ-ქალი იყავი, თუ სულ ჩემი ხარ, არ მინდიხარ რა?..

- არ მესმის. - გულზე ლოდი დამაწვა.

- არც მე მესმის, სწორი არ არის, მაგრამ ეგრეა... ჭკუით უნდა მოიქცე.

- აბა, რა ვქნა, ჭკუით შენი ნაშოჩკები იქცევიან, ხო ხედავ, როგორ გკერავენ, როგორ ტაქტიკურ სვლებს აკეთებენ, როგორა აქვთ გათვლილი, სად, რა, როგორ... - კაი აბა, დავემსგავსები შენს ტურფა მარის და...

- თავს მოგაჭრი, - ჩაეცინა და რაღაცა კიდევ ჩაიბურტყუნა.

- ვერაფერსაც ვერ მიზამ... ისე, ვაიმე...

- რა?

- ახლა უცებ, იცი, რა გავიფიქრე?

- რა?

- რა და, გავიფიქრე, იმასაც რომ შევუყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რდე-მეთქი...

- მერე, სიხარულისგან გული გაგისკდება?

- არა, შეიძლება შემძულდეს.

- შენ ავად ხო არა ხარ?! - ნერვები აეშალა ხვიჩას.

- ღმერთო ჩემო, საკუთარი თავი შემაძულა...

- ეე, ირინ... გამგიჟებია დაქალი, მე კიდე მეგონა...

●

და როცა მეგონა, გავაღწიე-მეთქი, სადარბაზოდან სირბილნარევი ნაბიჯებით გამომავალს, კეფაში ირონიულ-ძახილისნიშნიანი წინადადება ისე მთხლიშა, მეგონა, ცხვირიდან სისხლი წამსკდებოდა.

- რა გინდოდა ჩემს სადარბაზოში?!

- დაქალთან ვიყავი.

- დაქალთან კი არა, ნახევარი საათია, „პადვლის" კართან დგახარ, - გაეცინა,- რას უყურებდი?

ყველაფერი მერჩია. მიწის გასკდომა, მეხის დაცემა, წარღვნა და ქვეყნის ჩამოქცევა, იოლი იყო ყველაფერი.

- თქვი რა, ვაჟკაცურად, რა გინდოდა?

- არაფერი...

- ჰა, ჰა, - თვალები მოწკურა და ნაფაზი დაარტყა, კაი ხასიათზე იყო ბიჭი.

- თქვი, თორე მე გეტყვი.

- ?! - თვალებზე ხელის აფარება მომინდა, ოღონდ როგორმე გამქრალიყო ეს შეხვედრა... (და ის, პირველი?)

- გითხრა? - ისევ მოქაჩა სიგარეტი და კვამლი დიდი, ნაცრისფერი ბაბუაწვერასავით სადარბაზოს დირესთან გაფანტა.

- რა?! რა?! - ნერვებდაწყვეტილი ვყვიროდი და ისტერიკისაგან ყბებგაბუჟებულს გაქცევაც არ შემეძლო. - რა?! რა?!..

- შენ გიჟი ხომ არა ხარ? - მშვიდად, დაახლოებით ასე: ასანთი ხომ არა გაქვსო, სანდომიანი გამჯელელივით მკითხა. თვითონვე დაიჯერებდა, დასაცინად არ გამიმეტებიაო.

- თავს გაგიხეთქავ ეგ რომ მეორედ მითხრა! - ვტიროდი. რამდენი ხანია უბედური ვიყავი.

გავრბოდი.

- ავადა ხარ შენ. - მომაძახა „ჯანმრთელმა". ნაფაზი დაარტყა და თავი დახარა. ნაცრისფერი ბაბუაწვერა სადარბაზოს წინ, ტროტუარზე დაიღვარა.

იმ წამში უცხადესად ვხედავდი საკუთარ შეშლილ და მის დანაღვლიანებულ თვალებს, მის დაცარიელებულ გულს; ვხედავდი ქუჩას, რომელიც მისი იყო და იქ ჩემი ადგილი არაფრით არ მოიპოვებოდა. ვხედავდი, თუმცა, მე რომ ყველა ამ კადრის უზენაესი რეჟისორი ვყოფილიყავი, საკუთარ თავს ჩავავლებდი ხელს და დაუნანებლად ვისროდი სადმე შორს, სიმშვიდის გადაღმა, რადგან საშინელ შეუსაბამობად მიგვაჩნია ამ ცხოვრებაში ადამიანებს მკვდარი ვირთხა სადარბაზოს წინ, მე - მის ქუჩაზე, მის გვერდით.

მერე რა, რომ არ ვიყავი ის უზენაესი რეჟისორი, მოვისროლე ჩემი მკვდარი სხეული ქუჩიდან, ჩემივე ნებით გავრბოდი მისი ცხოვრებიდან...

მომეჩვენა, რომ ვუყვარდი.

ეკლესიაში მივრბოდი.

●

ეკლესიაში მივდიოდი.

იმ ამბების შემდეგ ეს იყო ყველაზე ბედნიერი დილა.

მე გამახსენდა, რომ სიცოცხლე არსებობდა, რომ შეიძლებოდა ყოფილიყავი ბედნიერი და უცებ მომინდა ბედნიერება. რაღაცა მინდოდა - ეს იყო მთავარი. გამახსენდა, რომ არსებობდნენ ჩემი მეგობრები, წიხლის კვრით გაყრილები ჩემი ოთახიდან, ტელეფონი - სარკეს რომ ვხეთქე.

მენატრებოდნენ.

სადარბაზოს კიბე ჩამოვინავარდე, ციმციმ, თითქოს საკუთარ თავს, განწყობილებას ვუფრთხილდებოდი, ცინცხალს, ამდილანდელს. თითქოს ოდნავზე მეტად რომ შევრყეულიყავი, ის ჯოჯოხეთი ხელმეორედ დამატყდებოდა თავს სრული თანმიმდევრობით. ისეთ ხასიათზე ვიყავი, აი, უმიზეზოდ ბედნიერისა. მკვდარი ვირთხისათვის რომ დამედგა ფეხი, თვალსაც არ დავახამხამებდი, ავიღებდი და ბუნკერში ჩავუძახებდი. ის კი არა, შეიძლება დამნანებოდა კიდეც. აზრადაც არ მომივიდოდა მარცხენა ფეხის მოჭრა, რადგან ის მათხოვარი, ფეხი რომ არა აქვს, იმიტომ ზის მიწისქვეშეთში. სულაც არ მძულდა. ამ დილამდე ხომ მისი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მას ვგავდი, სრულიად უსიზმრო და ბრუციანი, თვალებიდან ფერჩამორეცხილი. კაცმა არ იცის, შესაძლოა ღამღამობით ჩემზე უტკბეს სიზმრებს ის ხედავდა.

ქუჩა ცოცხლობდა.

მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავირბინე, „ბრუციან ვირთხას" ფული ჩავუყარე კონსერვის ყუთში და გზა გავაგრძელე.

ეკლესიასთანაც ერთი ნაცნობი მათხოვარი იდგა. შვილები ჰყავს მთელი ბატალიონი. ყველაზე პატარა, ალბათ, 4 წლისა, მტრედებს დასდევდა და ეთამაშებოდა. ჩამოვჯექი. მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცქერით ვერთობოდი. უცებ, დედამისი სწვდა ქეჩოში და რამდენჯერმე გვარიანად წაუთაქა, ალბათ, იმიტომ, პოსტზე რომ არ იდგა. თავიდან აღვშფოთდი, მაგრამ ის, რაც ბავშემა მოიმ-ოქმედა... დადგა ცოტა ხანს, „დამეხმარეთო" იძახა და თან დედას ჩუმ-ჩუმად შორდებოდა. ქალი კიბეს ჩაუყვა. თვალს მოეფარა თუ არა, ბავშემა ფულის ჩასაყრელი ჯამი ისროლა და მტრედებთან გაიქცა სათამაშოდ.

პირი დავაღე. ის ოთხი წლის იყო და მე ოცდაოთხის. რა ზუსტად იცოდა ყველაფრის ფასი.

სიცოცხლის ფასი იცოდა.

●

იცოდა, რომ ოდესღაც მაინც მივიდოდი.

„ჩემი სულელი ძმაკაცი" - გავიფიქრე და გულში მოვეფერე.

ვარჯიში მიატოვა და გადარეული მეძგერა.

- წრუწუნ! რა სექსუალური ხარ, გოგო, შენ პოლიცია არაფერს გეუბნება, ასეთი ლამაზი რო დადიხარ?

- პოლიცია? მაგინებს.

- ვინა, კაცო, წამო ერთი, დედა... ვუტიროთ კი არა, მეორე...

- წამო.

- ირინ! - უცებ გაჩერდა და რაღაცნაირი, მონატრებული თვალებით ამათვალ-ჩამათვალიერა.

- რა იყო?

- როგორა ხარ?..

გავოცნდი. მეგონა, რაღაც საერთაშორისო მნიშვნელობის სიახლეს მაუწყებდა, ის კიდე... უცებ მაიმუნობის ხასიათზე დავდექი, დაეჭვებით ავხედე ორმეტრიან ახმახს, საფეთქელთან თითი მივიდე და სრული სერიოზულობით ვკითხე:

- ისე, შენ როგორა ხარ?

ისეთი სიცილი აუტყდა, დარბაზი ლამის თავზე ჩამოგვექცა.

- არაფერი არ გეშველება. ტანსაცმლიანად იგივე გიჟი ხარ. - მანქანაში ჩამაგდო და ბიჭებისკენ აიღო გეზი.

ბედნიერი ვიყავი.

●

ბედნიერება კი არა, ყოფნა, ჩემი სიცოცხლე მიხაროდა...

ციცინათელა ნამდვილად არ ვყოფილვარ იმიტომ, რომ ოქროსფერი თმა და ფითქინა თეთრი კანი არა მქონდა. არც ბედურა ვიყავი, ხვიჩას რო ჰკითხო, რადგან მწვანეთვალება ბედურა არ გაგონილა.

მე ბედნიერი ვიყავი.

ბედნიერი ვიყავი და მიყვარდა ერთი ცუდი კაცი. მისი ნაადრევი ჭაღარა, თავაშვებული სიცილი, ცინიკური მზერა, მიყვარდა სასტიკი და რატომღაც მაინც კეთილი, გულწრფელი, ცოტა ბავშვურიც და, ვინ იცის, რო ვენატრებოდი კიდეც.

რა კარგი დღე იყო.

ბიჭებმა რაღაცა „ძაან ბარში" ჩამიყვანეს და ეს პატივცემული ქალი ისე გამომათვრეს, „შნურუკივით" ვიკეცებოდი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე.

ავტყდი: - მანქანაში არ ჩავჯდები, ფეხით გავიაროთ.

- კაი რა, ძლივს დგახარ ფეხზე, კონიაკის სუნად ყარხარ. სირცხვილია ქუჩაში.

- არა! - ავწიე წარბი და მთელი ჩემი სიფხიზლე სიფათზე გამოვიფინე.

- იცოდე, მაგნიტოფონი რომ მომპარონ მანქანიდან, გაგხეთქავ ცემით. - დამემუქრა ხვიჩა.

- იცოდე, ახლა რო მანქანაში ჩამსვა, ზედ ვარწყევ მაგ შენს მაგნიტოფონს.

ხვიჩამ მანქანა გოგიტას გაატანა და მორჩილად გამომყვა.

იმ მიწისქვეშა გადასასვლელში გვიან გამოვიარეთ. სიმყუდროვე იდგა, კაციშვილს ვერსად დალანდავდი. უცებ სიჩუმის დარღვევის საოცარი სურვილი გამიჩნდა: „თუკი გესიზმრები, თუკი გელანდები..." გადასასვლელის კედლები ექოდ იმეორებდნენ ჩემს ხმას.

წარმოვიდგინე, რომ ბრუციანი ვირთხა ვიყავი და მოულოდნელად თვალებში უზარმაზარი, მწვანე მზეები ამიჩახჩახდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# არტურ რემბო

## ქამი ჯოჯოხეთში

### მთარგმნელისგან

არტურ რემბო დაიბადა 1854 წლის 20 ოქტომბერს - გარდაიცვალა 1891 წლის 10 ნოემბერს, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში.

უკანასკნელი, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, ნაწარმოები - „ქამი ჯოჯოხეთში“ - 1873 წლის ზაფხულში დაასრულა, როცა რემბო ცხრამეტი წლისა იყო. მაშასადამე, არტურ რემბომ, მოწოდებით პოეტმა, შესძლო თვრამეტი წელი ეცხოვრა ისე, რომ პოეზია სავსებით გამოერიცხა თავისი ცხოვრებიდან!

„ქამი ჯოჯოხეთში“ რემბოს ერთადერთი წიგნია, გამოცემული პირადად მის მიერ (ბრიუსელი, 1873). ეს წიგნი წარმოადგენს ტექსტის წყაროს; თეთრად გადაწერილი ხელთნაწერი არ შემონახულა; ხოლო ხელთნაწერის შავი პირიდან სამი ფურცელი გადარჩა, რომელიც ვერლენს ჰქონდა იმჟამად.

ნაწარმოების ისტორია, რემბოს მიერ 1873 წლის „აპრილ-აგვისტოთი“ დათარიღებული, ჩვენს წინაშე განცალკევებული, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტების სახით წარსდგება. ისინი ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან იმ დრამასთან, რომელიც 1873 წელს გათამაშდა ბრიუსელში და რომლის შემდეგაც რემბოსა და ვერლენის გზები საბოლოოდ გაიყარა.

1873 წლის თერთმეტ აპრილს რემბო ინგლისიდან რომში ჩამოვიდა. ვერლენი ინგლისში დარჩა, რათა დაემთავრებინა „რომანსები სიტყვების გარეშე“. მაისში რემბო მეგობარს წერდა, რომ იგი „საკმაოდ რეგულარულად“ მუშაობს „პატარა ისტორიებზე პროზაში...“ პოსტსკრიპტუმში კი დასძენდა: „ჩემი ბედი დამოკიდებულია ამ წიგნზე, რომლისთვისაც საჭიროა ჯერ კიდევ ნახევარი დუჟინი „სასტიკი ისტორიების“ გამოგონება“. რატომ იყო დამოკიდებული მისი ბედი ამ წიგნზე? ეტყობა, მას აქ ლიტერატურული ბედი ჰქონდა მხედველობაში, რადგანაც რემბო მაშინ ჯერ კიდევ არ აპირებდა ლიტერატურის მიტოვებას (ივლისში, ბრიუსელის სასამართლოში იგი თავის თავს „ლიტერატორს“ უწოდებს).

მაგრამ ამ გეგმების განხორციელება ძალიან გართულდა. ოცდაოთხ მაისს რემბო და ვერლენი ერთმანეთს ბუიონში შეხვდნენ. მეგობრები მატარებლით ბელგიაში გაემგზავრნენ, შემდეგ ხომალდით ანტვერპენიდან ინგლისში, სადაც ივლისამდე დარჩნენ. გაუთავებელი კამათი და ჩხუბი სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. სამ ივლისს ვერლენი ლონდონიდან ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც რვაში რემბოც უნდა ჩასულიყო; ათში ვერლენმა რემბოს ესროლა, რის გმოც დააკავეს და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მისჯილი ციხეში მოათავსეს. რემბო ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ, ოც ივლისს ტოვებს საავადმყოფოს და მიემგზავრება შარლევილში, იქიდან რომში.

პოეტის დის, იზაბელლას მოგონებების მიხედვითა და მისი მეუღლის პატერნ ბერრიშონის გადმოცემით, „როგორც კი შემოვიდა ოთახში, ისე რომ არც კი მოგვესალმებია, იგი (რემბო) მოწყვეტილივით დაეცა სკამზე. მას საშინელი ქვითინი არყევდა“. მალე იგი სხვენზე განცალკევდა და მთელ თავის სიმწარესა და გულგატეხილობას ანთხევდა წიგნში, რომლის საბოლოო სახელწოდებაა „ქამი ჯოჯოხეთში“.

ოქტომბერში წიგნი ბელგიის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა. რემბომ რამდენიმე ეგზემპლარი ნაცნობ-მეგობრებთან გაგზავნა - ერთი იმჟამად მონსეს ციხეში მყოფ ვერლენსაც გაუგზავნა. მაგრამ წიგნს რემბოსთვის სახელი არ გაუთქვამს: ფუთა ხუთას ეგზემპლარიანი ტირაჟით გამომცემლობის საწყობში დარჩა, რადგანაც პოეტმა ტიპოგრაფიის ხარჯების ანაზღაურება ვერ შესძლო. 1901 წ. ბელგიელმა მკვლევარმა ლეონ ლოსსომ ტირაჟი საწყობში აღმოაჩინა და ამით გაფანტა იზაბელლ რემბოსა და მისი მეუღლის მიერ შეთხზული ლეგენდა, პოემის ყველა გამოცემული ეგზემპლარის განადგურების შესახებ. ეს ვერსია პასუხობდა ლიტერატურასთან საბოლოოდ „გამოთხოვების“ ვერსიასაც, გამომდინარე იქიდან, რომ „გასხივოსნებები“ მთლიანად „ქამამდე“ იყო შეთხზული. მაგრამ აშკარაა, რომ, თუ რემბო ეთხოვებოდა ლიტერატურას, მაშინ იგი 1875 წელს არც უნდა დაინტერესებულიყო „გასხივოსნებების“ ბედით, როცა მან ჟ. ნუვოსთან მათი დასაბეჭდად გადაგზავნა მოითხოვა.

სინამდვილეში კი რემბო „ქამში“ ეთხოვებოდა არა ლიტერატურას საერთოდ, არამედ ლიტერატურის გარკვეულ ფორმას, იმ ფორმას, რომელსაც იგი „ღამე ჯოჯოხეთშის“ ერთ-ერთ თავში უწოდებდა „ბალღური მუსიკის საეჭვო სურნელებების მცდარ ჩაგონებებს“. მეორე მხრივ კი ერთ-ერთ თავში სიტყვის ალქიმია დაგმობილია „წინასწარჭვრეტის“ ცდა, სახელდებული „ისტორიად ერთ-ერთი ჩემი ცდუნებებიდან“. რემბომ უარყო თავისი პოეზიაც, კერძოდ, მისი უკანასკნელი ლექსები, მათი განზრახული „მელოდიურობისა“ და „ბალღურობის“ გამო, რომლებიც თავის წარმოშობას, ალბათ, უნდა უმადლოდნენ თითქმის ვერლენს, რომლის გავლენაც ამიერიდან აღიქმებოდა, როგორც დამღუპველი.

ნიშნავდა თუ არა ეს განდგომა წარსულთან რემბოს „მოქცევას“, ქრისტიანობასთან მის შერიგებას ან ქრისტიანობაზე სვლას მაინც, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ვარაუდობს პ. კლოდელის თაოსნობით მიუხედავად გარკვეული „ცდუნებებისა ქრისტიანობაზე“, რომელიც თან ახლავს „ქამს“, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. იგი მეტი არაფერია, თუ არა კაეშანი სიწმინდესა და თავის ბავშვობისდროინდელ რწმენაზე, რომლებიც სამუდამოდ განქარდნენ. ამას თან ერწყმის გაბოროტებაც ქრისტიანობის წინააღმდეგ, რომლის დოგმების თანახმადაც, როგორც თვითონ თვლის, სამუდამოდ განწირულია: „მე მონა ვარ ჩემი ნათლისღების... ჯოჯოხეთი არ ემუქრება წარმართებს“. გაწირულობის ეს თემა „უცოდველი წარმართის“ თემით იცვლება, რომელიც ბურჟუას თვალში „საქონელს, ზანგს“ წარმოადგენს, მაგრამ სინამდვილეში კი უფრო სუფთაა, ვიდრე მისი მოსამართლეები. ასეთად ყოფნა სურდა რემბოსაც, გამუდმებით მშფოთვარეს გახრწნილ დასავლეთქრისტიანულ სამყაროსადმი სიძულვილსა („ბატონი პრუდონი დაიბადა ქრისტესთან ერთად“) და ბავშვობის სიწმინდედაკარგულ ტკივილიან გრძნობებს შორის. რაც უნდა იყოს, პოეტი დასძლევს ამ კრიზისს თითქმის შერიგებული თავის თავთან: ბოლო ორი თავი „ქამში“ მეტყველებს იმაზე, რომ ჯოჯოხეთი უკვე უკან დარჩა; პოეტი შესძახებს: „მონებო, უაზრობაა სიცოცხლის წყევლა!“

●

ოდესღაც, რამდენადაც მახსოვს, ჩემი ცხოვრება იყო ქეიფი, სადაც იფურჩქნებოდა გულები, სადაც ქაფდებოდა ღვინოები.

როგორღაც საღამოს ერთი ტურფა დავისვი მუხლებზე. - ის კი მწარე აღმოჩნდა. - და მე შეურაცხვყავ იგი.

მე ავმხედრდი სამართლიანობის წინააღმდეგ.

და გავიქეცი. ო ჯადოქრებო, მძულვარებავ და უპოვრობავ, მე თქვენ განდეთ ჩემი ურიცხვი საგანძური!

მე შევძელი მომესპო ჩემში ყოველგვარი იმედი. ჩავახშე ყველა სიამენი ამქვეყნიური - შეუბრალებლად, როგორც ველურმა ნადირმა.

მე ჯალათებს მოვუხმე, რათა დასჯის ჟამს ჩავაფრინდე მათი შაშხანების კონდახებს კბილებით. მოვუხმე უსიამოვნებებს, რათა ქვიშისა და სისხლისაგან გავიგუდო. უბედურება ვიტრფე, როგორც ღმერთი. ამოვიგანგლე ლაფში, შევშრი დანაშაულთა ქარში. გავაბრიყვე თვით უგუნურება.

და გაზაფხულმაც მიბოძა ძლევენი - იდიოტის ღუღუნა სიცილი.

მაგრამ აი, ამას წინათ განშორებისას, რათა მეპოვა გამოსავალი, თავი მოვიკატუნე უკანასკნელი ლაჩარივით და გადავწყვიტე, მომეძია უწინდელ ნადიმთა გასაღები, მერე კი იქნებ ხელახლა ვპოვო მადლამიქინი.

გა[illegible] იგი - მოწყალებაა. - და ზემთაგონებაც ამას ამტკიცებს, რომ მხოლოდ სიზმარია - მთელი წარსული.

„მარად ბილწად დარჩები შენ და ა. შ. - წამოიძახა დემონმა და სათუთი ყაყაჩოების გვირგვინით დამასაჩუქრა. - შენ, ყველა შენი ვნებებით, თავმოთნეობითა და სხვა მომაკვდინებელი ცოდვებით, ღირსი ხარ სულით ხორცამდე დაკარგვისა".

ღიახ, ბევრი ვიკისრე! მაგრამ ნუ გაგულისდებით ასე, საყვარელო სატანავ, გემუდარებით! და ნება მიბოძეთ, მოგართვათ სულ რაღაც წვრილმან უხამსობათა მოლოდინში დაგვიანებული ეს საზიზღარი ფურცლები დაწყევლილის უბის წიგნაკიდან - თქვენ, ვისაც ასე ძლიერ მოგწონთ მწერლურ ნიჭს პირწმინდად მოკლებული მწერლები.

## უგვანი სისხლი

მე წინაპარ-გალებისაგან დამყვა რძიან-ცისფერი თვალები, ქათმის ტვინი და მუშტიკრივში მოუქნელობა. ვფიქრობ, გამოვიყურები ისევე უაზროდ, როგორც ისინი. მხოლოდ ეს არის, რომ თავს არ ვითითხნი ზეთით.

გალები ატყავებდნენ და შიგნავდნენ პირუტყვებს, ბუგავდნენ ველებს - და ყველაფერ ამას აკეთებდნენ უნდილებივით.

მათგან დამყვა: გატაცება კერპთაყვანისმცემლობითა და მკრეხელობით; ყოველნაირი ბიწიერება - რისხვა, ავხორცობა - ო, რა საოცარია იგი, ავხორცობა! - სიცრუე და სიზარმაცეც აგრეთვე.

მძულს ხელობა ყოველნაირი. მეპატრონენი, მუშები, გლეხების ხროვა - ღვთის გლახები არიან ყველანი. ხელი კალმოსნის ფარდი არის მხვნელ-მთესველის მარჯვენისა. აი, ხელთა საუკუნე! მე კი ვიყავ და ვრჩები უხელო. მოშინაურება მეტისმეტად ცუდად მთავრდება ბოლოს და ბოლოს. მე კეთილშობილური სიდატაკე მიწევს სულს. ბოროტმოქმედნი კი საზიზღრები არიან, როგორც დაკოდილები; თუმცა მიმიფურთხებია ყოველივე ამისათვის - ეს ჩემი საქმე არ არის.

და მაინც, ნეტავ საიდან დევს ამდენი ცბიერება ჩემს ენაში, რომ ის აქამომდე ახერხებდა, წარემართა და დაეცვა ჩემი სიზარმაცე? მე ვცხოვრობდი და არც კი ვიცოდი სარგებლობა ჩემი სხეულით, უსაქმო, როგორც გომბეშო, - სად არ ვცხოვრობდი! ევროპაში ვის არ ვიცნობდი! მხედველობაში მაქვს ოჯახები ჩემი საკუთარის მსგავსნი, ადამიანთა უფლებების დეკლარაციის ნაბოლარები. - ვიცნობდი ამგვარი ოჯახების ნაშიერებსაც!

●

ეჰ, მე რომ აღმომჩენოდა წინამორბედნი ფრანგული ისტორიის თუნდ რომელიმე გზაჯვარედინზე!

მაგრამ ამგვართა ხსენებაც არ ჩანს.

აშკარაა, რომ მე ვარ უთვისტომო ადამიანი. ჩემთვის გაუგებარია, რა არის ჯანყი. ისეთები, როგორიც მე ვარ, აჯანყდებიან მხოლოდ ძარცვა-გლეჯისთვის - ასე ტურები ფლეთენ ნაკუწ-ნაკუწ სხვებისგან დახოცილ მხეცებს.

ვიხსენებ საფრანგეთის ისტორიას, ქვეყნისას, რომელიც ითვლება ეკლესიის უფროს ასულად. ეტყობა, მდაბიო გლეხმა ჩავაღწიე მე წმინდა მიწამდე; არ მავიწყდება გზები შვაბურ მიწაზე, ბიზანტიის ხედები, სოლიმის ციხე-სიმაგრის კედლები; მარიამის კულტი, ჯვარცმულის დანახვაზე გულჩვილობა იღვიძებს ჩემში ათასობით ამქვეყნიურ საოცრებათა გვერდით. - მე, კეთროვანი, ვზივარ თავის ქალათა ნამსხვრევების გროვაზე, ჭინჭართა ბარდებში, მზისგან გამოხრულ კედლის ძირში. - ხოლო საუკუნის შემდეგ, დაქირავებული ჯარისკაცი, მე, ალბათ, გერმანიის ცის ქვეშ ღამეს ვათენებდი.

ჰო, აი კიდევ რა: მე გატაცებით ვროკავ შაბაშებზე მეწამულ ველთა შუაგულში, დედაბრებთან და ბავშვებთან ერთად.

ჩემი თავის წარმოსახვაც აღარ ძალმიძს ამ მიწის გარეშე, ქრისტიანობის გარეშე. არ მოვიშლი ამ წარსულში ჩემი თავის წარმოსახვას, მაგრამ, მარად მარტოსული და მიუსაფარი აღარც კი მახსოვს, რა ენაზე ვლაპარაკობდი. ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი ეკლესიის მამებს შორის, ძლიერთა ამა ქვეყნისათა - ქრისტეს ნაცვალთა წრეში.

ვინ ვიყავი გასულ საუკუნეში? მე ხომ საკუთარი თავი მხოლოდ დღეს ვპოვე. არ არსებობენ უკვე მეტად მაწანწალები, არ არის არეულობა. ამქვეყნად ყოველი ბრბომ გაავსო - ახლა მათ ხალხს უწოდებენ; გონება, ერი, მეცნიერება.

ოჰ, მეცნიერება! მისი ძალაუფლების ქვეშ არის ყველა და ყოველი! სხეულისა და სულისთვის - წმინდა ზიარების სანაცვლოდ - მედიცინა და ფილოსოფია, შინაური წამალი კეთილი ნათლიდედების და ხალხური სიმღერები უახლესი არანჟირებით. მბრძანებელთა სიამენიც, და ოდესღაც აკრძალული თამაშობანიც! გეოგრაფია, კოსმოგრაფია, მექანიკა, ქიმია!..

მეცნიერება, ახალი არისტოკრატია! პროგრესი. სამყარო წინ მიიწევს! და რატომაც არ იტრიალოს მან თავის ადგას?

ო, რიცხვთა ხილვანი! ჩვენ სულთა სამეფოს ვუახლოვდებით. ამ წინასწარმეტყველების უტყუარობას მე ვუდგები თავდებად. ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაკი აღარ ძალმიძს წარმართული სიტყვიერების გარეშე, მიჯობს, დავდუმდე.

●

ამეტყველდა სისხლი წარმართული! სულთა სამეფო ახლოა, მაშ, რად არ უბოძებს კეთილშობილებას და თავისუფლებას ჩემს სულს ქრისტე? სამწუხაროა, თავისი დრო მოჭამა თვით სახარებამაც! სახარება, სახარება!

მე ღმერთს ველოდები, როგორც გემრიელ კერძს გურმანი. მე ხომ პლებეი ვარ უხსოვარ დროიდან.

აი მე არმორიკანულ ზღვისპირასა ვარ. დაე, იგიზგიზონ ქალაქებმა დაისის ცეცხლში. ჩემი დღე აღსასრულს უახლოვდება, მე ვტოვებ ევროპას. ზღვის ჰაერი გამომწვავს ფილტვებს. თვალუწვდენელი სივრცეების მზე კანს დამითრიმლავს. ვინაოსნებ, მწვანე მოლზე ვიკოტრიალებ, ვინადირებ და, თავისთავად, მოვწევ კიდევაც; მივეძალები ლითონივით გავარვარებულ სასმელებს – როგორც აკეთებდნენ ამას კოცონთან მსხდარი უძვირფასესი წინაპრები.

და როდესაც დავბრუნდები, მე მექნება ფოლადის კუნთები, მზემოკიდებული კანი, გააფთრებული მზერა. ყოველი ჩემი შემხედვარე მაშინვე მიხვდება, რომ ვარ ძლიერი ჯიშისა. მექნება ოქრო; ვიქნები უსაქმური და სასტიკი. ქალებს უყვართ ხეტიალი აი ასეთ, ცხელი ქვეყნებიდან დაბრუნებულ, მრისხანე ხეიბრებთან. მე ჩავებმები პოლიტიკურ ინტრიგებში. და მეშველება.

ჯერჯერობით კი დაწყევლილი ვარ, მაძრწუნებს სამშობლო. უმჯობესია – უგონოდ დავთვრე და დავიძინო სადმე ნაპირზე.

●

ვერსად ვერ წავალ. – ვიხეტიალებ აქაურ გზებზე, ბიწიერების ტვირთქვეშ ქანცგაწყვეტილი, ჯერ კიდევ გონების გამოღვიძების ჟამს რომ გაიდგა თავისი მტანჯველი ფესვები ჩემში, – გარყვნილებისა, ზეცამდე რომ აღწევს, მლანძღავს, მამათრახებს, ძირს მანარცხებს და თან მიმათრევს.

უმანკოების ნარჩენები მოკრძალების ნარჩენებია. ყველაფერია ამით ნათქვამი. საქვეყნოდ ხომ არ გამოვფენ ჩემს ზიზღსა და ჩემს ღალატს უთვალავს.

რა გაეწყობა! საცალფეხო გზა, ტვირთი, უდაბნო, კაეშანი და მრისხანება.

ვის ვემსახურო ნეტავ, ვისთან დავდგე ქირით? რომელ ურჩხულს ვცე თაყვანი? რომელი სალოცავი წავბილწო? ვისი გულები გავანადგურო? ან რა სიყალბე ვატარო? და გავიარო ვისი სისხლით?

მთავარია – მართლმსაჯულებისგან შორს დაიჭირო თავი. – ცხოვრება მკაცრია, გამოჩლუნგებამდე მარტივი, – ხომ არ გადავხადო კუბოს თავსახური ჩემი ჩამომხმარი ხელით, ჩავწვე შიგ და გავიგუდო? მაშინ არ შეგაშინებს არც სიბერე, არც ხიფათები: საშინელებანი საერთოდ არ არსებობენ ფრანგებისთვის.

ოჰ, მე ისე მარტო ვარ, რომ მზად ვარ, ჩემი სწრაფვა სრულყოფისაკენ მსხვერპლად შევწირო ნებისმიერ ღვთაებრივ სახეს.

ო, ჩემი თვითგანდგომა, ო, ჩემი საკვირველი გულმოწყალება! მაგრამ ისინიც – ვაი, რომ! – ამქვეყნიურია!

De profundis Domine! რა აბუეტი ვარ!

●

ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში აღტაცებული ვიყავი გამოუსწორებელი კატორღელით, რომლის ირგვლივაც სამარადჟამოდ შეიკვრნენ ციხის კედლები; მე დავიარე ხანაგები და ფუნდუკები, გაბრწყინებულნი მისი იქ ყოფნით; მისი თვალებით მე ვუმზერდი ცისფერ ზეცას და ყვავილიან ველთა მზრუნველობას; მის საბედისწერო ბედს ვგრძნობდი უცხო ქალაქებში. ის დიდად ძლევამოსილი იყო ნებისმიერ წმინდანზე და გამჭრიახი ნებისმიერ პირველგამვლელზე; და იგი, მხოლოდ იგი იყო საკუთარი დიდებისა და სიმართლის მოწმე.

როდესაც მე, მიუსაფარი, დამშეული, ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი, ვეხეტებოდი გზებზე ზამთრის სუსხიან ღამეებში, ჩემს გაშეშებულ გულს ვიღაცის ხმა აიძულებდა, შეკუმშულიყო: „სისუსტე თუ ძალა – აირჩიე!



*რემბო. ვერლენის ნახატი*

შენ აირჩიე ძალა. შენ არ იცი, საით და რატომ მიდიხარ, – მაშ შედი ნებისმიერ სახლში, ნებისმიერ კითხვას გაეცი პასუხი. სიკვდილი გემუქრება შენ არა უმეტეს, ვინემ ლეშს“. დილისთვის კი ისეთი გაოგნება კრთოდა ჩემს მზერაში, ხოლო გარეგნობა ისე უსიცოცხლო იყო, რომ გამვლელები ვერც კი მამჩნევდნენ, მგონი.

ქალაქის ლაფი ანაზდეულად მეჩვენებოდა შავწითლად, ვით სარკე ნავთის ლამპის შუქზე, რომელიც ადგილიდან ადგილზე გადააქვთ მეზობელ ოთახში, ტყეში გადამალული განძივით. „ო, რა კარგია!“, – ვყვიროდი მე, ვხედავდი რა ცაზე ცეცხლის და კვამლის მთელ ზღვას, ხოლო მარცხნივ და მარჯვნივ – უთვალავ, მირიად ელვით აგიზგიზებულ განძთა გროვას.

მაგრამ ქეიფი და ქალთა საზოგადოება არ არსებობდა ჩემთვის. არც ერთი ამხანაგი. ვხედავ საკუთარ თავს აწრიალებული ხროვის წინაშე, განაჩენის გამოსატანად მწყობრში ჩამდგარი ოცეულის პირისპირ: ვტირი იმის გამო, რომ მათ არ ესმით ჩემი, და ვპატიობ მათ – ჟანა დ'არკივით. – „მღვდლებო, სიცოცხლის გამგებელნო, მასწავლებლებო, თქვენ ცდებით, მართლმსაჯულებას რომ გადამცემთ! ამ ხელზე მოსამსახურეებთან არაფერი მაქვს საერთო; ქრისტიანი არასოდეს ვყოფილვარ; მე იმ ტომიდანა ვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



წამების ქვეშ რომ მღერიან; მე არ შევიგნე კანონები; წარმოდგენა არ მაქვს მორალზე, მე ვარ ველური - თქვენ ცდებით..."

ჩემთვის მიუწვდომელია თქვენი განათლებულობა. მე პირუტყვი ვარ, ზანგი, მაგრამ მე გადარჩენაც შემიძლია. აი თქვენ კი - ყალბი ზანგები, სისხლმოწყურებული და გაუმაძღარი მანიაკები. მეწვრილმანევ, შენ ზანგი ხარ; მოსამართლევ, შენ ზანგი ხარ; მეომარო, შენ ზანგი ხარ; იმპერატორო, გარყვნილო ბებერო, შენ ზანგი ხარ, სატანის სარდაფიდან კონტრაბანდულ ლიქიორ-ნაყლაპი. - მთელი ეს ბრბო ციებ-ცხელებითა და კიბოვანი სიმსივნის სიმყრალით სუნთქავს. ხეიბრები და ბებრუცუნები ისეთ პატივს ჩამაგონებენ, რომ ეგრევე ცოცხლად მინდა მოვხარშო. - უნდა შევძლო ვირეშმაკული და დავტოვო ეს კონტინენტი, რომელზედაც უგუნურება დახეტიალობს და თავს უყრის მძევლად თავისთვის ამ არამზადებს. დავბრუნდე ქამის ძეთა ჭეშმარიტ სამეფოში.

ვუწყი თუ არა მე, რა არის ბუნება? და მე თვითონ ვინა ვარ? - კმარა სიტყვები. ცხედრებს მე ვმარხავ საკუთარ ღიპში. შეძახილები, დაფდაფთა გრიალი, როკვა, როკვა! არც მინდა ვიფიქრო იმ საათზე, როცა თეთრების მოსვლით მე მშთანთქავს არარსებობა.

შიმშილი, წყურვილი, შეძახილები, როკვა, როკვა, ო, ეს მარადიული როკვა!

გადმოსხდნენ თეთრები. ზარბაზანის ზალპია! მომიწევს ნათლობის მიღება, ძონძების ჩაცმა და მუშაობა.

მაღლმა გულში მოწყალებით ჩამოიხედა - ამას ნამდვილად არ მოველოდი!

მე არავისთვის მსურდა ბოროტება, დღეები ჩემი იქნება მსუბუქი, მონანიებისგან ხსნილი ვიქნები. სული ჩემი არ იგემებს წამებებს - იგი თითქმის მკვდარია სიკეთისათვის, სამგლოვიარო სანთელივით რომ აფრქვევს ასე შემაძრწუნებელ შარავანდს. ღვდლის ბიჭის მწარე ხვედრი - ნაადრევი საფლავია, დანამული გამჭვირვალე ცრემლებით. გარყვნილება, რა თქმა უნდა, სისულელეა, ბიწიერებაც. მთელი ეს სიდამპლე სადმე შორს უნდა მოისროლო. მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა ჟამი, როცა საათის რეკვა იქნება მარტოოდენ ჭეშმარიტი მწუხარების მაუწყებელი. ან იქნებ მე გამიტაცონ, როგორც ბავშვი, და მე, ვინაც ყველა უბედურება დავივიწყე, სამოთხეში ვითამაშებ ჩემთვის, მარტო!

იჩქარე! ვინ იცის, გველოდებიან კი ჩვენ სხვა სიცოცხლენი? - ძილი და სიმდიდრე შეუთავსებელია. სიმდიდრე საზოგადოებას ეკუთვნოდა ყოველთვის. მხოლოდ ღვთიური სიყვარული გვაჩუქებს შემეცნების გასაღებებს. მე დავრწმუნდი, რომ ბუნება - სიკეთის ხილვადობაა მხოლოდ და მხოლოდ. მშვიდობით, ქიმერებო, იდეალებო, ცდომილებავ!

ანგელოზების გონიერი გალობა აღწევს მაშველი ხომალდიდან: ეს ხმაა ღვთიური სიყვარულისა. - სიყვარული მიწიერი და სიყვარული ზეციერი! მე შემიძლია მოვკვდე მხოლოდ მიწიერით, მოვკვდე ერთგულებისაგან. მე მივატოვე ისინი, ვისი სულებიც ჩემთან განშორებით დაიტანჯებიან. მეძებეთ ხომალდის დაღუპვისას დაზარალებულთა შორის, მაგრამ განა დარჩენილები ჩემი მეგობრები არ არიან?

გადაარჩინეთ ისინიც!

მე დავჭკვიანდი. სამყარო კეთილია. მე დავლოცავ სიცოცხლეს. შევიყვარებ საძმოს ჩემსას. ყველაფერი ეს ამჯერად უკვე სრულებითაც არ არის ბავშური დაპირება. დაპირების მიცემისას არ მაქვს იმედი, სიბერესა და სიკვდილს გავექცე. ღმერთი ძალას მაძლევს, და მე ვადიდებ ღმერთს.

●

უკვე არ მომწონს მოწყენილობა. შფოთი, სიგიჟე, სიძვა - ჩემთვის კარგად ცნობილია ყველა მათი იკლიკანტობა, მათგან ქმნილი ყველა უბედურებანი, - ჩამოვიფერთხე მათი ტვირთი. მაშ, შევაფასოთ ბარემ ფხიზლად, თუ რამდენად დიდია ჩემი უცოდველობა.

მე უკვე არ დავჯერდები გამათრახებას. საქორწინო ნადიმზე კი არ მივდივარ, არ ვაპირებ ქრისტეს სიძედ აღვკიდო.

მე ტყვე არა ვარ ჩემი გონების. მე ვთქვი ღმერთი: მე გადარჩენაში თავისუფლება მწყურია, მაგრამ სად ვპოვო იგი? მე ფუქსავატურ გატაცებებს თავი ვანებე. არ ვსაჭიროებ არც თავგანწირვას და არც სიყვარულს ღვთიურს. არ ვნანობ, რომ უკვე განვლო საუკუნემ მგრძნობიარე გულთა. თავისებურად მართალნი არიან სიძულვილიც და გულმოწყალებაც. კეთილგონიერების ამ ანგელოზურ კიბის მწვერვალზე მე მხოლოდ ჩემთვის ვიტოვებ ადგილს.

ხოლო რაც შეეხება მყარ ბედნიერებას, ოჯახურს თუ სხვაგვარს... არა, არა, მე შემეშვით! მეტისმეტად ქარაფშუტა ვარ, მეტისმეტად უძლური. ცხოვრება ფასობს შრომით - ძველი ჭეშმარიტებაა, - მაგრამ ჩემი ცხოვრება ხომ მეტად ფუქსავატურია: ის აიჭრება და ლივლივებს მთელი სამყაროს მიერ ესოდენ დაფასებულ მოღვაწეობის სარბიელზე.

როგორ ვგავარ შინაბერას - ვაჟკაცობა აღარ მყოფნის, რათა სიკვდილს გავუმიჯნურდე!

ო, ნეტავ, უფალს რომ ებოძა ჩემთვის ჰაეროვანი, ზეციური სიმშვიდე, ლოცვა - როგორც ძველ წმინდანებს! წმინდანებო! სულით ძლიერნო! ანაქორეტებო, ხელოვანნო, - თუმცა ამჟამად თქვენ ვის სჭირდებით?

დაუსრულებელი ფარსი! ერთიც ვნახოთ და, ცრემლებამდე მიმიყვანს მე საკუთარი უცოდველობა.

ცხოვრება - მსოფლიო ფარსია.

●

კმარა! შურისგების ჟამმა ჩამოკრა. - წინ!

გიზგიზებენ ჩემი ფილტვები, საფეთქლებს გააქვთ გუგუნი. ღამე, მზით აჩქარებული, მოგორავს ჩემს თვალებში! ო, გული ჩემი... ო, ჩემი სხეული...

საით მივდივართ ჩვენ? სასაკლაოზე? ო, რა უძლური ვარ! მტერი სულ უფრო ახლოს არის. ქვემეხები, იარაღი... დროა!..

მესროლეთ! მიდით, მესროლეთ, რაღას უცდით! აი აქ! ანდა - ჩაგბარდებით, - მშიშრებო! - თავს მოვიკლავ! ცხენებს ფლოქვებქვეშ ჩავუვარდები!

ეჰ!..

თურმე ყველაფერს შეიძლება შეეჩვიო.

ეგ წმინდა ფრანგული ბედი იქნება, ღირსების კვალი!

## ღამე ჯოჯოხეთში

ბლომად კი ვყლურწე საწამლავი! - ო, სამგზის კურთხეულო წაქეზებავ! - მეწვის შიგანი. საბედისწეროდ დამღვლარჭნა მე შხამის სიმძაფრემ, დამამახინჯა, გამაკრა მიწას. ვკვდები წყურვილით, არ მყოფნის ჰაერი, ძალა არა მაქვს, რომ ვიყვირო. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯოჯოხეთია, წამებანი მარადიული! უყურეთ, როგორ ვარვარებს ალი! აცხუნებს, როგორც საჭიროა. მიდი, დემონო!

მე ხომ სიკეთისა და ბედნიერების შესაძლებლობა მელანდებოდა, გადარჩენის შესაძლებლობა. მაგრამ როგორ აღვწერო ეგ წყვდიადი, თუ ჯოჯოხეთი ვეღარ იტანს ქება-დიდებას. ისინი იყვნენ უმშვენიერეს ქმნილებათა მირიადები, საამური სულიერი გალობა, ძალა და დაოკება, დიდსულოვნური მისწრაფებები და, ვინ იცის, კიდევ რა?

კეთილშობილური მისწრაფებები!

მე ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! - მაგრამ ჯოჯოხეთური ტანჯვანი თუ მართლაც არის მარადიული? ადამიანი რომელიც ხელს აღმართავს საკუთარ თავზე, საუკუნოდ დაწყევლილია, ასე არ არის განა? მე მჯერა, რომ ჯოჯოხეთში ვარ, მაშასადამე, ეს ასეა. აი რას ნიშნავს კატეხიზისის დოგმებით ცხოვრება. მე მონა ვარ ჩემი ნათლისღებისა. ჩემო მშობლებო, მე თქვენ გამაუბედურეთ, და თვით თქვენი თავიც. საბრალო უმანკო კრავი! მაგრამ წარმართებთან ქვესკნელს ვეღარ დაეუფლები. - მე ჯერ ისევ ცოცხალი ვარ! დროთა განმავლობაში ბევრად საგრძნობი გახდება კრულვის სიამენი. დანაშაულო, იჩქარე, ჩამაგდე არყოფნაში და აღასრულე ადამიანური კანონი შენი.

გაჩუმდი, კარგია ერთი!.. სამარცხვინოა აქ სამდურავი: სატანა ამტკიცებს, რომ ეს ცეცხლი ბილწია, ჩემი მრისხანება კი შემზარავად სულელურია. - კმარა!.. ჩემთვის საკმარისია ყველა ეს მცდარი ჩაგონებანი, ეს თილისმები, ბალღური მუსიკის საეჭვო სურნელებანი. - წარმოიდგინეთ, მეჩვენებოდა, თითქოს ვფლობდი ჭეშმარიტებას; ვიცი, რა არის სამართლიანობა, შემიძლია საღად მსჯელობა, - რომ მოვმწიფდი სრულყოფილებისათვის... ეს რა ამპარტავნებაა! - ტყავი მახმება თავზე, შემიწყალე! ღმერთო, მეშინია. მწყურია, ო, როგორ მწყურია! აჰ! ბავშვობავ, ბალახო, წვიმავ, ტბაო კლდოვან ნაპირებზე და მთვარის შუქო სამრეკლოს თავზე, როცა რეკენ კურანტები შუაღამისას... სწორედ იმ დროს, ოდეს სამრეკლოს მოინახულებს დემონი. მარიამ! ყოვლად წმინდაო ქალწულო!.. რა საშინელი აბუჩქი ვარ.

ეგ ვინ არიან მანდ, იქ, ქვემოთ, მართლაც კეთილი სულები ხომ არა, ჩემთვის სიკეთის მსურველნი?.. მაშ, რად აჯანჯლებთ?.. ჩემი მოშთობა სწადიათ ბალიშით, მათ ყვირილით რას გააგონებ, ისინი მოჩვენებანია მხოლოდ და მხოლოდ. ამასთანავე, არავინ და არასოდეს არ ფიქრობს არავისზე, გარდა საკუთარი თავისა. არ მომეკაროთ. ტრუსის სუნი მდის, სწორედ ასეა.

ბოლო არ უჩანს ცდუნებებს. ჩემთან ეს მუდამ ასე იყო: იოტისოდენ არ მჯეროდა მე ისტორიის, ვივიწყებდი მაღალ პრინციპებს. მაგრამ ამაზე დავდუმდები, თორემ მგოსნებსა და წინასწარმეტყველთ შეშურდებათ. მე ხომ მათზე მდიდარი ვარ ათასჯერ უფრო, სამაგიეროდ, ძუნწიც, როგორც მორევი ზღვისა.

აი, თურმე რა! - ეს-ეს არის, გაჩერდა სიცოცხლის საათი. მე ამქვეყნად უკვე არა ვარ. - თეოლოგია - სერიოზული რამეა, ქვესკნელი მართლაც სულ დაბლაა, ზეცა კი მაღლა. - გახელება, კოშმარი - სიზმარია ცეცხლოვან პატარა ბუდეში.

მართლაცდა, რამდენია ირგვლივ ყოველნაირი ბოლმა და ცბიერება!.. აი სატანა ფერდინანდი მოქრის, ღვარძლს მოანთხევს... ისეო მოაბიჯებს მეწამულ ეკლოვანში, ტოტებს არც ეხება... ხომ მიაბიჯებდა დაუცხრომელ ზღვაზეც იგი! ჯადოსნური ფარნის შუქზე ჩვენ ეხედავდით, როგორ დგას იგი - ერთთავად თეთრი და მხოლოდ თმის კულულებია წაბლისფერი - ზურმუხტისფერი ტალღის ქოჩორზე...

ახლა მე გაგიმხელთ ყველა საიდუმლოს: ბუნებასა და რელიგიაზე, საიდუმლოებს სიკვდილსა და დაბადებაზე, მომავალსა და წარსულზე, სამყაროს შექმნისა და არმყოფობის საიდუმლოებს. მე ხომ ფანტასმაგორიის ოსტატი ვარ.

მიგდეთ ყური!

რა და რაგვარი ნიჭით არ ვარ დაჯილდოებული! - აქ თითქოსდა არავინ არის და ამავე დროს არის ვიღაც: არ ვისურვებდი, მათ წინაშე გამეფლანგა ჩემი განძი, - გსურთ, მოისმინოთ ზანგური სიმღერები, დაინახოთ ჰურიათა როკვები? გინდათ, ჩავყვინთო და მორევში გავუჩინარდე? გინდათ? - ოქროც შემიძლია შევქმნა თქვენთვის და სხვადასხვა წამალიც.

მაშ, მენდეთ მე - რწმენა ნუგეშისმცემელია, იგი კურნავს, ჭეშმარიტების გზაზე აყენებს. მოდით ჩემთან, ყველანი - პატარა ბავშვებიც, - და მე განუგეშებთ თქვენ, გაჩუქებთ ჩემს გულს, ჩემს ჯადოსნურ გულს! - ღარიბ-ღატაკნო, მაშვრალნო! მე ლოცვებს კი არ ვითხოვ თქვენგან, მხოლოდ მენდეთ - და მეც ბედნიერი ვიქნები.

- და მერე, მოდით, ვიფიქროთ ჩემზე. მე მეტისმეტად ვდარდობ ამ სამყაროზე. მე ბედი მწყალობს თუნდაც იმიტომ, რომ წინანდელზე უფრო მეტად არ ვიტანჯები. ჩემი ცხოვრება იყო მხოლოდ უგუნურებათა საამო მწკრივი, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს.

რა დროს ეგაა: მოდით, ერთმანეთს დავემანჭოთ; ვნახოთ, ვის`რა შეუძლია.

აშკარაა, რომ ჩვენ სამყაროს მიღმა ვართ უკვე. არსაიდან ხმა. მე არაფერს ვგრძნობ. ო, ჩემი ციხეკოშკი, ჩემი საქსონია, ჩემი ბებერი ტირიფები! აისები, დაისები, ღამეები, დღეები... როგორ დავიღალე!

მე უნდა დამემსახურებინა ჯოჯოხეთი მრისხანებისთვის, ჯოჯოხეთი სიამაყისთვის, ჯოჯოხეთი ავხორცობისთვის - ჯოჯოხეთური ტანჯვათა მთელი სიმფონია!

აჰა, ვკვდები დაღლილობისგან. მე კუბოში ვარ, მატლების ლუკმა, აი, მართლაც საშინელებაა! სატანაც - ლიზლო, შენ გინდა სული ამომხადო შენი გრძნებებით. მე გემუდარები! გევედრები! თუნდაც ერთი დარტყმა ორკაპით, თუნდ ცეცხლის ერთი წვეთი!

ეჰ, ნეტავ დამაბრუნა სიცოცხლისაკენ! თუნდ ცალი თვალით დამანახა მისი მახინჯი სიფათი. ათიათასჯერ წყეულიმც იყოს ეგ -საწამლავი, ეგ ამბორი ჯოჯოხეთური. ყველაფერი კი ჩემი სისუსტეა და სისასტიკე ამა ქვეყნისა! უფალო ღმერთო, შემიწყალე, დამიცავი მე მართლაც ძლიერ ცუდადა ვარ! მე დაცულიც ვარ და დაუცველიც.

და მაღლა-მაღლა მიიწევს ალი ცეცხლმოკიდებულ ცოდვილთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სიტყვიერება ბოდვისას

1.

### უგუნური ქალწული
### ინფერნალური მეუღლე

მოვუსმინოთ ქვესკნელის თანაპატიმრის აღსარებას:

„ - ო, ღვთაებრივო მეუღლევ, ბატონო ჩემო, უარს ნუ მეტყვით, მოისმინოთ აღსარება ბედკრულისა თქვენს მხევალთაგან. დაღუპულის, ნაბახურევის, უწმინდურის. განა ეს არის ცხოვრება!

მაჩუქეთ შენდობა, ღვთაებრივო მეუღლევ, მაჩუქეთ შენდობა! შენდობა! რამდენი ცრემლი! და კიდევ რამდენი, იმედი მაქვს, დაიღვრება შემდგომ ცრემლი.

მერე მე შევიცანი ღვთაებრივი მეუღლე ჩემი! მე დავიბადე, რათა მას ვემსახურო, - ხოლო ამჟამად დე სხვამ გამქირდოს!

ამჟამად კი ქვეყნიერების ფსკერზე ვარ! ო, ჩემი დაქალები!.. თუმცა რომელი დაქალები ისინი იყვნენ... რა გაუგონარი ბოდვაა, რა არნახული წამებანი... ეს ყველაფერი სისულელეა!

ო, მე ვიტანჯები, მე ვბღავი. მე მართლაც წამებული ვარ. და მაინც, ნებადართულია ჩემთვის ყოველი - ჩემთვის, ზიზღგადმონთხეულისთვის უსაზიზღრეს სულთა მიერ.

მაშ, გავბედოთ ბოლოს და ბოლოს ეგ უამური აღიარება, რომც მოგვიწიოს განმეორება მისი თუნდ ოცჯერ მაინც, იგი ისეთი უფერულია, ისეთი კნინი!

მე მონა ვარ ინფერნალური მეუღლის, სწორედ მისი, ვინც უარყო უგუნური ქალწულები. სწორედ იმ დემონისა... იგი არ არის მოჩვენება და არც ცდუნება. მე, კეთილგონიერებადაკარგულს, სამყაროსათვის დაწყევლილს და მკვდარს, - მე უკვე ვერავინ მომკლავს! - როგორ აგიწეროთ იგი? მე ხომ ლაპარაკსაც გადავეჩვიე. მე მგლოვიარე ვარ, ცრემლიანი და მეშინია. სუფთა ჰაერის თუნდაც ყლუპი, ჩემო ბატონო, თუ იქნება თქვენი ნებართვა ამაზე, თუ მოწყალე თვალით მიყურებთ!

მე ქვრივი ვარ... ვიყავი ქვრივი... ჰო, ოდესღაც სავსებით კეთილგონიერიც ვიყავი და იმისთვის არ დავბადებულვარ, რომ ვქცეულიყავ ჩონჩხად! ის კი ხალასი ბავშვი იყო... მე მაცდუნა მისმა იდუმალმა დახვეწილობამ. სავსებით გადამავიწყდა ჩემი ადამიანური მოვალეობა - და გავეკიდე მას. აბა, განა ეს ცხოვრებაა! ნამდვილი ცხოვრების ხსენებაც არ არის. ჩვენ არ ვცხოვრობთ. მე იქით მივდივარ, საითაც მიდის იგი. ასეა საჭირო. ხოლო იგი წამდაუწუმ ჩემზე იყრის ჯავრს - თანაც ჩემზე, საბრალოზე დემონი! ზუსტად გეუბნებით მე თქვენ, სწორედ დემონი და არა ადამიანი!

და დაჟინებით იმეორებს: „ვერ ვიტან ქალებს. საჭიროა სიყვარულის ხელახლა გამოგონება, ეს ყველასათვის ნათელია. ქალებს მუდამ ერთი რამ უტრიალებთ თავში: მიაღწიონ უზრუნველყოფას, და რაკი მიზანი მიღწეულია, ყოველგვარი სულიერი აღტკინება და სილამაზე - ყველაფერი ეს, მყისვე ქრება და ყინულოვანი სიძულვილი რჩება მხოლოდ, პური არსობის ამჟამინდელი ქორწინებისა. ზოგჯერ შეგხვდება ქალი, მართლაც ბედნიერი - ასეთთან დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი, - მაგრამ თურმე, როგორც ირკვევა, მისი ხორცის ძვლებამდე შემოღრღნა ვინმე ავხორც ნაძირალას უკვე მოესწრო...“

მე ვუსმენ, თუ როგორ გარდაქმნის იგი დიდებად, შერცხვენას სისასტიკეს - მომხიბვლელობად. „წარმოშობით ვარ შორეული მხარეებიდან, ჩემი წინაპრები იყვნენ სკანდინავიელები. ისინი კლავდნენ ერთმანეთს, ადამიანთა სისხლს სვამდნენ. - მე დავისერავ სხეულს ჩემსას, მოვისვირინგებ, მინდა, გავხდე გონჯი-უგვანო, როგორც მონღოლი: შენ კიდევ გაიგონებ ჩემს ღრიალს ქუჩებში. მინდა, გავგიჟდე გააფთრებისგან. არ გაბედო განძეულის ჩვენება ჩემთვის, თორემ კრუნჩხვები დამეწყება. მინდა, რომ ჩემი საუნჯე სულ ერთიანად მოთხვრილი იყოს სისხლში. მე არასოდეს ვიმუშავებ...“ ღამღამობით კი არაერთხელ დამაცხრებოდა მასში ჩაბუდებული დემონი, ჩვენ ვგორაობდით იატაკზე, მე ვუძალიანდებოდი. - ხშირად იგი, გადამთვრალი, გვიან ღამით, ყრუ, უკაცრიელ შესახვევებში ან სახლებს უკან იმალებოდა, რათა დავეფრთხე. - „მე უსათუოდ გამომღადრავენ ყელს; ფუი, რა საძაგლობაა!“ ოხ, ის დღეები, როცა მას თავი შლეგად მოჰქონდა!

ზოგჯერ იგი ნაზი ჩიფჩიფით მოყოლას იწყებს სიკვდილზე, მონანიებისკენ რომ მოუხმობს, ბედკრულებაზე, რომელთაც ვერ ამოაგდებ სათვალავიდან, კატორღულ შრომაზე, გულების მომაკვდინებელ განშორებებზე... გარყვნილთა ბუნაგში, სადაც ჩვენ ვლოთიობდით, ირგვლივ თავმოყრილ გლახაკთა საძმოს დანახვისას იგი ტიროდა. ჩაბნელებული ქუჩებიდან თავს მოუყრიდა ლოთებს. დედა-მეგერა ებრალებოდა მისი პატარების გამო. - და გაეცლებოდა იქაურობას გოგონას იერით, რომელმაც საღვთო სჯულის გაკვეთილზე თავი გამოიჩინა. - ტრაბახობდა, რომ ის ყველაფერში ერკვევა: კომერციაში, ხელოვნებაში, მედიცინაში, - მე კი ფეხდაფეხ დავდევდი, რადგანაც ასე იყო საჭირო.

წარმოვიდგენდი ხოლმე იმ გარემოს, რომელშიც იგი გონებით გაეხვეოდა: ტანისამოსს, ფარდებს, ავეჯს; ხდებოდა, რომ მე მას ვჩუქნიდი გერბს ან ახალ სახეს. ვხედავდი ყველაფერს, რაც აღელვებდა მას, ყველაფერს, თითქოს თვითონ ქმნიდა ყოველივე ამას თავისთვის. როცა მე მეჩვენებოდა, რომ მას ნაღველმა დარია ხელი, ვმონაწილეობდი მის უცნაურ და თავსატეხ ოინებში, მართებულსა თუ საძრახისში; მაგრამ ჩემთვის ნათელი იყო, რომ ვერასოდეს შევაღწევდი მის სამყაროში. რამდენი უძილო ღამე გამიტარებია დახრილს, ამ ძვირფას რულმოკიდებულ სხეულზე ფიქრებში, თუ რად ესწრაფვის ამგვარად იგი, სინამდვილეს გაექცეს. აკი კაცთაგან ჯერ კიდევ არავის არ დაუსახავს მიზნად რაღაც ამის მსგავსი. მე მესმოდა - ყოველგვარი შიშის გარეშე მასზე, - რომ იგი საზოგადოებისთვის შეიძლება წარმოადგენდეს სერიოზულ საშიშროებას. - შესაძლოა რომ იგი ფლობდეს საიდუმლოებებს, რომელთაც ძალუძთ შეცვალონ ცხოვრება? არა, იგი მხოლოდ ეძიებს მათ, ვედავებოდი საკუთარ თავს. საბოლოოდ კი მისი კეთილშობილება მაჯადოებდა, მე ტყვე ვიყავი მისი. არც ერთ ძე ხორციელთაგანს არ ეყოფოდა ძალა - ძალა სასოწარკვეთისა! - რათა გაეძლო ამ კეთილმოწყალებისათვის, აეტანა მისი მფარველობა და სიყვარული. თუმცა მე იგი რომელიმე სხვა სულით ვერ წარმომედგინა: ჩვენ ძალგვიძს, ვხედავდეთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მფარველ-ანგელოზს და არამც და არამც სხვისას - ასე მგონია მე. მე მის სულში ვცხოვრობდი, ვით სასახლეში, რომლის ყველა ბინადარი გამოაძევეს, რათა არ დარჩენილიყო მასში არავინ, თუნდაც ნაკლებ კეთილშობილი, ვიდრე ჩვენა ვართ, მორჩა და გათავდა. ვაი რომ! მე დამოკიდებული ვიყავი მასზე, მაგრამ ნეტავ რა ხეირი იყო მისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემს უჟერულ და საზიზღარ არსებობაში? იგი არ ახდენდა კეთილნაყოფიერ გავლენას ჩემზე, გარნა თუ არ მღუპავდა მხოლოდ! მოწყენილი და მწუხარე ზოგჯერ ვეუბნებოდი მას: „მე მესმის შენი". ის მხრებს იჩეჩდა.

განუწყვეტელი კაეშნიანი შეტევებით ძლეულს, უფრო მეტად და მეტად ზნედაცემულის გრძნობებით, როგორც საკუთარ, ისე მათ თვალშიც, ვინც ისურვებდა ჩემკენ გამოხედვას, არ ვყოფილიყავ საყოველთაოდ მივიწყებამისჯილი, - სულ უფრო და უფრო მწყუროდა მისი სიკეთე. მის ამბორებსა და მეგობრულ ჩაკონებებს პირდაპირ ცამდე ავყავდი, ბინდით მოცულ ზეცამდე, სადაც დარჩენა მსურდა სამუდამოდ - ყრუს, ბრმას, მუნჯსა და უპოვარს. ამას უკვე ნელ-ნელა ვეჩვეოდი. და წარმოვიდგენდი ჩვენს თავს ჭკვიან არსებებად, რომელთაც მწუხარების სამოთხის ბაღში სეირნობის დართეს ნება. ჩვენ ვუხდებოდით ერთმანეთს. ერთიანი აღტკინებით მოცულნი ვეძლეოდით თავდავიწყებას. მაგრამ განმეორავი ალერსის მერე იგი ამბობდა: „საინტერესოა, როგორ ჰანგზე ამღერდები, როდესაც შენთან აღარ ვიქნები, - შენ ხომ უკვე გამოცადე ასეთი რამ, როცა ჩემი ხელები არ შემოეხვევიან ყელს შენსას და შენ არ შეგეძლება მომეყრდნო მკერდზე თავით, როცა ტუჩები არ შეეხებიან თვალებს შენსას! მე ხომ ადრე თუ გვიან მომიწევს წასვლა - შორს, ძალიან შორს, თანაც სხვებსაც ხომ უნდა მივხედო - ეს ვალია ჩემი, თუმცა არცთუ ისე სასიხარულოა ეს ყველაფერი, ძვირფასო ჩემო..." და მე მყის წარმოვიდგენდი, მისი გამგზავრების შემდგომ თავბრუდახვეული როგორ გადავეშვებოდი შავბნელ უფსკრულთაგან სიკვდილის უფსკრულში. და ვაიძულებდი, მოეცა პირობა, რომ იგი მე არასოდეს მიმატოვებდა. ის კი ამ სასიყვარულო პირობას ოცჯერ მაინც იმეორებდა. მაგრამ იგი ისეთივე არამტკიცე იყო, როგორც ჩემი მტკიცება: „მე მესმის შენი".

ო, მე არასოდეს ვეჭვიანობდი მასზე. ვფიქრობ, რომ იგი არ მიმატოვებს. სხვაგვარად - რა მოელის მას? არც ერთი მონათესავე სული, და სამუშაოსაც არასოდეს ხელს არ მოჰკიდებს. მას სურს იცხოვროს მთვარეულივით. მაგრამ კმარა კი მისი სიკეთე და გულმოწყალება, რათა რეალურ სამყაროში მიიღოს ადგილის უფლება? დროდადრო მე ვივიწყებ სიბრალულზე, რომელშიც ვვარდები: იგი შთამბერავს ძალებს, ჩვენ უცხოეთში გავემგზავრებით; ვინადირებთ უდაბნოებში, დავიძინებთ უცნობ ქალაქთა ქუჩებში - უდარდელად და ფიქრის გარეშე. ან კიდევ, ერთხელ მე გავიღვიძებ და კანონებიც და ზნე-ჩვეულებანიც - მისი მაგიური ძალის წყალობით - გახდება სხვაგვარი, ხოლო სამყარო, დარჩება რა თავისთავადი, მიმანდობს მე ჩემს სურვილებსა და სიხარულს, ჩემს უდარდელობას. მაგრამ მაჩუქებ კი შენ მე მას, ამ ფათერაკებით სავსე ცხოვრებას საბავშვო წიგნებიდან, ჯილდოდ ჩემი ტანჯვა-წამებისათვის? არა, ძალა არ შესწევს მას საამისო. მე არ ვიცი, რას ესწრაფვის იგი. ერთხელ როგორღაც წამოსცდა, რომ მისთვისაც ნაცნობია სიბრალული და სასოება, მაგრამ ეს მე არ უნდა შემეხოს. ჰქონდა კი მას შემთხვევა ღმერთთან ბაასის? იქნებ მე თვითონ უნდა მომეთხრო ღმერთისათვის. მაგრამ მე ისე დაბლა დავეცი, რომ ლოცვასაც გადავეჩვიე.

თავისი დარდის გაზიარებით - შევძლებდი კი მე, გამეგო ისინი უკეთ, ვიდრე დაცინვა მისი? იგი მტანჯავს, საათობით ნამუსში მაგდებს იმის გამო, თუ რას შეეძლო აეღელვებინე მე ამქვეყნად, და აღშფოთებულია, თუ ვტირი.

„აბა შეხედე აი იმ ახალგაზრდა ქარაფშუტას, ლამაზ და მშვიდ სახლში რომ შედის: მას ეძახიან დიუვალს, დიუფერს, არმანს, მორისს - განა სულ ერთი არ არის. ეს ღვარძლიანი იდიოტი შეიყვარა ერთმა ქალმა: იგი გარდაიცვალა, რასაკვირველია, ადგილი მისი ზეცაშია, წმინდანებს შორის. აი შენც ასე გინდა, ბოლო მომიღო, როგორც მან მოუღო ბოლო მას. ასეთია ჩვენი ხვედრი - ხვედრი გულჩვილ ადამიანთა..." სამწუხაროდ, ყოფილა დღეებიც, როცა ნებისმიერი მოქმედი ადამიანი მას ბოდვის ნაყოფად ეჩვენებოდა: ასეთების ცქერისას იხრჩობოდა საზიზღარი ხარხარით - შემდგომ კი ისევ მოსიყვარულე დედის, საყვარელი დის იერს მიიღებდა. თუნდაც ცოტათი მაინც დელიკატური რომ ყოფილიყო, ჩვენ გადავრჩებოდით. მაგრამ მისი დელიკატურობაც კი მომაკვდინებელია. მე ვემორჩილები მას, - ო, უგუნური!

ოდესმე იგი იდუმალად გაქრება, ალბათ, მაგრამ უნდა ვიცოდე, მოახერხებს კი იგი აფრენას ცაში; მინდა, თუნდ თვალის ერთი შევლებით ვნახო ჩემი მეგობრის ცად ამაღლება!

ხოხ, რა წყვილია!

## სიტყვიერება ბოდვისას

II

### სიტყვის ალქიმია

საკუთარი თავის შესახებ; ერთ-ერთი ჩემი ცდუნებებიდან.

მე ოდითგანვე ვტრაბახობდი, რომ თვით ჩემში დამაქვს ნებისმიერი პეიზაჟები, და თანამედროვე ფერწერისა თუ პოეზიის სახელგანთქმული ქმნილებანი სასაცილოდ მეჩვენებოდა.

მე მომწონდა ჭკუამოკლეთა ნახატები, პანოები კარებს ზემოთ, მოხეტიალე კომედიანტთა აფიშები და დეკორაციები, ფირნიშები, სახალხო ბაზრობები, მოძველებული სიტყვიერება, საეკლესიო ლათინური, უნიჭო და სკაბრეზული მაკულატურა, რომანები, რომლითაც ტკბებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ჯადოსნური ზღაპრები, საბავშვო წიგნები, ძველებური ოპერები, სულელური ტექსტები და მისამღერები, მიამიტი რიტმები. მე ვოცნებობდი ჯვაროსნულ ომებზე, უგზო-უკვლოდ დაკარგულ ექსპედიციებზე, სახელმწიფოებზე, ლეთაში რომ ჩაიძირა, მინელებულ რელიგიურ ომებზე, ძირ-ფესვიანად შეცვლილ ზნე-ჩვეულებებზე, ხალხთა გადასახლებებზე და მატერიკთა გადაადგილებებზე: მე მწამდა ყველა ამ სასწაულის.

მე გამოვიგონე ხმოვანთა ფერები! - *ა* - შავია, *ე* - თეთრი, *ი* - წითელი, *ო* - ლურჯი, *უ* - მწვანე. - მე დავაწესე ყოველი თანხმოვნის განსაკუთრებული დამწერლობა და გამოთქმა და, ვმოქმედებდი რა უსარგებლოდ მიგდებული რიტმებით, მეჩვენებოდა, რომ გამოვიგონე პოეზიის ზმნა, რომელიც ოდესმე შესმენილი იქნება ერთბაშად ყველა ჩვენი გრძნობის მიერ. და მის ახსნა-განმარტებაზე ვიტოვებდი ჩემთვის უფლებას.

ყველაფერი ძიებებით დაიწყო. მე მდუმარებისა და ღამის ხმებს ვიწერდი, ვცდილობდი, გამომეთქვა გამოუთქმელი. აღვბეჭდავდი მსვლელობას თავბრუდახვევის.

*ფრინველებისგან, ნახირისგან, დასახლებისგან*
*დაშორებული,*
*რას ვსვამდი მე მინდორ-ველზე ამ ნაშუადღევს,*
*სათუთ თხილნარში მუხლმოდრეკილი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*მომწვანო და ორთქლიან ნისლში?*

*რა შემეძლო მე დამელია მშფოთვარ უაზის
ნაპირებთან
ყვითელი მათარებიდან? -როს მამისეული სახლი
შორსაა,
უალერსოა ცის კამარა, დუმან თელები.
- ვსვამდი ოფლსადენ და ოქროსფერ წვენს.*

*გადავიქეცი სამიკიტნოს მაცდურ ფირნიშად.
ჭექა-ქუხილი მიწყდა, მზეც ჩაესვენა.
ტიალ ქვიშნარში ნაკადული დაიწრიტა და შემდეგ
ღვთიური ქარი წუმპეებში ხოშკაკალა სეტყვას
ისროდა.*

*ხოლო მე უხმოდ ვქვითინებდი - და სმა სულაც
არ მახარებდა.*

●

*ივნისის თვეა, გარიჟრაჟი გვიახლოვდება,
საყვარლებს სძინავთ საოცრად ტკბილად.
ბაღში ვერა და ვერ გაიფანტა
მქისე სუნი ღრეობებისა.*

*ხოლო მვრგვინავ სახელოსნოში, სადაც აფრქვევენ
თავის ნათება-ბრწყინვალებას ჰესპერიდები,
ჩამოსული ხუროების ბრიგადებმა
თავიანთ საქმეს მოჰკიდეს ხელი.*

*დინჯად, მშვიდად და აუჩქარებლად
ისინი ძველი ფიცრებიდან ჭედავენ-კრავენ ვეება
ფარს,
სადაც ქალაქი თავის ცრუ სახეს
წარმოაჩენს მთელი სისავსით.*

*და შენ, ვენერავ, მათი გულისთვის,
ბაბილონიდან ჩამოღწეული მშენებლების
პატივსაცემად,
თუნდ ერთი წამით დაანებე საყვარლებს თავი,
თუმც შემკობილან შენი გვირგვინით.*

*ჰოი, მწყემსთა დელოფალო,
შენ მათ მიართვი თითო ფიალა,
რომ ალალ-მართალ გარჯის შემდეგ
განიბანონ შუადღის ზღვაში.*

●

ნაირ-ნაირი პოეტური ძველმანები ჩემს სიტყვიერ ალქიმიას მოერგო დროზე. მე მივეჩვიე ცდუნებებიდან უმარტივესებს: აშკარად ვხედავდი მეჩეთს ქარხნის ადგილას, მედოლეთა სკოლას ანგელოსების ხელმძღვანელობით, შარაბანებს ზეციურ გზებზე, სალონებს ტბის სიღრმეში, ვხედავდი მონსტრებს და მისტერიებს; შიშის ზარს მცემდა რომელიმე ვოდევილის სახელწოდება.

და შემდეგ სიტყვიერი ცდუნებების დახმარებით განვმარტავდი ჩემს ჯადოსნურ სოფიზმებს.

ბოლოს და ბოლოს მე შევიგნე განხეთქილების სიწმინდე, ჩემს ცნობიერებას რომ დაუფლებოდა. მე ზანტი ვიყავი, მტანჯავდა მძიმე ციებ-ცხელება, მე მშურდა ქმნილებათა ნეტარი არსებობა - მუხლუხების, უბიწობის განსახიერებებს სამოთხის კარიბჭესთან, თხუნელების ქალწულურ თვლემას რომ ასახიერებდნენ თავიანთ თავში.

აუტანელი გამიხდა ხასიათი. ვემშვიდობებოდი სამყაროს და ვხედავდი რაღაც რომანსების მსგავსს:

## ყველაზე მაღალი კოშკის სიმღერა

●

*ბარემ მოდი, ჩემკენ წამო,
მკერდში აღელვების ჟამო!*

*მე იმდენი მოთმინება
ჩავაქსოვე მოლოდინში!*

*გაიფანტნენ ეჭვები,*

*ჩაქრნენ ტანჯვა-წამებანი.
თუმც წყურვილით - მარადისით -
მოწამლულა სისხლძარღვები.*

*მოდი რაღა, ჩემკენ წამო,
მკერდში აღელვების ჟამო!*

*შენ - ადგილი მივარდნილი,
უკვე ყველამ დაგივიწყა,
სადაც ოროვანდებს შორის -
ხარობს ჭინჭრისდედა,
სადაც ულმობელი ბაზი
მყრალ ბუზს ემეზობლება.*

*ბარემ მოდი, ჩემკენ წამო,
მკერდში აღელვების ჟამო!*

მე შემიყვარდა ადგილები უკაცრიელი, ბაღები ხვატისაგან გადაბუგული, ძველი დუქნები, ნელთბილი სასმელები. დავეხეტებოდი მყრალ შუკებში და, თვალმოჭუტული, სახეს ვუშვერდი მზეს, ცეცხლის მბრძანებელს.

„გენერალო, თუ შენი სიმაგრის ნანგრევებზე დარჩა თუნდაც ერთი ძველი ქვემეხი, დაგვიშინე მშრალი მიწის კოლბოხები. დაუშინე მდიდრულ მაღაზიათა ვიტრინებს, სალონებს! დაე, ქალაქმა საკუთარი მტვერი ყლაპოს. დე, ჟანგმა გამოღრღნას მისი წყალსადინრები. დაე, მისი ბუდუარები დაიხრჩვნენ როდინში დანაყილ მცხუნვარე ბადახშისაგან...“

ო, როგორ თვრებიან სეირანზე სამიკიტნოში ბოცომკალები, ბორანჯოს ხასები, - თვრებიან და ორთქლდებიან მზის სხივებში!

## შიმშილი

●

*მე ძლიერ მიდრეკილებას ვგრძნობ
მხოლოდ კლდისა და ლოდის მიმართ.
მე ყოველ დილას ვსაუზმობ
ჰაერით, რკინით და ნახშირით.*

*ჩემო შიმშილო, ინავარდე, იბალახე
სიტყვიერების ველ-მინდვრებზე,
რათა მალე მოიწამლო
გულყვითელა ბაიებით.*

*გადასანსლე ღორღი, ჩახეთქე რიყის ქვები,
გამოღრენი კედელს აგური
და კვერუკები, ოდესღაც წარღვნა -
წყალდიდობამ რომ გამოაცხო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



●

*ხის ქვეშ მგელი ღრიალებდა,*
*ნაკრტენ-ფრთით იხრჩობოდა:*
*ბევრი კრუხი გადასანსლა,*
*მეც მხეცივით დავიტანჯე.*

*ბოსტნეული თუ ნაყოფი*
*ხარბად ელის დანა-ჩანგალს,*
*ობობა კი ხვრელში ღეჭავს*
*მარტოოდენ ია-ვარდებს.*

*ნეტავ ერთი დამაძინა! რა საამო არის ძილი*
*სოლომონის ცხელ ტაფაზე.*
*ჟანგის გასწვრივ ბულიონი*
*დაიღვრება კედრონისკენ.*

დაბოლოს - ბედნიერებაზე, გონების დღესასწაულზე! - მე ცას ჩამოვგლიჯე შავი ლაჟვარდი და ცხოვრება დავიწყე სამყაროს შუქის ოქროს ნაპერწკლის მსგავსად. სიხარულისგან უაღრესად სულელური და მასხარას სახე მივიღე:

*ის მოიძებნა!*
*ვინ ის? თვითონ მარადისობა!*
*მასში თავად ზღვა აღრეულა -*
*მანათობელ მზესთან ერთად.*

*სული ჩემი*
*მტკიცედ ინახავს ანდერძს შენსას,*
*ღამესთან გამუდმებულ ჭიდილში*
*და სინათლესთან, უშეღავათოდ.*

*არა, შენ არ ემორჩილები*
*ხმას ყოველწუთიერს, არა,*
*და აღარც ფუჭ ამაოებას!*
*იფრინე რაღა, იფრინე ლაღად...*

*- ხსნა არ იქნება.*
*გზაზე უკვე არა ჩანს გეზი.*
*ვერც ცოდნას, ვერც თავგამოდებას*
*წამებისაგან ვეღარ დაიხსნი.*

*როსმე ჩაქრება მხურვალება*
*რიომ გრძნებათა,*
*მას თავად მართებდა*
*თავის გზნებათა გაფრთხილება-შენარჩუნება.*

*ის მოიძებნა!*
*- ვინ ის? - თვითონ მარადისობა*
*მასში თავად ზღვა აღრეულა -*
*მანათობელთან ერთად.*

●

მე ვემსგავსები ჯადოსნურ ოპერას; მე ვხედავ, რომ ბედნიერებისკენ მიილტვის განწირულად ყველა არსებული. მოქმედება - ეს ცხოვრება არ არის, არამედ ხერხი ძალ-ღონის ამაოდ ხარჯვის, რაღაც ნევროზის მსგავსი. მორალი კი ტვინის დარბილებაა.

მე მგონია, რომ ყოველ არსებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უამრავი სხვა სიცოცხლე. აი ამ ბატონმა არა უწყის რა, რასა იქმს: ამიტომაც არის იგი ანგელოზი. აი ის ჯალაბი კი ძაღლის ბუდობაა ნამდვილი. მრავალთა წინაშე, ყველას გასაგონად მე გავაბამდი მუსაიფს რომელიმე წამზე მათი სხვა ცხოვრებიდან. - ასე გავუმიჯნურდი ღორს.

არც ერთი უგუნურთაგანი - გაცემული საგიჟეთიდან - სოფიზმები არ იყო ჩემს მიერ დავიწყებული: მე შემეძლო, ზედიზედ მომეთხრო ყველა ისინი, მე ჩემი სისტემა მაქვს.

შემერყა ჯანი. ძრწოლამ შემიპყრო. მრავალდღიან ძილში ჩავვარდი. გამოღვიძებული კი ცხადში ვაგრძელებდი უუმწუხარეს სიზმრების ნახვას. მე აღსასრულისთვის მოწიფული ვიყავი უკვე და სისუსტეს ჩემსას სახიფათო ბილიკებით მივყავდი ცხრა მთას იქით და კიმერიაში, წყვდიადებისა და მორევების ბნელ სამშობლოში.

მე სახეტიალოდ გამგზავრება მომიხდა, რათა გამექარწყლებინა ჩემს გონებას დაუფლებული ჯადოთილისმა. ზღვაზე, რომელიც ისე შემიყვარდა, თითქოს მას უნდა ჩამოერეცხა ჩემთვის სიბილწე, მე ვხედავდი სანუგეშო ჯვრის ამოსვლას. მე ცისარტყელას მიერ ვიყავი დაწყევლილი. ბედნიერება იქცა ჩემს ბედისწერად, საყვედურად, ჩემი გულისმღრღნელ გველაძუად; ცხოვრება მეტისმეტად დიდია, რათა ძალასა და სილამაზეს მიუძღვნა იგი.

ბედნიერება! მომაკვდინებლად ტკბილია მისი ნაკბენი, ყველაზე პირქუშ ქალაქებშიც კი მაფრთხილებდა, რომ აგერ-აგერ იყივლებს მამალი, -admatutinum, და რომ CHristus venit.

*ო, დარბაზები, ო, ეს დროება!*
*მოიძებნება განა სული ლაქის გარეშე?*

*მე საუცხოო მოძღვრებას ვიცნობ*
*განუყრელ ბედნიერებაზე.*

*მე მას ლექსებით ვადიდებდი*
*მამლის პირველ ყივილთან ერთად.*

*მაგრამ თავი მომაბეზრა და*
*გამაწამა ბედნიერებამ.*

*სული წაიღო, წარმტაცა ხორციც -*
*როგორ დავძლიო ნეტავი იგი?*

*ო, დარბაზები, ო, ეს დროება!*

*და მაინც, მაინც წასვლა მისი,*
*ვიცი, დამღუპავს, გამანადგურებს.*

*ო, დარბაზები, ო, ქს დროება!*

ეს ყველაფერი წარსულში იყო. ამჟამად კი მე ვისწავლე სილამაზის პატივისცემა.

## შეუძლებელი

●

ეჰ, ცხოვრება ჩემი ბავშვობაში - შარაგზაა, რომელიც გაწვა დროთა უფსკრულში, - ცხოვრება წარმოუდგენლად თავმდაბალი, მათხოვრულად უანგარო, ამაყი იმით, რომ მას არც გვარი და არც ტომი არ გააჩნია, - ეჰ, რა სისულელე იყო! - მე კი ამას მხოლოდ ახლა მივხვდი!

- მართალი ვიყავი, რომ მძულდა ყველა ეს წესიერი კაცუნები, შესაძლებლობას რომ არ უშვებდნენ, ხელიდან წაეგლიჯათ უფრო ტკბილი ნაჭერი, ეს მუქთახორები, ჩვენი ქალების სალუქვობის და ჯანის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხარჯზე რომ ცხოვრობდნენ - მერე რაა, თუ ეს ქალები ამჟამად არცთუ ისე გვიგებენ ჩვენ და გვეგუებიან.

მე მართალი ვიყავი ჩემი მშვაობრობით: აი, რატომაა, რომ ამჟამად თავს გაქცევით ვშველი.

თავს ვშველი გაქცევით.

მაგრამ მანამდე განვმარტავ.

ჯერ კიდევ გუშინ მე ვოხრავდი: ო, ცაო! წყეულები საქაოშიც საკმაოზედ მეტია. თვითონ მე დიდი ხანია მათ კომპანიაში ვირიცხები. სათითაოდ ვიცნობ ყველას. შეხედვისთანავე ვცნობთ ერთიმეორეს და მაინც ძალიან გვძულს ერთმანეთი. გულმოწყალება უცხოა ჩვენთვის. მიუხედავად ამისა, თავაზიანები ვართ, და სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობა მართებულია სავსებით. მერე რა არის აქ გასაკვირი? სამყარო! - ვაჭრუკანები და ყეყეჩები! - ჩვენ ღირსება არ დაგვიკარგავს. - მაგრამ აი როგორ მოგვექცეოდნენ ნეტავ რჩეულები? ხომ არსებობენ ძალზედ მხიარული გულბოროტი ავყიები, თვითმარქვია რჩეულები - მათ ისე ვერ მიუდგები, თუ არ მოიკრიბე ძალ-ღონე ან მორჩილება. და ამჟღეყნად არავითარი სხვა რჩეულები არ არსებობენ. ამათგან კი სიკეთეს ნურც ელოდები.

შევიძინე რა ორგროშიანი ჭკუა ჩემთვის, - ეგ ადვილზე ადვილია! - მე გამოვჩხრიკე ჩემი უბედურებების ყველა მიზეზი: თურმე ძალიან გვიან მივხვდი, რომ ჩვენ დასავლეთში ვცხოვრობთ სწორედ. დასავლეთის ჭაობში. ვერ ვიტყვი, რომ დაიშრიტა საწუთრო ჩემთვის, დამახინჯდა სამყაროს სახე ან ირგვლივ ყველაფერი გამრუდდა, არა, მაგრამ მაინ... ჰო, კარგი! ამჟამად ჩემს სულს, რაც უნდა მოხდეს, სურს ჩაეფლოს იმ განსაცდელში, რომელიც წილად ხვდა სრულიად საკაცობრიო სულს მას შემდეგ, რა ჟამსაც დადგა აღსასრული აღმოსავლეთის...

ეს უნდა ჩემს სულს.

...მაგრამ ჩემი ორგროშიანი ჭკუა კარგა ხანია გაფლანგულია! ჩემს სულს - მბრძანებელს - სურს, რომ დავრჩე მე დასავლეთში. მას ხმა უნდა ჩავაწყვეტინო - და მაშინ ჩემდაუნებურად წავა ყველაფერი.

მე ჯანდაბაში ვაგზავნიდი მოწამეობრივ გვირგვინებს, ხელოვნების ბრწყინვალებას, გამომგონებელთა სიამაყეს, მძარცველთა მგზნებარებას; მე ვბრუნდებოდი აღმოსავლეთში, პირველქმნილ და მარადიულ სიბრძნესთან. - ჩანს, ეს ყველაფერი ოცნებაა სასოწარკვეთილი ზარმაცის მხოლოდ.

და თუმცა მე სრულებითაც არ მიფიქრია იმაზე, რომ ამჟამინდელ საწუთროს ტანჯვისაგან დამეცვა თავი. მე მხედველობაში არ მქონია ნაბიჭვარი სიბრძნე ყურანის. - მაგრამ განა წყევლა არ არის ის ფაქტი, რომ მეცნიერების გაჩენის დროიდან ქრისტიანობაც და კაციც ერთობიან თავის მოტყუებით, ამტკიცებენ თავისთვის აშკარა ჭეშმარიტებებს, სიამოვნებისგან იბღინძებიან, ამრავლებენ რა ამ მტკიცებებს, - და ცხოვრობენ ამით! წამება უმნიშვნელოა და უგუნური - მასშია ჩემი სულიერი დაფოთვების წყარო. მისგან იქნებ თვით ბუნებასაც გასჭირვებოდა. ბატონი პრუდომი დაიბადა ქრისტესთან ერთად.

იმის გამოც ხომ არ ხდება ეს ყველაფერი, რომ ჩვენ გვიყვარს ბუნდოვანება და მომრავლება ბურუსის? ვსაზრდოობთ წყალწყალა ბოსტნეულებით ციებ-ცხელებასთან სანახევროდ. ხოლო ლოთობა! თამბაქო! უვიცობა და ბრმა თავდადება! - რა შორს არის ეს ყველაფერი აღმოსავლეთის სიბრძნისაგან. წინარსამშობლოსმან კაცობრიობის! რად ვარგა თანამედროვე სამყარო, თუ ასეთი შხამების გამოგონება ხდება მასში?

მნათეები იტყვიან: ეს ყველაფერი თავისთავად ცხადია. - მაგრამ თქვენ ხომ ედემი გაქვთ მხედველობაში! და რაა თქვენთვის აღმოსავლეთის ხალხთა მთელი ისტორია?- სრულიად არაფერი; მე ხომ სწორედ ედემზე ვოცნებობდი! და, რა ხეირი ყრია ჩემი ოცნებისთვის უძველეს რასათა სისუფთავეში!

ფილოსოფოსები კი: სამყარო არც ახალია და არც ძველი. უბრალოდ, კაცობრიობა სადღაც მიიწევს. თქვენ დასავლეთში ცხოვრობთ, მაგრამ არავინ გიკრძალავთ, იცხოვროთ თქვენს, როგორიც გნებავდეთ იმ, სიძველის აღმოსავლეთში და იცხოვროთ თქვენს სიამოვნებაზე. ნუ ჩათვლით თქვენს თავს დამარცხებულად. - სამაგიეროდ, თქვენ, ფილოსოფოსებო, გაქვთ თქვენი ჯიბის დასავლეთი!

სულო ჩემო, ფრთხილად იყავი! თავს ვერ უშველი შფოთით. - იმუშავე საკუთარ თავზე! - ეჰ, როგორი ნელმავალი გვგონია მე და შენ მეცნიერება!

და აქ მე ვამჩნევ, რომ სულს ჩემსას სძინავს.

მაგრამ მას, დაწყებული ამ წამიდან, მუდამ რომ ეფხიზლა, ჩვენ მალე მოვნახავდით ჭეშმარიტებას, რომელიც შესაძლოა, გარს გვახვევია მოქვითქვითე ანგელოზების დასთან ერთად!.. მას რომ ეფხიზლა ამ წუთამდე, არ დავნებდებოდი მე იმ უხსოვარ დროში გამხრწნელ ვნებებს!.. ხოლო მას რომ მარად ეფხიზლა, დიდი ხნის წინათ ვიცურავებდი ყოვლადბრძენობის ოკეანეში!..

ო, სიწმინდე, ო, უბიწოება!

გამოღვიძების წამმა უმანკოების ხანმოკლე ზმანებით დამაჯილდოვა! - სულს მიჰყავხარ ღმერთთან!

საზარელი უიღბლობაა!

## აფეთქება

●

ადამიანური შრომა! ეს ფეთქებაა, ჩემს უფსკრულს დროდადრო რომ აცისკროვნებს.

- სამყაროში არაფერია ამაო; მეცნიერებისკენ - და წინ! - ღაღადებს ახლანდელი ეკლესიასტე, ესე იგი, ყოველი შემხვედრი; ამასობაში კი უკეთურთა და ლაყინტარათა ლეშები დანარჩენთა გულებს აშთობენ... ოჰ, ნეტავ მალე, თუნდ ცოტა მალე, - იქით, ღამის კიდეთა მიღმა, მერმისის მარადიული მიგებისაკენ... ოღონდ ხომ არ გავუშვებთ ჩვენ მათ ხელიდან?

რა შემიძლია მე? მე ვიცი რა არის შრომა, ვიცი, რა ზოზინაა მეცნიერება. მაშ, დე, იქროლოს ლოცვამ დათოხილი ჭენებით, დე, იგრიალოს სამყარომ... მე ამას თვალნათლივ ვხედავ. საერთოდ, ყველაფერი მარტივი და გასაგებია: უჩემოდაც იოლად გაელენ. როგორც ბევრ სხვას, მეცა მაქვს ბორჯი და ვიქნები ამაყი, თუ არ ვუღალატებ მას.

ცხოვრება ჩემი გაიცვითა. რა გაეწყობა! ვითვალთმაქცებთ და ვიუსაქმურებთ - ო, სალოსობავ! ვიცხოვრებთ თავშექცევით წარმოუდგენელ სასიყვარულო თამაშებსა და ფანტასტიკურ სამყაროზე ოცნებით, ვიდავებთ და ვიპაექრებთ საგანთა ხილვადობაზე, - ყველა ჩვენ: მოხეტიალე კომედიანტი, ღიჯინა, მხატვარი, ყაჩაღი - და მღვდელი! საავადმყოფოს საწოლში მწოლიარემ საკმევლის სუნი კვლავ მწვავედ ვიგრძენი - ასე გრძნობს მას წმინდა კეთილსურნელების დამცველი, წამებული აღმსარებელი...

აქ კი ჩემმა საზიზღარმა აღზრდამ იჩინა თავი. ჰო, კმარა!... ვიცხოვრე ოცი წელი, ორ ათეულს კიდევ გავლევ...

არა! არა! ამჟამად მე სიკვდილის წინააღმდეგ ავჯანყდი! შრომა - მეტისმეტად მსუბუქი საქმიანობაა ჩემისთანა მზვაობრისთვის: სამყაროსათვის მეტად ხანმოკლე ტანჯვა-წამება იქნება ჩემი ღალატი. ხოლო აღსასრულის ჟამს მოვედგები და ცემა-ტყეპას გავმართავ მარჯვნივ და მარცხნივ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



და მაშინ, ო, საბრალო სული ჩემი, მარადისობა სამუდამოდ დაკარგული იქნება ჩვენთვის.

## დილა

●

განა მე არ მქონდა ოდესღაც სიჭაბუკე - სათუთი, გმირული, ზღაპრული, თუნდ წერე მის შესახებ ოქროს კაბადონზე? აი იღბალი თუ გინდა! როგორი შეცოდებისთვის, რომელი შეცდომისთვის დავიმსახურე ამჟამინდელი ჩემი სისუსტე? ჩემი დაცემისა და სიზმარ-ცხადის ისტორიის თხრობა, დე, მოსინჯონ მათ, ვინც ამტკიცებს, თითქოს ნადირებს შეუძლიათ მწუხარებისაგან ტირილი, ავადმყოფებს - სასოწარკვეთა, ხოლო უსულო გვამებს - სულელური სიზმრების ნახვა. მე თვითონ ხომ ვერ შევძლებ, განემარტო: გავხდი რაღაც მშიერ-მწყურვალის მსგავსი, რომელმაც იცის მხოლოდ თავისი Pater და Ave Maria. მე ლაპარაკს გადავეჩვიე.

და მაინც მეჩვენება, რომ ამჟამად ჩემს ჯოჯოხეთს ბოლო მოეღო. ეს მართლაც რომ ჯოჯოხეთი იყო, სწორედ იგი, უძველესი, ვისი ბჭენიც დაინგრნენ წინაშე ადამიანთა ძისა.

უწინდებურად, იმავე უდაბნოში, ისეთსავე ღამეს ჩემს დაღლილ თვალებს გამოეცხადა ვერცხლის ვარსკვლავი, თუმც ეს ამჟამად სრულიადაც არ აღელვებს სიცოცხლის არქიელით, სამ მოგვს - გულს, სულსა და გონებას. ხოლო როდესაც მეჩვენება და მთებს გავივლით, ჩვენ ახალი შრომისა და ახალი სიბრძნის დაბადებას მივესალმებით, გავიხარებთ ტირანებისა და დემონების გაქცევით, ცრურწმენის აღსასრულით და ხოტბას შევასხამთ - პირველნი! შობაა დედამიწაზე!

ცათა მუსიკა, სვლა ხალხთა! მონებო, უაზრობაა სიცოცხლის წყევლა!

## მშვიდობით

●

აი შემოდგომაც! - მაგრამ ღირს კი სინანული მარადიულ მზეზე, თუ ჩვენ მოწოდებულნი ვართ შევიცნოთ ღვთაებრივი სიაშკარავე - შორს ხალხთაგან, რომელთაც კლავს დროთა მდინარება?

შემოდგომა. საშემოდგომო ბურუსზე ამაღლებული, ჩვენი ნავი უპოვართა ნავსაყუდელში მიემართება, ცეცხლში და ლაფში ამოთხვრილი, ვრცელი ქალაქის ცის ქვეშ. ო, დაფერფლილი ძონძები, წვიმით დამბალი პური, მარხოში და სიყვარულის ათასსახოვანი ხატება - მე თქვენს მიერ ვარ ასე ჯვარცმული! ნუთუ მართლა არ ექნება ბოლო მეუფებას ამ ვამპირის, მილიონობით მკვდარ სულთა და სხეულთა მბრძანებელის, განკითხვის დღის მოლოდინში! ისევ მემძანება, რომ ტყავს ჩემსას ღრღნიან ლაფი და ჭირი; მატლები ფუთფუთებენ თმებსა და იღლიებში, ხოლო ყველაზე მსხვილებმა გულში დაიბუდეს; მე განრთხმული ვარ უცნობ, გულქვა სხეულთა შორის... და მოემკვდარიყავ, ხომ შემეძლო, მე იქ. შემზარავი მოგონებაა. მძულს უპოვრობა.

და მეშინია ზამთრის, კომფორტის ჟამის!

- ხანდახან უსასრულო მეჩვენებს ვნახულობ ცაზე, მოზეიმე ნათელმოსილი ხალხით მოფენილებს. ჩემს თავს ზემოთ - ოქროს ხომალდია, მისი ფერად-ფერადი ბაირაღები ფრიალებენ დილის ქარში. მე მივეცი დასაბამი ყველა დღესასწაულს, ყველა ტრიუმფს, ყველა დრამას. მე ვლამობდი, მომეაზრა ახალი ყვავილები, ახალი ვარსკვლავები, ახალი სხეული და ახალი კილოები. მეგონა, რომ შევიძინე ზებუნებრივი ძალა. და რა? ახლა მე ჯვრის დასმა მიხდება ამ ჩემს გამონაგონებსა და მოგონებებზე! პოეტის დიდებაზე და ზეშთაგონებულ მშვენიერმოუბარზე!

და ეს მე ვარ! მე, ყოველგვარი მორალისგან თავისუფალ გრძნეულად თუ ანგელოზად რომ წარმომედგინა თავი; დამხობილი მიწაზე, იძულებული ვარ, ვეძებო მოწოდება, სიყვარულით შევხედო სინამდვილეს ხორკლიან სახეში! გავხდე გაგრია!

ხომ არ მოვტყუვდი მე? შესაძლოა, სიკეთე ჯერ კიდევ სიკვდილის დად მომეჩვენოს?

ახლა კი ვითხოვ მე პატიებას იმის გამო, რომ ვსაზრდოობდი სიცრუით. და უნდა გავუდგე გზას.

არც ერთი მეგობრული ხელი! ნეტავ სად ვეძებო მე მხარდამჭერი?

●

დიახ, ახალი დროება მართლაც პირქუშია.

ვინაიდან მე შემიძლია ვთქვა, რომ გავიმარჯვე: კბილების ღრჭიალი, ცეცხლთა შიშინი, შავჭირიანი კვნესა - ყუჩდება ეს ყველაფერი. განქარდებიან ბინძური მოგონებები. და დნებიან ჩემი უკანასკნელი სინანულები: შური უპოვართა, ყაჩაღთა, სიკვდილის თანამგზავრთა, ყველა განკიცხულთა მიმართ. - დაწყევლილებო, მე რომ შემეძლოს შურისძიება ჩემს გამო!

უნდა იყო უსათუოდ თანამედროვე.

არავითარი ქება-დიდება, მხოლოდ ყოველი მოპოვებული მტკაველი უნდა ჩაბღუჯო უფრო ძლიერ. ეს რა მკაცრი ღამეა! გამშრალი სისხლი ოთრქლდება ჩემი პირისახიდან და ჩემს უკან არავინ არის, გარდა ამ საზარელი ღვარჭნილფესვება პატარა ხისა!.. სულიერი ბრძოლა ისევე უხეშია, როგორც ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ სამართლიანობის ხილვა - ეს სიხარულია, ხელმისაწვდომი მხოლოდ ღმერთისთვის.

და მაინც დადგა წინადღე. მივიღოთ ბარემ ყოველგვარ ძალთა და ჭეშმარიტ სინაზეთა მოზღვავება. და დაფიონზე, ვნებიანი მოთმინებით აღჭურვილებმა, ზღაპრულ ქალაქებში შევდგათ ფეხი.

რას ვამბობდი მე იქ მეგობრულ ხელზე? მადლობა ღმერთს! მე ძლიერი ვარ ამჟამად იმით, რომ შემიძლია, ვიცინო ძველ ყალბ სიყვარულზე, სამარცხვინო ბოძზე გავაკრა ყველა ეს თვალთმაქცური კავშირები - აკი მე მქონდა შემთხვევა, მენახა ქვესკნელი და იქაური დედაკაცები, - და მე უფლებას ვპოვებ, ნება მექნება, სულიერად და ხორციელად ვფლობდე ჭეშმარიტებას.

თარგმნა *დალი ყალიჩავამ*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კარლო გოგსაძე

## ეს საუკუნე - მეფისტოფელი

„ან ეს, რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი,
თუ, რაც მინდოდა, ვერა ვჰსთქვი?“

(გრ. ორბელიანი)

სულ ცოტა დრო რჩება ოცდამეერთე საუკუნის დამდეგამდე, რომელიც 2001 ლის იანვრიდან დაიწყებს წლების ათვლას. როგორც ძველი და ახალი წლების მიჯნაზე აიშლებიან ფიქრები და იძაბება მზერა და ყურადღება კაცისა, ასეა ორი საუკუნის მიჯნის მოახლოებისას, მითუმეტეს, თუ ეს ორი ათასწლეულის მიჯნაც არის. ფიქრობ თითქმის გარდასულ ასწლეულზე, მიწურულ ათასწლეულზე, განვლილზე, იმაზე თუ რა გარდახდა თავს კაცობრიობას, ფიქრობ მომავალზე, რა იქნება, რა გველის. აფასებ ძველს, ეძებ ახალ გზებს, განვლილში მომავლის ტენდენციებს ეძებ. ყოველ ასწლეულს თავისი სახე ჰქონია, თავისი სუნთქვა და მაჯისცემა. ამ თვალთახედვით უკვე იწყება მიწურული საუკუნის შეფასება.

1921 წელს გალაკტიონს დაუწერია ორტაეპიანი ლექსი:

*მან დაიბრმავა ეს თვალი განვებ*
*და ამნაირად გახდა ცბიერი,*
*მეორე თვალში არის განვება:*
*მეტი სიმკაცრე და სიძლიერე.*
*უმარულიან დენათა შორის*
*მწარე დაცინვით მათი მგმობელი,*
*იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის,*
*ეს საუკუნე - მეფისტოფელი.*

კარგა ხანია, ჩემს გონებას არ ასვენებს ეს ლექსი, ვცდილობ მის გაშიფრვას. იქნებ საქმე გვაქვს რაღაც მაგიურ, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ამოუხსნელ და გაუგებარ პოეტურ ხილვებთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ნამდვილი გალაკტიონური ეფემერებისათვის. აქ ყოველი სიტყვა, ფრაზა ქმნის, ისეთ პოეტურ, რაღაცნაირი ბურუსით მოცულ აბსტრაქტულ სურათს, რომელიც მკითხველს ამზადებს ლექსის დიდებულად დამაგვირგვინებელ ორ სტრიქონთან შესაფეთებლად:

*იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის,*
*ეს საუკუნე - მეფისტოფელი.*

გალაკტიონმა თითქოს გრძნეულივით განჭვრიტა მეოცე საუკუნის მეფისტოფელური სახე და ბუნება. წინ იყო კიდევ ბევრი ათწლეული, რომლებშიც ეს საუკუნე თავის მეფისტოფელურ არსს უფრო სრულად და საშინლად გამოავლენდა;

* * *

მეოცე საუკუნე ჩემი თაობის მშობლებისა და თვით თაობის საუკუნე აღმოჩნდა ძირითადად. მხედველობაში მყავანან ამ საუკუნეში დაბადებულ-ჩამოყალიბებულ-წასულნი ან წასასვლელად გამზადებულნი. მათ ზურგზე და გულზე იარა ამ საუკუნემ - მეფისტოფელმა. იგი სულს უფორიაქებს მათ შემდგომ თაობებსაც.

*ეს საუკუნე - მეფისტოფელი:*

მსოფლიო თუ რეგიონული ომები, სისხლი, სისასტიკე, ძალადობა; რევოლუციები და კონტრრევოლუციები; ამბოხებანი და გადატრიალებები; რეფორმები და ფორსირებული მეტამორფოზები; ატომური და მასობრივი ჟლეტის სხვა იარაღების შექმნა, გამოყენება; დიქტატორული, ფაშისტური რეჟიმების მძვინვარება; ბოროტების იმპერიათა აღზევება და მსხვრევა; გენოციდი, აპარტეიდი, რეზერვაციები; დემოკრატიით (რომელიც ერთგვარ რელიგიად იქცა) დემაგოგიური მანიპულირება; მასების ზომბირება, გამოყეყეჩება, გაბრიყვება მასმედიით, მასობრივი კულტურით; ადამიანის ტოტალური გაუცხოება; არისტოკრატობისა და ინტელიგენტობის დევალვაცია; ზნეობრივი და ინტელექტუალური დეგრადაცია; ეროვნული და სარწმუნოებრივი ნიჰილიზმი; ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე; ტერორი, ნარკომანია, შიდსი, ფსიქო-ნერვული პათოლოგიები, მასობრივი სექსუალური ანომალიები; ინდივიდუალიზმი და შემოქმედის ჩაკეტვა „საკუთარ ჭაში“; კოსმოპოლიტურ-მასონური განწყობის დამკვიდრება; ფეტიში: ფულისა, ნივთისა, მოხმარებისა, ტექნიციზმისა, სციენტიზმისა, ლეგენდარული ფუფუნებისა, სუპერმენისა; საშინელი ხილვები; ერთი მხრივ, პროგრესით თავმომწონეობა და, მეორე მხრივ, ესქატოლოგიური ძრწოლის პარადოქსი...

ოსვალდ შპენგლერმა მეოცე საუკუნის დასაწყისშივე იწინასწარმეტყველა ევროპის დაისი, ევროპული კულტურისა და ზნეობის დაცემა. მაგრამ მას ჰყავდნენ დიდი წინამორბედნი მეცხრამეტე საუკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეში, რომლებმაც მოამზადეს შპენგლერის ახლებური ხედვა. ესენი იყვნენ: ა. შოპენჰაუერი, მ. შტირნერი, ს. კირკეგორი, ფ. ნიცშე.

ინდივიდუალიზმი, ინდივიდუალისტური ქიმორევა არის ლიბერალური დემოკრატიის პირმშო. მოვუსმინოთ მაქს შტირნერს: მე მირჩევნია თვითონ ვიყო ეგოისტი, ვიდრე უანგაროდ ვემსახურო სხვა დიდ ეგოისტებს. სახელმწიფო, რელიგია, სინდისი, ეს მბრძანებლები მე მაქცევენ მონად, ხოლო მათი განთავისუფლება არის ჩემი დამონება. „ფული მართავს სამყაროს“ – ასეთია მთელი მეშჩანური ეპოქის ლოზუნგი. მნიშვნელოვანი შეიძლება გახდე არა წარმოშობით, არა შრომით, არამედ მხოლოდ ფულით. ძველ ლოზუნგს: პატივი და დიდება ღმერთს, დღეს ენაცვლება ლოზუნგი – პატივი და დიდება ადამიანს. მე კი ეს პატივი და დიდება მინდა მივანიჭო ჩემსავე თავს. ეგოისტი ამბობს – გაბედულნო, წინ, მოიხვეჭეთ ყველაფერი, რაც გჭირდებათ! ეგოისტი ალვივებს ომს – ყველა ყველას წინააღმდეგ. მხოლოდ მე ვწყვეტ, რა მსურს, რა მინდა. საკუთრების საკითხი ვერ გადაწყდება მშვიდობიანად. იგი გადაწყდება ომით – ყველა ყველას წინააღმდეგ და ა. შ.

ანარქიზმის ქარიშხალი ბობოქრობს ყოველივე ზემოთქმულში, თუ კარგად ჩავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მ. შტირნერის მიერ აღწერილი, ნაწინასწარმეტყველები სულისკვეთება ბატონობს მეოცე საუკუნის მსოფლიოში, ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის სულით განმსჭვალულ საუკუნეში, როცა ლიბერალურმა დემოკრატიამ საავკაცოდ აუშვა ბნელი ძალები.

ეს აწუხებს ორტეგა ი. გასეტის, რომელიც ნაღვლობს ტრადიციული არისტოკრატიზმის დამხობის გამო: თუ სრულიად ჩვეულებრივი, საშუალო დონის ადამიანი ბატონად იქცა, ნუ გაგიკვირდებათ, რომ იგი ადვირს აიხსნის და ყველაფერს მოისურვებს თავისთვის. მასის ცხოვრება ინერტულია, ჩამორჩენილი; ერთ ადგილზე ტრიალია, ელიტისა – ესაა მუდმივი სვლა არსებულიდან ჯერარსისაკენ. ლიბერალიზმი დიდებული გამოგონებაა, მაგრამ მასას მისი არა გაეგება რა, ვინაიდან იგი ვერ იგუებს მას, ვინც მის წრეს არ ეკუთვნის და მისგან გამორჩეული, განსხვავებულია. მე არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ევროპულ საზოგადოებაში მთელი ძალაუფლება მასის ხელში გადავიდა. საზოგადოება კი იმდენადაა საზოგადოება, რამდენადაც იგი არისტოკრატულია. დემოკრატიის იდეის წყალობით, უფლებათა თანასწორობა იქცა პრაქტიკულად აპეტიტების და ქვეცნობიერი ლტოლვებისა და სურვილების დაკმაყოფილებად. როცა ვლაპარაკობთ დაცემაზე, უნდა ითქვას, რა დაეცა. ხოლო აბსოლუტური დაცემა უნდა ნიშნავდეს სასიცოცხლო ძალთა კლებას, შესუსტებას. თავისი შესაძლებლობებით ესოდენ ძლიერი ჩვენი ეპოქა მაინც ყველაზე საცოდავად გამოიყურება, ცურავს დინების მიმართულებით. დღეს მსოფლიო ცხოვრობს უგეგმოდ, უმიზნოდ, დინებას მინდობილი, დღევანდელი დღით, თითქოს ცდილობს კონფლიქტები და გართულებები არ შეექმნაო. არადა, პრობლემები კი არ წყდება, გადაიდება, იმის რისკითაც კი, რომ ოდესმე შეიძლება იფეთქოს და ა. შ.

ეს აზრები ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოითქვა, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოსაც ესადაგება.

***

ფ. კაფკას პერსონაჟი „პროცესში“ ამბობს: უნდა წაღლიტო ყველას ყველაფერი, რისი წაღლეტაც კი შეიძლება. მარტო ხელფასით ვერ იცხოვრებ, თუნდაც დღე და ღამე გაასწორო.

ამის წამკითხავი ცდილობ ჩასწვდე, როგორ ახერხებენ სოროსები, მილიარდები დააგროვონ.

ბერნჰარდ კელერმანის „გვირაბში“ არის ასეთი პასაჟი: რომანის გმირმა – რკინიგზის მაგნატმა, ბანკირმა ლოიდმა, თურმე ასე დაიწყო თავისი კარიერა – „ასე ამბობენ, საკუთარი მაღაროები ჰქონია, რომელიც ერთი ცენტიც არ უჯდებოდა მას... ხომ იცით, როგორ სასტიკად ჩხრეკენ მაღაროს მუშებს... ისინი ბრილიანტებს ყლაპავენ...

– ეგ არ ვიცოდი...

– როგორც ამბობენ, ლოიდი... რომელსაც სამიკიტნო ჰქონდა იქ... ვისკიში რაღაცას ურევდა თურმე და მუშებს ზღვის ავადმყოფობა ემართებოდათ. ესეც მისი მაღაროები...

– დაუჯერებელია!

– ასე ამბობენ! ახლა კი მილიონებს ხარჯავს უნივერსიტეტებზე, ობსერვატორიებსა და ბიბლიოთეკებზე“.

ტიპიური მაგალითია იმისა, თუ რა გზით აღარ მდიდრდებიან ახლანდელი ბიზნესმენები, და იმისაც, თუ როგორ ამაყობენ ისინი თავიანთი ქველმოქმედებით. არადა, ასეთები რომ არ იყვნენ, არც სიმდიდრე, დოვლათი, აყვავებული ქვეყნები და დღევანდელი პროგრესი იქნებოდა, არც ის სპონსორქველმოქმედნი იქნებოდნენ.

ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი პარადოქსია, აბა, რა არის!

***

აღორძინების ხანის იტალიამ „გადარია“ მთელი ევროპა. „გადამრევთა“ შორის იყვნენ დიდი მწერლები, ფერმწერნი, მეცნიერები, მოგზაურები. მერე „გადარეულმა“ ევროპამ შვა მასზე უფრო „შეშლილი“ ამერიკა, რომლის გავლენები ბუმერანგივით დაუბრუნდა ევროპის ტრადიციულ ქვეყნებს, რომელთაც დღეს აღარ იციან, როგორ დააღწიონ თავი ამ გავლენებს და ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ამერიკა და ევროპა მიაქანებენ მთელ მსოფლიოს თვითუარყოფისაკენ.

დასავლეთმა თავის კლანჭებში მოაქცია მსოფლ-

იის ყველა კუთხე და კუნჭული, საქმოსნურ, მერკანტილურ საწყისებზე დამყარებულ პრაგმატულ ცივილიზაციას დაუმორჩილა იგი. ამ ცივილიზაციამ ადამიანი მონუსხა იმით, რომ მოუტანა ვითომ თავისუფლება და აგემა ხორციელ სიამოვნებათა მთელი მრავალფეროვნება. მართალია, დიდი ანგარიშით ყველაფერი ეს ეფემერული და ილუზორულია (თავისუფლებაც და სიამოვნებაც), მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მიღწევაა წარსულთან შედარებით, მეორეც, ადამიანი ბუნებით მიდრეკილია ილუზიებისადმი.

კაპიტალიზმმა გასაქანი მისცა ადამიანის ბუნებრივ-ვიტალურ სწრაფვებსა და ინსტინქტებს. მან კომფორტი მასობრივად ხელმისაწვდომი გახადა. მასობრივი მოხმარებით დაჯაბნა წინა ფორმაციები. ადამიანს გაშიშვლება უნდოდა (პირდაპირი და გადატანითი აზრითაც) და მიაღწია. დასავლური ცივილიზაცია როდი ელოდება ადამიანს, აბა, ახლა რას მოისურვებსო, იგი წინ უსწრებს მის სწრაფვებსა და სთავაზობს „გაშიშვლების“ სულ ახალ-ახალ გზებსა და საშუალებებს. არის მოთხოვნილება - უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ. ჯერ არ გაჩენილი იგი - მაშინ, სასწრაფოდ უნდა გაღვივდეს და გახელდეს. მწარმოებელი ხარ თუ მომხმარებელი, წარმატებას აღწევ საბოლოოდ საკუთარი თავის საშინელი ექსპლოატაციის შედეგად. სულ ადვილია, მოკლათ ბუზი, რომელიც შაქრის მარცვალს თავდავიწყებით წუწნის. იგი ამ დროს საფრთხეზე აღარ ფიქრობს.

ვესტერნიზაციამ მოიცვა მთელი მსოფლიო. აზიაშიც გაჩნდნენ ვესტერნიზებული „ვეფხვები“. დახმარება გსურთ? მიიღეთ, ოღონდ სანაცვლოდ უნდა შეასრულოთ ჩვენი პირობები.

* * *

ფულმა და იარაღმა შეარყია მეოცე საუკუნე. ამერიკამ აჩვენა ფულის ძალმოსილება. ყოფილი სსრკ დიდხანს განასახიერებდა იარაღის ძალას. ფულიც ძალაა და იარაღიც. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფული უფრო დიდი და ყოვლისმძლე ძალაა. იარაღი ამერიკამაც გვარიანად დაახორაგა, მაგრამ იარაღის, როგორც ძალის შექმნას, ფული სჭირდება, მაშინ, როცა იარაღმა, როგორც ძალამ, ვერ მოიპოვა წარმატება ფულის შოვნაში და ქვეყნებს შორის იარაღით ჭიდილში ბოლოს იმ ქვეყანამ გაიმარჯვა, რომელსაც ფული უმაგრებდა ფუნდამენტს. ფულის სიუხვე ისე არ ყვირის, როგორც იარაღისა. ვინც ცდილობს, იარაღის ძალით მოახვიოს სხვას თავისი გავლენა, მას გაურბიან, ეწინააღმდეგებიან კიდეც. ფულის მაგია ყველას აბრმავებს, ნებით თუ უნებლიეთ. ფული ყველგან შეღწევადია. მეოცე საუკუნის მსოფლიო ამის დასტურია. იყოს ფული და ყველაფერი იქნება, მათ შორის იარაღიც. მაგრამ რად გინდა იარაღი, ეს საშინელი ურჩხული, თუ გაქვს ფული, რომელიც თეთრი ხელთათმანებით დელიკატურად გადადის ხელიდან ხელში. ფულით ყველაფერი კეთდება ე. წ. ცივილიზებულად.

1911 წლის მაისში აშშ-ის კონგრესში პრეზიდენტ ტაფტს უთქვამს: „ქვემეხების დიპლომატია, ჯენტლმენებო, წარსულს ბარდება, სამყაროს გადასაკეთებლად ბრძოლა გრძელდება და ქვემეხები დოლარს უთმობენ ადგილს. დოლარის დიპლომატია - აი, ჩვენი მთავარი კარტი, ჩვენი მომავალი გამარჯვებების საწინდარი ზღვებსა და ხმელეთზე. დოლარით უფრო ეფექტურად გავუსწორდებით მტრებს, ვიდრე ტყვიითა და ყუმბარებით. სწორედ დოლარებით მოვიპოვებთ მსოფლიო ჰეგემონიას, თვით ნაპოლეონსაც რომ არ დასიზმრებია. როცა ვიცით, რომ ხვალ-ზეგ დაეცემიან გერმანია და იაპონია, როცა ყოვლისშემძლე ბრიტანეთის მზეც ჩადის, როცა წყვდიადშია ჩაძირული გიგანტური რუსეთი, ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ: დოლარის საათი დადგა“. განაცხადეს და აღასრულეს კიდეც.

* * *

თუ ადამიანი თავისუფალია (ხომ მუდამ ამისთვის იბრძოდა და იბრძვის იგი დღესაც), მაშინ მისთვის არ არსებობს ერთი და ერთადერთი ჭეშმარიტება ერთისა და იმავე ობიექტსა და ხდომილებაზე. ყოველი კაცი თვითონ ქმნის თავის ჭეშმარიტებას, საკუთარ სამყაროს. აქედან: მოდერნიზმ-ავანგარდიზმი ხელოვნებაში, სუბიექტივიზმი მეცნიერებაში, ვოლუნტარიზმი ყოფაცხოვრებაში (ჰიპიზმი, პანკიზმი, ესკაპიზმი, სოციალური მარგინალიები და სხვა). ეს მეოცე საუკუნის სულია. მაგრამ აქვს თუ არა ყოველივე ამას (რაც თავისუფლების სახელით ინათლება) საზღვარი და ამ ვითარებაში რაღაა სახელმწიფო, კანონი, საზოგადოება, ტრადიციული ლოგიკა. ყოველივე ეს ხომ ანაქრონიზმად იქცევა. ასეც არის და, ამიტომ, მეოცე საუკუნის ცივილიზაცია დგას ამ ანტინომიის წინაშე. ბრძოლაა ტრადიციასა და მოდერნიზმს შორის, თავისუფლებასა და მორჩილებას შორის: ჯერ ბრძოლა ვითომ თავისუფლების, მოდერნიზმის სასარგებლოდ მიდის, მაგრამ სად მიგვიყვანს იგი, ვიცით თუ არა, სად არის და რაა ბოლო პუნქტი?

„მე ვიკლავ თავს, რომ დავამტკიცო ჩემი ურჩობა და ჩემი ახალი საშინელი „თავისუფლება“ - ამბობს ფ. დოსტოევსკის კირილოვი. ნუთუ ეს არის თავისუფლება? არა, ეს ღმერთთან ურჩობა და თვითნებობაა: არაფერია მარადიული და უცვლელი, უაზრობაა ლაპარაკი სუბსტანციაზე, არსზე, არსებაზე, ჭეშმარიტებაზე, სიკეთეზე და ა. შ. უშუალო დაკვირვება და მოცემულობა, აი, რა არის მთავარი, თანაც, შედეგი იცვლება არა მარტო დამკვირვებელ-დასაკვირვებლის შეცვლით, არამედ დროში და სივრცეში. მიჰყევი ცნობიერების ნაკადს, ითევზავე საკუთარ ჭაში; იფიქრე იმაზე, რაც ხდება შენს სიღრმეში, არა სხვაზე, არა იმაზე, რაც ხდება შენს გარეთ. ასე ამგვარად, მივედით სოციალურ ატომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ზმამდე – ადამიანები ჩაიკეტნენ საკუთარ ნიჟარებში, განცალკევდნენ და გაუცხოვდნენ. უშუალო კავშირები შეიცვალა გაშუალებულით (ფული, ნივთი) და ადამიანები ერთიერთს უცქერენ და აფასებენ ამ პრიზმის მიღმა.

უარი ვთქვით გარედან ორგანიზებულ ადამიანზე, ავტორიტარულ პიროვნებაზე, ავტომატურად კონფორმისტ პიროვნებაზე, იშვა მარგინალური ადამიანი, ერთგანზომილებიანი ადამიანი. ვინ მეტყვის – გარედან ორგანიზებული ადამიანი სჯობს, თუ მარგინალური პიროვნება? იქნებ ამ შეკითხვასაც აზრი არ აქვს, ვინაიდან მასზე მეცნიერული პასუხის გაცემა შეუძლებელია.

* * *

მეოცე საუკუნემ კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით დაამტკიცა, რომ ადამიანმა ვერ გაუძლო ვერ ერთ (იმ სამიდან) ეშმაკეულ ცდუნებას, როგორც ეს შეძლო იესომ (იხ. მათე. 4. 1-11) და მან ისევ მიწიერი პური და სეირი არჩია, მაცხოვრის სამსახურს ისევ სატანის სამსახური ამჯობინა. მართლაც, შეუძლებელია თავისუფლება იქ, სადაც მორჩილება პურით არის ნაყიდი. ადამიანის დათმო თავისუფლება პურის წილ – „სჯობს დაგვიმონოთ, ოღონდ გამოგვკვებეთ“. განა ეს არ არის ფ. დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორის“ მთელი ფილოსოფია. ნუთუ მაცხოვარი ერთეულ რჩეულთათვის ეწამა?

* * *

მეოცე საუკუნის ცივილიზაცია, სამოქალაქო ცხოვრებაში ყველა მისი საამაყო მონაპოვრით, სატანური წარმონაქმნია და არა ღვთიური. გავიხსენოთ, რას გვიქადაგებს იესო: შვიდ ნიჭს სულისა წმიდისა, ცხრა ნაყოფს სულისა წმიდისა, ათ მცნებას და ა. შ. მაცხოვრის მოძღვრებით შვიდი მომაკვდინებელი ცოდვაა: ამპარტავნება, ანგარება, სიძვა, მრისხანება, ნაყროვანება, შური, მიმოწვლილველობა. რომელი ამათგანი არ ზეობს დღეს კაცთა ურთიერთობებში. ამ „ნიჭებით“, „მცნებებით“, „ნაყოფებით“ (რომელთა გმობა მე პირადად დიდ მკრეხელობად მიმაჩნია), რომ ეცხოვრა ადამიანს და ეს შვიდი ცოდვა არ ჩაედინა ყოველცისმარე (გავიხსენოთ კინოფილმი – „ეშმაკი და შვიდი მცნება“), მიაღწევდა თუ არა იგი თანამედროვე ცივილიზებულ კომფორტს? ალბათ, ასე უნდა ვიფიქროთ: ცივილიზაციის შემოქმედი სატანაა, უფალი და მაცხოვარი ჩვენი კი, შემაკავებელი და გამაწონასწორებელი, მშვიდობის დამამკვიდრებელი ძალაა.

არათუ ცხოვრება კაცისა, თვით დაბადებაც, გაჩენაც მისი უკვე დანაშაულია, ვინაიდან: 1. იგი ვიღაც სხვისთვის სიამოვნების მიმნიჭებელი აქტის შედეგია; 2. ფარული აქტის შედეგია; 3. უკვე ცოდვილთა აქტის შედეგია; 4. ნაყოფი სხვის (დედის) ხარჯზე ვითარდება; 5. დაბადებულმა ცოდვილად უნდა იცხოვროს, სხვანაირად არ ეგების. ამქვეყნად შეუძლებელია უცოდველი ცხოვრება. უცოდველ ცხოვრებას ნაყოფი არ აქვს და ასე აღარც სიცოცხლე გაგრძელდება. ამ ფილოსოფიას ავითარებს ჰერმან ჰესე თავის „ტრამალის მგელში“. სამი გზა გვაქვს: მივიღოთ ეს ცხოვრება ისე, როგორიც არის, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, გადავეშვათ მის მორევში ისე, რომ ერთხელაც არ გაგვეპაროს თვალი „ზეცისკენ“; ან განვუდგეთ მას, ვითარცა ამაოებას ამაოთა, რათა ვემზადოთ მარადიული საიქიო ცხოვრებისათვის; ანდა გავაცნობიეროთ მისი რაობა, მისი ავი და კარგი, ყველა სისაძაგლე და წინააღმდეგობა. ავიდეთ იმ მწვერვალზე, საიდანაც ცხოვრება ისე გადაგვეშლება მის ნამდვილ შუქზე და მერე მივყვეთ მას სულგანათლებული ნამდვილი, ცოდნით სულსავსე.

ალბერ კამიუ ასე მსჯელობს: ერთნაირად მივიღო ისიც, რაც ჩვენს სიხარულს იწვევს, და ისიც, რაც გვაბეჩავებს... მე თავიდან ბოლომდე გავიარე ორი გზა, სულიერი აღზევების მწვერვალებიდან – დანაშაულობათა სიღრმეებამდე. სინამდვილის ერთ მხარეზე რომ ვთქვათ უარი, მაშინ თვით ჩვენს არსებობაზე მოგვიხდება უარის თქმა, თვით მთელ ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს სიყვარულზე. და კიდევ, ამგვარად ცხოვრებაც შეიძლება: არაფერი უარყო ამქვეყნად, სინამდვილე მიიღო ისეთი, როგორიც ნამდვილად არის. ამგვარ სათნოებას ვაყენებ მე ყველაზე მაღლა ამქვეყნად. ჩვენი დრო თავად მოითხოვს ამას: ერთნაირად გავუსწოროთ თვალი ცუდსაც და კარგსაც. მე სწორედ ასე მინდა, არაფერს არ მოვერიდო და მუდამ მახსოვდეს სინამდვილის ეს ორი მხარე. დიახ, არსებობს სილამაზე და არსებობს სიმდაბლეც. და როგორც ძნელი არ უნდა იყოს, არასოდეს ვუღალატებ არც ერთს და არც მეორეს („ტიპასაში დაბრუნება“).

გაიზიარებს ამ ორ თვალსაზრისს ოცდამეერთე საუკუნე? რა გზებით ივლის იგი?

* * *

ეჟენ იონესკო ფიქრობს, რომ აბსურდის წინაპარი შეიძლება შექსპირიც ყოფილიყო, ოიდიპოსიც აბსურდული პიროვნება იყოო. შეიძლება დავეთანხმოთ მას, მაგრამ ისმება კითხვა – რატომ სწორედ მეოცე საუკუნეში ამოტივტივდა ადამიანის გონებიდან აბსურდის იდეა: აბსურდის ფილოსოფია, აბსურდის თეატრი, ადამიანის სიცოცხლის, არსებობის აბსურდულობა და სხვა (ლაპარაკია არა მარტო ცალკეულ ლიტერატურულ პერსონაჟთა, ცალკეულ რეალურ ინდივიდთა არსებობის აბსურდულობაზე, არამედ მთელი ადამიანური ყოფის აბსურდულობაზე). ალბათ, იმიტომ, რომ მეოცე საუკუნემ საბოლოოდ და ყველაზე კანთიელად გააცხადა იგი. ყოველ ეპოქაში ნახულობდნენ ადამიანები ადეკვატურ ტერმინებს. მეოცეს ეს ერგო წილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თომას კარლეილის თქმით: ქვეყნად არსებობს სამართლიანობა, გარდა იმისა, არაფერია მარადიული. თუ ამას დავივიწყებთ, ვერაფერს მივაღწევთ. ამის დავიწყება ნიშნავს, წინააღმდეგობაში ჩავარდე მთელ სამყაროსთან. თუ ნებისყოფა გეყოფათ, მოითმინეთ და ნახავთ, რომ ყველას თავისი მიეზღვება. ყოველივე უსამართლო დაიღუპება. შეუძლებელია დაიღუპოს სამართლიანობა, ვითარცა ბუნების მარადიულ კანონთა შიარი, რომელიც იღვწის იმისათვის, რომ განახორციელოს სამყაროული მიზანი. სამართლიანობა ძევს სამყაროს ფუძეში და მასთან ერთად იქნება აღსასრულამდე. სამართლიანობის გასაგებად საჭიროა, რადიკალურად შევცვალოთ აზროვნებისა და ცხოვრების წესი. დავუბრუნდეთ ბუნებას, მისი სამართლიანობისა და მოუსყიდაობის წიაღს.

აქ ბევრი რამ არის საყურადღებო. უპირველესად, სამყაროსთან წინააღმდეგობაში ჩავარდნის საღი აზრი. ადამიანის სამყაროსთან წინააღმდეგობის შედეგია: ეკოლოგიური კრიზისი, ახალი საშინელი სნეულებანი, არაბუნებრივი საკვები, ბუნებრივი დროის რიტმიდან ამოვარდნა, ცხოვრების წესის აბსოლუტური გახელოვნურება. „დავუბრუნდეთ ბუნებას" - მოგვიწოდებს კარლეილი. შევძლებთ ამას? სამყაროს სამართლიანობა მის მოუსყიდაობაშია. მას ვერაფერს გააკეთებინებ ისეთს, რაც მას „არ უნდა", რაც მისი ბუნების საწინააღმდეგოა. ხოლო თუ ადამიანი თავს მოიტყუებს და მიიჩნევს, რომ იგი სამყაროს თავის ჭკუაზე მოაქცევს, მით უარესი მისთვის და ამას ვხედავთ კიდეც. „ყველას თავისი მიეზღვება" - ამბობს კარლეილი. ეკლესიასტეს სიბრძნეს თუ გავიხსენებთ, ადამიანს აცდუნებს ის, რომ ცოდვა უმალვე არ ისჯება. ღრმად ჩახედეთ კაცობრიობის ისტორიას გონების თვალით, ასე გააანალიზეთ ყოველი კაცის, თაობის თუ ერის ცხოვრება და თქვენ მასში აღმოაჩენთ ჭეშმარიტებას კარლეილის აზრისა, რომ ყოველი უსამართლობა დაიღუპება. დაიღუპა სსრკ, ვითარცა ბოროტების იმპერია, უსამართლობათა და ცოდვათა ნაყოფი. დაიღუპება დღეს თავმომწონე ქვეყნები, რომელთაც უსამართლოდ სხვა ხალხებს წარსტაცეს ტერიტორიები. „საჭიროა რადიკალურად შევცვალოთ ცხოვრებისა და აზროვნების წესი". რამდენი ასეთი საღი მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებლისად. ამაოდ. პირუტყვული ორგანიზმითაა გაბრუებული Homo consumensum. მეფისტოფელის სახეს ბოროტი ღიმილი დასთამაშებს.

მეფისტოფელით არის შთაგონებული ბუნებასთან ბრძოლა, ბუნების დაპყრობა, ბუნების დამორჩილება, ბუნების მოთვინიერება, ბუნების დამარცხება, ბუნების გადაკეთება. ამ მხრივ დიდად გამოიჩინა თავი მეოცე საუკუნემ. ეს ტექნოკრატთა სატანური ჩანაფიქრი და საქმე, რის შედეგსაც ყოველდღე ვიმკით ავბედითად. ნუთუ ასე ძნელია იმის მიხვედრა დღეს მაინც, რომ შეუძლებელია (ე. ი. არა მარტო არასასურველია) ადამიანმა დაიპყროს ბუნება, რაგინდ კეთილ აზრსაც არ უნდა ვდებდეთ ამ სიტყვაში (დაპყრობა). ადამიანის ტექნიკური და ტექნოლოგიური ნოვაციები ბუნების დაპყრობაზე კი არა, მის სასიკვდილოდ გამეტებაზე მეტყველებენ. ბუნება იმისთვის არ გაუჩენია შემოქმედს, ადამიანს რომ დაეპყრო. ბუნებასთან საჭიროა მხოლოდ თანამშრომლობა, რაც ისევ ბუნებისაგან უნდა ვისწავლოთ.

***

იგორ სტრავინსკი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ლაპარაკობს ნებაყოფლობითი თვითშეზღუდვის და წესრიგის მოთხოვნილებაზე, რაც ესოდენ საჭიროა არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ადამიანური მოღვაწეობის ყველა დარგში. საოცარია, ამას წერს დიდი შემოქმედი ავანგარდისტი. დიდებული შეგონებაა. მაგრამ, მე მაინც მეოცე საუკუნის ადამიანის სახე და ნამოქმედარი მიდგას თვალწინ. უწესრიგობა, თვითშეუზღუდაობა პიროვნების შიგნით, უწესრიგობა, შეუზღუდაობა საზოგადოებაში, უწესრიგობა, თვითშეუზღუდაობა შემოქმედებაში. ასე იშლება პიროვნება, ირღვევა საზოგადოება, აზრს ჰკარგავს შემოქმედება. შედეგი - უნაპირო აგრესია.

მტანჯველი, თითქოს უსასოოა ფიქრი იმაზე, რა გველოდება ოცდამეერთე საუკუნეში, რას გაგვიმზადებს იგი. დამანგრეველი ტენდენციები ფორსირებულად ვითარდებიან. მისი არა მარტო შეჩერება, მიმართულების შეცვლაა საჭირო, კაცობრიობის ახალ რელსებზე გადართვაა საჭირო მსოფლმხედველობრივად, აზროვნებისა და ცხოვრების წესით. ვის შესწევს ამის ძალა? გამოჩნდება ამის შემძლე მსოფლიო მასშტაბის ლიდერი, რომელიც გაუმკლავდება ახლანდელი ინერციის დაწოლას? გამოფხიზლდება ადამიანი უკიდურეს კრიტიკულ ჟამს? საჭიროა უდიდესი ინტელექტუალური აფეთქება, რომელიც იქნება უფრო რადიკალური და ღრმა მნიშვნელოვანი, ვიდრე იყო რენესანსი და რეფორმაცია.

მინდა შევუერთდე ერთი თანამედროვე მოაზროვნის აზრს, რომ ოცდამეერთე საუკუნე ან სულიერების საუკუნე იქნება, ან სულ არ იქნება.

* * *

ს. კირკეგორი თავს მიიჩნევდა იმ ჯამბაზად, რომელიც, კულისებში ცეცხლი რომ შეამჩნია, სცენაზე გავარდა და ხალხს შესძახა - ხანძარია, თავს უშველეთო. ხალხმა ეს ჯამბაზურ ნომრად ჩათვალა და მით უფრო ხარხარებდა, რაც უფრო უწევდა ხმას ჯამბაზი. არადა, მართლა ხანძარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვასილ კავილაძე

## ვლადიმერ სტაროსელსკი საქართველოში

ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში ხშირად ისეთ ადამიანთა სახელებს ვაწყდებით, რომლებიც სულაც არ ყოფილა ადგილობრივი წარმოშობის, მაგრამ თავიანთი საკაცობრიო მისიით, კეთილი საქმეების კეთებით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იმ ქვეყნების შვილებს, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ.

საქართველოს ისტორია ამ მხრივ ფაქტების სიმრავლით არ გამოირჩევა. პირიქით, თუკი ვინმე გადამთიელი იერარქიის რომელიმე მაღალ საფეხურზე მოევლინებოდა საქართველოს, იმ დღიდანვე იწყებდა მის სახელმწიფოებრივ ხელყოფას, ხალხის ხოცვა-ჟლეტას, მეურნეობის გაჩანაგებასა და გაპარტახებას.

მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილის სასიხარულოდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არსებობს ერთი მცირერიცხოვანი პერიოდი, როდესაც არაქართველმა კაცმა საქართველოში თავისი მოღვაწეობა დაუკავშირა მშრომელი ხალხის, მუშათა და გლეხთა აუტანელი ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. კერძოდ, საუბარია 1888-1908 წლების პერიოდზე, როდესაც უბრალო ხალხის გაჭირვებამ აპოგეას მიაღწია და ერი რუსული ცარიზმის წინააღმდეგ აამხედრა.

ეს კაცია ვლადიმერ სტაროსელსკი. სწორედ იგი ამოუდგა ქართველ ერს მხარში რუსული ცარიზმის წინააღმდეგ დიდი აჯანყების დროს.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი 1861 წელს უკრაინაში, ქ. ჩერნიგოვში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. მოსკოვის მიწათმოქმედებისა და სატყეო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა სამუშაოდ.

იმ პერიოდში საქართველოს, განსაკუთრებით კი იმერეთის ვენახებს საშინელი სენი - ფილოქსერა აჩანაგებდა. მთელი საქართველო ფეხზე იდგა, მაგრამ ვერც ადგილობრივმა და ვერც მოწვეულმა უცხოელმა სპეციალისტებმა ფილოქსერასთან - ამ პაწაწინა, ადამიანის თვალით უხილავ მწერთან ვერაფერი გააწყვეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეფის მთავრობამ საქართველოში ვენახების აჩეხვა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენება დააპირა. სწორედ ასეთ ტრაგიკულ ჟამს ახალგაზრდა აგრონომმა, ვლადიმერ სტაროსელსკიმ შესძლო საქართველოს ვენახების გადარჩენა. ნამყენი ვენახი სწორედ მისი დამკვიდრებულია ჩვენში.

17 წლის განმავლობაში დასტრიალებდა თავს სტაროსელსკი საქართველოს ვენახებს. იგი მის მიერ დაარსებული, იმ დროისათვის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საქარის საცდელი სადგური მევენახეობის მსოფლიო მიღწევების დაუცხრომელი პროპაგანდისტი გახდა. ამ სადგურის ბაზაზე სტაროსელსკიმ შექმნა სპეციალური კურსები, სკოლა და მრავალი საყრდენი პუნქტი, სადაც ილაჯგაწყვეტილ გლეხობას უსასყიდლოდ ასწავლიდა ვაზის მყნობას, ბორდოს ხსნარით შეწამლვასა და, საერთოდ, ყოველივე სიახლეს.

მადლიერმა ქართველმა გლეხობამ, მთელმა მშრომელმა საქართველომ მხურვალე სიყვარულით უპასუხა თავის ქომაგს. სტაროსელსკის აღმერთებდნენ, მოფერებით „ჩვენი ლადო“-ს ეძახდნენ. „ჩვენი ლადო“ კი, რომელმაც შესანიშნავად შეისწავლა ქართული ენა, ქართველ გლეხებს მშობლიურ ენაზე უხსნიდა ნამყენი ვენახის მოვლა-პატრონობის წესებს. არადა, იმ პერიოდში ცარიზმი ყოველივე არარუსულს სასტიკად სდევნიდა, ავიწროებდა და თრგუნავდა.

რა თქმა უნდა, მარტო ეს უზარმაზარი დამსახურება ეყოფოდა ერთ ადამიანს თავისი სახელის უკვდავსაყოფად ქართველი ერის მარადიულ ხსოვნაში, მაგრამ ბედმა სტაროსელსკის კიდევ უფრო დიდი მისია დააკისრა. სულ მალე იგი სწორედ იმ მშრომელთა განთავისუფლებისათვის გამართული დიდი ბრძოლების გმირი გახდა, რომელთაც სალოცავი ვაზი გადაურჩინა.

დადგა 1905 წელი. რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში რევოლუციამ იფეთქა. განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნია ბობოქრობდა. მშრომელთა რისხვით დამფრთხალი მთავრობა, ცეცხლისა და მახვილის ნაცვლად, რევოლუციონერთა დაშოშმინებას დაყვავებითა და გარკვეულ დათმობებზე წასვლით შეუდგა.

ყველასათვის მოულოდნელად მეფისნაცვალმა ქუთაისის გუბერნატორობა სწორედ ვლადიმერ სტაროსელსკის შესთავაზა. სტაროსელსკი შეთავაზებული მაღალი თანამდებობის დაკავებას იმ შემთხვევაში დააპირებდა, თუ მეფის ნაცვალი მიიღებდა მის მოხსენებით ბარათში შემუშავებულ პროექტს გუბერნიის მართვის შესახებ. აღნიშნული პროექტი მან ჯერ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს გააცნო. აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ბოლშევიკების) კომიტეტმა სტაროსელსკის პირდაპირ განუცხადა, - ამის შემდგენელი ციხეში უფრო მოხვდება, ვიდრე გუბერნატორად დაინიშნება, რადგან მაგის მეტს ჩვენ, ბოლშევიკები, არც არაფერს ვითხოვთო... და მაინც, დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო, მეფისნაცვალმა პროექტი მოიწონა.

მოხსენებითი ბარათი (ორი ნაბეჭდი თაბახის მოცულობის), არსებითად, საფუძვლიან მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს. მასში სტაროსელსკი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ 1905 წლის რევოლუცია საქართველოში ქვეყნის შინაგანი განვითარებით გამოწვეული მოვლენა იყო და არა გარედან აგიტაციით თავსმოხვეული შემთხვევითობა.

გუბერნატორის მოვალეობის აღსრულებას, უფრო სწორად კი, თავისი პროექტის განხორციელებას

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტაროსელსკი 1 აგვისტოდან შეუდგა. პირველ რიგში გააუქმა სამხედრო მდგომარეობა, გაათავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, უფლებამოსილად სცნო სოფლის რევოლუციური კომიტეტები და სამედიატორო სასამართლოები, შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების თავისუფლება გამოაცხადა, რევოლუციონერებს პროკლამაციებისა და სხვა რევოლუციური ლიტერატურის გავრცელების საშუალება მისცა.

ქუთაისში, შუაგულ ქალაქში გამართულ მიტინგზე რევოლუციონერებმა პოლიცმაისტერს ძალად აკოცნინეს წითელ დროშაზე, რომელზეც ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას"! ამ სურათის შემყურე გუბერნატორმა – სტაროსელსკიმ ტაში შემოკრა და შესძახა – „ბრავო! ბრავო!" აღფრთოვანებულმა ხალხმა ხელში აიტაცა გუბერნატორი და ასე წაიყვანა მეორე მიტინგზე, სადაც იგი სიტყვითაც გამოვიდა.

სულ მალე ახალმა გუბერნატორმა ქუთაისის პოლიცია დაითხოვა, პოლიციელების იარაღი წითელრაზმელებს გადასცა და ქალაქში წესრიგის დაცვაც მათ დააკისრა, მეფისნაცვალს კი მოახსენა: „ქალაქში წესრიგის დაცვა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებსაც მოსახლეობა ენდობა და თვითონ ირჩევს, ეს სამოცი კაცი შეიარაღდება რევოლვერებითა და ხმლებით".

მოგვიანებით ამის შესახებ ჟურნალი „ისტორიჩესკი ვესტნიკი" (1910 წლის მაისი) წერდა: „სინამდვილეში ეს „არჩევითი" და „რომელსაც მოსახლეობა ენდობა" – სამოცი კაცი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი მებრძოლი „წითელი ასეულის" წევრები იყვნენ". კურიოზული ამბავი ხდებოდა (ამ წესრიგის დამცველებთან სტაროსელსკის შეხვედრისას. დამცველი გუბერნატროს სამხედრო წესით ესალმებოდა და შემდეგ ქართულად შესძახებდა – „გამარჯობა ლადო!:" ორიგინალში რუსული ასოებით წერია ეს ქართული სიტყვა და იქვე ფრჩხილებშია განმარტებული „ზდრავსტვუი ვოლოდია"!

პოლიციის ნაცვლად – საკუთარი მებრძოლები, გუბერნატორი – „ამხანაგი", სამხედრო მდგომარეობა – გაუქმებული, მასებისა და მოწინავე ინტელიგენციის თანაგრძნობა რევოლუციის მხარეზეა, განა ეს ხელსაყრელი მომენტი არ არის? და რევოლუციონერებმაც ამით ისარგებლეს: ქუთაისის ქუჩებში, მთელ კავკასიაში პირველი ბარიკადები გაჩნდა.

სხვა საბუთიდან (კერძოდ, საზღვარგარეთული აგენტურის გამგის მოხსენებიდან პოლიციის დეპარტამენტისადმი 1908 წლის 30 მაისს) ვგებულობთ: „გუბერნატორ სტაროსელსკის ყოველი ნაბიჯი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტთან იყო შეთანხმებული. კომიტეტმა მის დროს განიმტკიცა მდგომარეობა, გააფართოვა ორგანიზაცია, გაიჩინა ყუმბარებისა და ასაფეთქებელი მასალის მთელი არსენალი, შემოიღო საბარიკადო ტექნიკა, რაც საშუალებას იძლეოდა, სულ რაღაც 10 წუთის განმავლობაში ქალაქი ბარიკადებით დაფარულიყო".

თვითონ გუბერნატორის სახლში კი არალეგალური სტამბა იყო მოწყობილი, სადაც მეფის გუბერნატორი მეფისავე საწინააღმდეგო პროკლამაციებს ბეჭდავდა.

„გუბერნატორი რევოლუციონერი", „წითელი გუბერნატორი", „ერთობის გუბერნატორი" – ასე უწოდებდნენ სტაროსელსკის. ერთნი ზიზღითა და შიშით, მეორენი – სიამაყითა და სიყვარულით.

„ჩვენი გუბერნატორი", „ჩვენი ლადო" – ამას კი მხოლოდ სიყვარულით წარმოთქვამდნენ!

სტაროსელსკი აჯანყებულებს აწვდიდა იარაღს, ტყვია-წამალს, ფულს, უბეჭდავდა პროკლამაციებს, თავგზას უბნევდა დამსჯელ რაზმებს, ატუსაღებდა ჟანდარმებს. სიტყვითა და საქმით, სულითა და გულით ამხნევებდა რევოლუციონერებს.

სტაროსელსკის რევოლუციური მოღვაწეობა საკუთრივ მისი გუბერნატორობის ჟამს, სრულიად უპრეცედენტო, ფანტასტიკური მოვლენა იყო. საერთო ვითარებისა და სტაროსელსკის პირადი ღირსების გარდა, ასეთ მოღვაწეობას დიდად შეუწყო ხელი იმანაც, რომ იმ დროს ვიცე-გუბერნატორი მისი ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) გახლდათ, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი. ასე მხარდამხარ იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მოწინავე უკრაინელი და ქართველი ინტელიგენტები.

გუბერნატორ სტაროსელსკის დიდი რევოლუციური ბრძოლის შემყურე კავკასიის პოლიციის უფროსი (1905 წლის ოქტომბერში) გაოგნებული მოახსენებდა მეფისნაცვალს: „ქუთაისის გუბერნიაში შეიქმნა რაღაც განსაკუთრებული სახელმწიფო, რომელიც თვითმმართველი რევოლუციური თემებისაგან შედგება. ისინი მხოლოდ რევოლუციური კომიტეტების ხელისუფლებას ცნობენ...

ის, რაც ქუთაისის გუბერნიაში ხდება, იმდენად განსაცვიფრებელია იმპერიის სახელმწიფო წყობილების საერთო ფონზე, რომ უცხოელები საგანგებოდ ჩამოდიან კავკასიაში, რათა ადგილზე გაეცნონ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს".

მეფისნაცვალი კი არ ჩქარობდა თავისი კანდიდატის გადაყენებას. ამჯერად მან ქუთაისის გუბერნიაში, კერძოდ, გურიაში დამსჯელი კორპუსის გაგზავნა გადაწყვიტა. დაიძრნენ დელეგაციები თხოვნით, მეფისნაცვალს ხელი აეღო განზრახვაზე, მაგრამ, ფაქტობრივად, მხოლოდ გუბერნატორს თუ შეეძლო მეფისნაცვლის დაყოლიება.

31 ოქტომბერს სამტრედიაში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა, სადაც მომიტინგეებმა ერთხმად დაგმეს 17 ოქტომბრის მანიფესტი და მოითხოვეს გურიის დამსჯელი ექსპედიციის გაუქმება. მიტინგის ამ მოთხოვნის მეფისნაცვალთან გადაცემა სტაროსელსკის თხოვეს და იქვე გაუმზადეს საგანგებო მატარებელი, რადგან რკინიგზაზე მოძრაობა შეწყვეტილი იყო. მემანქანეები ერთმანეთს ეცილებოდნენ სტაროსელსკის თბილისში წაყვანას და ბოლოს, როგორც იქნა, კენჭისყრით გადაწყვიტეს ეს საკითხი.

ხალხის რჩეულმა დაკისრებული მისია ბრწყინვალედ შეასრულა. გურია გადარჩა.

3 ნოემბერს ათი ათასმა კაცმა დიდი ზეიმით გააცილა სახალხო გმირი თბილისის რკინიგზის სადგურიდან, რომელიც იმავე სადელეგატო მატარებლით გურიაში გაემგზავრა მახარობლად. მიტინგზე უკრავდა ორკესტრი, მღეროდა რამდენიმე გუნდი, გაისმოდა გულწრფელი სამადლობელი სიტყვები. მატარებელი მორთული იყო დროშებით, ყვავილებითა და ლოზუნგებით, რომლებზეც ეწერა: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რევოლუციას!"

მთელ გზაზე, ყველა სადგურზე, ხალხი მატარებელს ზეიმით ხვდებოდა. იმერეთს მატარებელმა დაღამებისას მიაღწია. აღფრთოვანებული ხალხი სადგურზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩირაღდნებითა და სანთლებით ეგებებოდა სტაროსელსკის. მოგვიანებით ვლადიმერ სტაროსელსკი იხსენებდა: „გულითადი, უბრალო, მაგრამ გულწრფელი სიტყვები და საერთო სიხარული იყო ჩემი ჯილდო, რადგან შევძელი მოვალეობის აღსრულება. 3 ნოემბერი ჩემი ცხოვრების ერთი ყველაზე უფრო სასიხარულო და დაუვიწყარი დღე გახდა“.

აჯანყებული ხალხის ამ გამარჯვებამ პირდაპირ გააცოფა ქუთაისში განლაგებული კაზაკთა ჯარის ნაწილები. მდგომარეობა განსაკუთრებით 27 ნოემბერს დაიძაბა. ამ დღეს ქუთაისის ქუჩებში რევოლუციონერებმა ბარიკადები აღმართეს. კაზაკებთან ბრძოლა გარდაუვალი ჩანდა. დაძაბულობას აძლიერებდა საეკლესიო ზარების რეკვა, რომლებიც ქალაქსა და ახლომახლო სოფლებში გუგუნებდნენ. ასე, ძველი, მამაპაპური წეს-ჩვეულებებით ატყობინებდა მოსახლეობა ერთმანეთს ახალ განსაცდელს.

სოფლებიდან ქუთაისისაკენ დაიძრა შეიარაღებული ხალხი. საკმარისი იყო ერთი შემთხვევითი გასროლა და საშინელი სისხლისღვრა ატყდებოდა.

როგორი უდრეკი ნებისყოფა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ პირისპირ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ბარიკადებზე დამდგარი გატანჯული მოსახლეობა და კაზაკთა მძვინვარე დივიზია დაეშოშმინებინა. მარტოოდენ დიდი ავტორიტეტი აქ ვერაფერს შეცვლიდა, მაგრამ, ყველას გასაოცრად, სტაროსელსკიმ შესძლო საშინელი სისხლისღვრის თავიდან აცილება.

გუბერნატორის აშკარა რევოლუციონერობის ამბავმა პეტერბურგამდე მიაღწია. განრისხებულმა იმპერატორმა სტაროსელსკის სასტიკი განაჩენი გამოუტანა. მეფისნაცვალისადმი გამოგზავნილ წერილში 1906 წლის 8 იანვარს იგი წერდა: „ჩემს მიერ მიღებული ყველა ცნობის თანახმად, იგი ნამდვილი რევოლუციონერია და მას იმ პარტიასთან (სოციალ-დემოკრატები) აშკარა ურთიერთობა აქვს. ჭეშმარიტად მისი ადგილი... კარგ ტირიფზეა! ბევრისათვის ეს ჭკუისსასწავლებელი მაგალითი იქნებოდა“.

ამჯერად მეფისნაცვალმა აღარ დაახანა: სტაროსელსკი და მისი მარჯვენა ხელი, ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე ეტაპით ჩამოიყვანა თბილისში, ხოლო ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორად დროებით დანიშნულ ალიხანოვს უბრძანა:

1. „მთელს გუბერნიაში დაუყონებლივ უნდა აღდგეს სახელმწიფო ძალაუფლება.
2. მთელს გუბერნიაში უნდა განადგურდეს რევოლუციური ორგანიზაციები, ამისთვის არანაირ სასტიკ ზომებს არ უნდა მოერიდოთ.
3. ადგილობრივი მილიციის შეიარაღებული რაზმები არა მარტო ქალაქებში, არამედ მთელ გუბერნიაში ისე უნდა განადგურდეს, რომ მათ აღორძინებაზე გაფიქრებაც კი ვეღარ გაბედონ.
4. შეიარაღებული წინააღმდეგობის ოდნავი მცდელობისას იმოქმედეთ დაუნდობლად და სასტიკად გაანადგურეთ ყოველივე“.

სხვათა შორის, ამ ულმობელი ბრძანების გამცემი მეფისნაცვალი, გენერალ-ადიუტანტი, მისი ბრწყინვალება გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი, ბედის ირონიით, რუსეთის იმპერიის „წითელი ჯვრის საზოგადოების“ თავმჯდომარეც ბრძანდებოდა.

ქუთაისში ჩასვლისთანავე ალიხანოვმა მეფისნაცვალს აცნობა: ქუთაისი და მთელი გუბერნია რევოლუციური კომიტეტის ხელშია. ყველა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულება გაუქმებულია, ხაზინა და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები გაძარცვულია. ჟანდარმები, ქალაქების ადგილობრივი და ცხენოსანი პოლიცია განიარაღებულია, მათი ნაწილი დახოცილია. ყველა სოფლის კანცელარია გადამწვარია. სამაზრო სამმართველოები დარბეულია, საქმეები განადგურებულია, ხოლო ქონება - დატაცებული. რკინიგზის ყველა სადგური რევოლუციონერების ხელშია და ა. შ.

ქუთაისის გუბერნიაში ასეთი გადატრიალების მთავარი მიზეზი, როგორც ერთხმად აღიარა ყველა მოხელემ, ის იყო, რომ გუბერნატორი სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე აშკარად და დაუფარავად თანამშრომლობდნენ რევოლუციის გასამარჯვებლად“.

ალიხანოვი ქვას ქვაზე არ ტოვებდა, განსაკუთრებით კი გურიაში ზეიმობდა რეაქცია. მაგრამ არც შავი რეაქციის ბობოქრობის ჟამს დაუყრია ფარხმალი ვლადიმერ სტაროსელსკის. ახლა იგი სიტყვითა და კალმით იბრძოდა ალმოდებული საქართველოს დასაცავად.

„ბირჟევიე ვედომოსტი“-ს, „ვოზროჟდენიე“-ს, „ნოვოე ობოზრენიე“-ს და რუსეთის სხვა გაზეთების ფურცლებზე სტაროსელსკი ასაბუთებდა, რომ „რევოლუცია საქართველოში ობიექტურმა პირობებმა გამოიწვია და ამიტომ აუცილებელია გამომწვევი მიზეზების მოსპობა და არა უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჟლეტა...“ „ქართველები ძალიან კულტურული ხალხია“. „ქართველი გლეხები კულტურით დიდად აღემატებიან რუს გლეხებს და ამის გამო რევოლუცია საქართველოში ქართველების მაღალი შეგნების შედეგია და არა ბოროტი აგიტაციის“, - წერდა იგი.

განსაკუთრებით გულში ჩამწვდომია ვლადიმერ სტაროსელსკის მიმართვა რუსი მოქალაქეებისადმი, რომელიც გაზეთ „ვოლიაში“ (№5 1905 წელს) თბილისში დაიბეჭდა:

„გესმით თქვენ, რუსო მოქალაქენო, მსხვერპლთა გმინვა... იცით... რისთვის უწიათ უბედურებს ულმობელმა სასჯელმა?

იმისთვის, რომ ქართველები შეგნებულად და განუხრელად თავგანწირულად იბრძოდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად! იმისათვის, რომ ისინი მოითხოვდნენ თავისუფლებას მთელი რუსეთისათვის. ხმა აღიმაღლეთ, რუსო მოქალაქენო! თქვენი ძმები - ქართველები სამართლიანად მოელიან თქვენს თანაგრძნობას: ნუ გაუჩენთ მათ ახალ სატანჯველს ძმური გრძნობების გაცრუებით, თორემ ისინი ზურგს შეგაქცევენ.

დუმილი ყველაფერზე საშინელია!

მხეცური ხოცვა-ჟლეტა საქართველოში აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

რისთვის ეს ბარბაროსული სისხლისღვრა, რისთვის? ხმა აღიმაღლეთ, რუსო მოქალაქენო, თქვით თქვენი სიტყვა!“

აღსანიშნავია, რომ ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში დაიბეჭდა სტაროსელსკის მეუღლის - ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ ზახაროვას ასეთივე მხურვალე მოწოდება რუსი ქალებისადმი, რის შედეგადაც გაზეთ „ვოლიას“ გამოცემა მთავრობამ აკრძალა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სტაროსელსკის ნარკვევები საქართველოში 1905 წლის რევო-

ლუციის შესახებ, რომლებიც 1906-1907 წლებში დაიბეჭდა ჟურნალ „ბილოეში“, აგრეთვე ცალკე ბროშურად - პეტერბურგში (გამომცემლობა „კავკასიის დრამა“). სამივე ნარკვევი წარმოადგენს მეცნიერის საფუძვლიან გამოკვლევას და მისი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საქართველოში 1905 წლის რევოლუციის ობიექტური ისტორიის დაწერა. მეორე ნარკვევში მისი ერთი დასკვნა პირდაპირ განსაცვიფრებელია, იგი წერს: „განმათავისუფლებელი მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში... ძალიან მალე გასცდა ყოველგვარ განკერძოებულობას და პირველ რიგში წამოაყენა სწორედ ზოგადსაკაცობრიო იდეალები, შეუერთდა მსოფლიო მოძრაობას. ამაშია მისი განსაკუთრებული სილამაზე“.

1907 წელს სტაროსელსკი უკვე ოფიციალურად შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და მალე მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ჯერ იგი ყუბანის, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის სამხრეთ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მაშინ სტაროსელსკი ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი) ცხოვრობდა.

საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია პოლიციას და სტაროსელსკიმ ერთი ნაბიჯით გაასწრო მის დასაპატიმრებლად სახლში მისულ ჟანდარმებს.

სტაროსელსკი პარიზში დასახლდა და ახლა იქ შეუდგა რევოლუციურ მოღვაწეობას რუს ემიგრანტებს შორის. ემიგრაციაში სტაროსელსკი დიდ სიდუხჭირეში ცხოვრობდა. სამშობლოში მან დიდებული ოჯახი - მეუღლე და ხუთი შვილი დატოვა. უცხოეთში კი, საარსებო სახსრებს მოკლებული, დღე და ღამეს ასწორებდა: დააარსა ელექტრომექანიკური კურსები, ხელი მიჰყო ფოტოგრაფობას, მასწავლებლობდა რუს პოლიტემიგრანტთა შვილების სკოლაში. მაგრამ ხელმოკლეობას თავი ვერაფრით დააღწია, ეკონომიკურმა გაჭირვებამ ჯანმრთელობაც ძლიერ შეურყია.

1908 წლის სამ ივლისს მაქსიმ გორკი ერთ ახლობელს წერდა: „პარიზში შიმშილობს სტაროსელსკი, დღეს გავუგზავნე 300 ფრანკი, ამბობენ, ის ნარკვევებს წერს კავკასიის რევოლუციის შესახებო...“

დიახ, არც უცხოეთში, უკიდურესი გაჭირვების ჟამს დაივიწყა საყვარელი საქართველო სტაროსელსკიმ. შორეულ პარიზში, თავად გატანჯული, ბედკრულ საქართველოზე ფიქრობდა დღენიადაგ.

1908 წლის 29 სექტემბერს რუსეთის იმპერიის საზღვარგარეთული აგენტურის გამგე პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა: „პარიზში ამ ბოლო ხანებში ცნობილმა სტაროსელსკიმ, ყოფილმა ქუთაისის გუბერნატორმა წაიკითხა სამი რეფერატი: პირველი ორი საქართველოს ისტორიულ განვითარებას მიუძღვნა, ხოლო მესამეში სტაროსელსკი ლაპარაკობდა იმ რესპუბლიკაზე, რომლის პრეზიდენტიც თვითონ ბრძანდებოდა 7 თვის განმავლობაში“.

აქ კი ცოტა შეშლია მსტოვარს, სტაროსელსკი მხოლოდ 5 თვე და 9 დღე იყო გუბერნატორად, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იმ ინფორმაციაში არის ცნობა სტაროსელსკის საქართველოს ისტორიის ნარკვევებზე მუშაობის შესახებ.

დიახ, ხგი მუშაობდა საქართველოს ისტორიის ვრცელ, საფუძვლიან გამოკვლევაზე და თითქმის დაასრულა კიდეც ეს დიდი ნაშრომი, რომლის წერა ჯერ კიდევ საქართველოში დაიწყო. ეს არის უაღრესად საყურადღებო გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხებისა უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის დამდეგამდე და ბევრი მისი დებულება დღესაც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას. ამ დიდი ნაშრომის გამოცემაზე სტაროსელსკი მთელი სიცოცხლე ოცნებობდა, მაგრამ უცხოეთში გადახვეწილს ოცნება ოცნებად დარჩა.

ემიგრაციაში ვლადიმერ სტაროსელსკის რევოლუციურმა მოღვაწეობამ იმდენად გაახელა რუსეთის სამეფო კარი, რომ განსაკუთრებით განრისხებული დედოფლის დასამშვიდებლად პარიზიდან პეტერბურგს ყალბი დეპეშა გაიგზავნა - სტაროსელსკიმ სიდუხჭირის გამო თავი მოიკლაო, გაზეთებმა კი ცოცხალ ადამიანზე ნეკროლოგები დაბეჭდეს!

გაზეთი „კოლხიდა“ 1911 წლის 23 ივნისს ნეკროლოგში წერდა: „არ გვინახავს ჩვენში მეორე მისი მსგავსი უცხოელი, რომელსაც ისე წრფელად, ისე ძლიერ, ისეთის სამაგალითო სიყვარულით ყვარებოდა ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა, როგორც განსვენებულ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის“.

ამ იძულებითი გამოტირების შემდეგ სტაროსელსკიმ ხუთი წელიწადი იცოცხლა. მძიმედ დაავადებული 1916 წლის 26 აგვისტოს გარდაიცვალა პარიზში და იქვე, პერლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს.

სტაროსელსკის გარდაცვალების გამო ნეკროლოგები, დიდი მწუხარებისა და გლოვის ნიშნად, ევროპის, ამერიკისა და რუსეთის გაზეთებმა დაბეჭდეს, მაგრამ განსაკუთრებული გულისტკივილით საყვარელი ადამიანი საქართველომ დაიტირა. ქვეყანამ, რომლის ბედნიერებისათვის ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა. მის დაკრძალვაზე უამრავ სამგლოვიარო გვირგვინთა შორის გამოირჩეოდა ერთი, რომელზეც ეწერა: „პატრონს - მადლიერი საქართველო“.





Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები
















610/17



ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში გამოყენებულია სერგო კენჭაძის ნამუშევართა რეპროდუქციები

